ოსმალეთის იმპერიის და ანგორის მთავრობის ურთიერთობა საბჭოთა რუსეთთან 1917-1921 წლებში

ავტორი: თეა მეშველიშვილი

სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის
ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლაში
დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თემის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ზურაბ ბატიაშვილი
თემის თანახელმძღვანელი:ასოც. პროფ. სალიჰ უჩაქი

თბილისი
2024

მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომი ეხება ოსმალეთისა და ანგორის მთავრობის ურთიერთობას საბჭოთა რუსეთთან 1917 – 1921 წლებში. კვლევაში ჩვენ ვეცადეთ წარმოგვეჩინა ოსმალეთის ცარისტულ რუსეთთან ურთიერთობის დინამიკა, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ გეოპოლიტიკური პროცესების გავლენით ოსმალეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის ურთიერთობების ტრანფორმაცია და როგორ მოხდა ამ ურთიერთობის უკვე პარტნიორობის ჭრილში გადასვლა.

1913 წელს გადატრიალების შედეგად ოსმალეთის მთავრობის სათავეში ერთობისა და პროგრესის პარტია მოვიდა. ქვეყანას პარტიის სამი ლიდერი - ენვერ ფაშა, თალათ ფაშა და ჯემალ ფაშა მართავდა, „ახალგაზრდა თურქების“ ფაქტობრივი დიქტატურა დამყარდა. „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობა პან-თურანული იდეებითა და დიდი თურანის აღდგენით იყო შეპყრობილი, 1917-1918 წლებში ოსმალეთის პოლიტიკაც სამხრეთ კავკასიაში ამ იდეის გარშემო ტრიალებდა. ოსმალეთმა სამხრეთ კავკასიაში, როგორც ტერიტორიების გაფართოება, ასევე გავლენის გაზრდა სცადა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, როდესაც მას სამი სანჯაყი -ყარსი, არტაანი და ბათუმი გადაეცა. „ითთიჰადისტებმა“ ახლო აღმოსავლეთში მუსლიმების დაცვისა და გაერთიანების მიზნით შექმნეს „ისლამის არმია“, რომელმაც ბაქოს აღებაც მოახერხა. 1918 წლებში საბჭოთა რუსეთის ინტერესებიც სამხრეთ კავკასიაში გაძლიერდა. ბოლშევიკებმა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება პირველი რიგის ამოცანად დაისახეს და პირველი დარტყმა დაიწყო ბაქოდან, რადგან ჩამოშლილი ეკონომიკის აღსადგენად ბაქოს ბუნებრივი რესურსები ბოლშევიკებისათვის მეტად მიმზიდველი იყო. საბჭოთა მთავრობის ინტერესები კი სრულად ეწინააღმდეგებოდა ოსმალეთის ინტერესებს რეგიონში. ინტერესების ეს დაპირისპირება 1918 წლის 30 ოქტომბრამდე გაგრძელდა, მუდროსის დროებითი ზავის დადების შემდეგ ანტანტის სახელმწიფოების მიერ ოსმალეთის ტერიტორიების დანაწილება მოხდა. ანატოლიაში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მუსტაფა ქემალ ათათურქი.

1919 წლის ზაფხულს წამოწყებული მოლაპარაკებები ბოლშევიკებსა და თურქ ნაციონალისტებს შორის წლის ბოლოს და 1920 წლის დასაწყისში განსაკუთრებით გააქტიურდა. მოლაპარაკებები მეტწილად ბაქოში მიმდინარეობდა და საბჭოთა მხრიდან დახმარების მიღებას ორი დაჯგუფება ითხოვდა - მუსტაფა ქემალ ათათურქის წარგზავნილი ოფიცრები და ყარაქოლის[1] წევრები. მუსტაფა ქემალ ათათურქმა მომგებიანი სვლა გააკეთა და მოქმედებების კოორდინირებულად წარმართვის მიზნით ეს ორი დაჯგუფება ერთ ორანიზაციაში გააერთიანა. 1919 წელს დაწყებულმა ამ ერთეულმა შეხვედრებმა საფუძველი ჩაუყარა დიდ კავშირს, რომელიც ორმხრივი ინტერესებით იყო განპირობებული და ბოლშევიკებისათვის მსოფლიოში პროლეტარული რევოლუციის გავრცელების კონცეფციაში სრულად ჯდებოდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლა ორივე მხარისათვის მომგებიანი იყო. ეს ალიანსი საბედისწერო აღმოჩნდა სამხრეთ კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკებისათვის. სამხრეთ კავკასია იყო იმპერიალისტების წინააღმდეგ გაერთიანებული თურქი ნაციონალისტური მთავრობისა და საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული გარიგების ერთ-ერთი საფუძველი. ამ ერთობამ განსაზღვრა სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების ბედი. ამ ალიანსის შედეგად, 1921 წელს დასრულდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს გასაბჭოება.

[1] ყარაქოლის საიდუმლო ორგანიზაცია 1918 წელს, დაფუძნდა. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან ყარა ვასიფი და ყარა ქემალი - ორივე ერთობისა და პროგრესის პარტიის ლიდერის- თალათ ფაშას თანამოაზრე იყო. ორგანიზაცია ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაერთო. აღსანიშნავია, რომ ორგანიზაცია მუსტაფა ქემალ ათათურქის საწინააღმდეგო ფრთას წარმოადგენდა და ერთ ხანს დამოუკიდებლად აწარმოებდა ლაპარაკებებს ბოლშევიკებთან, 1920 წელს 16 მარტს ბოლშევიკებთან თანამშრომლობის ხელშეკრულებასაც კი მოაწერეს ხელი. ანტანტის სახელმწიფოთა ჯარების სტამბოლში შესვლის შემდეგ ორგანიზაცია დაიშალა და ორგანიზაციის ლიდერი ყარა ვასიფი და მასთან ერთად ორგანიზაციის სხვა წევრები ინგლისელებმა დააპატიმრეს.

სარჩევი

მიმოხილვა	.....	2
შესავალი	.....	6
I თავი - ლიტერატურის მიმოხილვა	.....	10
თავი II - ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის დროს.	.....	17
2.1 საერთაშორისო ვითარება პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე.		
2.2. ოსმალეთის ჩაბმა პირველ მსოფილო ომში	.....	25
2.3. სომხური მოსახლეობის საკითხი პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში.	.....	29
2.4 კონსტანტინოპოლის და სტუტეების საკითხი - საიდუმლო მოლაპარაკებები.	.....	34
თავი III ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში	.....	37
3.1. სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება სამხრეთ კავკასიის კომისარიარტთან.	.....	37
3.2 ტრაპიზონის კონფერენცია	.....	44
3.3 ბათუმის კონფერენცია	.....	49
IV თავი - ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში 1918 წელს.	.....	56
4.1 „ისლამური არმია“, ოსმალების მიერ ბაქოს ოკუპაცია	.....	56
4.2 საქართველო საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე და ოსმალეთის ინტერესები.	.....	63
4.3 ვითარება ოსმალეთში მუდროსის ზავის შემდეგ.	.....	68
V თავი - თურქ ნაციონალისტებისა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკებების დაწყება	.....	70
5.1 ეროვნულ -განათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება ანატოლიაში	.....	70
5.2 ქემალისტებისა და ბოლშევიკების ალიანსის წინაპირობები.	.....	73
5.3. საიდუმლო მოლაპარაკებები მუსტაფა ქემალ ათათურქთან.	.....	76
5.4. პირველი ოფიციალური შეხვედრები 1920 წ.	.....	85
5.5 ბექირ სამის შეხვედრები გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინთან.	.....	93

5.6 ანგორის მთავრობის ეჭვები. 96

5. 7საბჭოთა რუსეთის პირველი დიპლომატიური მისია 98
ანგორაში.

VI თავი მოსკოვის კონფერენცია 101

6. 1 შეტევა სომხეთზე და ყარსის ოკუპაცია 101
6.2 ანგორასა და საბჭოთა მთავრობებს შორის 107
მოლაპარაკებების გაგრძელება.
6.3 ანგორის დიპლომატიური მისია მოსკოვში. 109
6.4 საქართველოს საკითი მოსკოვის მოლაპარაკებების 111
დაწყების წინ
6.5 ბუდუ მდივანის და ქიაზიმ ყარაბექირის მოლაპარაკებების 116
ყარსში
6.6. ოსმალეთის მიერ არტაანისა და ართვინის ოლქების 118
ოკუპაცია
6.7 მოსკოვის კონფერენცია და ბათუმის საკითხი. 126
6.8 ყარსის ხელშეკრულება 136
დასკვნა 140
ბიბლიოგრაფია 145

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალურობა:

1917-1918 წლებში ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში ძალთა თანაფარდობა შეიცვალა. ოსმალეთის სათავეში მოსულ ახალგაზრდა თურქების მთავრობას იმედი გაუჩნდა, რომ ხელთ იგდებდნენ არა მხოლოდ კავკასიას, არამედ, ყირიმს და შუა აზიას. საბჭოთა რუსეთის მიერ სამშვიდობო დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ ოსმალეთმა სამხრეთ კავკასიაში დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები, თუმცა, ეს ერთგვარი ხრიკი იყო და, რეალურად, პან-თურანული იდეებით შეპრყობილი „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობა „დიდი თურანის“ აღდგენას გეგმავდა, რომელიც კავკასიიდან შუა აზიამდე უნდა გადაჭიმულიყო. ოსმალეთის მთავრობა შეეცადა საბჭოთა რუსეთის მიერ გამოცხადებული ერთა თვითგამორკვევის პრინციპი სათავისოდ გამოეყენებინა და ბრესტ-ლიტოვსკის სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისთანავე მოითხოვა 1877-1878 წლებში რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად დაკარგული ტერიტორიებიდან საბჭოთა რუსეთის ჯარების გამოყვანა. ოსმალეთისთვის წინააღმდეგობის გაწევა მოუწია სამხრეთ კავკასიის კომისარიატს, რომელისთვისაც 1917-1918 წლები განსაკუთრებულად მძიმე იყო. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს უწევდათ როგორც ოსმალეთის, ასევე, საბჭოთა რუსეთის აგრესიული იმპერიალისტური ქმედებების მოგერიება. სიტუაცია შიეცვალა მუდროსის დროებითი ზავის (1918 წლის 30 ოქტომბერი) შემდეგ, როდესაც ანტანტის ქვეყნების მიერ მოხდა ოსმალეთის ტერიტორიების დანაწილება. ზუსტად ამ დროს, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის მუსტაფა ქემალ ათათურქი თანამოაზრეებთან ერთად და ოსმალეთში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. ბრძოლის დაგვირგვინებისათვის ქემალისტებისათვის აუცილებელი იყო მეკავშირის პოვნა, რომელთანაც საერთო ინტერესი ექნებოდათ და საიმედო დახმარების პირობას მიიღებდნენ. ამ მხრივ, იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი, რომელმაც მუსლიმ ხალხებს შორის პროპაგანდისტული იდეოლოგიური მუშაობა დაიწყო, რჩებოდა ერთადერთ გარანტად ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის. საბჭოთა რუსეთი, ასევე, არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფებოდა, სამხრეთ საზღვრებს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა თეთრი მოძრაობა. ბოლშევიკებისათვის ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სოციალიზმის გავრცელების

საშუალებად აღიქმებოდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისა და „მსოფლიო ჩაგრული ერების“ დაცვის პერსპექტივაში საკუთარი იდეოლოგიის პროპაგანდირება, ბოლშევიკური მთავრობისთვის მეტად მომხიბვლელი იყო. ბოლშევიკებსა და ქემალისტ თურქებს შორის ალიანსი ორმხრივი ინტერესით იყო განპირობებული. ამ ალიანსმა მნიშვნელოვანწილად შეცვალა მსოფლიო წესრიგი და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების ბედი გადაწყვიტა. საბჭოთა რუსეთმა ადვილად შეძლო სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება, ანგორის მთავრობა იძულებული გახდა დახმარების სანაცვლოდ უარი ეთქვა „ეროვნული აღთქმის“ ფარგლებში საკუთარი ტერიტორიების გაფართოების პერსპექტივაზე.

საკვლევი თემის აქტუალურობა განპირობებულია საქართველოს დამოუკიდებლობის წლებთან დაკავშირებულ ქართულ ისტორიოგრაფიაში ოსმალური დოკუმენტების თუ თურქი საჯარო მოხელეების მემუარული ნაშრომების სამეცნიერო მიმოქცევაში არსებული სიმწირით. ჩვენ შევეცადეთ კომპლექსურად წარმოგვეჩინა ქემალისტებსა და საბჭოთა მთავრობის შორის ურთიერთობები პირველადი წყაროების ჭრილში და, ამგვარად, წინა პლანზე გამოგვეტანა არა ინტერპრეტირებული მოვლენები, არამედ, ფაქტები, რომლის საფუძველზეც მოხდა ჩვენი ჰიპოთეზების გამყარება.

კვლევის მიზნები და ამოცანები:

1. რა ფაქტორებმა და ისტორიულმა პროცესებმა განაპირობა თურქი ნაციონალისტებისა და საბჭოთა რუსეთის ალიანსი;
2. ამ ალიანსმა რა გეოპოლიტიკური გავლენა იქონია სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებზე. ჩვენი მიზანია წარმოვაჩინოთ პოლიტიკურ პროცესებში ჩართული სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწეების დამოკიდებულება და შეხედულებები მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით;
3. ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების ურთიერთობის ჭრილში სამხრეთ კავკასიის საზღვრების ცვლილებების დინამიკის წარმოჩენა;
4. საბჭოთა მთავრობისა და ანგორის მთავრობის ინტერესების წარმოჩენა და შეპირისპირება;

ნაშრომის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომის კვლევა აგებულია შემდეგი ჰიპოთეზების ირგვლივ:

1. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის პოზიციები შესუსტდა, ამით ისარგებლა „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობამ და სამხრეთ კავკასიაში თავისი გავლენის გაძლიერება მოინდომა;
2. 1917-1918 წლებში სამხრეთ კავკასიაში „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა რუსეთის პოლიტიკასთან წინააღმდეგობრივი იყო;.
3. მუდროსის დროებითი ზავის შემდეგ ანატოლიაში იწყება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქემალისტები იაზრებენ, რომ გამარჯვებისათვის საჭიროა სტრატეგიული პარტნიორის მოძებნა;
4. მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა, ორივე მხარე პრაგმატულ თანამშრომლობაზე თანხმდება და კონცენტრირდება საერთო ამოცანებზე;
5. თურქი ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში თანხვედრაშია, საბჭოთა რუსეთი სამხრეთ კავკასიის გასაბჭოებას მარტივად ახერხებს, რადგან ოსმალეთი მის მეტოქეს აღარ წარმოადგენს;
6. ანატოლიის მთავრობასა და საბჭოთა რუსეთს შორის ალიანსი მეტწილად განპირობებული იყო გეოპოლიტიკური აუცილებლობით და არ წარმოადგენდა გრძელვადიან იდეოლოგიურ კავშირს.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე და კვლევის ძირითადი შედეგები:

კვლევის მეცნიერული სიახლე უკავშირდება თემის აქტუალურობას. სადისერტაციო ნაშრომში წარმოჩენილია კრებულების სახით გამოცემული ოსმალური საარქივო მასალები, მემუარული ნაშრომები, პერიოდული გამოცემები, რაც სადისერტაციო ნაშრომს მნიშვნელობას განსაზღვრავს. შევეცადეთ გამოგვეყენებინა თურქულ სამეცნიერო ბრუნვაში არსებული საარქივო დოკუმენტები და აღმოგვეფხვრა არსებული ხარვეზი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ეხება 1917-1921 წლებს.

კვლევის შედეგები შემდეგია:

1. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთისთვის სახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა და სამხრეთ კავკასიაში პოზიციების გაძლიერებით 1877-1878 წწ. არსებული სტატუს-კვოს დაბრუნება სცადა;

2. 1917 -1918 წლებში ოსმალეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის დაცვა და გაძლიერება დაიწყო, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის საზღვართან ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროება დადგა;
3. მუდროსის დროებითი ზავის ხელმოწერის შემდეგ დაუძლურებულ და ანტანტის სახელმწიფოების მიერ დანაწევრებულ ოსმალეთში გამოჩნდნენ პატრიოტული ძალები, რომელთაც გააჩაღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელი იყო მეკავშირის პოვნა, რომელთანაც თურქ ნაცილონალისტებს საერთო ინტერესი ექნებოდათ და სამხედრო დახმარების პირობასაც მიიღებდნენ. ამ მხრივ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი საუკეთესო პარტნიორი აღმოჩნდა;
4. თურქი ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების საერთო ინტერესები იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლის პერსპექტივაში ერთმანეთთან თანხვედრაში იყო. საბჭოთა რუსეთისთვის ოსმალეთის პან-ისლამური იდეოლოგიის რევოლუციურ კონტექსტში გარდაქმნა და ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის - როგორც საკუთარი იდეოლოგიის - გავრცელების კარგი პერსპექტივა იყო. ამგვარად, საერთო ამოცანებზე კონცენტრირების შემდეგ იდეოლოგიური განსხვევებებმაც მეორე პლანზე გადაინაცვლა და ორ ძალას შორის ალიანსი შედგა;
5. ქემალისტური მთავრობა საბჭოთა რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაში საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, რადგან ანგორის მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დარგვირგვინება და ქვეყნის ინტერესების დაცვა იყო, ამიტომ,საბჭოთა რუსეთმა მარტივად მოახერხა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება;
6. ქემალისტური თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ალიანსი გეოპოლიტიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული და გრძელვადიან პერსპექტივაში სეკულარულ თურქეთსა და კომუნისტურ საბჭოთა რუსეთს შორის პარტნიორობა იდეოლოგიურად რადიკალურად განსხვავებების გამო წარმოუდგენელი იყო.

მეთოდოლოგია:

სადისერტაციო ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს. კერძოდ, ჩვენი ჰიპოთეზების გასამყარებლად ვიყენებთ დისკრიფციულ მეთოდს და ისტორიულ მოვლენათა ინტერპრეტაციის მეთოდს. აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენება ჩვენ დაგვეხმარა:

1. წარმოგვეჩინა ბოლშევიკთა და თურქ ნაციონალისტთა ალიანსის მიზეზები ისტორიულ კონტექსტში;
2. დაგველაგებინა ისტორიული ფაქტები სისტემურად და არგუმენტირებული მსჯელობით გაგვეკეთებინა დასკვნები;
3. ოსმალური და საბჭოთა წყაროების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოგვეყალიბებინა არგუმენტირებული შეხედულებები;

დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე შევძელით ისტორიული ფაქტებისა და წყაროების ინტერპრეტაცია და საკუთარი დასკვნების ფორმულირება.

თავი I- ლიტერატურის მიმოხილვა

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე მოხდა იმ ძირითადი მიმართულების ლიტერატურის განსაზღვრა, რომელსაც ეყრდნობა კვლევა და დაგვეხმარა ჩვენი ჰიპოთეზების განმტკიცებაში. სადისერტაციო ნაშრომი ძირითადად ემყარება პირველად საისტორიო წყაროებს, რომელიც დაცულია თურქეთის გენერალური შტაბის არქივში, საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისრის არქივში, გამოვიყენეთ მემუარული ლიტერატურა და პერიოდიკა. მოხდა ლიტერატურის სისტემატიზაცია, რომელიც დაიყო ოთხ ნაწილად: საარქივო მასალა, მემუარები, სამეცნიერო ლიტერატურა და პრესა.

სადისერტაციო ნაშრომში დიდი ადგილი უკავია მემუარულ ლიტერატურას. ვფიქრობთ, რომ მემუარული ლიტერატურა, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მიკერძოებული იყოს, მაინც აღწერს და ნათელს ჰფენს ისეთ მოვლენებს, რაც შესაძლებელია ოფიციალურ დოკუმენტაციაში არ იყოს ასახული. ჩვენი სადისერტაციო ნაშრომის ერთ-ერთ მთავარ ბაზას წარმოადგენს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირის, აღმოსავლეთის ფრონტის

სარდლის, მუსტაფა ქემალ ათათურქის თანამებრძოლის, ქიაზიმ ყარაბექირის მემუარული ნაშრომი „ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის“, რომელიც გამოცემულია 1960 წელს. ქიაზიმ ყარაბექირი იყო იმ მნიშვნელოვანი მოვლენებისა და ქარტეხილების უშუალო მონაწილე, რომელიც გარდამტეხი იყო როგორც თურქეთისისთვის, ასევე ,სამხრეთ კავკასიის ახალი ისტორიისთვის. ამიტომ, ამ პროცესში ჩართული უშუალო მონაწილეების შეხედულებები და დასკვნები მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ სწორად შეფასდეს ისტორიული მოვლენები. ამ ნაშრომში, გარდა იმისა, რომ ქიაზიმ ყარაბექირი საკუთარ დამოკიდებულებას გვიზიარებს, ვხვდებით მნიშვნელოვან დეპეშებს და საიდუმლო შიფროგრამებს. ქიაზიმ ყარაბექირის ნაშრომი დაგვეხმარა თვალი გვედევნებინა ბოლშევიკებისა და ქემალისტების ურთიერთობის დინამიკისთვის. ქიაზიმ ყარაბექირი იყო ანგორის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელი, რომელმაც ხელი მოაწერა ყარსის ხელშეკრულებას. მუსტაფა ქემალ ათათურქის ერთ-ერთი პოლიტიკური მეტოქე, რომელიც ხშირად აკრიტიკებდა და არ იზიარებდა კიდეც ოფიციალური ანკარის ბრძანებებს და ხშირად მის თვითნებურ ქმედებებს კრიტიკულად შეუცვლია თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მიმდინარეობაც კი. ქიაზიმ ყარაბექირის ნაშრომი საინტერესოა საქართველოს ისტორიის კვლევის კუთხითაც. მემუარებში ავტორი თავის დამოკიდებულებას გვიზიარებს საქართველოს მთავრობის მიმართ, აღწერს საქართველოს ოკუპაციის ქრონოლოგიას. ქიაზიმ ყარაბექირი ამ პროცესების უშუალო მონაწილეა, ამიტომ, მისი დასკვნები, რომელიც ხშირ შემთხვევაში ჩვენთვის მიუღებელია კიდეც, მნიშვნელოვანია ჩვენი ჰიპოთეზების გასამყარებლად.

სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე ალი ფუად ჯებესოის მემუარული ჟანრის ნაშრომს „მოსკოვური მოგონებები“, რომელიც გამოცემულია 1981 წელს. ალი ფუად ჯებესოი ანგორის მთავრობის პირველი ელჩია საბჭოთა რუსეთში. ის მოსკოვის მოლაპარაკებებში ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელი იყო. მის ნაშრომში ვხვდებით მოგონებებს ოსმალეთის დელეგაციის შეხვედრების შესახებ ლენინთან, სტალინთან, გიორგი ჩიჩერინთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია მისი, როგორც თურქი დიპლომატის და სარდლის შეხედულებები საბჭოთა რუსეთთან მიმდინარე მოლაპარაკებების და ურთიერთობების შესახებ და გვეხმარება დავინახოთ ანგორის მთავრობის ოფიციალური დამოკიდებულება მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით და სწორი დასკვნები გავაკეთოთ.

მემუარული ჟანრის ლიტერატურიდან სადისერტაციო ნაშრომში გამივიყენეთ „ერთობისა და პროგრესისა პარტიის“ ლიდერის, ჯემალ ფაშას მემუარები, რომელიც დაგვეხმარა „ახალგაზრდა თურქების“ საგარეო პოლიტიკის უკეთ წარმოჩენაში.

ასევე, სადისერტაციო ნაშრომში გამოვიყენეთ ცარისტული რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, თეთრი მოძრაობის აქტიური წევრის, სერგეი დიმიტრის ძე საზონოვის მოგონებები.

ჰიპოთეზების გასამტკიცებლად დაგვეხმარა მუსტაფა ქემალ ათათურქის სიტყვით გამოსვლები და მიმართვები, რომელიც თავმოყრილია ორ კრებულში „ Nutuk“ / „სიტყვით გამოსვლა“ და „Atatürk’ ün Söylev ve Demeçleri (1919-1938)“ / „ათათურქის მიმართვები და სიტყვით გამოსვლები (1919-1938)“. ასევე, ლ.ი. ტროფიმოვას რედაქციით გამოცემული კრებული : „გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით სტატიები და სიტყვით გამოსვლები“.

სადისერტაციო ლიტერატურის მეორე ნაწილი მოიცავს საარქივო დოკუმენტებს. ცარისტული რუსეთის სრუტეებთან დაკავშირებული პოლიტიკის თვალსაჩინოებისათვის გამოვიყენეთ ე. ა. ადამოვის რედაქციით გამოცემული დოკუმენტების კრებული „Константинополь и Проливы По Секретным Документам Министерства Иностранных Дел / კონსტანტინოპოლი და სრუტეები საგარეო საქმეთა სამინისტროს საიდუმლო დოკუმენტების მიხედვით“, გამოცემული 1926 წელს. განსაკუთრებული ინტერესის რაკურსში მოექცა დოკუმენტაციების კრებულები: „ Документы и Материалы по Внешней Политики Закавказъя и Грузии“ / „დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ“. აღნიშნულ კრებულში თავმოყრილია სამხრეთ კავკასიის კომისარიატის, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების შესახებ დოკუმენტაცია 1917- 1919 წლებში. დოკუმენტები შეეხება სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკურ კურსს. აღნიშნული კრებული დაგვეხმარა ოსმალეთის სამხრეთ კავკასიის მიმართ საგარეო პოლიტიკის უკეთ წარმოჩინებაში.

სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტაციის კრებულს „Документы внешней политики СССР“/ „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები“, ტომი III,

1920 წლის 1 ივლისი - 1921 წლის 18 მარტი, სადაც საბჭოთა რუსეთის საგარეო კომისარიატისა და ანგორის მთავრობის დიპლომატიური მიმოწერა, ნოტები და დეპეშებია თავმოყრილი. ოსმალეთისა და შემდგომ ანგორის ხელისუფლების სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკის შესწავლის, 1914 წლიდან თურქეთ-რუსეთის საზღვრების გარშემო პოლიტიკური დებატების უკეთ წარმოსაჩენად გამოვიყენეთ თურქეთის გენერალური შტაბის მიერ გამოცემული საარქივო დოკუმენტების კრებული "Türk İstiklal Harbi, Doğu Cephesi (1919-1921)" /თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, აღმოსავლეთის ფრონტი (1919-1921) ტ. III, რომელიც მოიცავს ჩვენი საკვლევი თემის პერიოდის განმავლობაში გამოცემულ ბრძანებებს, ოფიციალურ წერილებს, დეპეშებს. აღნიშნული კრებული დაგვეხმარა ასევე უკეთ წამორგვეჩინა საბჭოთა რუსეთთან ალიანსის მიზეზები.

სადისერტაციო ნაშრომში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ასევე დიდი ეროვნული კრების დადგენილებებს და საიდუმლო კრების ოქმების კრებულებს, (TBMM Gizli Celse Zabıtaları) I და II ტომებს, რომელიც მოიცავს 1920-1921 წლების პერიოდს. აღნიშნული დადგენილებები დაგვეხმარა ანგორის მთავრობის საბჭოთა რუსეთის, ასევე, საქართველოს მიმართ პოლიტიკური გეზის უკეთესად წარმოჩინებაში.

ისტორიოგრაფია: თურქეთსა და საბჭოთა რუსეთის ურთიერთობის შესახებ არა ერთი მონოგრაფია არის გამოცემული. ამ მხრივ გამოვარჩევდით სტეფანოს იერასიმოსის მონოგრაფიას „ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს თურქეთ-საბჭოთა ურთიერთობები (1917-1923). ავტორის კვლევა ეფუძნება დოკუმენტურ მასალებს, დეტალურად არის მიმოხილული მოვლენათა დინამიკა. ვფიქრობთ, რომ აღნიშნული მონოგრაფია ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ურთიეთრობების შესწავლის კუთხით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუდამენტური კვლევაა.

სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის პოლიტიკისა და კავკასიის ფრონტზე მიმდინარე მოვლენების დინამიკის უკეთ წარმოსაჩენად დაგვეხმარა ვ. ალენისა და პ. მურათოვის ნაშრომი "Caucasian Battelfield- A History of The Wars on the Turco-Caucasian Border 1928-1921" "/„კავკასიური ბრძოლის ველი - თურქეთ -კავკასიის საზღვარზე ომების ისტორია, 1928-1921". ასევე, საინტერესოა ი. როგანის "The Fall Of The Ottomans, The Great War in The Middle East

1914-1920"/ "ოსმალეთის იმპერიის დაცემა, პირველი მსოფლიო ომი ახლო აღმოსავლეთში 1914-1920", რომელშიც ავტორი წარმოაჩენს ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს პირველი მსოფლიო ომის დროს და შემდგომ, პოლიტიკურ ინტრიგებს, რომელიც ოსმალეთის გარშემო მიმდინარეობდა.

სადისერტაციო ნაშრომის მიზნებიდან გამომდინარე, ვეცადეთ, თურქი ავტორების მიერ ისტორიული მოვლენების მათებური ინტერპრეტაცია წარმოგვეჩინა და ამის საფუძველზე გაგვეკეთებინა ჩვენი დასკვნები. ხშირ შემთხვევაში, თურქი ავტორების დასკვნები ოსმალეთის ან ანგორის მთავრობის ინტერესების მიმართებაში და დამოუკიდებელი საქართველოს შესახებ შეხედულებები, ვფიქრობთ, რომ მცდარია, გამომდინარე იქედან, რომ ამ შემთხვევაში საქართველოს პოლიტიკური ინტერესები უკანა პლანზე არის გადატანილი და დასკვნები გაკეთებულია თურქეთის ინტერესების ჭრილში.

თურქი ავტორების ნაშრომებიდან გამოვარჩევდით ა.ნ. კურატის ფუნდამენტურ ნაშრომს თურქეთისა და რუსეთის ურთიერთობების შესახებ 1978-1919 წლებში: „Türkiye ve Rusya XVIII Yüzyıl Sonundan Kutruluş Savaşına Kadar Türk-Rus İlişkileri 1798-1919"/ „თურქეთისა და რუსეთის ურთერთობა XVIII საუკუნის დასასრულიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყებამდე". აღნიშნულ ნაშრომში წარმოჩენილია თურქეთის გეოპოლიტიკური მდგომარეობა და ცარისტული რუსეთის პოლიტიკური ინტერესები ოსმალეთის მიმართ პეტრე დიდის მეფობიდან 1919 წლამდე, ვიდრე ანატოლიის დამოუკიდებლობის მოძრაობის ლიდერების ბოლშევიკურ მთავრობასთან კონტაქტებს დაამყარებდნენ. ნაშრომში კარგად ჩანს თურქეთისა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობების ტრანსფორმაცია, რაც გეოპოლიტიკური სიტუაციით იყო განპირობებული. ნაშრომში კარგად არის წარმოჩენილი ოსმალეთის პან-თურანული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში, ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ საბჭოთა რუსეთში შექმნილი სიტუაცია, ყარსი, არტაანისა და ბათუმის ოლქების მიმართ ოსმალეთის ინტერესები.

თემის კვლევაში დაგვეხმარა ენის შაჰინის მონოგრაფია „Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918)"/ „ტრაპიზონისა და ბათუმის კონფერენციები და ხელშეკრულებები (1917-1918)", რომელშიც კარგად არის ასახული სამხრეთ კავკასიის კომისარიატთან ოსმალეთის ხელისუფლების წარმომადგენლების მოლაპარაკების დინამიკა. ავტორის

შემოთავაზებული საარქივო მასალებზე დაყრდნობით საშუალება გვქონდა გაგვეკეთებინა მოვლენათა ინტერპრეტაცია, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავტორი მაინც მიკერძოებულია თავის დასკნებში.

აღსანიშნავია ასევე სერფილ სურმელის ფუნდამენტური ნაშრომი „Türk Gürcü İlişkileri 1918-1921“/ „თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები (1928-1921)“, რომელიც ისტორიული მოვლენების საინტერესო ინტერპრეტაციას გვთავაზობს.

გამოვარჩევდით ასევე მეჰმედ ფერინჩექის ნაშრომს: “Atatürk’ün Soviyetlerle Görüşmeleri Soviyet Arşiv Belgeleriyle” / „ათათურქის მოლაპარაკებები საბჭოთა ხელისუფლებასთან, საბჭოთა საარქივო დოკუმენტების მიხედვით“. მასში განხილულია საბჭოთა რუსეთისა და ქემალისტების მოლაპარაკებების დაწყების მიზეზები, მოლაპარაკებების დინამიკა. ავტორი საინტერესო ხედვას გვთავაზობს არაოფიციალურ მოლაპრაკებებში ჩართულ პერსონალიებთან დაკავშირებით. აღნიშნული მონოგრაფია დაგვეხმარა გავცნობოდით რუსეთში დაცულ საარქივო მასალებს, რომელიც ჩვენთვის არ არის ხელმისაწვდომი.

საკვლევი თემისთვის გამოვიყენეთ მუსტაფა ადილ ოზდერის ნაშრომი: “Artvin ve Çevresi 1828 -1921 Savaşları”/ „ ართვინი და შემოგარენი, 1828-1921 წლის ომები“, რომელშიც ავტორი საარქივო დოკუმენტებზე დაყრნობით ცდილობს აღწეროს ართვინის და არტაანის ოლქების და ბათუმის ოსმალეთისთვის გადაცემის ისტორია. ავტორი, ჩვენი აზრით, მიკერძოებულია, თუმცა, საინტერესოა ავტორის მიერ მოყვანილი საარქივო დოკუმენტაცია.

ჩვენ შევეცადეთ გავცნობოდით ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველო-ოსმალეთის 1918-1921 წლების ურთიერთობასთან დაკავშირებულ ლიტერატურას. პირველ რიგში გამოვიყენეთ დ. შალიკაშვილისა და გენ. კვინიტაძის მემუარული ლიტერატურა. ორივე ნაშრომი პირველწყაროს წარმოადგენს და მოვლენათა რეკონსტრუქციისათვის მნიშვნელოვანია.

რუსეთ-ოსმალეთის ურთიერთობების ჭრილში საქართველოს საკითხის მკლევარი ქართველი მეცნიერების პოზიციები და შეხედულები, ფაქტობრივად იდენტურია. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშველოვან ინფორმაციას გავეცანით ლ.თოიძის ნაშრომში „ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ოკუპაციაც“, ასევე შ.

ვადაჭკორიას ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში“, რომელშიც მოტანილია მანამდე უცნობი ფაქტები და მასალები.

უშუალოდ ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებით გავეცანით ცალკეულ სტატიებს. ამ კუთხით გამოვარჩევდით რ. ყავრელიშვილის სტატიებს, რომელიც უშუალოდ ჩვენი კვლევის თემას ეხება. ეს არის სტატია ალი დუაფ ჯებესოის „მოსკოვური მოგონებები“. როგორც ლიტერატურის მიმოხილვაში აღვნიშნეთ, ჩვენს სადისერტაციო ნაშრომშიც მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ალი ფუად ჯებესოის მოგონებებს. საინტერესოა ამავე ავტორის სტატია „თურქეთის მთავრობის ორი ნოტა (1921 წ)“. სტატია ეხება ანგორის მთავრობის ორ ნოტას, რომლის მიხედვით ოსმალეთის საქართველოს ართვინისა და არტაანის ოლქების დაცლას სთხოვს, ასევე, სტატია „თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის საზავო კონფერენციის შესახებ“, რომელშიც ჩვენს საკვლევ თემასთან დაკავშირებული საარქივო დოკუმენტებია წარმოდგენილი.

აღსანიშნავია ასევე ა. ჩაჩხიანის სტატია „ ბოლშევიკურ-ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი და პირველი კონტაქტები 1919 წელს. „ რომელშიც ავტორი საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობს არაოფიციალურ მოლაპარაკებებში ჩართულ პერსონალიებთან დაკავშირებით.

1921 წლის თებერვალსა და მარტში ორ ძალას შორის ბათუმისთვის ბრძოლის ნათლად წარმოსაჩენად დაგვეხმარა ავტორთა ნაშრომი „ბრძოლა ბათუმისთვის 1921 წლის 18-20 მარტი.“ ნაშრომში ასახულია ქართულ და თურქულ ისტორიოგრაფიაში არსებული წყაროები და სამეცნიერო ნაშრომები,რომელიც დაგვეხმარა სწორად შეგვეფასებინა ისტორიული პროცესები.

რუსი ისტორიკოსებისათვის საბჭოთა რუსეთისა და თურქი ნაციონალისტების ურთიერთობების თემატიკა, როგორც ჩანს, არც თუ ისე საინტერესოა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არც თუ ისე ბევრი ნაშრომი შეგვხვდა, განსხვავებით თურქი მკვლევრებისაგან. ეს თემატიკა რუს ავტორებს ძირითადად თურქეთის ისტორიის ზოგად ჭრილში აქვთ წარმოჩენილი.

ჩვენს საკვლევი თემისთვის გამოვარჩევდით ა.მ. შამსუტდინოვის „Mudrostan Lozana Türkiye Ulusal Kurtuluş Savaşı Tarihi 1918-1923“/ „მუდროსიდან ლოზანამდე, თურქეთის ეროვნულ -

განმათავისუფლებელი ომის ისტორია, 1918-1923“. ასევე, დიმიტრი ვანდოვის „Atatürk Döneminde Siviyet -Türk İlişkileri“ /„ათათურქის დროს საბჭოეთისა და თურქეთის ურთიერთობები“, რომელშიც ავტორი მუსტაფა ქემალ ათათურქისა და საბჭოთა ლიდერებს შორის ურთიეთობას აღგვიწერს. მონოგრაფიაში წარმოდგენილია მუსტაფა ქემალ ათათურქისა და საბჭოთა ლიდერების სიტყვით გამოსვლები და მიმოწერა, რაც ჩვენთვის ძალზედ საინტერესო იყო. ავტორი ნაკლებად ეხება ორი ქვეყნის ლიდერების ურთიერთობის ჭრილში სამხრეთ კავკასიის საკითხებს და აქცენტს აკეთებს მეტწილად დიპლომატიურ ასეპქტებზე.

სადისერტაციო ნაშომში გამოყენებულია საბჭოთა და თურქული პრესა: Tasvir-i Efkâr, Tercüman ı Hakikat, Vakit, Hakimiyer i Milliye, Правда.

თავი II - ოსმალეთი პირველი მსოფლიო ომის დროს

2.1 საერთაშორისო ვითარება პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე

საფრანგეთ - პრუსიის ომის (1870-1871) შემდეგ პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე ძალთა ბალანსი მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი. ევროპის კონტინეტნზე ორი, ერთმანეთს დაპირისპირებული დაჯგუფება წამოიქმნა. ამ დაჯგუფებებში გაერთიანებული ალიანსები იმდენად მჭირდოდ იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ერთის მიერ ომის გამოცხადება, ალიანსში მყოფი სხვა სახელმწიფოების ჩართვასაც გულისხმობდა. ასე, მაგალითად, საგარეო პოლიტიკის საკითხებში გერმანიას ზურგს უმაგრებდა ავსტრია-უნგრეთი, საფრანგეთს - რუსეთი, რომელსაც შემდგომ ბრიტანეთი შეუერთდა და შეიქმნა ორი დიდი ალიანსი - „სამთა კავშირი“ და „ანტანტა“. სად იყო ამ დროს ოსმალეთის იმპერია? პირველ მსოფლიო ომში თურქეთის ჩართვის მიზეზების ძიება უფრო შორს უნდა დავიწყოთ, XVIII საუკუნის ბოლო - XIX საუკუნის მიჯნიდან, როდესაც ოსმალეთში ისეთი პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესები წარიმართა, რამაც საბოლოო ჯამში, ნაბიჯ-ნაბიჯ იმპერია დაშლამდე მიიყვანა.

სახელმწიფოს სათავეში მყოფმა ლიდერებმა ვერ შეძლეს ქვეყნის შიდა პოლიტიკური თუ ეკონომიკური პრობლემების მოგვარება, პირიქით, თურქეთი მძიმე ეკონომიკური კრიზისის

წინაშე დადგა, პირველ მსოფლიო ომს თურქეთი ჩამორჩენილ ეკონომიკითა და განუვითარებელი მრეწველობით შეხვდა. ოსმალეთს რთული გზის გავლა მოუხდა შიდა თუ საგარეო პოლიტიკური წიაღსვლების გათვალისწინებით. ქვეყნის ისტორიის ბოლო სამასი წელი პოლიტიკური თუ სამხედრო კუთხით რუსეთის იმპერიასთან იყო დაკავშირებული. პეტრე I -დან დაწყებული ნიკოლოზ II -მდე რუსეთთან ოსმალეთმა ცხრა ომი გამოიარა და ყველა ბრძლაში მარცხი განიცადა. ყოველი მარცხი ტერიტორიების დათმობით სრულდებოდა. პირველი მსოფლიო ომის მიჯნაზე თურქეთი დასუსტებული იყო, ცდილობდა ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას, თუმცა, რუსეთის იმპერია ისევ ყველაზე დიდ მეტოქედ მოიაზრებოდა, რომელიც ცდილობდა ოსმალეთის ბალკარეთიდან და კავკასიიდან განდევნას. ინგლისსა და საფრანგეთს, ასევე, გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა რეგიონში და ოსმალეთი შესუსტებით იყო დაინტერესებული.

XIX საუკუნის 60-70 წლებში ოსმალეთში გაძლიერდა რეფორმებითა და შექმნილი მდგომარეობით უკმაყოფილება. ასპარეზზე გამოდიან ინტელიგენციის ახალგაზრდა წევრები, რომლებიც „ახალგაზრდა თურქებს“ უწოდებენ საკუთარ თავს. ეს იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც განათლება დასავლეთში მიიღეს, მეცნიერები, მწერლები პუბლიცისტები. ამ საზოგადოების წევრები იყვნენ ისეთი დიდი პუბლიცისტები, როგორიც არიან ნამიქ ქემალი,ალი სუვარი, იბრაჰიმ შინაზი, ზია გიოქალფი და სხვები. „ახალგაზრდა თურქების“ წარმომადგენლები პირველი ისლამისტები იყვნენ, რომელებიც შეეცადნენ ქვეყნის მართვის პროცეში სეკულარული და რელიგიური ასპექტები დაებალანსებინათ. თავიანთი იდეოლოგიის პრაქტიკაში განხორციელების შესაძლებლობა 1876 წელს მიეცათ, როდესაც რეფორმატორთა ჯგუფმა, სამხედროებმა და მუსლიმმა სწავლულებმა უპირატესობა მოიპოვეს შექმნილ ქაოსში და მოითხოვეს კონსტიტუციური მთავრობის ჩამოყალიბება. პირველი კონსტიტუცია გამოქვეყნდა 1876 წლის 23 დეკემბერს, რომელიც ასევე მიიჩნევა პირველ კონსიტიტუციურ პერიოდად, ლიბერალური კონსტიტუციური მონარქიის ხანად. 1876 წლის კონსტიტუცია დასავლეთის კონსტიტუციებს თვისობრივად ჰგავდა. ეს იყო ისლამური სახელმწიფოს პირველი კონსტიტუცია. ისლამის ისტორიაში სახელმწიფოს ყველა მოქალაქე იყო თანასწორი და თავისუფალი, მიუხედავად აღმსარებლობისა. 1876 წლის კონსტიტუციის მთავარი პრინციპი იყოს ის, რომ იგი აღიარებდა ნაწილობრივ ხალხის მიერ არჩეულ საკანონმდებლო ორგანოს, რომლის

უფლებამოსილება მეტნაკლებად შეზღუდული იყო. მიუხედავად ამისა, სულთან აბდულჰამიდ II-მ დაითხოვა პარლამენტი 1878 წელს და ეს პერიოდიც დასრულდა. ახალგაზრდა თურქები სულთნის წინააღმდეგ აღარ გამოვიდნენ და მათი ჯგუფი დაიშალა,

მაშინ, როდესაც ოსმალეთში ასეთი მნიშვნელოვანი შიდა პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობდა, საგარეო ასპარეზზე რუსეთთან ურთიერთობა კიდევ უფრო მეტად დაიძაბა. 1877 წელს რუსეთმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, რომელიც 1878 წელს მთავრდება ოსმალეთის მარცხით. ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიდო სან-სტეფანოს ზავი და ბერლინის ტრაქტატი, რომელზეც მოგვიანებით სხვა ჭრილში ვისაუბრებთ.

ამასობაში, შიდა პოლიტიკურ ასპარეზზე ლიბერალიზმის იდეოლოგიამ მაინც გააგრძელა არსებობა და დიდი გავლენაც მოიპოვა საზოგადოებაში, რის შედეგად, სულთანი იძულებული გახდა 1908 წელს კონსტიტუცია ისევ აღედგინა და მეორე კონსტიტუციის პერიოდი დაიწყო. 1909 წელს კონსტიტუციაში საკანონმდებლო ორგანოს ძალაუფლების გავლენა გაიზარდა სულთნის უფლებამოსილების შეზღუდვით. სეკულარისტები და ახალგაზრდა თურქების მეტნაკლებად ნაციონალიზმით შთაგონებული თაობა მოვიდა ძალაუფლებაში. შედეგად, სრულად კონსტიტუციური სისტემა ჩამოყალიბდა. ამ პერიოდში განსაკუთრებულად თავს იჩენს ნაციონალიზმის იდეა. თავდაპირველად იბრაჰიმ შინაზის შემოქმედებაში თურქული ენის, როგორც სახელმწიფო ენის მნიშვნელობა წინა პლანზეა წამოწეული, ზია გიოქალფი ფუნდამენტური ნაშრომში „თურქიზმის საფუძვლები“, „თურქიზმი“ , როგორც ეროვნული თვითმყოფადობის განმსაზღვრელი ტერმინი, პირველად შემოდის. თურქიზმი და თურანიზმი- როგორც იდეოლოგია- ახალგაზრდა თურქების და შემდეგ ქვეყნის სათავეში მოსული „ერთობისა და პროგრესის პარტიის“ იდეოლოგიის საფუძველი გახდა.

ოსმალეთში შიდა პოლიტიკური არეულობით ისარგებლა იტალიამ და 1911 წლის 28 სექტემბერს ულტიმატუმი გაუგზავნა ოსმალეთს, თითქოს იტალიელების დაცვის მიზნით მოითხოვა ტრიპოლიტანიისა და კიერენაიკას ოკუპაციის აღიარება. ოსმალეთის პასუხი იტალიამ არადამაკმაყოფილებლად ჩათვალა და ომი გამოუცხადა ოსმალეთს. (Reynolds/რეინოლდსი., 2011., გვ. 53). შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს ახალგაზრდა თურქების მმართველობით უკმაყოფილო ძალებმა. 1912 წელს თავისუფლებისა და

თანხმობის პარტიამ, რომელშიც გაერთიანებული იყვნენ ოპოზიციურად განწყობილი სხვა პარტიებიც, მოახერხა ახალგაზრდა თურქების მთავრობის დამხობა.(
Гасратян & Орешкова &, Петросян / გასტრანიანი & ორეშკოვა& პეტროსიანი, 1983, გვ. 156ამასობაში 1912 წლის 18 ოქტომბერს იტალიასთან დაიდო სამშვიდობი ზავი, რომლის მიხედვით ტრიპოლიტანია და კიერენაიკა იტალიის კოლონიები გახდა. სამშვიდობო შეთანხმებამ მშვიდობა მაინც ვერ მოიტანა ოსმალეთში და ამავე დღეს დაიწყო ბალკანეთის ომი, ერთი მხრივ ოსმალეთსა და მეორე მხრივ - საბერძნეთის, სერბიისა და მონტენეგროს (ჩერნოგორიე) შორის. მიზეზი ოსმალეთის მხრიდან მაკედონიასა და თრაკიისთვის ავტონომიის მინიჭებაზე უარი გახდა. მოკავშირეთა ძალები სტამბოლისკენ მიიწევდნენ. ოსმალებმა მხოლოდ ჩათალჯისთან შეძლეს მათი შეჩერება. ოსმალეთი იძულებული გახდა დახმარებისთვის დიდი სახელმწიფოებისთვის მიემართა. სამშვიდობო მოლაპარაკებების დროს ოსმალეთს დათმობებზე წასვლა მოსთხოვეს, რაზეც ოსმალეთი თავიდან არ დათანხმდა, თუმცა, 1912 წლის 22 იანვარს იძულებული გახდა ბულგარეთისთვის ედირნე დაეთმო. მარცხით ისარგებლა ერთობისა და პროგრესის პარტიის მესვეურებმა და მოაწყეს სამხედრო გადატრიალება. 1912 წლიწ 23 იანვარს ენვერ ფაშას[2] (1881-1922) მეთაურობით აჯანყებულებმა მოკლეს სამხედრო მინისტრი ნაზიმ ფაშა და აიძულეს ქაზიმ ფაშა თანამდებობიდან გადამდგარიყო. (რეინოლდსი., 2011., გვ 58). 1913 წლის დასასრულისთვის მართვის სადავეები სამი ლიდერის ხელში იყო მოქცეული: ენვერ ფაშა, რომელიც სამხედრო მინისტრი გახდა, თალათ ფაშა- ერთობისა და პროგრესის პარტიის თავმჯდომარე და ჯემალ ფაშა- ადმირალი, დედაქალაქის გუმბერნატორი. (გასტრანიანი მ.ა, ორეშკოვა ს.ფ., პეტროსიანი უ.ა., 1983., გვ. 158).

1913 წლის ივლისში გაჩაღდა მეორე ბალკანეთის ომი. სერბეთი, საბერძნეთი და რუმინეთი თავს დაესხნენ ბულგარეთს. თურქებმა ისარგებლეს ამ მდომარეობით და გახსნეს მეოთხე ფრონტი ჩათალჯაში. ენვერ ფაშა 20 ივლისს ედირნეში შევიდა. ედირნეს გამარჯვებით დაბრუნებას მოსახლეობაში დიდი აღტაცება მოჰყვა. მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ოსმალეთმა მაინც ვერ შეძლო მძიმე ეკნომიკური მდგომარეობიდან გამოსვლა. მუჰაჯირთა

[2] ენვერ ფაშა მუდროსის ზავის შემდეგ გერმანიას შეაფარებს თავს. მან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქემალისტებისა და ბოლშევიკების დაახლოების პროცეში. ჩართული იყო მოსკოვში ბოლშევიკებთან მოლაპარაკებებში. 1921 წელს ბუხარაში მონაწილეობა მიიღო საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყებაში და მოკლული იქნა წითელარმიელების მიერ.

დიდი ტალღა მძიმე ტვირთად დააწვა სახელმწიფოს. დასავლეთის რეგიონებიდან აყრილი და ანატოლიაში გადასახლებული მოსახლეობა სრულიად სხვა რეალობის წინაშე დადგა, მოსახლეობაში ზიზღი და ანტი ქრისტიანული განწყობა იზრდებოდა. (რეინოლდსი., 2011., გვ 60).

1913 წელს რევოლუციით ისარგებლა და ცარისტულმა რუსეთმა ოსმალეთის მთავრობას რეფორმების გატარება შესთავაზა, რომლის მიხედვით, სომხებით დასახლებული პროვინციები ავტონომიას მიიღებდნენ. თითოეულ ამ პროვინციას ეყოლებოდა მმართველები და საბჭოები, რომლის შემადგენლობაში თანაბრად მუსლიმი და სომეხი დეპუტატები გაერთიანებოდნენ. აღნიშნულ გეგმას ოსმალეთის მთავრობამ 1914 წლის 8 თებერვალს მოაწერა ხელი, თუმცა, ახალგაზრდა თურქების მთავრობა ამ გეგმაში სახელმწიფო ერთიანობის კუთხით დიდ საფრთხეს ხედავდა და თალათ ფაშამ სომეხი მოსახლეობის გადასახლებასთან დაკავშირებით სასწრაფო ზომების მიღება გადაწყვიტა.(Rogan/როგანი., 2018,. გვ. 65).

ოსმალეთი, ფაქტობრივად, საჯილდაო ქვად იქცა დიდ იმპერიებს შორის. ახალგაზრდა თურქების მთავრობა იაზრებდა, რა საშიშროების წინაშე იდგა, რა საფრთხე ემუქრებოდა ტერიტორიული მთლიანობის დაცვის კუთხით, რადგან რუსეთი ამჯერად დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მოკავშირედ გვევლინებოდა და ოსმალეთს მათი მხარდაჭერის იმედი ნაკლებად ჰქონდა. ერთადერთ მოკავშირედ ისევ გერმანია რჩებოდა. ოსმალეთისა და გერმანიის მეგობრობას ღრმა ფესვები ჰქონდა. ჯერ კიდევ გერმანიის კაიზერს- ვილჰელმ II-ს , რომელიც ოსმალეთის იპერიას ეწვია, მიაჩნდა, რომ ისეთი დიდი იმპერიის წინააღმდეგ, როგორიც არის ბრიტანეთი, ოსმალეთის იმპერიასთან თანამშრობლობა და მეგობრობა კარგი დასაყრდენი იქნებოდა. იმდენად მაღალი იყო საგარეო ურთიერთობებში დაძაბულობის ტემპერატურა, რომ ოსმალეთს საგარეო ორიენტაცია უკვე გამოკვეთილი უნდა ჰქონოდა. ყველაზე სერიოზულ საფრთხედ ცარისტული რუსეთი მოიაზრებოდა, რომელზეც ჯემალ ფაშა წერს, რომ „არის მთავარი მტერი ოსმალეთის იმპერიის და მისი სურვილია კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდება და ამ განზრახვაზე ის არასდროს იტყვის უარს.“ თუმცა, აქვე აგრძელებს, რომ „ბერლინის პაქტის შემდეგ რუსეთმა მზერა ინდოეთისკენ მიაპყრო და მიხვდა, რომ მისი ზრახვები კონსტანტინოპოლის დაპყრობის შესახებ უკვე არარეალისტური იყო. რაც შეეხება ბრიტანეთს, მისი ინტერესები

შორეული აღმოავლეთისკენ არის მიმართული, ხოლო საფრანგეთი, როდესაც თურქეთის დანაწილების საკითხი დადგებოდა, პროტესტს არ გამოთქვამდა, იმდენად, რამდენადაც მას სირიაში ხელები გაეხსნებოდა. ერთადერთი იმპერია, რომელიც თურქეთს თანაბარ პარტნიორად მოიზრებდა, როგორც ჯემალ ფაშა თვლიდა, იყო გერმანია.(Djemal Pasha/ჯემალ ფაშა., 1923., გვ 118).

ბალკანეთის მეორე ომში მიღებული მარცხის შემდეგ ქვეყნის ავტორიტეტები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სასწრაფო რეფორმები იყო გასატარებელი. რეფორმების გასატარებლად კი ფული იყო საჭირო, რისთვისაც ოსმალეთმა გერმანიას მიმართა. გერმანიამ უარით გაისტუმრა, იმ არგუმენტით, რომ ქვეყანას არ ჰქონდა შესაძლებლობა ფულადი დახმარება გაეწია ოსმალეთისთვის და ურჩიეს თხოვნით მიემართათ საფრანგეთისთვის. ოსმალეთის მთავრობამ ყურად იღო ეს რჩევა და პარიზში მიავლინა ჯავით ბეი[3]. რუსეთი საფრანგეთის მთავარი კრედიტორი იყო, ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ საფრანგეთი დახმარებას აღმოუჩენდა ოსმალეთს, დიდი პრობლემები შეექმნებოდა რუსეთთან. თუმცა, ჯავით ბეის მეცადინეობის შედეგად საფრანგეთმა ოსმალეთს კრედიტი მისცა (ჯემალ ფაშა., 1921., გვ. 75, 76).

მაჰმუდ შევქეთ ფაშა[4] იაზრებდა, რომ მხოლოდ ფინანსური დახმარებით ქვეყნის ფეხზე დაყენება ვერ მოხერხდებოდა, ამისათვის, პირველი, რაც მან გააკეთა, იყო ირანის საზღვართან პრობლემის მოგვარება იყო. ამ ტერიტორიაზე პრეტენზიას ცარისტული რუსეთიც და ინგლისიც აცხადებდა. მაჰმუდ ფაშამ სთხოვა ქვეყნის მთავრობებს მიევლინათ მისია რეგიონში, რათა საზღვრები დადგენილიყო. შემდეგი ნაბიჯი კი არმიისა და ფლოტის რეორგანიზება იყო. ბრიტანეთის ფლოტის მისია უკვე მუშაობდა ოსმალეთში. ოსმალეთის შეკვეთით ინგლისში ორი ჯავშნიანი გემი უნდა აგებულიყო, გარდა ამისა, თურქეთში მიავლინეს სამხედრო-საზღვაო მისია ადმირალი ლიმპუსის ხელმძღვანელობით, რომლის ამოცანა იყოს ოსმალეთის ფლოტის რეორგანიზაცია, ისე, რომ რუსეთის ფლოტთან

---

[3] ოსმალეთის ყოფილი ფინანსთა მინისტრი. 1921 წელს ლონდონის კონფერენციას ანგორის მთავრობის წარმომადგენლის რანგში ესწრებოდა. იყო 1922 წელს ლოზანის კონფერენციის თურქეთის დელეგატიც. 1926 წელს მხილებული იქნა მუსტაფა ქემალ ათათურქის წინააღმდეგ გადატრიალების ორგანიზებაში და სიკვდილით დასაჯეს.
4 ოსმალეთის დიდი ვეზირი ახალგაზრდა თურქების მთავრობის დროს , რომელიც 1913 წლის 13 ივნისს მოკლეს.

შედარებითი უპირატესობა მოეპოვებინა.(ო. გიგინეიშვილი,1960, გვ. 389). ჯემალ ფაშა იხსენებს, რომ მაჰმუდ ფაშა ძალიან წუხდა იმის გამო, რომ გატარებული რეფორმები საკმარისი არ იყო, სასწრაფოდ გადამწყვეტი ნაბიჯები უნდა გადაედგათ და ამისათვის იგი თვლიდა, რომ საჭირო იყო მაღალი რანგის ოფიცრების მოწვევა, რომლებიც შეძლებდნენ არმიის სრულ რეორგანიზებას. „რაც შეეხება ჩვენს არმიას, ვფიქრობ, რომ ყოყმანი აღარ არის საჭირო და უნდა გადავერთოთ გერმანულ მოდელზე. ოცდაათ წელზე მეტია ჩვენს არმიაში გერმანელი ინსტრუქტორები მუშაობენ, ჩვენი ოფიცრების სწავლება გერმანული სამხედრო მეთოდებით მიმდინარეობს და უცხო არ არის გერმანული სამხედრო სწავლების მეთოდოლოგია. ვაპირებ, რომ მოვიწვიო დიდი გერმანული მისია, თუ საჭიროა, გერმანელ გენერალსაც დავნიშავ თურქეთის არმიის სათავეში“ - წერს ჯემალ ფაშა. (ჯემალ ფაშა., 1923., გვ. 72).

1913 წელს დიდმა ვეზირმა სთხოვა კაიზერს გამოეგზავნა სამედრო მისია გერმანელი ოფიცრების შემადგენლობით ბალკანეთის ომის შემდეგ სამხედრო რეფორმების გატარების მიზნით. კაიზერმა პრუსიელი გენერალი ლიმან ფონ სანდერსი გამოაგზავნა. რუსეთის იმპერიას მწვავე უარყოფითი დამოკიდებულიება ჰქონდა ამ ფაქტის მიმართ, სახელმწიფოებს შორის სიტუაცია განსაკუთრების მაშინ გამწვავდა, როდესაც ლიმანი კორპუსის გენერლად დანიშნეს. რუსეთმა ეს გადაწყვეტილება აღიქვა საკუთარი ინტერესების შელახვად და პირდაპირ დაემუქრა ერზურუმის დაპყრობით. კრიზისი განიმუხტა მას მერე, რაც კაიზერმა ლიმანს უმაღლესი სამედრო წოდება - ფელდმარშლის წოდება მიანიჭა, ამ წოდებით კი კორპუსის მეთაურობა არ შეიძლება და ლიმანი ისევ ოსმალო ოფიცერმა ჩაანაცვლა. (როგანი., 2018., გვ. 68).

ამგვარად, ოსმალეთის იმპერია საერთაშორისო ურთიერთობებში კრიზისით შეხვდა პირველი მსოფლიო ომის დაწყებას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთმა თავის გადასარჩენად მოკავშირეების ძიება დაიწყო. თალათ ფაშა და ენვერ ფაშა გერმანიისადმი კეთილგანწყობილი იყვნენ და საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები ზუსტად გერმანიამ გადაწონა. თუმცა, ახალგაზრდა თურქების მთავრობა არც საფრანგეთთან ალიანსს გამორიცხავდა. გამომდინარე იქედან, რომ საფრანგეთი ოსმალეთის მთავარი კრედიტორი იყო. ალტერნატივად მოიაზრებოდა ასევე დიდი ბრიტანეთი, რომელსაც, შეთანხმების თანახმად, ოსმალეთი ფლოტის რეორგანიზაცია უნდა განეხორციელებინა. ერთი სიტყვით,

ოსმალეთს სრულად ჰქონდა გააზრებული შექმნილი სიტუაციის სიმწვავე, რომ თავის ტერიტორიული მთლიანობის შესანარჩუნებლად აუცილებელბი იყო მეკავშირის მოძიება, რომელიც დაიცავდა რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებისაგან.

ოსმალეთი იაზრებდა, რომ რუსეთი იყო მთავარი საგარეო საფრთხე და ქვეყნის უსაფრთხოება დაცული ვერ იქნებოდა შიდა პრობლემების მოგვარების გარეშე, რასაც მაღალი პორტა, რა თქმა უნდა, იაზრებდა. ოსმალეთის შიდა უსაფრთოხების მთავარი პრობლემა იმ დროს სომხეთის საკითხი იყო, რომელსაც რუსეთი იყენებდა ოსმალეთის წინააღმდეგ სეპარატისტული განწყობების წასაქეზებლად. ჯემალ ფაშა ასე აღწერს სიტუაციას : „ჩენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა იყო სომხების საკითხი. ერთანობისა და პროგრესის პარტიის მთავარი სურვილი იყო ზუსტად სომხური საკითხის იმგვარად მოგვარება, რომ სომხური თემიც კმაყოფილი ყოფილიყო. ყოველთვის, როდესაც სომხური საკითხი იჩენდა თავს, მის უკან ყოველთვის იჩენდა თავს რუსეთთან დაკავშირებული პრობლემაც. ცხადია, რომ იმისათვის, რომ თავი რუსეთისგან დავიცვათ, აუცილებელია საფრანგეთისა და ინგლისის სიმპატიის მოპოვება, ამ ქვეყნების ჩვენდამი კეთილგანწყობის დამსახურება“(ჯემალ ფაშა., 1923., გვ. 99).

შეიქმნა თუ არა წინა საომარი სიტუაცია, გერმანია აქტიურად ცდილობდა ოსმალეთი ავტრია-გერმანიის ბლოკში შესულიყო. გერმანიისა და ავსტირა-უნგრეთის ელჩები, ფაქტობრივად, ზეწოლას ახორციელებლდნენ დიდ ვეზირ ჰალილ ფაშაზე, თითქოს რუსეთი შეჭრას აპირებდა შავი ზღვის ეკვატორიაში, რაც სიცრუე იყო. რუსეთს ყველაზე ნაკლებად აწყობდა ოსმალეთის ჩართვა ომში. ის, პირიქით, დაინტერესებული იყო, რომ ნეიტრალური პოზიცია შეენარჩუნებინა, რადგან აღმოსავლეთის მიმართულებით ფრონტის გახსნა მის საბძოლო შესაძლებლობებს შეამცირებდა (Миллер А.Ф/ მილერი.,1944 გვ. 9). თუმცა, იმპერიალისტური ზრახვებზე არასდროს ამბობდა უარს, იქნებოდა ეს ფარული გეგმა კონსტანტინოპოლის დაპყრობის შესახებ, სეპარატისტული დაჯგუფებების წაქეზებები შიდა არეულობის გამოწვევის მიხნით, ანატოლიის ტერიტორიების მიერთების სურვილი და ა.შ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველი მსოფლიო ომის წინ ორი პოლიტიკური ბლოკი შეიქმნა, თითქოს ამ ალიანსში შემავალი თითოეული სახელმწიფო ელოდა ნაპერწკალს, რომ ომი გაჩაღებულიყო და ეს ნაპერწკალიც აინთო. 1914 წლის 28 ივნისს სარაევოში მოკლეს

ავსტრიის ტახტის მემკიდრე. მკვლელობის შემდეგ 1914 წლის 28 ივლისს ჰაბსბურგთა იმპერიამ ომი გამოუცხადა სერბეთს. პოლიტიკური კონფლიქტი ფართომასშტაბიან ომში გადაიზარდა, რომელშიც ჩართული იყვნენ ევროპის იმპერიები. გერმანიამ მაშინვე მხარი დაუჭირა ავსტია-უნგრეთს, რის შემდეგად კონფლიქტში ჩაერთოს რუსეთი, ბრიტანეთი და საფრანგეთი. ანტანტამ ოფიციალურად გამოუცხადა გერმანიასა და ავსტრიას ომი.

ომის გამოცხადების შემდეგ ბრიტანეთის სახელმწიფომ უარი თქვა ოსმალეთისთვის საბრძოლოს გემების გადაცემაზე, რომელიც თავის დროზე ოსმალეთს ფლოტის გაძლიერების მიზნით ბირტანეთში აშენდა ოსმალური დაფინანსებით.

2.2. ოსმალეთის ჩართვა პირველ მსოფლიო ომში

პირველი მსოფლიო ომი რომ დაიწყო ოსმალეთის საგარეო პოლიტიკური გეზი უკვე გერმანიისკენ იყო გადახრილი. ომის დაწყებისანავე, 1914 წლის 31 ივლისს, ორმა ქვეყანამ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის მიხევდით გერმანია ვალდებულებას იღებდა რუსეთის შემოჭრის შემთხვევაში დაეცვა ოსმალეთის ტერიტორიული მთლიანობა (მილერი., 1944., გვ. 9). ასევე, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა ემოქმედა რუსეთის წინააღმდეგ, თუმცა, არაფერი იყო ნათქვამი ოსმალეთის კიდევ ერთ მეტოქეზე - ინგლისზე. გერმანია სიფრთხილით ეკიდებოდა ინგლისის წინააღმდეგ მტრული ნაბიჯების გადადგმას, რადგან ინგლისთან დაპირისპირების შემთხვევაში ოსმალეთი იძულებული გახდებოდა ახლო აღმოსავლეთში ახალი ფრონტი გაეხსნა და შემდეგ უარი ეთქვა გერმანიისთვის მეკავშირეობაზე (ო. გოგონეიშვილი,1960, გვ. 391). შეთანხმება ორი წლის ვადით დაიდო. 1 აგვისტოს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. პირველი, რაც ოსმალეთმა გააკეთა, ჩაკეტა შავი ზღვის არხი, საბრძოლო ნაღმები განათავსა ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე, შუქურებში სასიგნალო ალი ჩააქრო. (როგანი.,2018., გვ. 74).

ოსმალეთი ისევ ცდილობდა შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი. გერმანიის ფლოტი პირველი იყო, რომელმაც ბოსფორისა და დარდანელის სრუტეში შესვლის ნებართვა მიიღო. ენვერ ფაშამ თავად ითხოვა გერმანული გემები ოსმალეთის წყლებში შესულიყვნენ, ამით ოსმალეთი ცდილობდა ბრიტანეთის მიერ ჩამორთმეული გემების სანაცვლოდ ერთგვარი კომპენსაცია მიეღო. ხოლო გერმანია ვარაუდობდა, რომ თურქეთის წყლებში მათი სამხედრო გემების არსებობდით თურქეთი ნეიტრალიტეტის შენარჩუნებას უკვე ვეღარ შეძლებდა.

ოსმალეთმა სცადა შექმნილი კრიზისი საკუთარი ინტერესების გასამტკიცებლად გამოეყენებინა და გერმანიას გემების ოსმალეთის ტერიტორიულ წყლებში ყოფნის სანაცვლოდ საკუთარი მოთხოვნები შესთავაზა. პირველ რიგში, ოსმალეთი ითხოვდა გაეუქმებინათ ყველა ის სავაჭრო პრივილეგია, რომლითაც სარგებლობდნენ ევროპელები ძველი შეთანხმებების ფარგლებში. ეს პრივილეგიები ოსმალეთის მიერ ძალაუფლების ზენიტში ყოფნის დროს უფრო ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის იყო ნაწყალობები ჯერ კიდევ მე-16 ს. ში. როდესაც იმპერია დასუსტდა, ეს პრივილეგიები მძიმე ტვირთად დააწვა ოსმალეთს. გარდა ამისა, ოსმალეთი ითხოვდა რუმინეთისაგან და ბულგარეთისაგან გარანტიებს, რომ თრაკიასა და სტამბოლს საფრთხეს არ შეუქმნიდნენ. გარდა ამისა, საბერძნეთი თუ ანტანტის მხარეს დაიჭერდა, გერმანიას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ კიოსი და ლემნონსი ოსმალეთის მმართველობის ქვეშ გადასულიყო. თურქეთი,ანტანტის დამარცხების შემთხვევაში, 1878 წელს რუსეთის მმართველობის ქვეშ გადასული ტერიტორიების დაბრუნებასაც მიზნად ისახავდა. ოსმალეთი გერმანიას სთხოვდა ომის დასრულების შემდეგ არცერთ ევროპულ ქვეყანასთან არ გაეფორმებინა სამშვიდობო შეთანხმება, ვიდრე ოსმალეთი არ დაიბრუნდება ომის დროს ოკუპირებულ თავის ტერიტორიებს. ოსმალეთს, საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის შემთხვევაში, ომის დასრულების შემდეგ, გარკვეული სამხედრო კონსტრიბუციის იმედიც ჰქონდა. გერმანიის ელჩიც იძულებული გახდა დათანხმებოდა ოსმალეთის მოთხოვნებს. 10 აგვისტოს ბოსფორის სრუტეში გერმანული გემები შემოვიდნენ. ოსმალეთის კატარღამ უსაფრთხოდ მიაცილა დანიშნულების ადგილამდე. როგორც კი გერმანული გემები გამჩნდნენ, მეორე დღესვე, საფრანგეთისა და ბრიტანეთის ელჩებმა დიდ ვეზირს საპროტესტო ნოტა გაუგზავნეს. (ჯემალ ფაშა., 1923., გვ. 126). ოსმალეთი ვალდებული იყო ნეიტრალიტეტის შენარჩუნების მიზნით უკან გაეწვია გერმანული გემები. გერმანული გემების უკან დახევის შემთხვევაში კი საფრანგეთისა და ბრიტანეთის ფლოტილიის მხრიდან სრული განადგურება ემუქრებოდა. გერმანია უარს აცხადება უკან დახევაზე. ამიტომ, ოსმალეთმა გერმანელებს ამ გემების მიყიდვა შესთავაზეს და ამით კონფლიქტი აღმოიფხვრა. გერმანიამ ამ ნაბიჯით არა მარტო ბრიტანელები და ფრანგები გააცურა, არამედ, შავ ზღვაზე დიდი სამხედრო უპირატესობა მოიპოვა. ოსმალეთმა შეძლო კრიზისის მოგვარება და მომგებიანი პოზიცია დაიკავა, შეინარჩუნა რა ნეიტრალიტეტი და დაელოდა, სანამ საბრძოლო მოქმედებებში მეკავშირეების უპირატესობა გამოიკვეთებოდა და ოსმალეთი შეძლებდა დასახული მიზნების მიღწევას.

ოსმალეთი მაქსიმალურად იკავებდა თავს, რომ ომში არ ჩართულიყო, თუმცა, გემების ოსმალეთისთვის გადაცემის შემდეგ დაჟინებით სთხოვდნენ ქვეყანა ჩართულიყო საბრძოლო მოქმედებებში. დროის მოგების მიზნით ოსმალეთი მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთთან, ინგლისთან და საფრანგეთთან. რამდენად იყო შესაძლებელი წინა საომარ მდგონარეომაში ამ სახელმწიფოებთან კავშირი, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ არც რუსეთი იყო წინააღმდეგი მსგავსი კავშირის, რადგან ოსმალეთის ომში ჩართვის შემთხვევაში, მთელი სიმძიმე დააწვებოდა მეზობელს - რუსეთს. ამიტომ, რუსეთი ყველანაირად ცდილობდა დროის მოგებას 1914 წლის 10 ააგვსტოთი დათარიღებულ დეპეშაში საზონოვი კონსტანსტინოპოლში ელჩ გირსს წერს: „სანამ არ მივიღებთ პასუხს სოფიიდან, გაითვალისწინეთ, რომ ენვერთან მოლაპარაკების პროცესში დრო უნდა მოვიგოთ, ამასთანავე, მეგობრულად უნდა აუხსნათ თურქებს, რომ ჩვენგან არასანქცირებული მოქმედებების შემთხვევაში ისინი მცირე აზიის დაკარგვის რისკის წინაშე დადგებიან, ისინი არ არიან იმ მდგომარეობაში, რომ ჩვენ ზიანი მოგვაყენონ, ჩვენ კი, საფრანგეთთან და ინგლისთან ერთად შეგვიძლია რისკის ქვეშ დავაყენოთ მთელი მათი არსებობა“. (Международные отношения в эпоху империализма/ საერთაშორისო ურთერთობები იმპერიალიზმის ეპოქაში, ტ. VI., გვ. 70). გირსი კი ამის საპასუხოდ წერს, რომ ახლა არის ზუსტად ხელსაყრელი პერიოდი, როდესაც შესაძლებელია მტრულად განწყობილი გერმანიის გავლენა შესუსტდეს ოსმალეთში :“ ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ დადგა ისტორიული მომენტი, როდესაც შესაძლებელია თურქეთი დავიმორჩილოთ და ამით გავანეიტრალოთ ჩვენ წინააღმდეგ მომართული მტრული ძალები ბალკანეთის ნახევარკუნძულზე“. (საერთაშორისო ურთერთობები იმპერიალიზმის ეპოქაში, ტ. VI., გვ. 79).

ოსმალები გარანტიებს ითხოვდნენ ბრიტანეთისგან და საფრანგეთისაგან, რომ რუსეთს არ ჰქონდა მტრული განზრახვა და დაიცავდნენ ტერიტორიულ მთლიანობას. თუმცა, ინგლისისა და საფრანგეთის ელჩები სდუმდნენ, რაც კიდევ უფრო ამტკიცებდა თურქეთის ეჭვს რუსეთის მტრული განზრახვების შესახებ და თურქეთის მთავრობაში რუსეთთან ომის მომხრეებს უფრო აქეზებდა.

გერმანელები კი, საიდუმლო ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, ფიქრობდნენ, რომ პირველი, ოსმალეთი სუეცის არხს თუ გადაკეტავდა, ინდოეთიდან შეწყდებოდა ტექნიკისა და თავდაცვის იარაღის მიწოდება ბრიტანეთისთვის და მეორე, გერმანელების გათვლებით,

ოსმალეთის,როგორც მუსლიმური სახელმწიფოს ჩართულობა იმოქმედებდა ანტანტის ქვეყნების კოლონიებში მცხოვრებ მილიონობით მუსლიმის რელიგიურ გრძნობებზე. ჯემალ ფაშა, ასევე იზიარებდა იმ აზრს, რომ ისლამი იყო ის მაკავშირებელი რგოლი თურქებსა და არაბებს შორის, რომელიც გარდამტეხ როლს ითამაშებდა მსოფლიოში. ფაქტობრივად, ახალგაზრდა თურქებს ლეგიტიმური უფლება მიეცათ გამოეცხადებინათ „წმინდა ომი“. 1914 წლის 14 ნოემბერს შეიხ ულ ისლამი ჰაირი ბეის მიერ ჯიჰადის გამოცხადება დიდწილად ემყარებოდა მუსლიმებში რელიგიური სენტიმენტების გაღვიძებას, თუმცა წარმატებული შედეგის მიღწევა იმთავითვე კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა. (Ludke/ლუდკე., 2005., გვ. 51). ტექსტში ნათქვამი იყო, რომ ყველა მუსლიმი, რომელიც ოსმალეთს მტრულ ტერიტორიებზე იმყოფებოდა, ვალდებული იყო ჩართულიყო საღმრთო ომში (ო.გიგინეიშვილი,1960, გვ. 295)

ახალგაზრდა თურქები ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ ქვეყნის ჩართვა საბრძოლო მოქმედებებში ჩართვისაგან. იაზრებდნენ, რომ რუსეთის იმპერია მთავარი საფრთხის შემცველი იყო და ამიტომ, გერმანიის ზურგს უკან საიდუმლო მოლაპარაკებებს მართავდნენ თურქეთ-ოსმალეთის ალიანსის შექმნაზე. მოლაპარაკებები კონკრეტულ შეთანხმებამდე ვერ მივიდა. თურქები ითხოვდნენ ტერიტორიული ხელშეუხებლობის გარანტიებს და რუსეთისგან ანატოლიაში სომხების წაქეზებისაგან თავის შეკავებას. საზონოვის დაყოლიება მაინც ვერ მოახერხეს ოსმალებმა, ერთადერთი, რისი გარანტირებაც შეეძლო რუსეთს, ეს იყო თურქეთის ტერიტორიული მთლიანობის დაცვა ნეიტრალიტეტის შენარჩუნების შემთხვევაში.

ამასობაში, გერმანიას მოთმინების ფიალა ევსებოდა და მცდელობას არ აკლებდა ოსმალები აეძულებინა თავს დასხმოდნენ რუსეთს. თურქები ომში არ ჩართვის მიზეზად ფინასნურ კრიზისს ასახელებდნენ. ამიტომ, ამ პრობლემის მოგვარების მიზნით, გერმანიამ სოლიდური თანხა გადასცა ოსმალეთს.

ჯემალ ფაშამ ფლოტს შავ ზღვაში გასვლა უბრძანა მანევრირების ჩასატარებლად. ამავე დროს ენვერ ფაშამ საიდუმლო წერილი გაუგზავნა ფლოტის სარდალს - სუშონს, იმ პირობით, რომ ცეცხლს არ გახსნიდა, სანამ არ მიიღებდა სპეციალურ მინიშნებას. სუშონი არ დაელოდა ნიშანს და 29 ოქტომბერს ყირიმის სანაპიროზე რუსულ ბაზებზე განახორციელა შეტევა.

რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა სტამბოლიდან გაიწვიეს ელჩები და ომი გამოუცხადეს ოსმალეთს. ამგვარად, ოსმალეთი ოფიციალურად ჩაერთო პირველ მსოფლიო ომში.

მიუხედავად ბევრი მცდელობებისა, ოსმალეთმა მაინც ვერ შეძლო შეენარჩუნებინა ნეიტრალიტეტი შემდეგი მიზეზების გამო:

1. ოსმალებმა იმთავითვე დაუკავშირეს საგარეო კურსი გერმანიას, რომლისთვისაც ოსმალეთის სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობა ძალიან მნიშვნელოვანი იყო და ადრე თუ გვიან, მაინც აიძულებდა ოსმალეთს ჩართულიყო ომში. 2. ოსმალეთს ილუზორული წარმოდგენები შეექმნა საკუთარი ძალების შესაძლებლობაში, პან-თურანიზმის იდეოლოგიის გავლენით, ოსმალეთი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, ე.წ. თურანის შექმნაზე ოცნებობდა გერმანიის დახმარებით 3. გერმანიის მიერ გემების გადაცემის შემდეგ შავ ზღვაზე ძალთა თანაფარდობა ოსმალეთის მხარეს გადაიწონა, რამაც ქვეყანა ომში ჩაბმის მომხრეები კიდევ უფრო წაახალისა 4. ოსმალეთს და გერმანიას მცდარი წარმოდგენა ჰქონდათ, რომ ე.წ. ჯიჰადის გამოცხადების შემთხვევაში შეძლებდნენ ანტანტის წინააღმდეგ მუსლიმების მობილიზების.

2.3. სომხური მოსახლეობის საკითხი პირველი მსოფლიო ომის დროს ოსმალეთში

სომხეთის საკითხი ყოველთვის იყო როგორც ცარისტული რუსეთის, ასევე, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკური რუსეთის მანიპულაციის იარაღი ოსმალეთთან ურთიერთობისას. ჯერ კიდევ 1804 წელს, როდესაც ერევანი და ეჩმიაძინი რუსეთის იმპერიის ნაწილი გახდა, რუსეთმა აქტიურად დაიწყო სომხური საკითხით მანიპულირება ოსმალეთში, მით უმეტეს, როდესაც 1845 წელს ყარსი რუსეთის ხელში აღმოჩნდა, იქ დასახლებულ სომხურ მოსახლეობაზე რუსეთის გავლენა კიდევ უფრო გამძაფრდა. ოსმალეთის სხვა რეგიონებში, როგორიც არის ერზურუმი, ვანი, ბითლისი და დიარბექირი, სომხური თემი მოსახლეობის 1/3 შეადგენდა. (Kurat/კურატი, 2011, გვ. 204). ოსმალეთის მთავრობის შიშები, რომ იქაური მოსახლეობა შეძლებდა სომეხი მოსახლეობით დასახლებული მიწების სომხურ მიწებად გამოცხადებას, საფუძველსმოკლებული იყო, თუმცა, ის რეფორმები, რომელიც უნდა გატარებულიყო, რაც ადგილობრივი უმცირესობისთვის უფლებების გაფართოებას გულისხმობდა, სახელმწიფო გავლენას შეასუსტებდა და ეროვნულ უსაფრთხოებას საფრთხეს შეუქმნიდა. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღამ, რომელიც

საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ მსოფლიოს სხვა ქვეყნებიც მოიცვა, ეროვნული უმცირესობების გამოძღვიძებასაც ბიძგი მისცა. სომხურ თემში შეიქმნა სეპარატისტული ორგანიზაციები: „დაშნაკცუთიუნი“, „არმენაკი“, „ჰნჩაკიანი“. სომხურმა თემმა რუსეთ-ოსმალეთის ომის მსვლელობის დროს მკვეთრად გამოხატული მტრული მოქმედებები დაიწყო, რაც კავკასიის ფრონტზე რუსეთისთვის აშკარა მხარდაჭერით გამოიხატებოდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის დასრულების შემდეგ დაიწყო სამშვიდობო მოლაპარაკებები. 1878 წელს რუსეთმა და ოსმალეთმა ხელი მოაწერეს სან - სტეფანოს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით სერბეთი, მონტენეგრო (ჩერნოგორიე) და რუმინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად ცხადდებოდა და ბულგარეთის ახალი სახელმწიფო იქმნებოდა. აღსანიშნავია, რომ სან -სტეფანოს ხელშეკრულების ერთ-ერთი მუხლი შეეხებოდა საქართველოს და რომლის მიხედვით ოსმალეთს რუსეთისთვის უნდა გადაეხადა ათას ოთხას ათი მილიონი მანეთი და რუსეთს აღნიშნული თანხის გადახდის შემდეგ უნდა დაებრუნებინა არტაანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე. (გურული & ჯიქია, 2013, გვ 11).

სან-სტეფანოს ხელშეკრულების გადასინჯვის მიხნით, ბერლინში მოწბეული იქნა კონგრესი ბისმარკის ორგანიზებით(1 ივნისი-1 ივლისი, 1878 წ) , რომელზეც მონტენეგროს, სერბიის, რუმეინეთის დამოუკიდებლობა ცნეს და ბულგარეთის ახალი სახელმწიფოს შექმნას მხარი დაუჭირეს. ამგვარად, კონგრესის მონაწილე იმპერიების მიზანი არა უფრო ეროვნული იდეების მხარდაჭერა იყო, არამედ, პოლიტიკურ კონკურენციაში ახლადაღმოცენებული პატარა სახელმწიფოების მსოფლიო სცენაზე დამკვიდრებით, მათი, როგორც პოლიტიკური იარაღის გამოყენება იყო. (რეინოლდსი., 2011., გვ. 35). ევროპული სახელმწიფოების დამოუკიდებლობის აღიარებამ სეპარატისტული სულისკვეთება კიდევ უფრო გაამძაფრა სომხურ თემში. რუსეთისგან მხარდაჭერის იმედით, სომხური თემის წარმომადგენლები, ხელშეკრულებაში სომხური საკითხის გადაჭრისკენ ორიენტირებული მუხლის ასახვის მიზნით, ედირნეში რუსულ დელეგაციას შეხვდნენ და მოითხოვეს მე-16 მუხლის დამატება. ამ მუხლის მიხედვით, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა სომხური თემით დასახლებულ ოლქებში რეფორმები გაეტარებინა. შემდგომ, ბერლინის ხელშეკრულებაშიც (1878 წ.), სომხური საკითხი 61-ე მუხლშიც აისახა. ევროპული ქვეყნების ზეწოლის შედეგად ოსმალეთი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ რეფორმების გატარებაზე. ბერლინის

ხელშეკრულებაში აღნიშნული მუხლის დამატება არა სომხური თემის პირობების გაუმჯობესებისკენ, არამედ, უფრო მეტად, რუსული იმპერიალისტური ზრახვების დაშოშმინებას უფრო ემსახურებოდა. თურქეთი არ ჩქარობდა ამ შეთანხმების შესრულებას. 1885 წელს სულთანმა სტამბოლსა და ანატოლიაში წამოწყებული სომხური თემის მოძრაობა ჩაახშო. ევროპულ ქვეყნებში მკვეთრად უარყოფითი შეფასება მოჰყვა ამ მოვლენას და „სომხების სისხლისღვრა“ უწოდეს. ოსმალეთს სასწრაფოდ მოსთხოვეს დაკისრებული ვალდებულებების შესრულება და რეფორმების გატარება. ამასთან დაკავშირებით, სულთანმა აბდულჰამიდმა 1895 წლის 20 ოქტომბრის რეფორმების შესრულებასთან დაკავშირებით განკარგულება გამოსცდა, რომლის მიხედვით აღმოსავლეთ ოსმალეთის ექვსი ვილაიეთი ნახევრად ავტონომიურ პროვინციად უნდა გაერთიანებულიყო და მმართველებად უცხოელი გუბერნატორები უნდა დამდგარიყვნენ. (როგანი.,2018., გვ 64). თუმცა, სეპარატიზმის გაღვივების შიშის გამო ეს რეფორმები ქაღალდზე დარჩა.

1905 წლის რუსეთის რევოლუციამ ერთგვარი ბიძგი მისცა სომხურ თემში სოციალისტური და რევოლუციური განწყობის გაღვივებას. სომხური ორგანიზაცია „დაშნაკის“ წარმომადგენლობები თითქმის მთელ ოსმალეთში გავრცელდა. რუსეთში, პირველი რევოლუციის შემდეგ, მას მერე, რაც სიტუაცია დასტაბილურდა, რუსეთის მთავრობა ისევ მიუბრუნდა სომხური საკითხის“ მოწესრიგებას“ ოსმალეთში. (კურატი., 2011., გვ. 205). 1908 წლის ახალგაზრდა თურქების რევოლუციის შემდეგ სომხურ თემში გარკვეული იმედები ჩაისახა. სომხებმა ერთობისა და პროგრესის პარტიასთან თანამშრომლობა დაიწყეს. სიტყვის გამოხატვის მეტი თავისუფლება მიიღეს, გადასახადები შეუმსუბუქდათ. ფრანგი გენერალი ბაუმანი და სხვა სამხედრო ჩინოსნები იცავდნენ სამოქალაქო წესრიგს ანატოლიაში, ახალგაზრდა თურქთა მთავრობა მმართველობის დეცენტრალიზაციისკენ მიმართული რეფორმების გატარებასაც გეგმავდა. (Devison/დევისონი.,1948., გვ 482). ჯემალ ფაშა სომხური რეფორმების საკითხს თავის მემუარებში ასე იხსენებს: „რუსი პოლიტიკოსების ორმაგი თამაში სომხურ საზოგადოებაზეც აისახა. ისინი განუწყვეტლივ უსვამდნენ საკუთარ თავს შემდეგ კითხვას: თუ ისინი მიიღებდნენ ავტონომიას, ნუთუ არ აღმოჩნდემოდნენ რუსული აგრესიის მსხვერპლნი, იქნებ თურქულ წნეხზე უარესი იქნებოდა? ოსმალურმა რევოლუციურმა მთავრობამ „დაშნაკციუთიუნს“ შესთავაზა საუკეთესო პირობები და

რეფორმები, რომელსაც ოსმალეთის იმპერიის სხვა ეროვნების ხალხებიც ისარგებლებდნენ(ჯემალ ფაშა., 1923., გვ. 257).

თუმცა, რევოლუციის შემდეგ სომხებსა და ქურთ მოსახლეობას შორის დაპირისპირება მაინც დაიწყო. 1895 წლის სისხლისღვრას გადარჩენილი სომხური მოსახელობა საკუთარ მამულებში დაბრუნდა, თუმცა, მათი ნამოსახლარი უკვე ქურთებს ჰქონდათ დაკავებული. მათ დაპირისპირებაში ოსმალეთის მთავრობა უმეტესწილად ქურთების მხარეს იჭერდა. სიტუაცია განსაკუთრებით მაშინ დაიძაბა, როდესაც სამთავრობო ჯარი ბალკანეთის ფრონტზე გააგზავნეს და სომხური მოსახლეობა ქურთულ მოსახლეობასთან პირისპირ აღმოჩნდა. (როგანი.,2018., გვ 64). ბალკანეთის ომის მსვლელობისას სომხური საკითხის მიმართ ევროპულ სახელმწიფოთა ყურადღება შედარებით მოდუნდა, თუმცა, 1812 წელს ბუქარესტის ზავის დადების შემდეგ, ისევ დღის წესრიგში დადგა რეფორმების საკითხი. ამ საკითხის წინ წამოწევის ინიციატორი რუსეთი იყო, რომელმაც შეთანხმებული რეფორმების პუნქტები საკუთარი ინტერესების მიხედვით გადაახალისა. რუსეთის იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1910- 1916 წლებში სერგეი საზონოვი თავის მემუარებში წერს: „არა მხოლოდ ადამიანური ინტერესის გამო ამ საცოდავი ერის მიმართ, არამედ, იმპერიის საზღვრებთან წესრიგის დამყარების მიზნით, მისმა საიმპერატორო უდიდებულესობამ ხელთ აიღო ინიციატივა გატარდეს ძირეული რეფორმები სომხურ ვილაიეთებში. ამ ნაბიჯის გადადგმა მისმა უდიდებულესობამ იმიტომ გადაწყვია, რომ არცერთი სხვა იმპერია არ მოისურვებდა რისკის ქვეშ დაეყენებინა საკუთარი კეთილი ურთიერთობები თურქეთთან სომხური რეფორმები გატარების აუცილებლობის საკითხის დაყენებით, მით უმეტეს, რომ ბერლინის პაქტის 61-ე მუხლის თანახმად, ოსმალეთმა აიღო საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა შეესრულებინა დაკისრებული ვალდებულებები, თუმცა არასდროს შეუსრულებია“. (Сазонов/საზონოვი, 2020., გვ. 170). რუსეთის ინიცირებული რეფორმები შეეხებოდა ექვს ვილაიეთს: ერზურუმს, ვანს, ბითლისს, დიარბაქირს, ჰარფუთსა და სივასს, რომელთა სათავეში უნდა მდგარიყო სულთნის მიერ დანიშნული ევროპელი ჩინოსანი ხუთი წლის ვადით, რომელსაც ფართო უფლებამოსილებები ექნებოდა. უნდა შემდგარიყო საკონსულტაციო საბჭო, როგორც მმართველობის დამხმარე ორგანო და ამ საბჭოს თავმჯდომარეც ევროპელი მოხელე უნდა ყოფილიყო. რეგიონის ჟანდარმერიის შემადგენლობაში ადგილობრივი მოსახლეობიდან წარმომადგენლები უნდა შესულიყვნენ და მათგან ნახევარი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. ადგილობრივ ენებს - თურქულ, სომხურსა

და ქურთულს - თანაბარი ძალა ექნებოდა. თუ აღნიშნული რეფორმები გატარდებოდა, სომხურ მოსახლეობას, რომელიც რეგიონში უმცირესობას წარმოადგენდა, თურქი მოსახლეობის მსგავსად, იგივე უფლებები მიენიჭებოდა, მმართველობის ორგანოებსა და ჟანდარმერიაში მუსლიმ მოხელეებთან ერთად იმავე რაოდენობის სიმეხი მოხელეები იმსახურებნდენ და, რაც მთავარია, საქმის წარმოების ენად თურქულთან ერთად სომხური უნდა ყოფილიყო. აი, ამას გულისხმობდა რუსული მხარის მიერ შემუშავებული რეფორმები. რუსულ პროექტს კატეგორიულად უარყოფითი შეფასება მისცა გერმანიის ელჩმა. აღნიშნული პროექტი არც საფრანგეთის ელჩმა მოიწონა და განაცხადა, რომ აუცილებელი იყო აღნიშნული საკითხი ჯერ ოსმალეთის მთავრობასთან შეთანხმებულიყო. საფრანგეთის ელჩის წინადადება გაზიარებული იქნა და მოხდა რეფორმების თავიდან განხილვა. შეხვედრაზე გადაწყდა, რომ რუსული მხარის წინადადება რეგიონების მმართველად ევროპელი მოხელე ჩამდგარიყო - არ ყოფილიყო გაითვალისწინებული და დათანხმდენ თურქული მხარის წინადადებას, რაც გულისხმობდა ევროპელი მრჩევლების მიერ მართვის ორგანოების კონტროლს. სომხური და ქურთული თურქულთან ერთად საქმის წარმოების ენა იქნებოდა. აღმასრულებელ ორგანოებში კი მოსახლეობის რაოდენობიდან გამომდინარე, წარმომადგენლები იქნებოდნენ არჩეული. შეხვედრის დასასრულს გადაწყდა, რომ ის ექვსი ვილაიეთი, სადაც რეფორმები უნდა გატარებულიყო, ორ რეგიონად გაიყოფოდა და სათავეში მოკავშირე სახელმწიფოებისგან თითო წარმომადგენელი დაინიშნებოდა. 1914 წლის 26 იანვარს ხელი მოეწერა „სომხური რეფორმების“ სახელით ცნობილ შეთანხმებას. (კურატი., 2011., გვ 209).

პირველ მსოფლიო ომში ჩართვის შემდეგ, პირველი, რაც ოსმალეთის მთავრობამ განახორციელა, იყო სომხეთის რეფორმებზე რუსეთ-ოსმალეთის 1914 წლის შეთანხმების ანულირება. ახალგაზრდა თურქთა მთავრობა თვლიდა, რომ სომხეთის საკითხი პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა სახელმწიფო უსაფრთხოებას. სტამბოლში სომხური თემი აშკარად გამოხატავდა ოსმალეთისა და გერმანიის წინააღმდეგ თავის მტრულ განწყობას და ანტანტის მიმართ ლოიალობას. ეპისკოპოსი ბალაკიანი, სომხური თემის ერთ-ერთი ლიდერი წერდა: „ყველა პროვინციაში მცხოვრებ სომეხს, ისევე, როგორც კონსტანტინოპოლის სომხურ მოსახლეობას, სჯეროდა, რომ დადგა ისტორიული მომენტი, როდესაც შესაძლებელია მათ საუკუნოვან ეროვნულ იდეებსა და იმედებს ხორცი შეესხას, ამიტომაც იყვნენ ისინი სიხარულის ეიფორიაში. თუმცა, მოთმინებით ელოდნენ ამ მომენტს, სანამ მათი ლიდერები

კონსტანტინოპოლში ყველაფერს აკეთებდნენ მათ საკეთილდღეოდ“(Balakian/ ბალაკიანი.,2009., გვ 78).

მეკავშირეთა მიერ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ, როდესაც ოსმალო ჯარი მეკავშირეთა შემოტევის მოგერიებას ცდილობდა, თურქეთის მთავრობამ სომხური თემი მტერთან გარიგებაში დაადანაშაულა. თავის დაზღვევის მიზნით გადაწყდა, რომ სომხური მოსახლეობა კილიკიის სანაპიროსგან შორს გადაესახლებინათ. ყველაზე დიდი გადასახლება ვანში მოხდა, სადაც სომხური მოსახლეობის ყველაზე დიდი რაოდენობა სახლობდა. ირანის საზღვართან მდებარე ეს ქალაქი რუსეთისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიული წერტილი იყო, ამიტომ, იქ აჯანყებული სომხური ნაციონალისტების დასახმარებლად საბძოლო მოქმედებებში რუსული ჯარიც ჩაერთო. ქალაქი ხელიდან ხელში გადადიოდა და საბოლოო ჯამში, რუსეთს დარჩა გამარჯვება და პროვინციის მართვის სადავეები სომხურ თემს გადაეცა. ოსმალების ეჭვები, რომ სომეხი ნაციონალისტები მტერთან თანამშრომლობდნენ, კიდევ უფრო გამძაფრდა და მიიღეს გადაწყვეტილება სომეხთა ტოტალური დეპორტაციის შესახებ.

ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკის შედეგად, ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის დიდი ნაწილი იქნა დეპორტირებული ან მოკლული. ეს ნაბიჯები, რაც ოსმალეთის სახელმწიფომ გადადგა, ქვეყნის უსაფრთხოების დაცვის, საგარეო საფრთხეების თავიდან აცილებით იყო ნაკარნახევი, რადგან სომხური თემი რუსეთთან თანამშრომლობაში იყო დადანაშაულებული, სომხური სეპარატისტული დაჯგუფებების მესვეურები მტრულ ძალებთან აქტიურად თანამშრომლობდნენ. მიზანი - „დიდი სომხეთის“ დაარსება იყო, რასაც, რა თქმა უნდა, ოსმალეთი ვერასდროს შეურიგდებოდა.

2.4 კონსტანტინოპოლის და სრუტეების საკითხი - საიდუმლო მოლაპარაკებები

ახალგაზრდა თურქების მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიას. ენვერ ფაშას ჰქონდა სურვილი, რომ კავკასიის არმიას დაეპყრო მთელი კავკასია, ვოლგისპირეთი, ირანი და ავღანეთი. ენვერ ფაშა ვარაუდობდა, რომ ჯარის სიჭარბით გამარჯვებას მოიპოვებდა რუსეთის არმიაზე და კავკასიას ხელში ჩაიგდებდა. 1914 წელს ოსმალეთის არმია შეტევაზე გადავიდა არზურუმის, ერევნისა და ოლთისის მიმართულებით და მართლაც გარკვეულ წარმატებას მიაღწია. ამით გათამამებული ოსმალები უფრო ფართომასშტაბიან ოპერაციაზე

გადავიდნენ სარიყამიშისა და ყარსის მიმართულებით. თუმცა, მკაცრი ზამთრის პირობებს ვერ გაუძლო ჯარმა და ოსმალეთის არმია დამარცხდა. სარიყამიშის გამარჯვების შემდეგ ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური გახდა. რუსეთი იწყებს ფლოტის გაძლიერებას და აშენებს სამ საბრძოლო ხომალდს, რაც მას საშუალებას მისცემს შავ ზღვაზე უპირატესობა მოიპოვოს და მოწინააღმდეგის წინააღმდეგ იმოქმედოს (ო.გიგინაიშვილი,1960,გვ. 398). თუმცა, არც ამას სჯერდება და კონსტანტინოპოლოს ხელში ჩაგდების იდეას დაუფარავად აცხადებს. ცარისტული რუსეთის უმაღლეს წრეებში უკვე საუბრობდნენ, რომ დადგა დრო კონსტანტინოპოლის აღების, მოკავშირეების დახმარებით ან მათ გარეშე. სერბიაში რუსეთის ელჩი, მთავარი ტრუბეცკოი საზონოვს წერს, რომ თუ მოკავშირეებისათვის სრუტეები მხოლოდ კომუნიკაციის საშუალებაა, რუსეთისთვის კონსტანტინოპოლი მიზანია, რომლისკენაც რუსეთი ისწრაფვის „ სრუტეები ჩვენთვის არა მხოლოდ საშუალება, არამედ, საბოლოო მიზანია, რომელსაც ემსახურება ზუსტად ეს ომი და რასაც ეწირება ამდენი მსხვერპლი. გერმანიასა და ავსტრიასთან ბრძოლა და საფრანგეთთან და ინგლისთან ალიანსი არის საშუალება, რომელიც დამეხმარება ამ მიზანს მივაღწიო“ წერდა საზონოვს მთავარი ტრუბეცკოი. (Notovich F.I. /ნოტოვიჩი., 1947., გვ 355).

ბრიტანეთმა და საფრანგეთმა დაიწყო დარდანელის სრუტისა და სტამბოლის დაპყრობის ამბიციური გეგმის შემუშავება. რუსული ოფიციოზი შიშობდა, რომ რუსეთი შეიძლება თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩენილიყო და მოუწოდებდა საზონოვს ქმედითი ნაბიჯები გადაედგა კონსტანტინოპლისა და სრუტეების დაპყრობის მიზნით. საზონოვი მაინც არ ჩქარობდა გადაწყვეტილების მიღებას და მაქსიმალურად აჭიანურებდა სიტუაციას, რადგან დარწმუნებული იყო, რომ სრუტეებზე კონტროლის მოპოვებაზე ბრიტანეთისა და საფრანგეთის დაყოლიება კარგი შანსი იყო. ამავე დროს ინგლისურ და ფრანგულ დაზვერვას ხელთ ჰქონდა მონაცემები, რომლის მიხედვით გერმანია ნიკოლოზ II-ს სთავაზობდა კონსტანტინოპოლსა და არხებს რუსეთის, საფრანგეთსა და ინგლისთან კავშირის გაწყვეტის სანაცვლოდ. (კურატი., 2011., გვ 303). საფრანგეთის ელჩი თავის მემუარებში, 1914 წლის 30 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში წერს : „საზონოვის თხოვნით, სამი მოკავშირე სახელმწიფო ცდილობს თურქეთს ისევ ნეიტრალიტეტი დაუბრუნოს, იმ პირობით, რომ ის გააძევებს ყველა გერმანელ ოფიცერს, რომელიც ოსმალური არმიისა და ფლოტის სამსახურში დგას. თუმცა, ეს მცდელობა მაინც მარცხისთვის არის განწირული, იმდენად, რამდენადაც

ორმა თურქულმა კრეისერმა სულ ახლახანს დაბომბა ნოვოროსიისკი და ფეოდოსია. ეს თავდასხმები ომის გამოცხადების გარეშე, ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, რუსულ ხალხს ძალიან შეურაცხყოფს“ (Палеолог /პალელოგი,1991, გვ. 64).

ომის დაწყების შემდეგ არა ერთხელ უწარმოებიათ სამშვიდობო მოლაპარაკებები ანტანტის სახელმწიფოებს ოსმალეთთან. ეს მოლაპარაკებები განსაკუთრებით მაშინ ხდებოდა აქტუალური, როდესაც ოსმალეთი ფრონტზე განიცდიდა მარცხებს. შეთანხმების პირობები, რომელსაც ოსმალეთს სთავაზობდნენ, იყო ძალიან მძიმე. საზონოვმა პარიზსა და ლონდონში ელჩებს - იზვოლსკისა და ბეკენდორფს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიც მან აცნობა ე.წ. მოკავშირეთა მოქმედების პროგრამა, იმ შემთხვევაში, თუ პორტა დათნხმდებოდა სამშვიდობო ზავს. მოთხოვნები შემდეგში მდგომარეობდა : პირველ რიგში, უნდა მომხდარიყო ოსმალეთის არმიის განიარაღება, არხებში ნაღმების განეიტრალება, გერმანული ხომალდების გადაცემა, ასევე, იმ გერმანელი ოფიცრების დატყვევება, რომლებიც პორტას სამსახურში იდგნენ. ოსმალეთს თანხმობა უნდა მიეცა მოკავშირეთა ესკადრილია კონსტანტინოპოლის მისადგომებში მდგარიყო. ამ პირობებზე დათანხმება ოსმალეთის კაპიტულაციას ნიშნავდა. (Адамов /ადამოვი,1926, გვ. 312). 1915 წლის მარტი-აპრილში საფრანგეთს, ბრიტანეთსა და რუსეთს შორის მიმდინარეობდა მიმოწერა და პირისპირ შეხვედრები, რომელზეც მხარეები ცდილობდნენ სრუტეებზე და კონსტანტინოპოლის საკითხზე შეთანხმების მიღწევას. საფრანგეთმა მოახერხა და მიიღო გარანტიები, რომ შესრულდებოდა მისი მოთხოვნები, როდესაც დადგებოდა შესაბამისი მომენტი. კერძოდ, გარანტიები უფლებებზე სირიაში, ალექსანდრეტაში და ადანის ვილაიეთზე. ხოლო ბრიტანეთი ითხოვდა 1907 წლის რუსეთ-ინგლისის შეთანხმებაში სპარსეთთან დაკავშირებით ცვილებებს და ნეიტრალური ზონის ბრიტანეთის საკუთრებად აღიარებას, ოსმალეთის დანაწილების პროცესში ინგლისის ინტერესების გათვალისწინებას, არაბეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღიარებას, ხოლო კონსტანტინოპოლსა და სრუტეებში თავისუფალი პორტის შექმნას, რაც საშუალებას მისცემდა კომერციული გემებს სტრუტეებში თავისუფლად გაევლოთ. ცარისტული რუსეთი ინგლისის მოთხოვნებს დათანხმდა მცირეოდენი კორექტირებით, როგორც საზონოვი თავის მოგონებებში წერს : „რუსეთის კონტროლის ზონა იქნებოდა ქალაქებში - ისპაჰანსა და იეზიდაში,რუსეთის კონტროლის ზონაში რჩებოდა ასევე ავღანეთსა და ზულფაგარს შორის მცირე მონაკვეთი, ნეიტრალურ

ზონაში რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობა და ა.შ. (ნოტოვიჩი,1947, გვ. 376). 1915 წელს რუსეთს, ინგლისსა და საფრანგეთს შორის შედგა შეთანხმება კონსტანტინოპოლისა და სრუტეების საკითხზე. თუმცა, მოლაპარაკებები ამით არ დასრულებულა. ინგლისი და საფრანგეთი დაინტერესებული იყო ოსმალეთის აზიური ტეროტორიების დანაწილებით. მოლაპარაკებები დასრულდა 1916 წელს მარკ საიკს და ჯორჯ პიკოს შეთანხმებით. როგორც საზონოვი იხსენებს, რუსეთი თანახმა იყო ბრიტანეთს მესოპოტამია შეეერთებინა, ხოლო საფრანგეთს კილიკია და სირია, რუსეთის კონტროლის ზონაში რჩებოდა მცირე აზია - ერზერუმი, ტრაპიზონი, ვანი და ბითლისი. საფრანგეთი მცირე აზიაში იძენდა საკმაოდ დიდ ტერიტორიას ქალაქ ხარპუხთან ერთად. (საზონოვი,2020, გვ 316).

მთელი ამ მოლაპარაკებების დროს არცერთ მომენტში არ ყოფილა ოსმალეთის მხარე ჩართული. ამიტომაც, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა გალიპოლიში ოსმალეთის არმიის გამარჯვებას ზუსტად მაშინ, როდესაც დაიდო ეს საიდუმლო ხელშეკრულება. ბოსფორისა და კონსტანტინოპოლის ალყაში მოქცევის მიზნით, 1915 წლის 18 მარტს საფრანგეთისა და ბრიტანეთის ფლოტი გალიპოლის ნახევარ კუნძულზე იქნა გადასხმული. მიუხედავას იმისა, რომ არმიას ლიმან ფონ სანდერსი ხელმძღვანელობდა, ამ ბრძოლაში მოპოვებული დამაჯერებელი გამარჯვება მუსტაფა ქემალ ათათურქის დამსახურებაა, რომელმაც საბძოლო ტაქტიკა შეიმუშავა. ამ გამარჯვებამ ცხადყო, რომ ანტანტის ქვეყნებს კონსტატნტინოპოლის აღებასა და სრუტეების ხელსი ჩაგდებაზე ფიქრები ილუზორული იყო.

საიკს- პიკოს პაქტის დადების შემდეგ ტერიტორიული პრეტენზიები იტალიამაც წამოაყენა და 1916 წელს ხელშეკრულებას შეუერთდა. მას იზმირისა და აიდინის ვილაიეთი უნდა გადასცემოდა. (Шеремет /შერემეტი., 1995., გვ. 185). ტერიტორიული პრეტენზიები საბრეძნეთმაც წამოაყენა და ოსმალეთი, ფაქტობროვად, დაშლის საფრთხის წინაშე დადგა.

სიტუაცია შეიცვალა ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ, 1917 წელს, რა დროსაც ოსმალეთს შესაძლებლობა მიეცა გამოსულიყო ომიდან და შეენარჩუნებინა ტერიტორიები. სახელმწიფოს სათავეში მოსული ბოლშევიკური მთავრობა უარს აცხადებდა ოსმალეთის თურქეთის დანაწილებაზე და მოითხოვდა სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებას ზავის დადების მიზნით.

თავი III ოსმალეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში

3.1. სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება სამხრეთ კავკასიის კომისარიარტთან

1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება. 1917 წლის 3 დეკემბერს/ 20 ნოემბერს საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მიმართვა რუსეთსა და აღმოსალეთში მცხოვრებ მუსლიმების მიმართ, რომელშიც საბჭოთა მთავრობა აცხადებდა, რომ „ კონსტანტინოპოლთან დაკავშირებული ყველა საიდუმლო მოლაპარაკებები, რომელსაც ტახტიდან ჩამოგდებული მეფე აწარმოებდა და დამტკიცებული იყო კერენსკის მიერ, შუაზეა გადახეული და განადგურებულია. რუსეთის რესპუბლიკა და მისი მთავრობა, სახალხო კომისარიატი წინააღმდეგია სხვისი მიწების დაპყრობის, კონსტანტინოპოლი მუსლიმების ხელში უნდა დარჩეს. „ (Из истории Гражданской войны в СССР. 1918-1922/ საბჭოთა კავშირის სამოქალაქო ომის ისტორიიდან 1918-1922, გვ 734-735). საბჭოთა მთავრობის სამშვიდობო პაქტის გამოქვეყნების შემდეგ, კავკასიაში მშვიდობის დამყარების აუცილებლობა დღის წესრიგში დადგა. სამშვიდობო მოლაპარაკების ინიციატივა თურქეთის არმიის გენერალმა ვაჰიბ ფაშამ[5] ითავა და 1917 წლის 20 ნოემბერს კავკასიის ფრონტის მთავარსარდალს - მ.ა. პრჟევალსკის(1859-1934) სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. (გენ. შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების არქივი A4 -3671 K 2921 511 1-9, კურატი, 2011, გვ.464). თუმცა, პასუხმა დააგვიანა. პასუხის დაგვიანების გამო ვაჰიბ ფაშა ვარაუდობდა, რომ რუსულ სარდლობას ჯერ არ ჰქონდა სურვილი სამშვიდობო მოლაპარაკებებზე წასულიყო. ენვერ ფაშასთვის გაგზავნილ დეპეშაში წერს, რომ „რუსეთის მთავრობას თავის დაქვემდებარებულ საჯარისო ნაწილებისათვის ბრძანება არ მიუცია სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე ამიტომ, მომავალი ბუნდოვანი არის“ (გენ. შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების არქივი ATASE A 1-1, K. 151 D. 678-200 F. 108-6). 15/28 ნოემბერს, 1917 წელს შეიქმნა სამხრეთ კავკასიის კომისარიატი. ზუსტად ამ დროს მიდის ვაჰიბ ფაშას წერილი რუსეთის სარდლობაში. ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების მიხედვით, მოლაპარაკება უნდა შემდგარიყო ოსმალეთსა და რუსეთს შორის, მაგრამ

---

[5] ვაჰიბ ფაშა - პირველი მსოფლიო ომის დროს მონაწილეობას იღებდა გალიპოლის ბრძოლაში, კავკასიის კამპანიის დროს მეთაურობდა მესამე არმიას. პირველი მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, როდესაც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა დაიწყო, ის დააპატიმრეს ბექირ აღას ციხეში, საიდანაც გაქცევა მოახერხა. ვაჰიბ ფაშა მუსტაფა ქემალ ათათურქის მხარდამჭერი არასდროს ყუოფილა. სამშობლოში მხოლოდ 1940 წელს დაბრუნდა.

მდგომარეობა სრულად შეცვლილი იყო, რეგიონში ერთადერთი სახელმწიფო სტრუქტურა იყო სამხრეთ კავკასიის კომისარიატი, რომელიც ბოლშევიკურ მთავრობას იმთავითვე არ აღიარებდა. ამიტომ, ვაჰიბ ფაშას წერილის ადრესატი სამხრეთ კავკასიის კომისარიატი იყო. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ კავკასიის ქვეყნებს ომის გაგრძელება არ შეეძლო და სამხრეთ კავკასიის კომისარიატის სახელით, კავკასიის ფრონტის სარდლის გენერალმა პრჟევალსკიმ ვაჰიბ ფაშას შეთავაზების პასუხად, 1917 წლის 5 დეკემბრის დეპეშაში ზავის დადებაზე თანხმობა მიწერა. დადებითი პასუხის შემთხვევაში შესთავაზა შექმნილიყო სპეციალური კომისია, რომელშიც თურქი და რუსი წარმომადგენლები შევიდოდნენ და შეიმუშავებდნენ სამშვიდობო შეთანხმების პირობებს. იმავე დღეს პრჟევალსკიმ წერილი გაუგზავნა ინგლისის მესოპოტამიის არმიის მთავარსარდალს, სადაც აუწყა თურქეთის მზაობა მოლაპარაკებების დაწყებაზე და მისი თანხმობა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. დეპეშას გენერალი პრჟევალსკი და გენერალი ლებედინსკი აწერენ. (Документы и материалы по внешней политики Закавказъя и Грузии /დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, # 9,10, გვ. 19, 20). ამ ნაბიჯით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ კომისარიატმა ხაზი გაუსვა, რომ ის ბოლშევიკური მთავრობას არ აღიარებდა და მის მეტოქესთან სტრატეგიულ თანამშრომლობაზე მზაობას აცხადებდა. 1917 წლის 5 დეკემბერს სამხრეთ კავკასიის კომისარიატმა შეიმუშავა დაზავების პირობები, რომლითაც კომისიას უნდა ეხელმძღვანელა. პირობები 13 პუნქტისაგან შედგებოდა, მათგან მნიშვნელოვანი პირობები იყო - ცეცხლის უპირობო შეწყვეტა, სამხედრო დანაყოფებისთვის ქვეყნების მიერ დადგენილი საზღვრების ფარგლებში გაჩერების უფლების მიცემა, მხარეებისთვის ნეიტრალურ ტერიტორიაზე გადაადგილების აკრძალვა, ხოლო სამოქალაქო პირებისთვის დემარკაციის ზოლის თავისუფალი კვეთა. დაზავება მოქმედებდა მშვიდობის საბოლოო დამყარებამდე. ინსტრუქციას ხელს აწერდნენ: გენერალ-მაიორი ლებედინსკი (1918 წ. სამხრეთ კავკასიის კომისარიეტის მიერ კავკასიის ჯარის ხელმძღვანელად დაინიშნა), გენერალ- კვარტერმეისტერი შამილოვი. 1917 წლის 15-18 დეკემბერს გაიმართა საზავო მოლაპარაკებები. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებებს აწარმოებდა რუსეთის არმიის სახელით არა ბოლშევიკური მთავრობა, არამედ, სამხრეთ ავკასიის კომისარიატი და კავკასიის რუსული არმიის სარდლობა. ოსმალური მხარე დაბნეული იყო, რადგან, სამხრეთ კავკასიის კომისარიატი სულ ახალი შექმნილი იყო, ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელი ომერ ლუთფი(1879-1942) ბეი ვაჰიბ ფაშასთვის მიწერილ ტელეგრამებში იტყობინებოდა, რომ

მოლაპარაკებებში რუსული მხარე, როგორც კავკასიის მთავრობის წარმომადგენელი, ისე იყო ჩართული. ის შიშობდა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებები შესაძლებელია თანხვედრაში არ ყოფილიყო ერზინჯანში მიღებულ გადაწყვეტილებებთან. (Şahin / შაჰინი,2002, გვ.165). ის, რომ ოსმალეთი მოალაპარაკებებს აწარმოებდა სამხრეთ კავკასიის კომისარიატთან, ფაქტობრივი აღიარება იყო, რომ ოსმალეთი ცნობდა კომისარიატის უფლებამოსილებას. თუმცა, ეჭვით უყურებდა მოლაპარაკებების მიმდინარეობას, რაც ვაჰიბ ფაშა კავკასიის არმიის გენერალ-ლეიტენანტ ოდიშელიძესადმი გაგზავნილ წერილშიც ჩანს. ის წერდა, რომ ერზინჯანში ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელისგან - ომერ ლუთფი ბეისგან მიიღო ტელეგრამა, სადაც იგი წერდა, რომ რუსულ მხარეს წარმოადგენდა სამხრეთ კავკასიის კომისარიატი. სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელების მიზნით, ვაჰიბ ფაშა თვლიდა, რომ უპრიანი იქნებოდა თბილისში დელეგაციის გაგზავნა. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 30). თბილისის მთავრობამ ოსმალეთის დელეგაციის მიღებაზე უარი განაცხადა, იმ მოტივით, რომ ელოდა დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებას პეტროგრადში. (კურატი, 2011, გვ. 465). „გამომდინარე იქედან, რომ გვაქვს სურვილი სამშვიდობო შეთანხმება დავდოთ რუსული დემოკრატიული ძალების მოთხოვნების გათვალისწინებით, უპრიანია გაცნობოთ, რომ ჩვენ, როგორც რუსეთის რესპუბლიკის ნაწილი, შევძლებთ მოლაპარაკებების გაგრძელებას დამფუძნებელთა კრების მიერ მიღებული რწმუნებების შემდეგ“. - ნათქვამია 1918 წლის 5 (18) იანვრის კავკასიის კომისარიის სხდომის (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ , 1975, # 18., გვ. 26). 1918 წლის 3 (16) იანვარს ვაჰიბ ფაშა სამხრეთ კავკასიის კომისარიატს, გენ. ოდიშელიძეს დეპეშას უგზავნის, სადაც სთხოვს გააგზავნოს რწმუნებულები ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ. 52). ეს დეპეშა თბილისში მხოლოდ 1 (14) თებერვალს აღწევს.

1918 წლის 6 იანვარს დამფუძნებელი კრება შედგა, თუმცა, დროებითი მთავრობის დაბრუნება ვერ მოხერხდა, ბოლშევიკებმა გარეკეს დემოკრატიული ძალები და საქართველოს მთავრობამაც ნელ-ნელა დაიწყო გამოფხიზლება იმ ილუზიისაგან, რომ ოდესმე დაბრუნდებოდა რუსეთში დემოკრატიული ხელისუფლება. (ჭუმბურიძე, 2018, გვ.123). დამფუძნებელთა კრების გარეკვის შემდეგ თბილისის მთავრობამ მოსათათბირებლად სამი კვირა ითხოვა. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და

საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, # 20, გვ 35). ამასობაში საბჭოთა რუსეთის მთავრობა რეგიონში სამოქალაქო ომის წაქეზებას ცდილობდა, რათა საბჭოთა ხელისუფლება გავრცელებულიყო კავკასიაში. სახალხო კომისარიატმა მიიღო დეკრეტი ოსმალეთში სომხური თემის თვითგამორკვევის შესახებ, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთი სრულ მხარდაჭერას უცხადებდა სომხურ თემს თვითგამორკვევის საკითხებში, სომხურ თემს უფლება ჰქონდა საკუთარი უფლებები დაეცვა, თუნდაც რეფერენდუმის ჩატარების საშუალებით. გამომდინარე აქედან, სახალხო კომისარიატი მოითხოვდა სასწრაფოდ შექმნილიყო მილიცია, რომელიც ეთნიკური სომხებით იქნებოდა დაკომპლექტებული, სომეხი ლტოლვილების (სხვადასხვა ქვეყნებში ემიგრირებული სომხების ჩათვლით) უპირობო დაბრუნდება უნდა უზრუნველყო ოსმალეთის მხარეს, შექმნილიყო დროებითი სახალხო მმართველობა. აღნიშნული მოთხოვნების შესრულების მიზნით, მხარდაჭერის აღმოჩენა დაევალა კავკასიის საკიხებში დროებით კომისარს სტეფან შაუმიანს. აღნიშნულ დეკლარაციაში შენიშნვის სახით წერია, რომ ოსმალეთში სომხური თემის ახალი გეოგრაფიული არეალი მტკიცდება სომეხი წარმომადგენელების მიერ, დემოკრატიულად არჩეული შერეულ კომისიებთან (მუსლიმების და სხვა ეთნიკური წარმომადგენლებით დაკომპლექტებული) და კავკასიის საკითხებში დროებითი კომისართან შეთანხმებით. დეკლარაციას ხელს აწერენ: ვ. ულიანოვი (ლენინი) ი. ჯუღაშილი (სტალინი) ვ. ბონჩ-ბრუნევიჩი (სახელმწიფო საქმეების მმართველი) ნ. გორბუნოვი (საბჭოს მდივანი) (Документы Внешней Политики СССР / საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტები, ტ. 1, 1959, გვ. 76). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში სომხურ მილიციას ერზინჯანიდან ვანამდე ფრონტის ხაზიც ეკავა და სომხური თემის ადმინისტრაციაც კი არსებობდა. (ენდრიუსი, 2020, გვ 47). საბჭოთა რუსეთის გათვლებით, სომხური თემი გაძლიერდებოდა რა, დღის წესრიგში დადგებოდა რეფერენდუმის გამოცხადება და შემდეგ კი, ეს მიწები სრულად საბჭოთა რუსეთის დაქვემდებარებაში უნდა გადასულიყო. ამგვარად, საბჭოთა რუსეთი სომხური თემის დახმარებით თურქეთს მიწებსაც წართმევდა და რეგიონში სომხური სეპარატიზმი საბოლოოდ აღმოიფხვრებოდა. (კურატი,2011, გვ. 461). შედეგად, რეაქციონერი ბოლშევიკების წაქეზებით გახშირდა სომხური შეიარაღებული დაჯგუფებების თავდასხმები რეგიონში. თითქოს ოსმალეთის ინტერესებს წაადგა ეს მოვლენები, მოლაპარაკებების პარალელურად ოსმალეთი ცდილობდა მუსლიმის თემის ამხედრებას და

პოლიტიკური სიტუაციის აღრევას. რაუფ ბეი (ორბაი) (1881-1964) [6] ფარულ მოლაპარაკებებს მართავდა აზერბაიჯანისა და დაღესტნის მუსლიმი თემის წარმომადგენლებთან, რომლებიც თითქოსდა ითხოვდნენ ოსმალეთის არმიის კავკასიაში შემოსვლას. (კურატი, 2011, გვ 469). ვაჰიბ ფაშამ გენერალ ოდიშელიძესადმი მიწერილ დეპეშაში მოითხოვა თავდამსხმელების დაშოშმინება. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ. 44). 1918 წლის 30 იანვრის(12 თებერვალი) გაგზავნილ დეპეშაში გენ. ოდიშელიძე ვაჰიბ ფაშას წერს, რომ მის ხელთ არსებულ დასმენების სისწორეში ეჭვი ეპარება, რომ მონაცემები გადაჭარბებულად არის შეფასებული, თუმცა, ყველაფერს გააკეთებენ, იმისათვის, რომ რუსული არმიის მიერ დაკავებული, მუსლიმი თურქებით დასახლებული რეგიონი დაცული იყოს სომხური თავდასხმებისაგან.(დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, 30 გვ. 46). გენ. ოდიშელიძის მცდელობების მიუხედავად, თავდასხმების შეჩერება ვერ ხერხდებოდა. (კურატი, 2011, გვ. 465). 1918 წლის 30 იანვარს (18 თებერვალს) ვაფიბ ფაშა ტელეგრამით აფრთხილებს, რომ შემქნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, თურქული ჯარები შეტევაზე გადასვლას აპირებენ, რის პასუხად, გენ. ოდიშელიძემ გასცა ბრძანება, საბძოლო შენაერთებს საბძოლო პოზიციები დაეკავათ და დაეცვათ ტერიტორიები თურქული ჯარის შეტევის შემთხვევაში. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ. 48, 49). ენვერ ფაშა ვაჰიბ ფაშასთან 1918 წლის 16 თებერვალს გაგზავნილ დეპეშაში წერს: „ჩვენი მიზანია საზღვართან მდგარი რუსული ჯარისა და სომხური თემისგან სრული გაწმენდა, კავკასიის მუსლიმებისა და ქარველებისათვის დახმარების მიზნით, კიდევ უფრო წინ წაწევა.“ (გენ. შტაბის სამეხდრო ისტორიის არქივი A 4-3671 K 2909 D 452-17 T. 2-66) 12 აპრილს გაგზავნილ წერილში წერს, რომ პირველი რიგის ამოცანა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში მუსლიმი თემის სრულად თურქეთზე დაკავშირება მომხდარიყო. (შაჰინი, 2002, გვ.191). 1918 წლის 25 მარტს გაზეთში თერჯუმან ი ჰაქიქათ კავკასიაში მუსლიმის თემის დაცვის აუცილებლობაზე სტატია იბეჭდება. ავტორი წერს: „იმ შემთხვევაში, თუ კავკასიაში და

[6] ოსმალეთის ფლოტის სარდალი, წარმოშობით აფხაზი, პირველი მსოფლიო ომის დროს დაინიშნა ირანის ფრონტის სარდლად. ომის დასრულების შემდეგ ოსმალეთის ფლოტის სარდალი. იყო თურქეთის დელეგაციის წარმომადგენელი ბრესტ-ლიტოვსკში, ასევე, მუდროსის მოლაპარაკებების დროს თურქეთის დელეგაციის ხელმძღვანელი.

რუსეთში სიტუაცია გამწვავდა და შეტაკებები მოხდება, ჩვენი ძმები და თანამემამულეები უნდა დავიცვათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასიაში გაგრძელდება წინააღმდეგობები და რუსები ისევ ეცდებიან ჩვენს საზღვრისპირა სახელმწიფოს ხელში ჩაგდებას". (Tercüman ı Hakikat Mart 1334/1918 . No 13323). ცხადია, ოსმალეთს თავისი ინტერესები ჰქონდა კავკასიის მიმართ. კავკასიაში შექმნილი მოვლენების პარალელურად ბრესტ-ლიტოვსკში მოლაპარაკები დასასრულს მიუახლოვდა და 1918 წლის 19 თებერვალს / 3 მარტს ხელი მოეწერა ბრესტ-ლისტოვსკის ზავს. ზავის ფარგლებში დამატებითი შეთანხმება მოხდა საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის. მხარეები თანმხდებოდნენ, რომ შეთანხმების რატიფიკაციიდან სამი თვის განმავლობაში რუსულ-თურქული კომისიის პირველი რიგის ამოცანა იქნებოდა სასაზღვრო ზოლის აღდგენა რუსეთსა და ოსმალეთს შორის და ეს ხაზი გადიოდა 3 სანჯაყზე : ყარსზე, არტაანსა და ბათუმზე. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტები, ტ.I, 1959, გვ. 76). 1918 წლის 15 თებერვალს 17 თებერვალს (2 მარტს) ამიერკავკასიის მთავრობამ პროტესტი გამოთქვა ბრესტ-ლიტოვსკში ბოლშევიკების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. „ამიერკავკასიის მთავრობა, სეიმის გადაწყვეტილების თანახმად, თვლის, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება, რაც შეეხება სამხრეთ კავკასიასა და მის საზღვრებს, რომელიც მიღებულია თავად ამ სახელმწიფოს ნების და ჩართულობის გარეშე, არ გააჩნია საერთაშორისო ლეგიტიმაცია. სამხრეთ კავკასიის სეიმმა შეარჩია დელეგაცია, რომელიც გაემგზავრება ტრაპიზონში ოსმალეთთან მოლაპარაკებების საწარმოებლად". (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ. 62). ნოტას ხელს აწერენ ამიერკავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი და სეიმის თავმჯდომარე ა. ჩხეიძე. 25 თებერვალს / 10 მარტს ოსმალებმა მოითხოვეს ბრესტის ზავით გადაცემული ტერიტორიების დაბრუნება. (ჭუმბურიძე, 2018, გვ. 124). იმავე დღეს, 10 მარტს (25 თებერვალი), ვაჰიბ ფაშამ განკარგულება გასცა ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაკავების შესახებ. 1915 წლიდან რუსების ხელში მყოფი ერზინჯანი 11 მარტს (13 თებერვალს) ოსმალეთის ჯარმა დაიკავა, 14 მარტისთვის რუსული ჯარის მიერ დაკავებული თითქმის ყველა ტერიტორია, რაც I მოფლიო ომამდე ეკავა, დაუბრუნა.

ბრესტი-ლიტოვსკის სამშვიდობო ხელშეკრულებას ხელი ისე მოეწერა, რომ სამხრეთ კავკასიის წარმომადგენლობა არ ყოფილა ჩართული, რის გამოც სამხრეთ კავკასიის

დელეგაციამ მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება გამოხატა. სეიმმა უარი თქვა ოსმალეთის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე. 10 (23) თებერვალს ვაჰიბ ფაშამ სამხრეთ კავკასიის კომისარიატს მიმართა რადიო ტელეგრამით, სადაც ის სეიმს სთავაზობდა გაიმართულიყო სამშვიდობო მოლაპარაკებები და ამისათვის ის მზად იყო თბილისში წამოსულიყო. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 68). იმავე დღეს მოწვეული იქნა სეიმის სხდომა, რომელსაც ევგენი გეგეჭკორი(1882-1954) ხელმძღვანელობდა. ნოე ჟორდანია(1868-1953) თვლიდა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება დროულია, გამომდინარე იქედან, რომ გერმანიამ განაახლა რუსეთზე თავდასხმები, თუმცა, დელეგატი სემიონოვი ოსმალეთის ინიციატივას - განეახლეინა სამშვიდობო მოლაპარაკებები - ეჭვის თვალით შეხვდა, „დიპლომატიური ხრიკი ხომ არ იმალებაო“ კითხულობდა. გენ. ლევანდოვსკი მოლაპარაკების გასამართად ნეიტრალურ ტერიტორიას სთავაზობდა, რადგან თბილისში შეხვედრის გამართვა დამარცხების აღიარებაზე მიუთითებდა. მისი მოსაზრება ა. ჩხენკელმა(1874-1959) გაიზიარა. დელეგატმა ნათამემ საბჭოს წევრებს შესთავაზა მოლაპარაკებების გამართვის ადგილად ოსმალეთისთვის ტრაპიზონი შეეთავაზებინათ (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 66). საბჭოზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, 1918 წლი 12 (25 თებერვალს) გენ. ოდიშელიძესადმი მიწერილ დეპეშაში ამიერკავკასიის კომისარიატის თავმჯდომარე ე. გეგეჭკორი სთხოვს დაუკავშირდეს ვაჰიბ ფაშას და აცნობოს სეიმის გადაწყვერტილება მოლაპარაკები გაიმართოს ტრაპიზონში. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ. 66). ქართული მხარე ტრაპიზონს, როგორც ნეიტრალურ ქალაქს განიხილავდა, სადაც უპრიანი იქნებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებების გამართვა, თუმცა, თურქი მკვლევრები თვლიან, რომ მაშინ, როდესაც ტრაპიზონი ჯერ ისევ რუსეთის მიერ იყო დაპყრობილი, ქართველების ამ გადაწყვეტილებაში დიპლომატიურ ხრიკს ხედავენ, თანაც, გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ იქ იჯდა ბერძენი მიტროპოლიტი, რომელმაც ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ბოლშევიკების მთავრობა არ ცნო და ამიერკავკასიის კომისარიატს დაემქვემდებარა. (შაჰინი, 2002, გვ .241).

3.2 ტრაპიზონის კონფერენცია

1918 წლის 13 მარტს ტრაპიზონის საზავო კონფერენცია დაიწყო. საქართველოს დელეგაციას ამიერკავკასიის კომისარიატის 1918 წლის 14 იანვრის დადგენილებით ა. ჩხენკელი ხელმძღვანელობდა. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ჰაიდარ აბაშიძე, მეჰმედ ხასან ხაჩინსკი, იბრაჰიმ ჰაიდაროვი, გიორგი გვაზავა, რუბენ კაჩასცნუნი, გიორგი ლაშიშვილი, იაკობ მაჰდიევი, ჰალილ ხას მემედოვი, ალექსანდრე ხათისიანი და ექბერ აღა შეიხულისლამოვი. დელეგაციის ძირითად შემადგენლობასთან ერთად მოლაპარაკებებს ასევე ესწრებოდნენ ოფიცრები: გენ. შტაბის უფროსი ვლადიმერ ლევანდოვსკი, პოლკოვნიკი ეჯაძე, კაპიტანი პრიმატოვი, უმცროსი ლეიტენანტი გარტმანი, კაპიტანი გოლიცინი, ოფიცრები: დიაკოხოვი, აპისკინი და ლოვენგო. ჯამში 43 დელეგატი. (შაჰინი, 2002, გვ 274). ოსმალეთის მხრიდან დელეგაციაში 9 დელეგატი შედიოდა. დელეგაციას ხელმძღვანელობდა რაუფ ბეი. დელეგაციის წევრები იყვნენ მრჩეველი იურიდიულ საკითხებში ნუსრეთ ბეი, ერთობისა და პროგრესის პარტიის ტრაპიზონის წარმომადგენელი რიზა ბეი, სამხედრო ექიმი, პოლკოვნიკი თევფიქ სალიმი, ოპერატიული განყოფილების დირექტორი, მაიორი ჰუსრევ ბეი. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 83). სამხრეთ კავკასიის დელეგაცია 8-9 მარტს უკვე ტრაპიზონში ჩავიდა, თუმცა, ხმელეთზე არ გადასულა, უსუსაფრთხოების ზომებიდან გამომდინარე. ოსმალეთის დელეგაცია 12 მარტს ჩავიდა ტრაპიზონში, მაშინ, როდესაც სამხრეთ კავკასიის დელეგაცია დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სამშობლოში გასამგზავრებლად ბოლო სამზადისში იყო. ინსტრუქციის მიხედვით, დელეგაციას, პირველ რიგში, უნდა მოეთხოვა ცეცხლის სრული შეწყვეტა, საზღვრის დემარკაცია 1914 წლის მდგომარეობით, და კიდევ ერთი პუნქტი - თურქეთში სომხური თემის თვითგამორკვევის მისწრაფებების მხარდაჭერა. თურქული დელეგაციისთვის მიცემული ინსტუქცია კი შემდეგში მდგომარეობდა: 1. ბათუმის, არტაანისა და ყარსის სანჯაყებში, რომელიც რუსეთის მოთხოვნით ოსმალეთმა სამხედრო კაპიტულაციის სახით 1877-2878 წლებში რუსეთს დაუთმო, რუსეთთან დადებული ახალი სამშვიდობო ხელშეკრულების თანხმად, ოსმალეთის ჯარი უნდა შესულიყო მშვიდობისა და წესრიგის დამყარების მიზნით. 2. ოსმალეთის დელეგაციას უნდა დაედგინა კავკასიის დელეგაციის ნამდვილი მიზნები, მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრნდნობით, დაედგინა კავკასიის სეიმში შემავალი ქვეყნებისა და მათი წარმომადგენლების ეთნიკური წარმომავლობა და მათთან სამშვიდობო მოლაპარაკებების წარმოების შესაძლებლობა. შეთანხმებაზე მიღწევის შემდეგ კი

განიხილებოდა პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების დამყარება, ტყვეთა გაცვლა და ა.შ. (შაჰინი, 2002, გვ. 304).

როგორც ზემოთ ითქვა, თურქული დელეგაციის პირველი რიგის ამოცანა კავკასიის დელეგაციასთან სამშვიდობო მოლაპარაკებებზე გადასვლამდე მათი მიზნების გარკვევა იყო. კავკასიის დელეგაციის ლეგიტიმურობაზე ეჭვი თურქულ დელეაციას მაინც მოსვენებას არ აძლევდა, ამიტომაც, მაქსიმალურად აჭიანურებდა მოლაპარაკებების დაწყებას, ვიდრე არ გაირკვეოდა დელეგაციის ჩამოსვლის მთავარი მიზანი და მხოლოდ ამის შემდეგ სტამბოლიდან მიღებული განკარგულების შესაბამისად, უნდა დაწყებულიიყო მოლაპარაკება. მოლაპარაკებების დაწყებამდე, 13 მარტს, რაუფ ბეიმ საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა დელეგაციის დაღესტნელ და აზერბაიჯანელ წარმომადგლებთან. ესენი იყვნენ : ბენდერლი იბრაჰიმ ბეი ჰაიდაროვი, იაკუბ მეჰდიევი, მუსტაფა ბეი. საიდუმლო შეხვედრაზე კავკასიის სეიმის წარმომადგენლებმა რაუფ ბეის განუცხადეს, რომ მუსლიმი მოსახლეობა თურქული ჯარის შესვლას ელოდა, მიუხედავად იმისა, თუ როგორი დასასრული ექნებოდა სამშვიდობო მოლაპარაკებას. რაუფ ბეი დაარწმუნეს, რომ ინგლისელების მიერ სომხების მხარდაჭერისა და ბოკშევიკური გავლენების გავრცელების საფრთხის გამო კავკასიაში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობა ოსმალეთის ჯარის მხარდაჭერის იმედზე იყო. შეხვედრის დროს ჰუსეინ რაუფ ბეიმ პირდაპირ განაცხადა, რომ კავკასიის რესპუბლიკას, რომელშიც მუსლიმი, ქართველი და სომეხი ერები იყვნენ გაერთიანებული, დიდი ხნის არსებობა არ ეწერა. (კურატი, 2011, გვ, 469) ამავე დღეს, 13 მარტს, თბილისში გამოცემული რუსულენოვანი გაზეთი „რესპუბლიკის“ ფურცლებზე დაიბეჭდა დელეგაციის ტრაპიზონში ვიზიტის შესახებ. ეს სტატია სასწრაფოდ ითარგმნა ოსმალეთის დელეგაციისთვის. გარდა ამისა, თურქეთი ინფორმირებუილი იყო 16 თებერვლის / 1 მარტის თათბირის შესხახებ, რომელზეც გადაწყდა დელეგატების ვინაობა და დადგინდა ინსტრუქციები. მოლაპარეკბების დაწყებამდე თურქული დელეგაცია სრულად ინფორმირებული იყო კავკასიის კომისარიატის მიზნების შესახებ. (შაჰინი, 2002, გვ 317).

14 მარტს დაიწყო მოლაპარაკებები ტრაპიზონში. დელეგაციის მუსლიმი წარმომადგენლებიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, კავკასიის კომისარიატი ჯერ დამოუკიდებელ სტრუქტურად არ იყო ჩამოყალიბებული და ისევ რუსეთზე ამყარებდა იმედებს, ამიტომაც, იმისათვის, რომ რუსები არ გაეღიზიანებინათ, არ ჩქარობდნენ

დამოუკიდებლობის გამოცხადებას. ამ პირობებიდან გამომდინარე, თურქულ ჯარს სასწრაფოდ მოქმედებაზე გადასვლას ურჩევდნენ. დელეგაციის მუსლიმი წარმომადგენლებისგან მიღებული ინფორმაცია თურქულ მხარეს ეჭვს უღვიძებდა - რაოდენ იყო შესაძლებელი მოლაპარაკებები გაგრძელებულიყო ისეთ სახელმწიფოსთან,რომელსაც არც საზღვრები და არც სუვერენიტეტი გააჩნდა. რაუფ ბეი ამიერკავკასიის დელეგაციისთავის 1(14) მარტს გაგზავნილ წერილში ითხოვდა დელეგაციას მკაფიოდ განემარტა სამხრეთ კავკასიის კომისარიატის სახელმწიფოებრიობის ფორმა შეესაბამებოდა თუ არა საერთაშორისო ნორმებს. 3 (16 მარტს) პასუხად სამხრეთ კავკასიის დელეგაციამ განაცხადა, რომ ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ კავკასიაში ერთა სრულუფლებიანი წარმომადგენლობითი ორგანო იყო სამხრეთ კავკასიის კომისარიატი, რომლის პოლიტიკური და ადმინისტრაციული მოწყობა სრულად შეესაბამებოდა საერთაშორის ნორმებს და უფლებამოსული იყო სამშვიდობო მოლაპარაკებები ეწარმოებინა ოსმალეთთან. სამხრეთ კავკასიის სეიმმა, როგორც კავკასიის ხალხთა წარმომადგენლობითმა ორგანონომ, ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების დასრულების შემდეგ, მოლაპარაკებებში ჩართულ სახელმწიფოებში გააგზავნა პროტესტის ნოტა მოლაპარაკებებზე კავკასიასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომლშიც ეწერა, რომ სეიმი არ ეთანხმება ამ გადაწყვეტილებას და მოლაპარაკებები წარიმართა და გადაწყვეტილება ისე იყო მიღებული, რომ ამ პროცეში ჩართული არ იყო სამხრეთ კავკასიის დელეგაცია. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 117). რაზეც ოსმალეთის დელეგაციამ უპასუხა, რომ ბრესტ-ლიტოვსკში მიმდინარე მოლაპარაკებების დროს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო ჯერ არ იყო ჩამოყალიბეული, შესაბამისად, ის ვერ მიიღებდა მოლაპარაკებებში მონაწილეობას. რის მტკიცებულებადაც მოიყვანა 23 იანვრის 1918 წლის გ. გეგეჭკორის დეპეშა, რომელშიც ის იუწყებოდა, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფომ უნდა შეათანხმოს თავისი ნაბიჯები რუსეთის ფედერაციასთან, რომლიც ნაწილადაც ის იმჟამად თავს მოიაზრებდა. გამომდინარე აქედან, სამხრეთ კავკასია, რომელიც თავს რუსეთის ფედერაციის ნაწილად თვლიდა, ვერ მიიღებდა მოლაპარაკებებში მონაწილეობას. შესაბამისად, ოსმალეთის დელეგაცია აცხადებდა, რომ მისთვის მიუღებელია სამხრეთ კავკასიის დელეგაციის პროტესტი ბრეს-ლიტოვსკში მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 118). მოლაპარაკებების

პროცეში ოსმალეთის დელეგაცია მუდმივად იღებდა საიდუმლო ინფორმაციას სამხრეთ კავკასიის მუსლიმი დელეგატებისაგან, რაც მას მომგებიან მდგომარეობაში აყენებდა. თანაც, იმის გამო, რომ ორივე მხარე დათმობას არ აპირებდა, მოლაპარაკებები შეიძლება ჩიხში შესულიყო. სამხრეთ კავკასიის დელეგაცია განმარტავდა, რომ ბრესტ-ლიტოსკში შეთავაზებულ პირობებს სამოქალაქო ომის მდგომარეობაში მყოფი რუსეთი იძულებული გახდა დათანხმებოდა, ხოლო, რაც შეეხება ამიერკაკასიას, რუსეთში მომხდარი ბოლშევიკური გადატრიალების შემდეგ რუსული მმართველობა უკვე აღარ ვრცელდებოდა. ის, რომ ოსმალეთის იმპერია სამხრეთ კავკასიას, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, ისე აღიქვამდა ამყარებს ის ფაქტი, რომ ოსმალეთმა კომისარიატს სამიშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება შესთავაზა. 15 (28)იანვარს კი ოსმალეთმა თავად შესთავაზა ამიერკავკასიის კომისარიატს დელეგაცია გაეგზავნა ბრესტ-ლიტოვსკში. ის ფაქტი, რომ ტრაპიზონში იმყოფებოდა სამხრეთ კავკასიის და ოსმალეთის დელეგაციებები, იმაზე მიუთითებს, რომ ორივე მხარესთვის მნიშვნელოვანი იყო სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელება და, როგორც აცხადებენდნენ დელეგატები, ბრესტ-ლიტოვსკში მიღებულ გადაწყვეტილებას მნიშვნელობა არ ჰქონდა, (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 132). ოსმალეთის დელეგაციამ კი პასუხად განაცხადა, რომ სამშვიდობო მოლაპარაკებებში ამიერკავკასიის კომისარიატთან სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყებისთვის მოწოდება, რომ ამიერკავკასიის სახელმწიფოს იმთავითვე აღიარებას ნიშნავდა, საფუძველსმოკლებული იყო, გამომდინარე იქედან, რომ მოლაპარაკებები აღარც დაწყებულა და ეს წინადადება ოფიციალურად ლეგიტიმური არც არის. გარდა ამისა, ამიერკავკასიის კომისარიატის პროტესტი არალეგიტიმურია, რადგან ახლადდაფუძნებული სახელმწიფო აღიარებული არ არის და ყველა მისი მოთხოვნა იმთავითვე იურიდიულ საფუძველსმოკლებულია. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 134).

მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. კავკასიის დელეგაცია ითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებაში კავკასიასთან დაკავშირებული პუნქტების ანულირებას, თუმცა, განიხილებოდა მცირეოდენი ცვლილებები, მაგალითად, არტაანის თურქეთისთვის დატოვება, ხოლო ბათუმის საქართველოს შემადგენლობაში დატოვება და ყარსის სომხებისთვის გადაცემა. დელეგაციის მუსლიმი წევრები რაუფ ბეის არწმუნებდნენ, რომ

ბათუმის ქართველების ხელში დატოვება ოსმალებისთვის ხელსაყრელი იყო, რათა სომხები და ქართველები არ ამხედრებულიყვნენ და დაპირისპირებოდნენ მუსლიმებს. (კურატი,2011, გვ 472). მაგრამ ოსმალეთის დელეგაცია ბრესტ-ლიტოვსკის პუნქტების შესრულებას ითხოვდა და ბათუმის დათმობაზე თანახმა არ იყო. ვიდრე გრძელდებოდა დებატები, ვაჰიბ ფაშა 5 აპრილს საბრძოლო მოქმედებაზე გადავიდა და სარიყამიში აიღო. 1918 წლის 24 მარტი / 6 აპრილს რაუფ ბეიმ ამიერკავკასიის დელეგაციას ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა 48 საათში გაეცა საბოლოო პასუხი ბრესტ-ლიტობსკის პუნქტებთან დაკავშირებით. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 155). ამგვარად, ეს იყო ოსმალეთის დელეგაციის ბოლო პასუხი - ან სამხრეთ კავკასიის მთავრობა დათანხმდებოდა ულტიმატუმში წაყენებულ პირობებს ან 5 აპრილს დაწყებული საბრძოლო შეტევა გაგრძელდებოდა. ტრაპიზონში მყოფი დელეგატები სასწრაფოდ გაემგზავრნენ თბილისში, სამხრეთ კავკასიის სეიმის ყრილობაზე. ა.ჩხენკელი ბათუმის კომენდანტ გენერალ მდივანისადმი წერილში წერს, რომ ყრილობაზე დელეგატებმა ცხარე კამათი გაიმართეს, თუმცა, ვერ შეთანხმდნენ. ა ჩხენკელი თვლიდა, რომ ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების გაპროტესტება აზრს კარგავდა, მთავარი, იმ მომენტში იყო ის მაქსიმალური ზღვარი, რომლის შემდეგაც სეიმი უნდა გადასულიყო ბრძოლაზე, იყო თუ არა მზად ოსმალეთი იარაღით ებრძოლა ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქებისთვის და შემდეგი ნაბიჯები ამის მიხედვით გადაედგათ. ა. ჩხენკელი დარწმუნებული იყო, რომ თურქები ბათუმს არ დათმობდნენ. თუმცა, თურქები მაინც მზად იყვნენ ამ საკითხზე ვაჭრობისთვის, განსხვავებით ყარსისა, რაზეც თურქები მსჯელობაზეც კი უარს ამბობენ., ა. ჩხენკელი, შიშობდა, რომ ეს მდგომარეობა სეიმის ერთობას საფრთხეს უქმნიდა. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 156). ოსმალეთის ჯარი კი ამასობაში წინ მიიწევდა. 26 მარტი / 8 აპრილს გეგეჭკორი ა. ჩხენკელისთვის მიწერილ დეპეშაში წერდა, რომ ასეთ პირობებში სამშვიდობო მოლაპარაკებების გაგრძელება აზრს კარგავდა. თუ ოსმალეთის ჯარი არ შეწყვეტდა საბრძოლო შეტევას, სამშვიდობო მოლაპარაკებები ჩაიშლებოდა. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 165).

3.3. ბათუმის კონფერენცია

ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებში მესამე ქალაქი, რომელიც ამიერკავკასიის სეიმს უნდა დაეთმო, იყო ბათუმი. ბათუმთან დაკავშირებით თვით ოსმალეთის მთავრობაში აზრთა სხვადასხვაობა იყო. ვაჰიბ ფაშა, ბათუმის ქართველებებისათვის დათმობის მომხრე იყო, მისი გათვლებით, ეს ხელსაყრელი ნაბიჯი იყო იმისათვის, რომ სომხები ასპარეზზე მარტონი დარჩენილიყვნენ. საპირისპირო მოსაზრების იყო ენვერ ფაშა. ვაფიბ ფაშასთვის გაგზავნილ წერილში ის წერს: „გეთანხმებით, რომ ქართველების კეთილგანწყობის მოპოვება ჩვენი ამოცანაა, თუმცა, ეს არ უნდა მოხდეს თურქეთის ინტერესების დათმობის ხარჯზე. ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებების მთავარი მონაპოვარი - ბათუმი - ჩვენი მმართველობის ქვეშ უნდა მოექცეს და ბათუმი შემდეგ საწინდარი გახდება არა მხოლოდ კავკასიის, არამედ, ირანისა და აზიის მთელი მუსლიმი მოსახელობის გაერთიანებისა... პოლიტიკური მეგობრობის შენარჩუნების მიზნით, შეგვიძლია ქართველებს შავ ზღვაზე გასვლის უფლება მივცეთ, თუმცა, ამაზე მეტის მოთხოვნა თვით ქართველების ინტერესებშიც არ შედის, რადგან ახლა თუ ისინი ინგლისელებისა და ფრანგების დახმარებას იღებენ, ხვალ შეიძლება სულ მარტონი აღმოჩნდნენ რუსეთის წინაშე და თუ რუსეთი გადაწყვეტს შეტევაზე გადასვლას, მათ წინააღმდეგობის თავი აღარ ექნებათ. ამიტომ, ისინიც იძულებულები არიან ჩვენთან კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ. აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნება გავაცნოთ ჩვენი მიზნები და დავიძრათ ბათუმისკენ, რათა მოლაპარაკებების დაწყებამდე ხელთ მყარი გარანტიები გვქონდეს.“(შაჰინი, 2002, გვ 414).

13 აპრილის ოსმალეთმა ბათუმის კომენდანტს ულტიმატუმი წაუყენა ქალაქის დატოვებაზე. 15 აპრილს ბათუმი უბრძოლველად დანებდა თურქულ ჯარს. გაზეთი თარიჰ ი ევქარ ოსმალეთის ჯარის ბათუმში შესვლას ასე აღწერს: „ ბათუმში ჩვენმა ჯარმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. ქალაქის ქუჩებში ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობა გამოეფინა. ფადიშაჰს გაუმარჯოს! - ისმის ყველა მხრიდან ყიჟინა. ქუჩების ოსმალეთის დროშებით არის მოფენილი“. (Tarih i Efkar 22 Nisan 1334 / 1918 NO 2432). ოსმალეთის მიერ ძალის დემონტრირების პასუხად სეიმი იძულებული გახდა თურქული მხარის მოთხოვნებს დათანხმებოდა. 1918 წლის 22 აპრილს /11 მაისს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებები განაახლა.

მთავრობის მეთაური და ამავდროულად საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ა. ჩხენკელი ბათუმში გაემგზავრა თურქეთთან მოლაპარაკების მიზნით.

ამიერკავკასიის სეიმის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე: ნიკო ნიკოლაძე, გენ. ოდიშელიძე, ნოე რამიშვილი,ზურაბ ავალიშვილი, გიორგი გვაზავა,გ. რიტკილაძე,ვახტანგ ღამბაშიძე, მეჰმედ ხასან ხაჯინსკი, ემინ რესულზადე, ფეთჰალი ხან ხოისკი, ასლან საფიკურდსკი, აჰმედ ცედეთ პეპინოვი, ალექსანდრე ხათისიანი, ხოვანეს კაჩაზნუნი, მენთორ ბანათიანი, სიმონ, ვაზიანი, მიხაილ პაპაჯანიანი. (შაჰინი, 2002, გვ. 521). ოსმალეთის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: ჰალილ ბეი, ვაჰიბ ფაშა, მუჰთარ ბეი, ფერიქ ვაჰიბ აშა, მუჰთაე ბეი, თარჯიმანი ორჰან ბეი (ბრსტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებშიც მონაწილეობდა), მდივანი ნიზამეთინ ბეი,იურიდიულ საკითხენში მრჩეველი ნუსრეთ ბეი (რომლიც ტრაპიზონის კონფერენციასაც ესწრებოდა), სადიქ და ჯელალ ბეი -თარჯიმნები, სამხედრო ექიმი თევფიქ სალიმ ბეი, მაიორი იუსუფ ზია ბრეი.(შაჰინი, 2002, გვ. 517).

ბათუმის კონფერენციაზე მეთვალყურის სტატუსით დასწრების სურვილი საბჭოთა რუსეთმაც გამოთქვა, რომელმაც მანამდე ოსმალეთის ყარსი, არტაანისა და ბათუმის მიმართულებით წინ წაწევა გააპროტესტა. ცხადი იყო, რომ საბჭოთა რუსეთი ოსმალეთსა და ამიერკავკასიის დელეგაციას შორის მიმდინარე მოლაპარაკებების მიმართ განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა. საინტერესოა, რომ მოსკოვში გერმანიის ელჩ ფონ მირბახს საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარმა გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინმა ნოტა გაუგზავნა,რომელშიც საბჭოთა რუსეთი აცხადებდა, რომ არ ცნობდა ბათუმის კონფერენციაზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, გამომდინარე იქედან, რომ ზოგადად არ ცნობდა სამხრეთ კავკასიის კონფედერაციას, რომ კონფედერაცია არ გამოხატავს ხალხის მასების ინტერესებს, რომლებიც აპროტესტებენ რუსეთიდან გამოყოფას, რომ ამიერკავკასიის მთავრობამ უზურპაცია გაუკეთა ხელისუფლებას და უგულებელყო რეფერენდუმის შედეგები- წერდა გ.ვ. ჩიჩერინი გერმანიის დიპლომატთან მირბახთან გააგზავნილ წერილში. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკის შესახებ დოკუმენტები, ტ.I, 1959, გვ. 303- 318) კონფერენციაზე დასწრება ასევე ითხოვა გერმანიის მხარემ, რომელიც მანამდე სრულ ნეიტრალიტეტს იჩენდა მიმდინარე მოვლენების მიმართ. გერმანიის მხარეს არც ბათუმის ოსმალეთის მიერ დაკავებაზე გამოუთქვამს პროტესტი, თუმცა, მას მერე, რაც ოსმალეთმა აქტიურად დაიწყო საბძოლო მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში გავლენის გაძლიერების მიზნით, გერმანია მოკავშირის მიმართ უარყოფითად განეწყო. ოტო ფონ ლოსოვმა მოლაპარაკებების დროს მედიატორის როლი შესთავაზა ამიერკავკასიის დელეგაციას

(დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 293). იგივე წინადადებით მიმართა ოსმალეთის დელეგაციასაც, თუმცა, უარი მიიღო. უარის მიღების შემდეგ ოტო ფონ ლოსოვი სამხრეთ კავკასიის დელეგაციას აუწყა, რომ გერმანია ვეღარ მიიღებდა მოლაპარაკებებში მონაწილეობას. თუმცა, გერმანიის დელეგაცია ბერლინში დაბრუნების ნაცვლად ფოთში გაჩერდა. იქ კი ქართველ დელეგატებთან - ჩხენკელთან, ნიკოლაძესთან, ავალიშვილთან და რამიშვილთან ერთად საიდუმლო მოლაპარაკებები უნდა ეწარმოებინა.

კონფერენციის დაწყებამდე დელეგაციის მეთაურმა ჰალილ ფაშამ სადრაზამ თალათ ფაშასგან საჭირო დირექტივები მიიღო. დირექტივების გრძელ ჩამონათვალში ყველაზე მთავარი ახალი მოთხოვნა - ახალციხის და ახალქალაქის თურქეთის მმართველობის ქვეშ მოქცევა იყო.

პან-თურანული იდეებით განმსჭვალული ოსმალეთის მთავარი მიზანი მეზობლების დასუსტება, კავკასიაში არა მხოლოდ მტრული სომხეთის, არამედ, საქართველოს დასუსტება-დაქუქცმაცება იყო, ზუსტად ამას ემსახურებოდა ახალი მოთხოვნა - ახალციხე-ახალქალაქის ოსმალეთის მმართველობის ქვეშ მოქცევის შესახებ. რაც მთავარია, ამ ახალი მოთხოვნის საფუძვლად ოსმალეთი მეტოქის- საბჭოთა რუსეთის რევოლუციის შემდეგ სამშვიდობო პაქტს იშველიებდა, სადაც გაცხადებული იყო, რომ ყველა ერს უფლება ჰქონდა თვითგამორკვევაზე და სუვერენიტეტზე. თუკი რუსეთი ოსმალეთში სომხური თემის თვითგამორკვევას უჭერდა მხარს, ოსმალეთი ახალციხესა და ახალქალაქში მუსლიმი თემის ინტერესებს „იცავდა“. ზუსტად ამ თვითგამორკვევის უფლების საბაბით 1918 წლის 13 აპრილს ახალციხისა და ახალქალაქის მუსლიმმა თემმა მიიღო დადგენილება ახალქალაქისა და ახალციხის თურქეთთან მიერთების შესახებ. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 316).

შემქნილი საერთაშორის პოლიტიკური სიტუაციიდან გამოდინარე, სამხრეთ კავკასიის დელეგაცია, განსაკუთრებით კი, ქართველი დელეგატები თურქებთან სამშვიდობო მოლაპარაკებაზე მაინც დათანხმდნენ. ალბათ იმ იმედით, რომ ეს დათმობა დროებითი იყო და ოსმალეთის მეკავშირე გერმანია, რომლის დიდი იმედიც საქართველოს ჰქონდა, რომ დამოუკიდებლობის მოპოვებაში დაეხმარებოდა, მოლაპარაკებების დროსაც შეძლებდა

ოსმალეთის დაყოლიებას დაეთმო ბათუმის ოლქი. ზ. ავალიზშვილი იხსენებს:“ მტრების მიერ ბათუმის ოლქის დაკავება მხოლოდ დროებითი იყო და ეს მარცხი საბოლოო არ იყო და ყველაფერი დამოკიდებული იყო ომის შემდგომ განვითარებაზე. ამიტომაც, იმ მომენტში აუცილებელი იყო თურქებთან მოლაპარაკება.“ (ავალიშვილი,1924, გვ. 36).

საზავო მოლაპარაკებები 1918 წლის 11 მაისს დაიწყო, მართლაც, რომ რთულ ვითარებაში. პირველივე სხდომაზე ოსმალეთის წარმომადგენლობამ ქართულ დელეგაციას 12 პუნქტიანი დოკუმენტი შესთავაზა და განაცხადა, რომ საზავო მოლაპარაკებების საფუძველს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება აღარ წარმოადგენს, რადგან ტარპიზონში ჩაშლილი მოლაპარაკებების შემდეგ ვითარება შეიცვალა და მოითხოვეს ახალციხე, ახალქალაქის, ადრიანოპოლისა და ეჩმიაძინის რაიონები. ოსმალების ახალი მოთხოვნები აბსოლუტურად მოულოდნელი აღმოჩნდა ქართული მხარისათვის. ქართული დელეგაციის ხელმძღვანელმა ა. ჩხენკელმა გააპროტესტა ახალი მოთხოვნები, განახცადა, რომ ტრაპიზონში მოლაპარაკებები დროებით შეჩერდა, რომ ოსმალეთს პრეტენზიები არა სამხრეთ კასიასთან, არამედ, რუსეთთან უნდა ჰქონოდა. ხოლო კავკასიის დელეგაცია აქ მშვიდობის დამყარების მიზნით იმყოფებოდა და მოლაპარაკებების საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება უნდა აღებულიყო. ოსმალეთის ამ სრულიად მოულოდნელმა მოთხოვნამ სამხრეთ კავკასიის დელეგაცია საგონებელში ჩააგდო. ვიდრე მიმდინარეობდა მსჯელობა, ოსმალეთის ჯარი აგრძელებდა წინსვლას, სომხეთი და საქართველო საფრთხის წინაშე აღმოჩნდნენ. (Kazemzadeh/ კაზემზადე, 1951, გვ.110). ქართულმა დელეგაციამ ოსმალეთს ოთხპუნქტიანი შეთანხმება შესთავაზა, კერძოდ, სამშვიდობო შეთანხმებას ხელი უნდა მოაწეროს არა მხოლოდ თურქეთმა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფომ, არამედ ოთხთა კავშირმა და სამხრეთ კავკასიამ და შეთანხმება უნდა ეყრდნობოდეს ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას. მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების ფარგლებში შეთანხმებები მოხდება ცალკე, როგორც აღნიშნული შეთანხმების დამატება კონვენციის სახით, ოთხთა კავშირსა და სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებს შორის. ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების დამყარება უნდა მოხდეს ორმხრივი შეთანხმების ფარგლებში. ავსტრია-უნგრეთი და ბულგარეთი მოლაპარაკებების დროს არ იქნება წარმოდგენილი, თუმცა, ეს მოლაპარაკებების დაბრკოლების საფუძველს არ წარმოადგენს. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 268). კავკასიის დელეგაციის ეს

შეთავაზება ერთგვარი დიპლომატიური ხრიკი იყო, რომ მოლაპარაკებებში მხარედ ჩართულიყო გერმანია, როგორც მშვიდობის გარანტორი. ოსმალეთის პასუხმაც არ დააყოვნა. ჰალილ ბეი აცხადებდა, რომ მოლაპარაკებების საფუძველი მხოლოდ ბერსტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება ვერ იქნება, ოსმალეთი თანახმაა შეთანხმების დამატებად შემუშავდეს სპეციალური კონვენცია, რომელიც ძალაში დარჩება ომის დასრულებამდე.(დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ. 272). ამ მოლაპარაკებების პარალელურად ოსმალეთის არმია ლორესა და თბილისისკენ მოიწევდა, რის გამოც ა. ჩხენკელმა კვლავ პროტესტის ნოტა გაუზგავნა ოსმალეთის დელეგაციას. ოსმალეთის ასეთი ძალის დემონსტრირებას აზერბაიჯანი ჩუმად ხვდებოდა, სომხეთი კი ისეთი დასუსტებული იყო, რომ ვერ შეძლებდა წინააღმდეგობის გაწევას, საქართველო კი სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის სტრატეგიული პოზიციის შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა, საგარეო დახმარების გარეშე ვერ შეძლებდა. (კაზემზადე, 1951, გვ.115). როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ოსმალეთის სამხრეთ კავკასიაში გააქტიურების შემდეგ გერმანია გამოფხიზლდა და მოკავშირის შეჩერება სცადა, ქართულ მხარესაც აწყობდა მისი მოლაპარაკებებში ჩართულობა. ქართველი დელეგატები ფონ ლოსოვსა და შულენბურგს (გერმანიის კონსული თბილისში) საიდუმლოდ შეხვდნენ და მედიატორობა შესთავაზეს, თუმცა, როგორც ვიცით, ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელისაგან - ჰალილ ბეისაგან უარი მიიღეს. გერმანიის ასეთ გააქტიურებას ოსმალები შეშფოთებით შეხვდნენ, მათ არ სურდათ ევროპის ძლიერი მოკავშირის გადამტერება. ფონ ლოსოვის მიერ მოლაპარაკებების დატოვების შემდეგ მდგომარეობა კიდევ უფრო კრიტიკული გახდა. 26 მაისს ჰალილ ბეიმ ა. ჩხენკელს ახალი ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა დამატებით კიდევ ნახჭევანის გადაცემა ოსმალეთისთვის. ამიერკავკასიის კომისარიატი დაშლის პირას მივიდა, სომხეთი ყარაქილისთან ბრძოლაში დამარცხდა თურეთთან, აზერბაიჯანი ნეიტრალურ პოზიციას იჩენდა, მოლაპარაკებების დროს ის ყოველთვის ოსმალეთის პოზიციას იზიარებდა, საქართველოსთვის კი ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა, სახელმწიფოებრიობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგებოდა. ამიტომ, ქართველმა დიპლომატებმა ქართველი ერის გადარჩენისათვის ერთადერთი სწორი ნაბიჯი გადადგეს - გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. საბჭოთა მთავრობა საგონებელში ჩავარდა სამხრეთ კავკასიაში განვითარებული მოვლენების გამო. 1918 წლის 14 მაისს ლენინი რუსეთის ცეკასა და მოსკოვის საბჭოს სხდომაზე სიტყვის გამოსვლისას შემდეგ რამეს აცხადებს: „ .. კავკასიის

საზღვარზე გაურკვეველი მდგომარეობა შეიქმნა გეგეჭკორის მთავრობის ყოვლად დაუშვებელი მერყეობის გამო, რომელმაც თავდაპირველად განაცხადა, რომ ბრესტის ზავს არ სცობდა, შემდეგ კი დამოუკიდებლობას აცხადებს ისე, რომ არ გვეუბნება, თუ რომელ ტერიტორიაზე ვრცელდება ეს სახელმწიფო. ეს ჩვენ შევეკითხეთ არა ერთი რადიო დეპეშით, კეთილი ინებეთ და გვაცნობეთ, რომელ ტერიტორიაზე აცხადებთ პრეტენზიას. დამოუკიდებლობის გამოცხადება - ეს თქვენი უფლებაა, მაგრამ თუ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკობთ, თქვენი მოვალეობაა გვითხრათ, რომელია ის ტერიტორია, რომელსაც თქვენ წარმოადგენთ... არცერთ შეკითხვაზე პასუხი არ მიგვიღია... ამას იყენებს გერმანიის იმპერიალიალიზმი. გერმანიას და ოსმალეთს... შეეძლო განეცხადებინათ: ჩვენ ავიღებთ იმას, რისი აღებაც შეგვიძლია, ჩვენ არ ვარღვევთ ბრესტის ზავს, იმიტომ, რომ ამიერკავკასიის არმია მას არ სცნობს, იმიტომ, რომ კავკასია დამოუკიდებელიაო. ვისგანაა დამოუკიდებელი გეგეჭკორის მთავრობა? საბჭოთა რესპუბლიკებისაგან იგი დამოუკიდებელია, მაგრამ გერმანიის იმპერიალიზმზე ის ცოტათი დამოკიდებულია და ეს ბუნებრივიცაა“. (ლენინი, 1946, გვ. 4530).

ამიერკავკასიის რესპუბლიკის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გადაწყდა ბათუმის მოლაპარაკებები კვლავ გაგრძელებულიყო. საქართველოში განვითარებული მოვლენების შემდეგ დელეგაციის ხელმძღვანელად ნოე რამიშვლი დაინიშნა. ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა - ჰალილ ბეიმ განაცხადა, რომ მიუხედავად თბილისში მომხდარი ცვლილებებისა, ულტიმატური ისევ ძალაში რჩებოდა. საქართელოს დელეგაციის ხელმძვანელმა ჰალილ ბეის მაშინვე უპასუხა და განუცხადა, რომ საქართველოს რესპუბლიკა თანახმაა ოსმალეთის იმპერიას მისცეს შესაძლებლობა ისარგებლოს რკინიგზით ჯარის და სამომარი აღჭურვილობის გადატანის მიზნით,საქართველოს სამხრეთ საზღვარი უნდა გადიოდეს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით დადგენილი საზღვარზე. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ, 1975, გვ 340). საქართველოს დელეგაცია ხაზს უსვამდა, რომ ოსმალეთის ულტიმატუმი ახალქალაქისა და ახალციხის ოლქების დათმობის შესახებ მეტწილად აკმაყოფილებდა, მხოლოდ რკინიგზით სარგებლობის ფარგლებში და ისევ მოითხოვდა საზღვრის დემარკაცია ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ფარგლებში მომხდარიყო. ჰალილ ფაშამ ქართული დელეგაციის ამ ნოტას „თავიდან

მოცილებისთვის გამოგზავნილი პასუხი“ უწოდა. როგორ ჩანს, ოსმალეთი არ აპირებდა დათმობებზე წასვლას, ოსმალეთი ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებში ხალხთა თვითგამორკვევის უფლებით აპელირებდა, მზად იყო ბათუმის მოლაპარაკებებიც კი ჩაეშალა და საქართველოს წინააღმდეგ საბძოლო მოქმედებებზე გადასულიყო. (შაჰინი,2002, გვ 615). გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს დელეგაცია დათანხმდა ოსმალეთის პირობებს. ბათუმის მოლაპარაკებები 4 ივნისს, 1918 წელს დასრულდა და ოსმალეთმა მიიღო ახალქალაქისა და ახალციხის ოლქები გარდა აბასთუმანისა და აწყურისა. (ალენი & მურატოვი, 1953, გვ.158.).

ოსმალეთის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ყარსის, არტაანის და ბათუმის შემოერთებით ოსმალეთის გავლენა და ძალა კიდევ უფრო გაიზარდა. ბათუმის კონფერენცია ბრესტ-ლისტოვსკში დაწყებული მოლაპარაკებების ერთგვარი გაგრძელება იყო. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთს სურდა კავკასიაში გავლენის გაზრდა და საბჭოთა რუსეთის დასუსტება, რომელიც ოსმალეთში სამოქალაქო წინააღმდეგობის გაღვივებას ცდილობდა, სომხურ თემს მხარდაჭერას აღუთქვამდა და სომეხი ხალხის თვითგამორკვევისკენ აქეზებდა. ამის საპასუხოდ ოსმალეთმა მოითხოვა 1877-1878 წლებში არსებული სტატუს კვოს დაბრუნდება: რუსეთს უნდა გამოეყვანა თავისი ჯარი არტაანის, ყარსის და ბათუმის ოლქებიდან. მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ საბჭოთა რუსეთს არ ძალუძდა წინააღდეგობა გაეწია თურქულ-გერმანული ალიანსისთვის იძულებული გახდა დათანხმებოდა მოთხოვნებს და ხელი მოეწერა საზავო ხელშეკრულებაზე. ბრესტ-ლიტოვსკში მიღწეული შეთანხმება პირველი ნაბიჯი იყო. ტრაპიზონსა და ბათუმში მიმდინარე მოლაპარაკებების პარალელურად კავკასიის მთავრობის დაშინების და თავის მოთხოვნებზე დაყოლიების მიზნით, ოსმალეთმა საბძოლო მოქმედებები წამოიწყო, რასაც ოსმალები მუსლიმ მოსახლეობაზე თავდასხმებისაგან დაცვით ამართლებდნენ და შედეგიც მიიღეს. ოსმალეთმა ჩრდილო-სამხრეთის საზღვარი სრულად თავის გავლენის ქვეშ მოაქცია.

ბათუმის ხელშეკრულება ძალაში არ შევიდა, რადგან არ იყო ხელმოწერილი და რატიფიცირებული ორივე მხარის მიერ. ოსმალეთმა გააგრძელა საბრძოლო მოქმედებები ვიდრე ხელი არ მოეწერა მუდროსის დროებით ზავს (1918 წ., 30 ოქტომბერი). კავკასიის საკითხი მოგვიანებით, სამი წლის შემდეგ ისევ დღის წესრიგში დადგა, ოღონდ, სხვა

პოლიტიკური რეალობის ჭრილში. კავკასიის გასაბჭოების შემდეგ მოლაპარაკებას ანგორის მთავრობა და საბჭოთა რუსეთი მართავდა.

IV თავი - ოსმალეთისა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში 1918 წელს

4.1 „ისლამური არმია“, ოსმალების მიერ ბაქოს ოკუპაცია

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ოსმალეთმა კავკასიაში დასახულ მიზანს მიაღწია. კავკასიის ფრონტის გაძლიერებით ოსმალეთი ცდილობდა სამხრეთ კავკასიის ბოლშევიკებისაგან დაცვას. ამავე დროს კავკასიაში ძირეული ცვლილებები დაიწყო, რუსული ჯარის გასვლის შემდეგ ჯერ კავკასიის კომისარიატი და ამ კომისარიატში შემავალი კავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკები გამოცხადდა. ოსმალეთს კი, რა თქმა უნდა, კავკასიაში თავისი ინტერესები ჰქონდა, მით უფრო, რომ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ საბჭოთა რუსეთის გავლენა კავკასიაში, ძალზედ შესუსტებული იყო. შექმნილი სიტუაცია ძალიან კარგად არის ასახული გენერალ ფონ ჰოფმანის 1918 წლის 13 ივლისის ანგარიშში, სადაც ის წერს: „რუსეთის ექსპანსია ძრითადად სამხრეთსა და სამხრეთ-აღმოსვალეთისკენ იყო მიმართული, ომს ზუსტად ამის გამო აწარმოებდა. მაშინ მხარი რომ დაგვეჭირა მისი მიზნებისთვის, რომელიც აზიაში ინგლისის იმპერიალისტურ გეგმას ეწინააღმდეგებოდა, რუსეთი ჩვენი მეკავშირე გახდებოდა, თუმცა, ის ანტანტის ერთგული დარჩა.... ყირიმი, კავკასია, სომხეთი, თურქესტანი და ასე შემდეგ, რუსეთის ისტორიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს და მისი დათმობა ასე ადვილი არ არის. რუსეთისთვის ძალიან მტკივნეულია ყურება, როგორ უბრუნდება ეს ტერიტორიები თურქეთს.... თურქეთის მთავარი მიზანი კავკასიის ხელში ჩაგდებაა, რასაც ისინი მუსლიმი მოსახლეობის წაქეზებითა და შეიარაღებით ცდილობს. თალათ ფაშამ თქვა, რომ აუცილებელია თურქეთმა ამ ქაოსით ისარგებლოს, თუ ბაქო და კავკასია თურქეთის ხელში აღმოჩნდება, ამით ინდოეთსა და სპარსეთში გზა ანტანტისთვის გახსნილი იქნება.“ (Д.Ю. Козлов/ კოზლოვი,2014, გვ 38).

ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ სამხრეთ კავკასიას ახალი საფრთხე გამოუჩნდა ბოლშევიკების სახით, რომელიც ერთა მეგობრობისა და თვითგამორკვევის ლოზუნგს ამოფარებული ისევე ლამობდა კავკასიის დაპყრობასა და დამორჩილებას, როგორც თავის

დროზე ცარისტული რუსეთი. რუსეთი იწყებს სამხრეთ კავკასიის გასაბჭოების პროცესს. მანამდე საბჭოთა მანქანა აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო ასპარესზე ახალი რესპუბლიკების ავტორიტეტის შესალახად. საბჭოთა რუსეთისთვის, რომლის ეკონომიკა ჩამოშლის პირას იყო, აზერბაიჯანის გასაბჭოება, ნავთობის მარაგების გამო, პირველი რიგის ამოცანა იყო და პირველი დარტყმა სწორედ აზერბაიჯანიდან დაიწყო და შემდეგ უკვე საქართველოზეც გადასვლას გეგმავდა. „აზერნაიჯანის ინტელიგენციაში სამი პოლიტიკური მიმართულება შეინიშნებოდა: ერთი, უმეტესი ნაწილი თურქული ორიენტაციის იყო, მეორე, უფრო ნაკლები რუსეთთან მიერთებისკენ იხრებოდა. ეს აზრი განსაკუთრებით მაშინ გახდა აქტუალური, როდესაც დენიკინის არმია დაეცა და ბოლშევიკები საზღვარს მიუახლოვდნენ. იტვნენ აზერაბაჯანის დამოუკიდებლობის მომხრენიც, თუმცა, უმცირესობაში. ხალხის უმრავლესობა კი თურქეთისკე ნ იხრებოდა, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, აზერბაიჯანის მთავრობის ნაწილი ბოლშევიკებთან მართავდა მოლაპარაკევას სავჭოთა ხელისუფლების აღიარებასა და აზერბაიჯანის რუსეთის ფედერაციაში შესვლის შესახებ.“ (კვინიტაძე, 1985, გვ.164). როგორც ჩანს, ბოლშევიკების აზერბაიჯანში შეჭრისათვის ნიადაგიც მომზადებული იყო, საბჭოთა მთავრობამ კი თავისი ეკონომიკის გაძლიერებისა და აზერბაიჯანის ნავთობის ხელში ჩაგდებით აპირებდა პოლიტიკურ ვაჭრობას ანტანტის სახელმწიფოებთან.

 საბჭოთა მთავრობამ თავისი ემისარი, სტეფანე შაუმიანი მიავლინა. ბაქოში ბოლშევიკური პროპაგანდა საკმაოდ ძლიერი იყო. აზერბაიჯანში მუსავათის პარტიას საკმარისი სამხედრო ძალა არ გააჩნდა. ამიტომ, შაუმიანმა ბაქოში მცხოვრები სომხების, რუსი სამხედროებისა და მუშების დახმარებით 1918 წლის 18 მარტს გადატრიალება მოხადინა და ბაქოში წითელი ხელისუფლება დაამყარა. ამ მოვლენას ქართული გაზეთი“ერთობაც“ ეხმიანება და წერს, რომ „ბოლშევიკების ავანტიურამ ამიერკავკასიის განაპირა ადგილებში შესაფერისი ნაყოფი გამოიღო, შაუმიანის მეოხებით მთელი ბაქოს მშრომელი კლასი ორ ბანაკად დაიყო და ძმათა შორის ბრძოლა გაჩაღდა. რუსეთში და ამიერკავკასიაში ბოლშევიკები უკუღმა იქცევიან, ყველგან სამოქალაქო ომის ინიციატორებად თვითონ გამოდიან და მთელ რუსეთის დემოკრატიას სისხლის მორევში ახჩობენ. ...სოციალიზმის დამყარების მაგიერ ყველგან წარმოუდგენელი ანარქია გაბატონდა და მითი რევოლუცია უდიდეს საფრთხეში ჩავარდა. ეს აშკარად დაგვანახა ბაქოში მომხდარმა ტრაგედიამ, სადაც ერთ მხარეს დადგა ბაქოს დემორატია და მეორე მხარეს სხვა დანარჩენ ეროვნებათა შეიარაღებული ძალები“. (ერთობა,

31 მარტი, 1918 წ.). გენერალი ალი ფუად ჯებესოი, ანგორის მთავრობის პირველი ელჩი საბჭოთა რუსეთში, თავის მოგონებებში ასე აფასებს საბჭთა რუსეთის პოლიტიკას კავკასიაში: „ბოლშევიკები სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობის აღიარებას არ აპირებდნენ. უფრო მეტიც, ისინი [ბოლშევიკები] სამხედრო ძალითაც დაუპირისპირდნენ. ჩრდილოეთიდან აზერბაიჯანში შესული წითელი არმია თორმეტი ათასს ჯარისკაცს არ აღემატებოდა. რომ არა აზერბაიჯანის მისწრაფება დამოუკიდებლობისაკენ, შეიძლება გაემარჯვათ კიდეც. გვქონდა ცნობები, რომ ქართველი მუსლიმები ბოლშევიკების წინააღმდეგი იყვნენ. შეიძლება ვინმეს მოსჩვენებოდა, რომ ქართული მენშევიკური მთავრობა საბჭოთა რუსეთის მთავრობას გაურიგდა, თუმცა, აქტიური წინააღმდეგი იყვნენ. რუსმა კომუნისტებმა საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდეს. სომხეთის დაშნაკის მთავრობა, ისევე, როგორც ქართველები, ინგლისელების მომხრენი იყვნენ. თუმცა, უნდა აღნინიშნოს, რომ სომხებში ბოლშევიკების მომხრეები კავკასიის სხვა ხალხებისგან განსხვავებით, გაცილებით მეტი იყვნენ.“ (Cebesoy/ჯებესოი, 1982, გვ. 10). საბჭოთა რუსეთი ერთა თვითგამორკვევის პრიციპს, როგორც იარაღს, აქტიურად იყენებდა აზერბაიჯანში მუსავათის პარტიასა და დაშნაკების დაპირისპირების იარაღად. ბაქოში მომხდარი სისხლიანი გადატრიალების ორგანიზატორი და განმახორციელებელი სტეფანე შაუმიანი დაინიშნა კავკასიის საკითხებში დროებით კომისრად, ბაქოს საბჭოს თავმჯდომარედ და რევოლუციური თავდაცვის კომისიის თავმჯდომარედ. მის ხელქვეითებს შორის სისხლიან ჯალათად ცნობილი ამაზასპიც იყო. (Джафаров/ჯაფაროვი,1994, გვ 24). „დაშნაკციუტუნის დიქტატურის პერიოდში(1918-1920) დაშნაკციუტუნის იდეის განხორციელებას, რომელიც უკავშირდებოდა ქვეყნის „სომხეთიზაციას“,სომხეთის ტერიტორიაზე მხცხოვრები აზერბაიჯანელი და ქურთი მოსახელობის ამოხოცვით და დაანარჩენ უმცირესობებს შორის ეროვნულ ნიადაგზე შუღლის გაღვივებით ცდილობნენ“ (Лалаян/ლალაიანი, 1936, გვ 164). საბჭოთა რუსეთის ბაქოში ექსპანსია ოსმალეთის მიზნებს კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა. თალათ ფაშასა და ენვერ ფაშას სამხრეთ კავკასიის პოლიტიკა კავკასიის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის მხარდაჭერას ეფუძნებოდა, ოღონდ ეს მხარდაჭერა სახელმწიფოთა თვითგამორკვევისკენ მისწრაფების მხარდაჭერა კი არა, საკუთარი ინტერესების დაცვა იყო. რომ საზღვრით საბჭოთა რუსეთთან დაკავშირებული არ ყოფილიყო და ყველაზე მნიშვნელოვანი - ბაქოს ნავთობის ხელში ჩაგდება - პირველი

ამოცანა იყო არა მხოლოდ ბოლშევიკებისთვის, არამედ ოსმალეთისთვისაც. (Sürmeli/სურმელი,2001, გვ. 465).

ბაქოს ბუნებრივი სიმდიდრეზე თვალი რადენიმე იმპერიალისტურ სახელმწიფოს ეჭირა. გერმანია, ეკონომიკურად წელში რომ გამართულიყო, რეგიონის ბუნებრივი წიაღისეულის მონოპოლიზებას გეგმავდა, ამიტომაც მნიშვნელოვანი სარგინიგზო მაგისტრალის ხელში ჩაგდება სცადა. ამავდროულად, სამხრეთ კავკასიაში ინგლისის ექსპანსიის შესახებ მითქმა-მოთქმა ბაქოსა და აფშერონის ნახევარკუნძულის აღების შესახებ იმდენად გავრცელდა,რომ სტალინმა გაზეთ პრავდაში სპეციალური განცხადება გამოაქვეყნა, რომელშიც ის კატეგორიულად უარყოფდა ინგლისელების შეჭრას ბაქოში და გავრცელებულ ჭორს პროვოკაციად აფასებდა და ხაზგასმით აცხადებდა, რომ ბაქოს გუბერნიას და მთელ აღმოსავლეთ კავკასიას იცავს საბჭოთა ჯარები. (გაზეთი „პრავდა“, # 104, 1918 წლის 28 მაისი).

ამ ინტერესების ჭიდილში ოსმალეთმა, პირველ რიგში, როგორც ერთი მოდგმის და ერთმორწმუნე აზერბაიჯანელების ბოლშევიკებისაგან დაცვის მოტივით, „პან-თურანული“ გეგმების განხორციელების მიზნით, შექმნა „ისლამის არმია“, რომლის სათავეშიც ენვერ ფაშამ თავისი ნახევარძმა - ნური ფაშა ჩააყენა. ეს მეტად მოხერხებულად შენიღბული ნაბიჯი მიმართული იყო ბაქოს ხელში ჩასაგდებად და პირველ რიგში, გერმანიის ექსპანსიის შესაჩერებლად კავკასიაში. ალი ფუად ჯებესოი თავის მოგონებებში წერს, რომ 1918 წლის 9 ივნისს ბათუმსა და ყარსში კავკასიის ფრონტის მესამე არმია შევიდა, მეცხრე არმიას კი ირანისა და აზერბაიჯანის ოკუპირება უნდა მოეხდინა. ცხადი იყო, რომ ენვერ ფაშა აღმოსავლეთში წინააღმდეგობის ძლიერ ცენტრს ამზადებდა. ალი ფუად ჯებესოისთან საუბრისას ენვერ ფაშა თავის გადაწყვეტილებას ასე იხსენებს : „ვფიქრობ, რომ გერმანელებამდე, პირველ რიგში, ბულგარელები და ავსტრიელები მიგვატოვებდნენ და ჩვენი ქვეყანა დამხმარებას ვერსაიდან მიიღებდა. ამიტომ, აღმოსავლეთში ძლიერი საყრდენი გვჭირდებოდა. ამიტომაც, კავკასიაში და ირანში ორი არმია გადავისროლეთ. ფრონტზე ჩვენი მარცხი რომ არ მომხდარიყო, ვაპირებდი, რომ აღმოსავლეთში კარგი დასაყრდენი უზრუნველმეყო და, ასევე, ანატოლიაში ძლიერი რეზერვის შექმნას ვაპირებდი“ (ჯებესოი,1982, გვ 24.).

ბათუმის კონფერენციის შემდეგ ოსმალეთის ჯარი შეტევას ისევ აგრძელებდა და შეტაკებები ისევ გრძელდებოდა. ოსმალეთმა სომხეთს მოსთხოვა თბილისი- ბაქოს რკინიგზის მონაკვეთში გიუმრის (ალექსანდროპოლის) დაცლა. ენვერ ფაშა ბათუმში ოსმალეთის დელეგაციის ხელმძღვანელს, ჰალილ ბეის სწერდა, რომ ოსმალეთისთვის მნიშვნელოვანია კავკასიის სახელმწიფოსთან სასაზღვრო ზოლის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე, უპრიანი იქნებოდა გიუმრის (ადრიანოპოლისის) ახლავე ხელში ჩაგდება. (საგარეო საქმეთსა სამინისტრო არქივი, დოსიე # 124). ულტიმატუმის ვადის გასვლამდე ოსმალეთის ჯარი შეტევაზე გადავიდა და 1918 წლის 15 მაისს გიუმრი ხელში ჩაიგდო. სომხების ჯარის მთავარსარდალმა, გენერალმა ნაზარბეკოვმა ქარაქილიდერეს რეგიონში დაიხია. ნაზარბეკოვმა იერიში ყარსის მიმართულებით გააგრძალა, რადგან ოსმალებისთვის ყარსის სიაგრეში შენახული სამხედრო მარაგი ეგულებოდათ, რაც მათვის სასიცლოცხლოდ მნისვნელოვანი იყო, იმისათვის რომ პანთურანული გეგმები განეხორციელებინათ. (ენდრიუსი, 2020, გვ 92). 26-28 მაისს ოსმალებსა და სომხებს შორის სისხლიანი დაპირისპირებები მოხდა. ზუსტად მაშინ, როდესაც ოსმალეთმა სომხეთს გიუმრის დაცლის ულტიმატუმი წაუყენა, იგივე მოთხოვნა ოსმალეთმა სამხრეთ კავკასიის მთავრობასაც გაუგზავნეს, რომლის მიხედვით მოითხოვეს გადაეცათ რკინიგზა, რომელიც ბათუმიდან თბილისსა და ბათუმში გადიოდა. როგორც ვიცით, ამ დროს გერმანია აქტიურად ჩაერთო მოლაპარაკებებში. საქართველომ 26 მაისს გამოაცხადა დამოუკიდებლობა და გერმანიის პროტექტორატის ქვეშ მოიექცა. (ალენი & მურატოვი, 1953, გვ. 477). გერმანიის საგარეო პოლიტიკის მთავარი ხაზი კავკასიაზე გადიოდა, ახალგამოცხადებული რესპუბლიკებისთვის დახმარებასთან ერთად ის ბაქოს ნავთობზეც იმედებს ამყარებდა. გერმანიის ჯარის გენერალი ერიქს ლუედენდორფი რაიხსკანცლერისადმი 1918 წლის 9 ივნისს გაგზავნილ წერილში წერდა: „საქართველოში გვეძლევა შემთხვევა მცირე მებრძოლი ძალით ჩვენი ძლიერება გავზარდოთ... გერმანიის მიერ საქართველოს აღიარება და დაცვა იქნება ამავე დროს ერთადერთი საშუალება მადაგახსნილი ოსმალეთი საქართველოსაგან შორს დავიჭიროთ.. საქართველოში ჩვენ გვექნება დასაყრდენი წერტილი. იმედი არის, რომ კავკასია თანდათანობით დაწყნარდება და ჩვენ შევძლებთ მივიღოთ იქ არსებული ჩვენთვის ასე საჭირო ნედლი მასალა“. (ვარდანი,1930, გვ.15).

გერმანიის და და ოსმალეთის დაპირირისპირებამ პიკს მიაღწია. ამ კონფლიქტის მოგვარების მიზნით, 5 ივნისს, ენვერ ფაშა და გენერალი ფონ სექტი სტამბოლიდან ბათუმში გაემგზავრნენ. ზუსტად იმ დროს, როდესაც დელეგაცია ბათუმში იმყოფებოდა, ვაჰიბ ფაშამ გასცა ბრძანება გიუმრიდან ჯარები თბილისისკენ დაძრულიყვნენ. ოსმალეთის ჯარმა უკუაგდო ქართულ-გერმანული ჯარები და ბევრი გერმანელი ტყვეც ჩაიგდო ხელში. თუმცა, გერმანიის გენერალური შტაბის მოთხოვნით, მალევე გაანთავისუფლეს. ოსმალეთის არმია მაინც არ შეჩერებულა და განაგრძობდა ბათუმი-არტაანი-ყარსის რეგიონის ოკუპაციას. (ალენი & მურატოვი, 1953, გვ 478). კავკასიაში განვითარებული მოვლენები საბჭოთა რუსეთის ყურადღების ცენტრშიც მოექცა. გალიფ ქემალისათვის[7] მიწერილ ნოტაში გიორგი ჩიჩერინი (1872-1936) აღნიშნავს, რომ რუსეთმა მეგობრული ნაბიჯი გადადგა, როდესაც ოსმალეთს დაუთმო ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები, თუმცა, ასეთი ქმედებების გამო, საბჭოთა რუსეთი გოჯი მიწის დათმობასაც არ აპირებს და მიაჩნია, რომ გიუმრის (ალექსანდროპოლის) ხელში ჩაგდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშრკრულების უხეში დარღვევაა. (საგარეო საქნმეთსა სამინისტრო არქივი, დოსიე # 124). იმ პერიოდში, როდესაც ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობა საკმაოდ სუსტი იყო, სხვა არაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ პროტესტი დიპლომატიური ნოტებით გამოეხატა. გალიფ ქემალი კი საპასუხოდ თავს იმართლებდა, რომ მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა გიუმრიში განვითარებული მოვლენების შესახებ და ასეც იყო, ელჩს ინფორმაცია მართლაც არ ჰქონდა მიღებული. (კურატი, 2011, გვ 530).

1918 წლის აპრილში თურქულმა ჯარმა 1877 წლის საზღვრები თითქმის აღადგინა და ბათუმის კონფერენციაზე მიღწეული წარმატების შემდეგ ბაქოს საბჭოთა ხელისულებისაგან გათავისუფლების დროც დადგა. 1918 წლის 28 მაისს, საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, აზერბაიჯანის მუსავათის პარტიამაც აზერბაიჯანის დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თუმცა, იმის გამო, რომ ბაქო რუსი და სომეხი ბოლშევიკების მთავრობის ხელში, აზერბაიჯანის მთავრობა განჯაში გადავიდა. (Günay/გიუნაი, 2021 გვ.428). 4 ივნისს, 1918 წელს აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მეგობრობის ხელშეკრულება დაიდო, რომლის მიხედვით ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა საჭიროების შემთხვევაში აზერბაიჯანისთვის სამხედრო დახმარება აღმოეჩინა.

[7] 1918 წელს, რვა თვის განმავლობაში ოსმალეთის წარმომადგენელი მოსკოვში.

(კურატი,2011, გვ 530). 12 ივნისს ნური ფაშას არმია განჯისკენ გაემართა. ამასობაში ბაქოში, სადაც დაშნაკების და ბოლშევიკების პოლიტიკური ალიანსი არსებობდა, ბაქოს არმიაც, ასევე სომეხი დაშნაკებით იყო დაკომპლექტებული და ასევე ამაზასპის პარტიზანული რაზმი, რომელიც თურქების წინააღმდეგ პარტიზანულ ომს აწარმოებდა, წითელი არმიას დაუქვემდებარეს. (კაზემზადე, 1951, გვ. 130). ბაქოში საბჭოთა ხელისუფლება არამყარი იყო, ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ხალხში უაყროფითი დამოკიდედებულება საბჭოთა პოლიტიკის მიმართ უფრო მწვავდებოდა. თუმცა, ბაქოს საბჭო მაინც ხმამაღლა აცხადებდა, რომ „ბაქოს დემოკრატია და კავკასიის მუშათა კლასი არასდროს შეეგუებოდა საბჭოთა რუსეთთან გამოყოფას და იბრძოლებდა თურქულ-გერმანულ ბანდებისა და მათი მეკავშირეების წინააღმდეგ“ (ჯაფაროვი,1994, გვ 43). ოსმალეთის ჯარის წინააღმდეგ რამდენიმე ათასიანი ჯარი შეიკრება, რომლის შემადგენლობაში ძირითადად სომეხი და რუსი ეროვნების მუშები და გლეხები იყვნენ გაერთიანებული და თურქული ჯარის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ჯარი ბაქოს მისადგომებთან, 1918 წლის 16 მაისს ოსმალეთის ჯართან ბრძოლაში დამარცხდა და უკან დაიხია. ოსმალეთის ჯარი ამასობაში გოქჩაის სადგურზე გაჩერდა. ზუსტად ამ დროს ინგლისელებთან ერთად გამოჩნდა პოლკოვნიკი ლაზარე ბიჩერახოვი.[8] (კურატი, 2011 გვ 532). ბიჩერახოვი სპარსეთში რუსეთის დემობილიზირებული არმიის ოფიცერი, წარმოშობით ოსი, რუსი იმპერიალისტი და ანტი-ბოლშევიკი. მისი კავკასიაში გამოჩენის მიზანი ბაქოში ბოლშევიკების განადგურება და ასევე თურქების წინააღდეგ გალაშქრება იყო. (კაზემზადე, 1951, გვ 133). კაზაკების რაზმთან ერთად ბიჩერახოვის გამოჩენამ თურქებს ბაქოს აღების გეგმა ჩაუშალა. ბაქოში ინგლისური არმია შევიდა, ასევე, თურქებისთვის ცნობილი გახდა, რომ გერმანია-საბჭოთა რუსეთის შეთანხმება

---

[8] პოლკოვნიკი ლაზარე ბიჩერახოვი, მსახურობდა სპარსეთში, რუსულ არმიაში. გამოირჩეოდა განსაკუთრებული სისასტიკით. ბრიტანეთთან ლოიალურად გაწყობილმა და ანტი-ბოლშევიკმა პოლკოვნიკმა შემდგომ ორიენტაცია შეიცვალა და მზად იყო წითლების სამსახურში ჩამდგარიყო. შაუმიანის რეკომენდაციით ის წითელ არმიაში მიიღეს. როგორც კი წითელარმიელი გახდა, ბიჩერახოვმა მაშინვე გასცა „ძველი მეგობრების“ -ბრიტანელების საიდუმლო გეგმებიც. მაშინ, როდესაც ის წითელ არმიაში მსახურობდა, მისი ძმა - გიორგი ბიჩერახოვი ანტი-საბჭოთა ანჯაყებაში იყო ჩართული. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ლაზარი ძმას იარაღით და ფულით ამარაგებდა. თურქების მიერ ბაქოს აღების შემდეგ ბიჩეხაროვი თავისი ძმის რაზმს შეუერთად დაღესტანში. როდესაც ბაქოში ბრიტანეთის არმია შევიდა, მან დაბრუნება შეძლო. ის გენერალ-მაიორის სამხედრო ჩინითაც დააწინაურეს. ცდილობდა რუსული სახელმწიფო სტრუქტურა აღედგინა, მაგრამ ბრიტანელებმა არ დაუშვეს. 1919 იანვარში ბათუმში გადაასახლეს, შემდეგ კი ბიჩერახოვი ჯერ ლონდონში და შემდეგ პარიზში წავიდა ემიგრაციაში. მეორე მსოფლიო ომის დროს ბიჩერახოვი ფაშისტურ გერმანიასთან თანამშრომლობდა. საბჭოთა ტვეებისაგან, რომელიც კავკასიელი წარმოშობისანი იყვნენ, ფაშისტები ფიქრობდნენ დივიზიის შექმნას, რომლსაც სათავეში ბიჩერახოვი ჩაუდგებოდა. გარდაიცვალა გერმანიაში.

მოხდა. შეთანხმება ურთიერთგარიგების საფუძველზე მოხდა. გერმანია საბჭოეთს დაპირდა, რომ თურქების ბაქოზე გალაშქრებას შეაჩერებდა, სამაგიეროდ, საბჭოთა მთავრობა გერმანიას ბაქოს ნავთობს მისცემდა. (კაზემზადე,1951, გვ 135). რაზეც, სტალინი მაშინვე დათანხმდა. „საბჭოთა პოლიტიკის მიზანია გერმანია ვაიძულოთ, აღიაროს, რომ საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში მიმდინარე მოვლენები რუსეთის შიდა პოლიკიტა არის“ - წერდა სტალინი შაუმიანს.(История гражданской войны в СССР ,1946, გვ. 289). ოსმალეთის ჯარმა ბაქოს აღება მხოლოდ 1918 წლი 15 სექტემბერს შეძლო. 17 სექტემბერს აზერბაიჯანის მთავრობდა განჯიდან ბაქოში გადავიდა.

4.2 საქართველო საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე და ოსმალეთის ინტერესები

პირველი მსოფლიო ომის მიწურულს, კავკასიის ფრონტის დაშლით ოსმალეთმა, როგორც ზემოთ ვთქვით, შექმნილი მდგომარეობა თავის სასაგრებლოდ გამოიყენა და პან-თურანული იდეებით შეპყრობილი სამხრეთ გავკასიის თავისი გავლენის ქვეშ მოქცევას ცდილობდა. მაშინ, როცა სამშვიდობო მოლაპარაკებები მიმდინარეობდა ტრაპიზონსა და ბათუმში, ოსმალეთი ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების დაუყოვნებლივ აღსრულებას შეუდგა და ულტიმატუმების წარდგენასაც არ ერიდებოდა. განსაკუთრებით გააქტიურდნენ ოსმალო აგენტები ახალქალაქსა და ახალციხეში. ბოლშევიკების მიერ წამოწყებული„ერთა თვითგამორკვევის“ პროპაგანდას ამოფარებული, ოსმალო აგენტები მუსლიმ მოსახლეობას ამხედრებებდნენ, აწყობდნენ კრებებს ოსმალეთთან შეერთების მოთხოვნით. ერთადერთი გამოსავალი, რაც მაშინ ქართველ დიპლომატებს რჩებოდათ, დამოუკიდებლობის გამოცხადება იყო. პოლიტიკური პროცესის დამოუკიდებლობის გამოცხადებით დაგვირგვინების საქმეში დიდი წვლილი კი გერმანიას მიუძღვის, რომლის პროტექტორატის ქვეშ მოექცა საქართველო. ფოთში საქართველოსა და გერმანიას შორის დაიდო ხელშეკრულება „დროებითი შეთანხმება საქართველოსა და გერმანიას შორის წინასწარი ურთიერთდამოკიდებულების შესახებ“, რომლის მიხედვით საქართველოს მთავრობა ნებას რთავდა გერმანიას ესარგებლა რკინიგზის ხაზით ოთხთა კავშირის ჯარებისა და სამხედრო მასალის გადასატანად და ამ მიზნით განელაგებინა გერმანული რაზმები რკინიგზის სადგურებსა და ფოთის ნავსადგურში. გერმანია ასევე თავის თავზე იღებდა პასუხისმგებლობას საზღვაო მოძრაობა მოეგვარებინა და საქართველოში თავისუფლად შემოსულიყო სხვავდასხვა საქონელი და სურსათი. (ზ. ავალშვილი, 1924, გვ 87). 13 ივნისს

საქართველოს მთავრობამ გამოსცა დეკლარაცია, სადაც ის იუწყებოდა, რომ გერმანული ჯარები საქართველოში საზღვრების დაცვის მიზნით იმყოფებიან და ემორჩილებიან საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას. (კაზემზადე, 1951, გვ.148). დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე საქართველოს დელეგაცია, ა. ჩხენკელის მეთაურობით გაემგზავრა ბერლინში. ამასობაში, ბათუმში, 4 ივნისს დასრულდა სამშვიდობო მოლაპარაკება. ოსმალეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო, თუმცა, საქართველო იძულებული გახდა მისთვის პოლიტიკურად დამაზიანებელი შეანხმებაზე ხელი მოეწერა. დელეგაციის წევრები იმედოვნებდნენ, რომ გერმანიის დახმარებით ბათუმში დადებულ საქართველოსთვის დამაზიანებელი სამშვიდობო შეთანხმების ცვლილებას შეძლებდნენ და გამოვიდნენ წინადადებით გამართულიყო ახალი მოლაპარაკებები, რომელშიც გერმანია ავსტრია და ბულგარეთიც იქნებოდა ჩართული. „1918 წლის ზაფხულს, შავი ზღვის რეგიონში გერმანიის სამხედრო და პოლიტიკური უპირატესობისა და თურქეთის მიმართაც აშკარა ჰეგემონობის უეჭველობის გამო, - როგორც ზ.ავალიშვილი წერს, - ერთადერთი, რისი გაკეთებაც ჩვენ შევძელით - ეს იყო თურქების მგლური მადისათვის გერმანიის კონტროლის დაპირისპირება“ (ზ.ავალიშვილი,1924, გვ.95). გემანიაში ქართული დელეგაციის ვიზიტის მიზანი თანამშრომლობის გაღრმავება და ეროვნული ინტერესების მაქსიმალური დაცვა იყო რაიხთან მჭიდრო კავშირის დახმარებით. გერმანიაში მოლაპარაკებების უშუალო მონაწილის, ზ. ავალიშვილის მემუარები ნათლად წამოაჩენს ქართველების შეუპოვრობას დაიყოლიონ გემანიის მთავრობა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობდა და საქართველოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობებზე შეთანხმება მომხდარიყო. ქართული დელეგაცია თავდაუზოგავად იბრძოდა, რათა გერმანიისთვის წარმოეჩინა საქართველოსთან თანამშრომლობის მიმზიდველობა, რომ საქართველოს დახმარებით გერმანიას ახლო აღმოსავლეთში პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების გატარება უფრო გაუადვილდებოდა, რომ საქართველოსთვის გაცემული სესხის სანაცვლოდ ის შეძლებდა ასევე ესარგებლა ქვეყნის წიაღისეულით. გერმანიაში მიმდინარე ქართულ-გერმანული მოლაპარაკებები საბჭოთა რუსეთს თვალთახედვიდან არ გამორჩენია. საბჭოთა რუსეთის ელჩმა, იოფემ პროტესტი გამოთქვა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარებასთან დაკავშირებით. (კაზემზადე, 1951, გვ.150).

27 აგვისტოს ხელი მოეწერა რუსეთ-გერმანიის შეთანხმებას. ამ მოვლენამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელი შეუშალა თურქების გეგმას ბაქო აეღოთ. შეთანხმებაში ცალკე პუნქტად არის გამოყოფილი საკითხი კავკასიის შესახებ. მე-13 პუქტით რუსეთი აცხადებდა თანხობას მასზედ, რომ გერმანია აღიარებს საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფო ორგანიზმს. მე-14 პუნქტით გერმანია აცხადებდა, რომ არ აღმოუჩენს მხადაჭერას მესამე სახელმწიფოს კავკასიაში საქართველოს საზღვრებს მიღმა სამხედრო ოპერაციებში. (Ключников & Сабанин/ კლუჩნიკოვი &საბანინი,1926 გვ.165). რაკი რუსეთისგან თანხმობა მიღებული იყო, ქართულმა და გერმანულმა მხარეებმა გააგრძელეს შეთანხმებაზე მუშაობის პროცესი. გერმანია აღიარებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, ორივე ქვეყანაში უნდა გახსნილიყო დიპლომატიური წარმომადგენლობები, საქართველოში ბუნებრივი წიაღისეულისადმი გერმანიის ინტერესის გამო მოხდა შეთანხმება შექმნილიყო კომპანია, რომელსაც მანგანეცის წარმოებაზე მონოპოლია ექნებოდა, ასევე, განახორციელებდა ფოთის პორტის ოპერირებას. კომპანიაში ქართული და გერმანული მხარეები თანაბარი წილით იქნებოდნენ წარმოდგენილი.

ამასობაში, ოსმალეთი ისევ აგრძელებდა „დიდი თურანის“ შექმნის გეგმას. 1918 წლის ივლისში მათ ყარსი, არტაანისა და ბათუმის ოლქებში თითქოსდა მუსლიმი მოსახლეობის დაცვის მომოტივით, მუსლიმი მოსახელეობის ოსმალეთის ომპერიასთან შეერთების თხოვნის საფუძველზე რეფერენდუმი ჩაატარა. საქართველოს მთავრობამ 1918 წლის 1 აგვისტოს ნოტა გაუგზავნა თურქეთის მესამე არმიის სარდალს, ესად ფაშას, რომელშიც პროტესტს გამოთქვამდა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმების დარღვევის და რეფერენდუმის არადემოკრატიულ პირობებში ჩატარების გამო (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ,1971, გვ 370). პროტესტზე ასად ფაშას პასუხმაც არ დააყოვნა. 12 აგვისტოს გაგზავნილ წერილში ასად ფაშა წერდა, რომ აღნიშნული ტერიტორიები ბათუმში ხელმოწერილი სამშვიდობო შეთანხმების შემდეგ, ახალი გარემოებები შეიქმნა და ეს ტერიტორიები ოსმალეთის სახელმწიფოს გადაეცა და პლებისციტი საერთაშორისო ნორმების სრული დაცვით ჩატარდა, გამომდინარე აქედან, საქართველოს მთავრობის პროტესტი საფუძველსმოკლებულია. (დოკუმენტები და მასალები სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ,1971, გვ 372). 1918 წლის 20 სექტემბერს საბჭოთა რუსეთის მთავრობამ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი

ჩიჩერინმა ასევე ნოტა გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას ჩატარებულ რეფერენდუმთან დაკავშირებით, სადაც აღნიშული იყო, რომ ოსმალეთის მთავრობამ ზეწოლა განახორციელა მოსახლეობაზე, რომ რეფერენდუმი არ გამოხატავდა ადგილობრივების ნება-სურვილს, გამომდინარე აქედან, საბჭოთა რუსეთი არ ეთანხმება პლებისციტის შედეგებს. ნოტაში ასევე აღნიშნული იყო, რომ მას მერე, რაც ბაქოში ოსმალეთის ჯარი შევიდა, ქალაქში შეიარაღებული ბანდიტების მიერ ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის ძარცვა და დარბევა. ოსმალეთის მთავრობამ არაერთხელ დაარღვია ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმება, მიუხედავად საბჭოთა მთავრობის მიერ გამოთქმიული პროტესტისა.. რითაც აჩვენა, რომ აღნიშნული შეთანხმება უკვე აღარ მოქმედებს. საბჭოთა ხელისუფლება იძულებულია აღიაროს, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს ქმედებების გამო, ხელშეკრულებას,რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის მშვიდობის გარანტორი იყო, წყვეტს. (კლუჩნიკოვი &საბანინი,1926, გვ.175). გერმანიამ, რომელიც იმ დროს ოსმალეთის მეკავშირე იყო, ასევე დაგმო ჩატარებული რეფერენდუმი და განცხადა, რომ ამგვარად თურქეთმა დაარღვია ბრესტის ხელშეკრულების მე-4 მუხლი. მიუხედავად საერთაშორისო პროტესტისა, 1918 წლის 15 აგვისტოს სულთან მეჰმედ IV- ის ბრძანებით ყარსის, არტაანისა და ბათუმის ოლქები ოსმალეთის სახელწიფოს შემადგენლობაში გამოცხადდა. (მ.სვანიძე თურქეთის ისტორია, გვ.368). გამომდინარე იქედან, რომ სამხრეთ კავკასიის მუსლიმი მოსახლეობა მაინც ოსმალეთის მხარეს იჭერდა და ვერ მოხერხდა ჯეროვანი წინააღმდეგობის გაწევა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მხრიდან, ოსმალეთს შესაძლებლობა მიეცა გაეგრძელებინა „ დიდი თურანის“ აღდგენის გეგმა. „რეგიონის, თუნდაც ნაწილის გადარჩენა ოტომანთა იმპერიის შთანთქმისაგან მხოლოდ მნიშვნელოვანი ტერიტორიული დათმობების ზავზე გაცვლაში ხვეწნით დაყოლიებით შეიძლებოდა“ - წერს ენდრიუ ანდერსენი - „ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მიხედვით დანაკარგი (ყარსი, არტაანი და ბათუმი) მინიმალური საფასური იქნებოდა კავკასიაში ქართველი და სომეხი ხალხების განადგურებისაგან გადასარჩენად“. (ანდერსენი, 2020,გვ 106).

და მაინც, გერმანული ჯარების საქართველოს ტერიტორიაზე ყოფნა ოსმალებს თავისი გეგმების განხორციელებაში ხელს უშლიდა. ქართველმა დიპოლომატებმა შესანიშნავი პოლიტიკურად აზომილი და შორს გამიზნული ნაბიჯი გადადგეს, როდესაც გერმანიასთან თანამშრომლობის ინიციატივით გამოვიდნენ. რა თქმა უნდა, გერმანიას თავისი ინტერესები

ჰქონდა საქართველოში, მაგრამ საქართველოს მთავრობას ერთადერთი გზა თურქეთის აგრესიისაგან და გასაბჭოების საშიშროების თავიდან ასარიდებლად- გერმანიასთან ალიანსი იყო. გერმანიის ჯარების არსებობამ საქართველოში ხელი შეუშალა ოსმალეთს საქართველოს რკინიგზა დაეკავებინა, რომელიც ბათუმის ხელშეკრულებაში იყო ერთ-ერთ პუნქტად დაწერილი. ოსმალეთი გამოვიდა ინიციატივით კონსტანტინოპოლში გამართულიყო კონფერენცია, რომელზეც განხილული იქნებოდა ბათუმის ზავის პირობები. ქართული დელეგაცია წინააღმდეგი იყო კონფერენციის კონსტანტინოპოლში გამართვის, თუმცა, გერმანიის მხარე მომხრე იყო კონფერენცია კონსტანტინოპოლში გამართულიყო, სადაც განიხილებოდა ახალი რესპუბლიკების ცნობის საკითხი. (ზ. ავალიშვილი,1924, გვ. 123). დელეგაციები გაემგზავრნენ სტამბოლში, თუმცა, კონფერენციის დანიშვნის თარიღი, სხვადასხვა მიზეზთა გამო, მუდმივად იწელებოდა“ სხვადასხვა ხალხისა და სხვადასხვა რესპუბლიკების დელეგატები კონსტანტინოპოლში ისხდნენ ზღვის სანაპიროზე და ელოდნენ უკეთეს ამინდს. „ამინდი“ კი არ იცვლებოდა“ (ზ. ავალიშვილი,1924, გვ. 140). თურქები კონფერენციის ვადების გადაწევის მიზეზად კი ბაქოში შექმნილ სიტუაციას ასახელებდნენ, პირველ რიგში, ბაქოში შექმნილი სიტუაციის მოგვარება იყო აუცილებელი. (კაზემზადე, 1951, გვ.152).

ოსმალეთის მთავრობა ამ დროს საბჭოთა რუსეთთან ბაქოში პოზიციების დაცვას ცდილობდა. თურქების მიერ ბაქოს აღებას დიდი პროტესტი მოჰყვა საბჭოთა მთავრობის მხრიდან, 1918 წლის 20 სექტემბერს გაგზავნილ ნოტაში თურქეთს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ყარსი, არტაანი, ბათუმის შესახებ შეთანხმების ანულირებით იმუქმრებოდა. (კურატი,2011, გვ.552). 24 სექტემბერს შედგა ქართული დელეგაციის შეხვედრა თალათ ფაშასთან. შეხვედრის ერთ-ერთი მონაწილე, ზურაბ ავალიშვილი როგორც იხსენებს, თურქები განსაკუთრებული თავაზიანობით შეხვდნენ. თალათ ფაშა ქართველებს სადავო საკითხების მოგვარებას აღუთქვამდა და ცდილობდა, დაერწმუნებინა,რომ გერმანიის პროტექტორატზე მეტად თურქეთის მეკავშირეობა უფრო მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის. (ზ. ავალიშვილი,1924, გვ. 151). ამასობაში საბჭოთა რუსეთმა ოფიციალურად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა, მანამდე კი, 1918 წლის 13 ნოემბერს, საბჭოთა რუსეთის ცენტრალურმა აღამასრულებელმა კომიტეტმა გააუქმა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება. „რუსეთის, ლიფლანდიის, ესტლანდიის, პოლონეთის, ლიტვის,

უკრაინის, ფინეთის, ყირიმისა და კავკასიის მშრომელთა კლასი თავისუფალნი არიან გერმანიის წნეხისა და ამ კაბალური ხელშეკრულებისაგან, რომელიც გერმანელი სამხედროების მიერ იყო ნაკარნახევი და თავისუფალი არიან გადაწყვიტონ თავიანთი ბედიო“ ნათქვამია დადგენილებაში. (კლუჩნიკოვი&საბანინი,1926, გვ 198).

4.3 ვითარება ოსმალეთში მუდროსის დროებითი ზავის შემდეგ

ბაქოს აღებით ოსმალეთი თვლიდა, რომ დიდი თურანის გეგმა შესრულდა, თუმცა, ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ომში შეიცვალა. ბულგარეთის მარცხის შემდეგ ჯერი ოსმალეთზე მიდგა. ქვეყანა ეკონომიკურად დაუძლურებული იყო, ამას შიდა პოლიტიკური დაპირისპირებები დაერთო, შიდა არეულობამ მოიცვა ოსმალეთი. მუდმივად ხდებოდა მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევები და აწიოკება. არმია დემორალიზირებული იყო, ენვერ ფაშას პრესტიჟიც უკვე შერყეული იყო. ბულგარეთის დამარცხების შემდეგ ინგლისისა და საფრანგეთის ჯარის შეტევის საფრთხის წინაშე დადგა ოსმალეთი. 1918 წლის 30 ოქტომბერს, მუდროსის ყურეში, ოსმალეთი იძულებული გახდა ხელი მოეწერა კაპიტულაციისთვის. ზავი 25 ხუთი პუნქტისაგან შედგებოდა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი შემდეგი პუნქტები იყო:

1. დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების გახსნა და შავ ზღვაში თავისუფალი მიმოსვლის უზრუნველყოფა. მეკავშირეების მიერ დარდანელისა და ბოსფორის სრუტეების ოკუპირება;
2. ოსმალეთის არმიის დაუყოვნებლივი დემობილიზაცია, გარდა იმ საჯარისო შენაერთებისა, რომელსაც ევალება საზღვრების და შიდა წესრიგის დაცვა;
3. ყველა იმ ხომალდის გადაცემა, რომელიც იმჟამად ოსმალეთის წყლებში იდგა და ოსმალების ხელში იყო;
4. მეკავშირე სახელმწიფოებს ჰქონდათ უფლება ყველა სტრატეგიული პუნქტების ოკუპაცია განეხორციელებინათ იმ შემთხვევაში, თუ საფრთხე შეექმნებოდა მეკავშირეთა უსაფრთხოებას;
5. მეკავშირეთა ხომელდებს უფლება ჰქონდათ ესარგებლათ პორტებითა და სადგურებით, რომელიც დაკავებული იყო ოსმალების მიერ, მათ კი ეკრძალებოდათ ამ პორტებით სარგებლობა;

6. ოსმალეთის ჯარს დაუყოვნებლივ უნდა დაეტოვებინა სამხრეთ კავკასიის ნაწილი, დარჩენილი საჯარისო შენაერთები კი მას მერე დატოვებდნენ ტერიტორიას, თუ ამას მეკავშირეები ადგილზე სიტუაციის შესწავლის შემდეგ საჭიროდ ჩავთვლიდნენ;
7. მეკავშირე ოფიცრები დაინიშნებიან რკინიგზის იმ მონაკვეთების გასაკონტროლებლად, რომელიც არის სამხრეთ კავკასიაში და ახლა თურქეთის კონტროლის ქვეშ არის, მეკავშირეებს უფლება ეძლევათ თავისუფლად გამოიყენონ მიმოსვლისთვის რკინიგზა. გამომდინარე აქედან, მეკავშირეებს უფლება ჰქონდათ დაეკავათ ბათუმი. ოსმალეთს უფლება არ ჰქონდა გამოეთქვა პრეტენზია მეკავშირეთა მიერ ბაქოს ოკუპაციასთან დაკავშირებით. (საბანინი&კლუჩნიკოვი, 1926, გვ 199,200).

პორტ მუდროსში დროებითი ზავის ხელმოწერის შემდეგ ოსმალეთის იმპერიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და დანებდა ანტანტის სახელმწიფოებს. ახალგაზრდა თურქების ერთობისა და პროგრესის პარტიის ტრიუმვირატი, რომელიც წლების განმავლობაში სათავეში ედგა სახელმწიფოს - თალათ ფაშა, ჯემალ ფაშა და ენვერ ფაშა საზღვარგარეთ გაიქცნენ. (
გასტრანიანი & ორეშკოვა& პეტროსიანი, 1983, გვ. 162). 1918 წლის 8 დეკემბერს ანტატის სახელმწიფოთა გაერთიანებული ჯარი შევიდა სტამბოლში, შეიქმნა მეკავშირეთა გაერთიანებული ადმინისტრაცია. 1919 წლის მარტის დასაწყისში სახელმწიფოს სათავეში მოვიდა თავისუფლებისა და თანხმობის პარტია, რომელიც ინგლისის მხარდამჭერი იყო. სულთნის ბრძანებით დაითხოვეს დეპუტატთა პალატა. სულთნის დავალებით დაიწყო ახალგაზრდა თურქების მთავრობის დევნა. 8 თებერვალს ფრანგი გენერალი ფრანშე დესპრი (Franshet dEsperey), როგორც მეჰმედ დამპყრობელი, ისე შევიდა ქალაქში ბერძნების ნაჩუქარ თეთრ ცხენზე ამხერდებული (ბერნარი., ლ, 1968, გვ 240). 1919 წლის 26 ნოემბერს სასამართლომ ენვერ და ჯემალ ფაშა დამნაშავეებად გამოაცხადა. (ბერნარი., ლ, 1968, გვ. 242). ანტანტის ფლოტი შევიდა სრუტეებში და ინლისელებმა მოსულსა და ისკენდერუნის ოკუპაცია მოახდინეს. ფანგებმა დაიკავეს ოსმალეთის ჩრდილოეთი, სირიიდან მოყოლებული, იტალიამ - სამხრეთ აღმოსავლეთ ანატოლია, კონიის ჩათვლით. გარდა ამისა, 1919 წლის 15 მაისს ბერძნების არმია, ანტანტის თანხმობით, შევიდა იზმირში.(გასტრანიანი & ორეშკოვა& პეტროსიანი, 1983, გვ.166). სამხრეთ კავკასიაში ბრიტანეთის საოკუპაციო ნაწილები შევიდნენ. ბრიტანული ჯარის სარდალმა უილიამ მონტგომერი

ტომსონმა თურქეთის ჯარს მოსთხოვა სასწრაფოდ დაეცალათ ბაქო და შემდეგ, ერთ თვეში კი, მთელი სამხრეთ კავკასია. (ა.ჩაჩხიანი,2013, გვ 260) „ოსმალეთის იმპერია დამარცხდა,

ოსმალეთის ჯარი ჩამოიშალა და დაიქსაქსა, სახელმწიფო იძულებული გახდა ხელი მოწერა ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულებას, რომელიც ოსმალეთისთვის კაბალურ პირობებს მოიცავდა. ხანგრძლივი ომისგან ხალხი დაღლილი და გაღარიბებული იყო. ისინი, ვინც ერი და ქვეყანა მსოფლიო ომში ჩააბეს, საუთარი თავის გადარჩენის მიზნით, ქვეყნიდან გაიქცნენ. სულთანი მხოლოდ ტახტის და ხალიფატის გადარჩენაზე ფიქრობდა. მთავრობა, რომელსაც დამათ ფერიდ ფაშა ედგა სათავეში, იყო პატივაყრილი, უძლური, მშიშარა და მხოლოდ ფადიშაჰის სურვილების მორჩილი .“ (მუსტაფა ქემალ ათათურქი, 1981, გვ.1)

V თავი - თურქ ნაციონალისტებისა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკებების დაწყება

5.1 ეროვნულ -განათავისუფლებელი ბრძოლის დაწყება ანატოლიაში

თანდათან ძლიერდებოდა უკმაყოფილება თურქ მოქსახლეობას შორის. 1919 წლიდან დაწყებულმა რევოლუციურმა განწყობამ მთელი ანატოლა მოიცვა. თითქმის ყველა რაიონში ჩნდებოდნენ პარტიზანული რაზმები, რომელიც პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ ოკუპანტების წინააღმდეგ. (
გასტრანიანი & ორეშკოვა& პეტროსიანი, 1983, გვ166). ოსმალეთი სრული განადგურების წინაშე იდგა, ამიტომ, მნიშვნელოვანი იყო, რომ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობის ლიდერად ისეთი პიროვნება მოსულიყო, რომელიც არა მხოლოდ კარგი მხედართმთავარი, არამედ, შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც იქნებოდა. ეროვნულ -განმათავისუფლებელ მოძრაობას სამი გამორჩეული მხედართმთავარი ჩაუდგა სათავეში - მუსტაფა ქემალ ათათურქი, ქიაზიმ ყარაბექირი და ალი ფუად ჯებესოი, თუმცა, ათათურქმა მალევე შეძლო მათ შორის უპირატესობა მოეპოვებინა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთპიროვნული ლიდერი გახდა. „ მუსტაფა ქემალ ფაშა სოციალისტი არ არის, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგი ორგანიზატორია, ნიჭიერი მხედართმთავარი, უძღვება ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ რევოლუციას, პროგრესულად განწყობილი ადამიანია, ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწე. მიხვდა, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი სოციალისტური რევოლუცია და დადებითად არის განწყობილი საბჭოთა რუსეთის მიმართ. ეროვნულ - განმათავისუფლებელ ბრძოლას უძღვება დამპყრობლების წინააღმდეგ. დარწმუნებული ვარ,

რომ იპერიალისტებს დაამარცხებს და სასულთნოსაც, მთელ თავის ხროვასთან ერთად, გაანადგურებს“ - ასე აფასებდა ვ. ლენინი მუსტაფა ქემალ ათათურქს. (არალოვი, 1960. გვ. 36) „საუკუნეში ერთხელ იბადება გენიოსი, რას წარმოვიდგენდი, რომ ის პატარა აზიაში მოგვევლინებოდა“ - უთქვამს ლოიდ ჯორჯს ჩერჩილისთვის მუსტაფა ქემალ ათათურქის შესახებ. (ორთაილი, 2019, გვ 444). რომ არა მუსტაფა ქემალ ათათურქის მოქნილი პოლიტიკა და შორსმჭვრეტელობა, ოსმალეთში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა შეიძლება გამარჯვებით ვერ დამთავრებულიყო და ვერ შექმნილიყო თურქეთის თანამედროვე სახელმწიფო.

მუსატაფა ქემალ ათათურქის ინიციატივით 1918 წლის დეკემბერში შეიქმნა წინააღმდეგობრივი პარტიზანული დაჯგუფება - „უფლებათა დაცვის საზოგადოება“ (Müsafaa i Hukuk). (Lewis/ლევისი,1961, გვ 246). 1919 წლის 19 მაისს მუსტაფა ქემალ ათათურქი სამსუნში ჩავიდა. ეს თარიღი ითვლება ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაწყისად. (მ.სვანიძე , 2007, გვ. 377).დაიწყო საპროტესტო მიტინგები, 1919 წლის 23 მაისს სულთან აჰმედის მოედანზე დიდი გამოსვლა მოაწყეს, 28 მაისს ანატოლიაში შეტაკება მოხდა ბერძნულ ჯარსა და თურქ პარტიზანებს შორის. 1919 წლის 20 ივნისს ამასიაში შედგა საიდუმლო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ მუსტაფა ქემალ ათათურქი, რაუფ ბეი, რაფეტ ფაშა [9] და ალი ფუად ჯებესოი. ამ თათბირზე მიღებული იქნა რამდენიმე მნიშვნელოვანი დადგენილება, რომელიც გაუგზავნეს ყველა სამხედრო თუ სამოქალაქო ორგანიზაციას, რომელიც ანტანტის წინააღმდეგ მოძრაობაში იყო ჩაბმული: 1. ქვეყნის სუვერენიტეტი საფრთხის ქვეშ არის. 2. სტამბოლის მთავრობა დაკისრებულ მოვალეობებს არ ასრულებს.3. ქვეყნის დამოუკიდებლობას თავად ერი უზრუნველჰყოფს. 4. აუცილებელია შეიქმნას ეროვნული მთავრობა, რომელიც თურქი ერის მოთხოვნებს გააჟღერებს. 5. სივასში მოწვეული იქნას ეროვნული კონგრესი.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყებისთანავე აუცილებელი გახდა ბრძოლაში მეკავშირის ძიება. ამ დროს არც საბჭოთა რუსეთში სუფევდა მშვიდი ვითარება. ანტონ დენიკინის მეთაურობით თეთრგვარდიელთა კონტრევოლუციური მოძრაობა დიდ

[9] დაიბადა 1881 წელს, სალონიკში. პირველი მსოფლიო ომის დროს იბრძოდა პალესტინის ფრონტზე.ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების დროს მხარში ედგა მუსტაფა ქემალ ათათურქს. მონაწილეობდა სივასი კონგრესში, 1919 წელს. მონაწილეობდა ბერძნების წინააღმდეგ სამხრეთის ფრონტში. გარდაიცვალა 1963 წ.

საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა რუსეთის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, პოლონეთთან კვლავ გრძელდებოდა ომი. ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებში მეკავშირეთა ფლოტილია შევიდა, ბაქო და ბათუმი ბრიტანეთის პროტექტორატის ქვეშ გადავიდა და საბჭოთა რუსეთის სამხრეთ საზღვარს დიდ საფრთხეს უქმნიდა. 1918 წლის 21 ნოემბრის შემდეგ შავიზღვისპირეთი ინგლისელებისა და ფრანგების კონტროლის ქვეშ გადავიდა. ფრანგ მეკავშირეებთან ერთად ოდესაში ბერძნული საჯარისო შენაერთებიც გამოჩნდნენ ბოლშევიკებისაგან რეგიონის დაცვის მიზნით. ამავე პერიოდში, დაახლოებით, დეკემბერში, სტამბოლში ჩამოვიდა დროებითი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი, პავლე მილუკოვი და მეკავშირეებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებას ითხოვა. (კურატი, 2011, გვ 590). ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში ოსმალეთის გამოყენებას მეკავშირეებიც ცდილობდნენ. 1919 წლის აპრილში, სტამბოლში, ბრიტანეთის დაზვერვის ოფიცერი ბენეთი, რომელიც მუსტაფა ქემალ ათათურქს შინ ეწვია და დენიკინთან ერთად ბოლშევიკების წინააღმდეგ ერთად ბრძოლა შესთავაზა, სამაგიეროდ, თრაკიისა და სტამბოლის დატოვებას დაჰპირდა. (Yerasımos/იერასიმოსი, 2000, გვ. 102). ბრიტანელების მიერ ოსმალეთის სამხედრო ძალის საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გამოყენება თურქი რეაქციული ძალების წისქვილზე ასხამდა წყალს. რაუფ ბეი, რომელიც მუდროსში შეხვედრებს ესწრებოდა, ამბობდა, რომ თურქეთისა და ინგლისის ერთობა თურქეთს 1876 წლის კავკასიის საზღვრებში დაბრუნებას უზრუნველჰყოფს. (Shamsudınov/შამსუტდინოვი, 1996, გვ. 35). ცხადი იყო, რომ ოსმალეთში ანტანტის წინააღმდეგ წამოწყებული ბრძოლა ბრიტანეთის ახლო აღმოსავლეთში ჰეგემონობას საფრთხეს უქმნიდა, ამიტომაც ცდილობდა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მოძრაობის ახალი ლიდერები და აქტიურად აკვირდებოდა მიმდინარე მოვლენებს. „ვერც გენერალმა დენიკინმა და ვერც გენერალმა ვრანგელმა და ვერც ადგილობრივმა ძალებმა კავკასიაში ანარქია ვერ აღკვეთეს. ბოლშევიკები, კი, თავისი პროპაგანდით, ცდილობდნენ სიტუაცია კონტროლის ქვეშ მოექციათ. იმ დროს ინგლისს აღმოსავლეთში სწორი პოლიტიკა რომ ჰქონოდა, დენიკინის და ვრანგლერის ჯარები იქ ცარისტული რეჟიმის აღდგენას ვერ შეეცდებოდნენ, უფრო მეტიც, აჰმედ იზეთ ფაშას თურქი სამხედრო ნაწილების დახმარებით კავკასიის ფედერაციას შეექმნიდა და ამგვარად, აღმოსავლეთში რუსეთიდან წამოსული საფრთხის წინააღმდეგ ძლიერი დასაყრდენი გვექნებოდა“ - ჯერს მემუარებში ალი ფუად ჯებესოი. (ჯებესოი, 1982, გვ .8). 1919 წლის დასასრულს, როდესაც წითელმა არმიამ

გაანადგურა თეთრი მოძრაობა და უკვე დღის წესრიგში დადგა საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებების დაწყების აუცილებლობა.(ანდერსენი, 2020, გვ.233).

5.2 ქემალისტებისა და ბოლშევიკების ალიანსის წინაპირობები

ამ პოლიტიკურმა ძვრებმა ერთგვარი ბიძგი მისცა საბჭოთა რუსეთსა და თურქ ნაციონალისტებს შორის ურთიერთობის დაწყებას. როგორც თურქი ნაციონალისტებისათვის, ასევე, ბოლშევიკებისათვის ანატოლიაში წამოწყებული „იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის“ ფარგლებში პროლეტარიატის გავრცელების კარგი საშუალება იყო, ამიტომ, ქემალისტებთან ალიანსი ბოლშევიკებისთვისაც სავსებით მისაღები იყო. სტალინი თავის სტატიაში „С Востока свет” წერს: „თანდათანობით შეუპოვრად მიემართება განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ოკუპირებულ ოლქებში.... ბურჟუაზიული ნაცილონალიზმის ლოზუნგი „მთელი ძალაუფლება ნაციონალურ ბურჟუაზიას“ შეიცვალა ლოზუნგით - „მთელი ძალაუფლება ჩაგრული ერების მშრომელთა მასებს!“. ერთი წლის წინ, ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობა ამავე ლოზუნგით მიმდინარეობდა. იმ დროს შექმნილი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური „სახელმწიფოები“ ცდილობდნენ რა რუსეთიდან წამოსული სოციალისტური მოძრაობის ტალღის შეჩერებას, საბჭოთა ხელისუფლებას ომი გამოუცხადეს... გერმანიის იმპერიალიზმმა საზღვრებზე მიმდინარე განმათავისუფლებელი მოძრაობა შეაჩერა და ძალა გადაიწონა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ „სახელმწიფოებზე“. ახლა, კი, გერმანული იმპერიალიზმის განადგურების და საოკუპაციო ჯარების განდევნის შემდეგ განმათავისუფლებელი მოძრაობა ისევ გაჩაღდა, კიდევ უფრო მკაფიო ფორმით.“ (1918 წლის 15 დეკემბრის “Правда” № 273). ასე რომ, ბოლშევიკებისთვისაც თურქ ნაციონალისტებთან თანამშრომლობა „ დასავლური იმპერიალიზმის” წინააღმდეგ ბრძოლაში, ასევე, პერსპექტიული იყო.

ჯერ კიდევ 1918 წელს, სანამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაჩაღდებოდა ანატოლიაში, მაღალი რანგის თურქ სამხედროებში ბოლშევიკებისადმი სტრატეგიული კეთილგანწყობა უკვე შესამჩნევი იყო. თვით ქიაზიმ ყარაბექირი, ინგლისელების ბათუმსა და სამხერეთ კავკასიაში ექსპანსიის შესაჩერებლად ბოლშევიკებთან სტრატეგიულ თანამშრომლობას ემხრობოდა: „კავკასიაში პან-თურქიზმის დაცვისა და ქართული, სომხური

იმპერიალიზმისგან დაცვის მიზნით, საბჭოთა მმართველობას უნდა შევეგუოთ, თუ ასე მოვიქცევით, რეგიონში ყარსი, ბათუმი და არტაანის გარდა, ახალციხე და ბორჩალოც საბჭოთა მმართველობის ქვეშ მოექცევა და საქართველოს ოკუპაციისგან განთავისუფლდება, ამიტომ, მე ბოლშევიკების მხარეს ვარ“- წერს დივიზიის მეთაური ქიაზიმ ყარაბექირი და ასე აგრძელებს : „ბათუმის მაჰმადიანი მოსახლეობის უკანასკნელი იმედი ქართული ტყვეობიდან (!) თავის დასახსნელად ბოლშევიზმის აღიარება არის“ (Karabekir/ყარაბექირი, 1960, გვ 534).

თურქ ნაციონალისტებისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების შეხვედრა უცებ არ მომხდარა. შეხვედრისთვის ნიადაგის მომზადება ოსმალეთში ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ უკვე მზადდება. მარქსიზმის იდეოლოგიამ დიდი გავლენა იქონია ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებზე. 1918 წლიდან აქტიურად ჩნდებიან ასპარეზზე თურქი კომუნისტები მუსტაფა სუფი, სულეიმან სამი, ჰუსეინ ჰილმი და სხვანი. 1918 წელს იქმნება კომუნისტური იდეოლოგიის პარტია Türk Halk İştirakiyun Partisi (თურქეთის სახალხო კომუნისტური პარტია). 1917 წლიდან მუსტაფა სამის რედაქტორობით მოსკოვში გამოდის გაზეთი „ ახალი სამყარო“ (Yeni Dünya), სადაც იბეჭდებოდა იუნუს ნადის სტატიები, რომელშიც საბჭოთა რუსეთსა და თურქეთის დაახლოებისკენ მოუწოდებდა. ამავე გაზეთში იბეჭდებოდა საბჭოთა ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და სიტყვით გამოსვლები. (Vandov/ვანდოვი,1982, გვ. 25). იუნუს ნადი 1919 წელს მოსკოვში ჩასვლასაც ცდილობდა, რათა კავშირი დაემყარებინა საბჭოთა მთავრობასთან და მოეთხრო ოსმალეთში არსებული სიტუაციის შესახებ. იუნუს ნადი, მოგვიანებით, საბჭოთა რუსეთის ელჩთან - ს. არალოვთან შეხვედრისას იმ პერიოდის პოლიტიკურ სიტუაციას ასე იხსენებს: „ჩვენს ყურამდე მოვიდა ინფორმაცია, რომ ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობა ეხმარება დამოუკიდებლობისთვის ბრძოლას, რომელიც აღმოსავლეთში დაიწყო. მათ გამოაქვეყნეს თურქეთის დანაწილების საიდუმლო შეთანხმებები, რომლის მიხედვით ცარისტული რუსეთის, საფრანგეთის, ინგლისისა და იტალიის იმპერიალისტური ზრახვები ჩვენთვის ცხადი გახდა.... ჩიჩერინმა სწორად აღნიშნა, რომ ქვეყნის გადარჩენა ჩვენს ხელშია... რუსეთში რევოლუციამ და ანტანტის სახელმწიფოების ჩვენზე თავდასხმამ თვალები აგვიხილა და დავინახეთ, როგორ ძარცვავდნენ და ანადგურებდნენ იმპერიალისტები აღმოსავლეთის ხალხებს.“ ს. არალოვი იხსენებს, რომ თურქ კომუნისტს პარალელებიც გაუვლია ოქტომბრის რევოლუციასთან და

უთქვამს, რომ ანატოლიაში წამოწყებული ბრძოლა ძალიან ჰგავდა საბჭოთა რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდს. (Aralov/ არალოვი,1960, გვ. 19).

1918 წლის 4 ნოემბერს მოსკოვში ტარდება მუსლიმი ხალხების კომუნისტური პარტიის პლენუმი, რომელსაც ესწრება თურქი კომუნისტი მუსტაფა სუფი. ამ ყრილობაზე სტალინმა სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ მთავარი ამოცანაა ერთიანი რევოლუციური ფრონტის ორგანიზება. 1919 წელს ოსმალეთში დაარსდა სოციალისტური პარტია, რომლის დამფუძნებლები იყვნენ ჰუსეინ ჰილმი(1988-1922) და მუსტაფა სუფი (1888-1921) თავიდან პარტიის ლიდერი ჰუსეინ ჰილმი მარქსისტ-ლენინისტური იდეოლოგიის მომხრე იყო, თუმცა, ბრიტანეთის დაზვერვის მიერ მისი მოსყიდვის შემდეგ ანტანტის სახელმწიფოებთან თანამშრომლობის აუცილებლობაზე საუბრობდა. (ვანდოვი, 1982, გვ. 26).

გერმანიაში გახიზნული ტრიუმვირატის ლიდერები - ენვერ ფაშა, თალათ ფაშა და ჯემალ ფაშა გერმანიაში 1919 წელს შეხვდნენ გულმხურვალე გერმანელ კომუნისტს კარლ რედეკს, რომელიც დაპატიმრებული იყო როზა ლუქსემბურგისა და კარლ ლინეხტის მიერ ორგანიზებულ აჯანყებაში მხარდაჭერისთვის. რედეკი, როგორც ჩანს, ისე მოიხიბლა ენვერ ფაშასთან შეხვედრით, რომ მას მერე, რაც ის ციხიდან გაანთავისუფლეს, აქტიურად ჩაება თურქეთისა და ინტერნაციონალის დაახლოების პროცესში. ენვერ ფაშას მთელი მეცადინეობა 1919-1920 წლებში მიმართული იყო ისლამური ქვეყნების ინტერნაციონალთან დაახლოებასა და საბჭოთა რუსეთთან ერთად ისლამურ სამყაროში ბრიტანული იმპერიალიზმი დაემარცხებისაკენ. (Savran/სავრანი, 2020, გვ 51).

5.3. საიდუმლო მოლაპარაკებები მუსტაფა ქემალ ათათურქთან

სხვადასხვა მოსაზრება არსებობს როდის მოხდა ბოლშევიკებისა და თურქი ნაცილონალისტების პირველი შეხვედრა. ცხადია, 1918 წლის დასასრულს თურქი ნაციონალისტები ბოლშევიკებთან უკვე კავშირების დამყარების ძიებაში იყვნენ ამ პერიოდში მოწმობს ქიაზიმ ყარაბექირისადმი მაიორი ჰუსრევის მიერ ჰავზადან გაგზავნილი საკმაოდ ვრცელ წერილი, რომელშიც ის წერს, რომ „ბოლშევიკობა იმპერიალისტების უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთიანობის საფუძველი შესაძლებელია რომ გახდეს.“ (ყარაბექირი, 1960, გვ.75). თავად ქაზიმ ყარაბექირი ბოლშევიკებთან თანამშრომლობის პერსპექტივას თავიდან ეჭვის თვალით უყურებდა, თუმცა, მუსტაფა

ქემალ ათათურქი ფიქრობდა, რომ „ოსმალეთი კავკასიაში ბოლშევიკებიკების გასვლას თუ ხელს შეუწყობს და მათთან ერთობლივად ვიმოქმედებთ დასავლეთიდან აღმოსავლეთის მიმართულებით ანატოლიაში, სირიაში, ერაყში, ირანში, ავღანეთსა და ინდოეთში ყველა კარი გაიღება“. ყარაბექირი ათათურქის ამ განცხადებას საფუძველმოკლებულს უწოდებს, რადგან, როგორც ამბობს: „ როგორ ვიქნებით დარწმუნებული, რომ ბოლშევიკები დენიკინის არმიას რომ დაამარცხებენ, კავკასიაში არ შევლენ, ან აზერბაიჯანი და საქართველოს მთავრობები ბოლშევიკებს არ გაურიგდებიან ან შიდა გადატრიალებას არ მოაწყობენ... მთავარია, ბოლშევიკებთან ახალი ფრონტი არ გავხსნათ და აღმოსავლეთის ფრონტზე მათთან ვითანამშომლოთ, სომხებისა და ქართველებისგან წამოსული საფრთხისაგან დავიცვათ და აღმოსავლეთში განლაგებული ჩვენი სამხედრო ნაწილები დასავლეთში გადავისროლოთ, ასევე, ბოლშევიკებისაგან დახმარების სახით იარაღი, ტყვია-წამალი და ფული მივიღოთ. ამიტომ, ანატოლიაში ბოლშევიკებისთვის წინასწარ კარის გახსნა და თავის საფრთხეში ჩაგდება რა საჭიროა“ - წერს ყარაბექირი. –„ ათათურქი და კიდევ ზოგიერთი ოფიცერი ბოლშევიკობის გულხურვალე მომხრეა, მე კი ჩემი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით რამდენჯერმე წერილობითაც განვაცხადე, რომ, თუკი შეცდომას დავუშვებთ, ჩვენს ინტერესებს ბოლშევიკებს გავათელინებთ ფეხქვეშ.“ (ყარაბექირი, 1960. გვ476).

პირველი კონკტრეტული კავშირები 1919 წლის გაზაფხულიდან უკვე შეინიშნება. ბოლშევიკებისათვის ალი ფუად ჯებესოი თალათ ფაშას მიერ მუსტაფა ქემალ ათათურქისადმი 1919 წლის დასასრულს გაგზავნილ წერილს იხსენებს, რომელშიც ის წერს, რომ ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ დიდი აღტაცება გამოიწვია. გერმანიაში მყოფი ბოლშევიკების მეთაურები თურმე, თალათ ფაშას თქმით, თანახმანი არიან ეროვნულ მოძრაობას დახმარება აღმოუჩინონ. ამ მიზნით, ენვერ და ჯემალ ფაშა რუსეთში გაემგზავრნენ და ელოდებიან მუსტაფა ქემალ ფაშასგან შემდგომ დირექტივებს. (Cebesoy/ჯებესოი, 1953, გვ. 42). თურქი ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების პირველი კავშირები ზუსტად ამ დროს იკვეთება, კონკრეტულად, კი - ჰავზაში. მუსტაფა ქემალ ათათურქისა და უცნობი ბოლშევიკის შეხვედრას რომ ფუჭად არ ჩაუვლია, ამას მოწმობს თურქეთის არმიის დაზვერვის მეთაურის ჰუსამეთინ ერთურქის მოგონება: „მუსტაფა ქემალს კარგად ჰქონდა გააზრებული რაოდენ რთულ და ბარიკადებით სავსე გზაზე იდგა. ერთ შეცდომასაც კი შეიძლება მიზნები გაეცამტვერებინა. ერთიანი

ნაციონალური მოძრაობის წამოსაწყებად გამბედაობა, ბრძოლისათვის იარაღი და ტყვია-წამალი იყოს საჭირო. ეს ყველაფერი საიდან და ვისგან უნდა მიგვეღო? უნდა ყოფილიყო ისეთი ქვეყანა, რომელიც ინგლისის აზიაში ექსპანსიის წინააღმდეგი იყო და რბილ პოლიტიკას აწარმოებდა. იძულებული ვიყავით ისეთ ქვეეყანაზე გაგვეკეთებინა არჩევანი, რომელიც გამარჯვებული ქვეყნების წინააღმდეგ იარაღითა და ფულით დაგვეხმარებოდა. ჰავზაში გამართული შეხვედრების შემდეგ მუსტაფა ქემალი ახალ გზაზე დაგდა, შეხვედრების შემდეგ რუსეთისგან დახმარება უზრუნველყოფილი გვქონდა“. (Semih/სემიჰი, 2012, გვ,351).

ჰუსამეთინ ერთურქის მოგონებებზე დაყრნობით რამდენიმე მკვლევარი მიიჩნევს, რომ მუსტაფა ქემალისა და რუსი ბოლშევიკების პირველი შეხვედრა ჰავზაში, მაისში ან ივნისში უნდა მომხდარიყო. შევედრას რუსი ბოლშკევიკის ვინაობის დასადგენად რამდენიმე მკვლევარის მოსაზრებას მოვიყვანთ. რუსი მკვლევარი სტანისლავ ტარასოვი თვლის, რომ ეს სემიონ ბუდიონი უნდა ყოფილიყო, რომელიც სტალინის მიერ იყო გაგზავნილი მოსალაპარაკებლად. (Тарасов/ტარასოვი, 2009, https://regnum.ru/article/1160915). სხვა მოსაზრებით, ჰავზაში მართლა მოხდა შეხვედრა, მაგრამ არა ბოლშევიკებთან, არამედ ოდესიდან წამოსულ თურქ კომუნისტებთან, მუსტაფა სუფის მეთაურობით, სადაც განხილული იქნა ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლისთვის დახმარების პერსპექტივები. ამ შეხვედრის შემდეგ, როგორც სტეფანოს იერასიმოსი წერს, დელეგატები ისევ ოდესაში დაბრუნდნენ. თუმცა, დენიკინის რაზმების თავდასხმების გამო, მუსტაფა სუფის ჯგუფი მე-12 წითელ არმიას შეუერთდა და მოსკოვში გაიქცა. (იერასიმოსი,2000, გვ 103,104). რუსი ავტორი ალექსანდრე კოლესნიკოვი ზუსტ თარიღს ვერ ასახელებს, თუმცა, ემხრობა იმ აზრს, რომ რომ ბოლშევიკებისა და თურქი ნაციონალისტების ურთიერთობა, ასევე, 1919 წლის მაისში იწყება. (Kolesnikov/კოლესნიკოვი,2010, გვ 27). ათათურქის ბიოგრაფიის ავტორს - ალექსანდრე უშაკოვს მიაჩნია, რომ შეხვედრა ჰავზაში კი არა, ამასიაში მოხდა. როგორც ის წერს, ამასიაში „მუსტაფა ქემალი პირველად ალაპარაკდა ბოლშევიკებთან ტაქტიკური თანამშრომლობის შესახებ. არაფერი იყო გასაკვირი იმაში, რომ ქემალი, რომლისთვისაც კომუნისტური იდეოლოგია საერთოდ მიუღებელი იყო, მაინც თანახმა იყო ბოლშევიკებთან თანამშრომლობაზე... რადგან თვლიდა, რომ კომპრომისზე წასვლა აუცილებელი იყო“.

ავტორი არ იზიარებს აზრს, თითქოს ათათურქი, 1919 წელს, ჰავზაში სემიონ ბუდიონს შეხვდა. რომელიც მას ფულსა და შეიარაღებას შეპირდა. ამ ყველაფერთან ერთად, სემიონმა ათათურქს კომუნისტობაც შესთავაზა, როგორც ავტორი წერს: „რათა გაებედნიერებია თურქი ძმები სისხხლისმსმელ ბურჟუებთან ბრძოლაში ნათელი მომავლისთვის“. უშაკოვის ეს მოსაზრება საფუძველსმოკლებულია, რადგან თავად ათათურქი, მოგვიანებით, 1921 წლის 3 იანვარს მეჯლისის ტრიბუნასთან გამოსვლისას იტყვის, რომ არც არავის მოუთხოვია კომუნისტობა იმისათვის, რომ პარტნიორობა დაწყებულიყო, ისევე, როგორც „ჩვენ არ გვთქვამს, რომ გადავწყვიტეთ გავხდეთ კომუნისტები, იმისათვის, რომ მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ“. (ათათურქი, 10, 2004, გვ.248). ავტორი თვლის რომ ბოლშევიკების წარმომადგენელი ბუდიონი ნაკლებად იქნებოდა რადგან „ლენინს და ტროცკის ნაკლებად სავარაუდოა, რომ მსგავს მნიშვნელოვანი შეხვედრაზე გაეგზავნათ კავალერისტი, რომელიც რუსულად ძლივს მეტყველებდა, მაშინ, როცა მის ადგილას შესაძლებელი იყო სხვა, უფრო ჭკვიანი ადამიანები აღმოჩენილიყვნენ.“ (Ушаков/უშაკოვი, 2002, გვ,160, 161). საბჭოთა რუსეთისა და ათათურქის ურთიერთობების ისტორიის მკვლევარი, მეჰმედ ფერინჩეკი ასევე არ იზიარებს იმ აზრს, რომ თურქ ნაციონალისტებსა და ბოლკშევიკების წარმომადგენელს შორის შეხვედრას საბჭოთა ხელისუფლებიდან სემიონ ბუდიონი[10] (1883- 1973) ესწრებოდა. 1919 წლის ივლისში ბუდიონი კავალერიის მეთაურად დანიშნეს და თავისი მოვალეობებიდან გამომდინარე თურქეთში ვერ ჩამოვიდოდა. მისი მტკიცებით, ეს ბუდუ მდივანი (1877-1937) უნდა ყოფილიყო. „მისი სახელი არასწორად იქნა გაგებული და ვინაობა უფრო უცნობ პიროვნებას, ბუდიონს მიაწერეს“- წერს ავტორი. ბუდუ მდივანს წლების განმავლობაში მაღალი თანამდებობები ეჭირა, 1920 წელს კი საბჭოთა კავშირის ელჩად ოსმალეთში იყო მივლენილი, აქედან გამომდინარე, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ ათათურქი სწორედ ბუდუ მდივანს შეხვედროდა. (Perinçek/პერინჩეკი,2007, გვ 35). საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთობის კიდევ ერთი მკვლევარს, დიმიტრი ვანდოვს მიაჩნია, რომ საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი, რომელსაც ათათურქი 1919

[10] დაიბადა როსტოვის ოლქში ღარიბ გლეხის ოჯახში. მონაწილეობას ითებრდა 1904-1905 წლების რუსეთ-იაპონიის ომში. 1906-1914 წლებში მსახურომდა ვლადივოსტოკში კავალერიის პოლკში. 1918 წელს ბუდიონმა შექმნა კავალერისტთა რაზმი, 1919 წელს კი კავალერიის ბრიგადის მეთაური გახდა. 1918-1919 წლებში მსახურობდა ცარიცინოსთან. 1919 წლის მარტიდან კავალერიის დივიზიის მეთაური გახდა. 1923 წლამდე აქტიურად იღებდა მონაწილეობას დენიკინისა და ვრანგელის არმიების განადგურებაში. 1937 წლიდან საბჭოთა კავშირის მარშალი.

წლის მიწურულს შეხვდა, იყო შალვა ელიავა (1883-1937). საფუძველს მოკლებული ეს მოსაზრება არ უნდა იყოს, რადგან შალვა ელიავა 1919 წელს საბჭოთა რუსეთის აღმასრულებელი კომიტეტის თურქესტანის საქმეთა კომისიის თავმჯდომარე იყო. 1920 წელს კი ოსმალეთსა და ირანში რუსეთის სრულუფლებიან წამომადგენლად დაინიშნა, თუმცა, ავადმყოფობის გამო მოვალეობების შემსრულებლად იან უპმალი (1893-1938) გააგზავნა. საბჭოთა რუსეთის თურქ ნაციონალისტებთან მოლაპარაკებებში წარმომადგენელი რომ შალვა ელიავა იყო ამას ალი ფუად ჯებესოიც ადასტურებს. „სტამბოლში ფარულად ჩამოსული რუსი მეთაური“ - ასე ასათაურებს ამ თავს და წერს: “ ბოლშევიკები, რომლებიც რუსეთის სახელმწფოს სათავეში არიან, ანტანტის ქვეყნებთან სხვადასხვა ფრონტზე საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან. იმისათვის, რომ დაიხსნან აღმოსავლეთი იმპერიალისტებისა და კაპიტალიზმის გავლენისაგან, განაცხადეს, რომ მზად არიან როგორც მატერიალური ასევე სამხედრო დახმარება აღმოუჩინონ. სივასის კონგრესის შემდეგ (1919 წლის 4 სექტემბერი) სტამბოლში ფარულად ჩამოვიდა საბჭოთა რუსეთის მსტოვარი, კავკასიის ბოლშევიკური რაზმების მეთაური ამხანაგი შალვა ელიავა, იმისათვის, რომ ოსმალეთში შექმნილ მდგომარეობაში გარკვეულიყო. შალვა ელიავა სტამბოლში მყოფი ჩვენი პატრიზანული მოძრაობის წამრომადგენლების დახმარებით ჩვენ დაგვიკავშირდა და განაცხადა, რომ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძლაში მზად არიან მხარი დაუჭირონ თურქ ხალხს.“ (ჯებესოი,1982, გვ 76). ალი ფუად ჯებესოი კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტს იხსენებს, რომელიც ასევე, საბჭოთა რუსეთთან მოლაპარაკებების პირველ მცდელობას უკავშირდება. ეს ფაქტი შეეხება ბერლინში მომხდარ ამბავს, სადაც თალათ ფაშას დაუკავშირდა მესამე ინტერნაციონალის ერთ-ერთი წარმომადგენელი კარლ რედეკი,რომელმაც ჯემალ ფაშასა და ენვერ ფაშას მოსკოვში გაგზავნა ითხოვა და ანატოლიაში ამ ორ გენერალს დახმარება აღუთქვა. ჯემალ ფაშა და ენვერ ფაშა სხვადასხვა დროს მოსკოვში გაემგზავრნენ. ალი ფუად ჯებესოის მემუარებში ამ მოლაპარაკებების დაწყების ნიშნად მოჰყავს ჯემალ ფაშას წერილი, რომელშიც ის წერს, რომ რუსები „ელჩს გვიგზავნიან. ეს ელჩი ვინმე ელიავაა, რომელზედაც ამბობენ, რომ პროფესიონალი, სერიოზული ადამიანია. როგორც ჩანს, უნდათ, რომ რუსეთში თქვენგანაც ელჩი გაიგზავნოს. ისინი (რუსები) თვლიან, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის თანამშრომლობის ხელშეკრულებას ხელი აუცილებლად უნდა მოეწეროს.“ (ჯებესოი,1982, გვ 61). ეს წერილი 1920 წლის 11 ივნისით არის დათარიღებული. გამომდინარე იქედან, რომ ბოლშევიკების მთავრობა პირველ ელჩად აუცილებლად გააგზავნიდა ისეთ პიროვნებას,

რომელიც აღმოსავლეთის, კონკრეტულად კი, თურქეთის საკითხებში კარგად გათვიცნობიერებული იყო. შეგვიძლია ვივარაუდოთ, შალვა ელიავა იყო ის საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი, რომელიც ბუდუ მდივანთან ერთად თურქ ნაციონალისტებთან პირველი კონტაქტების დროს ფიგურირებდა.

არ ვიცით ბოლშევიკებისა და ათათურქის პირველ შეხვედრაზე მართლა იყო თუ არა საუბარი ბოლშევიკობის მიღებასთან დაკავშირებით. ზემოთ მოვიყვანეთ ქიაზიმ ყარაბექრის მემუარებიდან ამონარიდი, სადაც ჩანს, როგორ სიფრთხილეს იჩენდა ის ბოლშევიკებთან მიმართებაში. 1919 წელსაც, მას მერე,რაც მოხდა კონკრეტული შეხვედრა ჰავზაში ორ მხარეს შორის, თურქ ნაციონალისტებში ბოლშევიზმის გარშემო კამათი ისევ გრძელდებოდა. ათათურქი ქიაზიმ ყარაბექირს 1919 წლის 16 ივნისს, ზუსტად ჰავზაში გამართული იმ საიდუმლო შეხვედრის შემდეგ წერილს უგზავნის, სადაც ბოლშევიკებთან თანამშრომლობის დაწყების აუცილებლოიბაზე წერს :“ კიდევ ერთხელ მოვითათბირეთ და შევთანხმდით, რომ ბოლშევიზმს, როგორც იდეოლოგიას... რწმენასთან და ტრადიციასთან არანაირი კავშირი არ აქვს და აქედან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. თუმცა, ... აუცილებელია ისე ვიმოქმედოთ, რომ ჩვენი სამშობლო ბოლშევიკების ექსპანსიის საფრთხის ქვეშ არ დავაყენოთ და პარტნიორი ძალები ჩვენი ქვეყნისგან შორს იყვნენ....ნუ დაველოდებით ბოლშევიკებისაგან პირველ წინადადებას, შევარჩიოთ იქაურებიდან სანდო ადამიანი, რომ დავიწყოთ მოლაპარაკებები.“ (ათათურქი, 2000, ტ. 3 გვ.114). როგორც ჩანს, ბოლშევიზმის გარშემო აზრთა სხვადასხვაობა კარგა ხანს გაგრძელდა. 1920 წლის 29 თებერვლის წერილშიც კი, ქემალ ათათურქი, საჭიროების შემთხვევაში, ბოლშევიზმის იდეოლოგიის მიღებას არ გამორიცხავდა. მოვიყვანთ ამონარიდს თალათ ფაშასადმი მიწერილი წერილიდან: „ბოლშევიკებთან ჩვენი თანამშრომშრომლობა საერთო მტრების წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებით შემოიფარგლებოდა... დღესაც ჩვენთვის გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს ფინანსები და სხვა საჭიროებები. ბოლშევიკური პრინციპების აღიარება დღეს შესაძლებელია წარმოუდგენელი იყოს ჩვენთვის, მაგრამ საჭიროების შეთმხვევაში... იმისათვის, რომ ჩვენი სამშობლოს ერთიანობა შევინარჩუნოთ და ჩვენი ხალხი ინგლისის წნეხისაგან დავიხსნათ, გამოსავალი თუ ბოლშევიკების პრინციპების აღიარება იქნება, მიუხედავად დიდი სირთულისა, მაინც უნდა გავითვალისწინოთ რა ძალები გაგვაჩნია და კიდევ ერთხელ დავიფქრდეთ ამ საკითხზე.“ (ათათურქი, ტ. 6 ,2003. გვ. 407).

თურქი ნაციონალისტები მართლაც დიდი დილემის წინაშე იდგნენ. რუს ბოლშევიკებთან თანამშრომლობის პერსპექტივას სიფრთხილით უყურებდნენ, მაგრამ ალტერნატივა პოლიტიკურ ასპარეზზე არ ჩანდა. თურქეთის კომუნისტური პარტიის მესვეურებიც აქტიურად იყვნენ ჩართული საბჭოეთსა და თურქ ნაციონალისტებთან დაახლოების პროცესში. როგორც ზემოთ ვნახეთ, ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ თურქი კომუნისტი მუსტაფა სუფი პირველი იყო, რომელმაც ათათურქთან საბჭოთა რუსეთთან დაახლოების პერსპექტივაზე წამოიწყო საუბარი, თუმცა, ეს აზრი იმთავითვე საფუძველსმოკლებულია, რადგან ათათურქისა და მუსტაფა სუფის შეხვედრა 1920 წლის აგვისტოში მოხდა, და ეს მუსტაფა სუფის სტალისნისადმი გაგზავნილ პატაკში აქვს აღწერილი. ამ აზრს რუსეთ-თურქეთის ურთიერთობების მკვლევარი მეჰმედ ფერინჩეკიც ავითარებს და ჩვენც ვეთანხმებით.

თურქ ნაციონალისტებში აზრთა სახვადასხვაობა უყურადღებოდ არ დარჩენიათ რუს კომუნისტებს. ჩვენ მიერ ზემოთ ნახსენებ ათათურქისა თურქ კომუნისტთან შეხვედრაზე მუსტაფა სუფი ამბობს, რომ „ანატოლიის მთავრობა კომუნიზმის იდეოლოგიასგან შორს დგას და მისი პრინციპებისთვის უცხოა, ამან შესაძლოა რუსეთში თურქეთის მიმართ ეჭვები აღძრას. იმისათვის, რომ დარწმუნებული იყოთ, რომ რუსეთი დაგეხმარებათ, ამისათვის თურქეთმა კარი კომუნისტებთან შეხვედრებს ფართოდ უნდა გაუღოს.“ (Perinçek/ფერიჩეკი,2007, გვ. 248). იგივეს აცხადებდა რუსი ბოლშევიკების ერთ-ერთი ლიდერი- გრიგორი ზინოვიევი: „როგორც ჩანს, მუსტაფა ქემალის პოლიტიკა კომუნისტური ინტერნაციონალის პოლიტიკა, ანუ ჩვენი პოლიტიკა არ არის.მაგრამ ჩვენ მაინც მზად ვართ დახმარება აღმოვუჩინოთ აჯანყებას, რომელიც მიმართულია ინგლისის იმპერიალიზმის წინააღდგეგ“ (ჯებესოი,1982, გვ. 27).

ასეა თუ ისე, თურქი ნაციონალისტები რუს ბოლშევიკებთან დაახლოების გზებს ისევ ეძებდნენ. სივასის კონგრესიდან რამდენიმე თვის შემდეგ მუსტაფა ქემალ ათათურქი ჰალილ ფაშას(1882- 1957) რუსეთში მსტოვრად აგზავნის. (ფერინჩეკი,2007, გვ.45) ჰალილ ფაშა I მსოფლიო ომის შემდეგ კავკასიაში მსახურობდა. დაპატიმტებული იქნა ბრიტანელების მიერ. ტყვეობის ადგილთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ალი ფუად ჯებესოი მემუარებში წერს, რომ ის ინგლისელების მიერ დატყვევებული იყო ბექირ აღას ასეულში და, როგორც მკვლევარი იერასიმოსი წერს, ასევე ,ბათუმის

საპატიმროშიც იმყოფებოდა (იერასიმოსი,2000, გვ 107). ჰალილ ფაშასთან ერთად ციხეში ისლამური არმიის მეთაური ნური ფაშაც იმყოფებოდა. 1919 წლის 7 აგვისტოს ციხიდან გაიქცა. გაქცევაში მას საიდუმლო ორგანიზაცია „ყარაქოლი“ დაეხმარა. ალი ფუად ჯებესოის მემუარებში ჰალილ ფაშა ვინმე მულაზიმ შადის ახსენებს, რომელიც უშუალოდ იყო ჩართული მის გაქცევაში. (ჯებესოი,1982, გვ. 170). ჰალილი ფაშა გაქცევის შემდეგ ანკარაში გაემგზავრა, სადაც ის მუსტაფა ქემალ ათათურქს შეხვდა. ამ შეხვედრის შესახებ ალი ფუად ჯებესოის მემუარებიდან თვით ჰალილ ფაშას მონათხრობს მოვიყვანთ: „გვინდა, რომ აღმოსავლეთში გაემგზავრო“ - უთქვამს მუსტაფა ქემალს - „ბოლშევიკებთან ურთიერთობის დამყარებაში უნდა დაგვეხმარო, მათთან კონტაქტის დამყარების შემდეგ უნდა ვეცადოთ, რომ მათგან იარაღი, ტყვია-წამალი და ფული მივიღოთ დახმარების სახით.“ ათათურქის მიერ ჰალილ ფაშაზე არჩევანის გაკეთება გასაკვირი არ იყო, რადგან, „კაკასიის ჯარში მსახურობდა და ბოლშევიკებსაც კარგად იცნობდა.“ (ჯებესოი,1982, გვ. 173). ჰალილ ფაშა ათათურქმა აღმოსავლეთში, ბაქოში გააგზავნა. სადაც „დიდი ნაწილი უკვე გასაბჭოებული იყო“ (ჯებესოი,1982, გვ. 175). ჰალილ ფაშა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფიგურაა, რომელმაც საბჭოთა რუსეთსა და თურქ ნაციონალისტებს შორის ურთიერთობის დამყარებაში დიდი წვლილი შეიტანა. 1919 წლის დასასრულს ბაქოში ჩავიდა. იქ მან შეიტყო, რომ ნური ფაშა დაღესტანში იმყოფებოდა. (ჯებესოი,1982, გვ. 174). ბაქოში მას ვინმე ლევანდოვსკი დახვდა - თბილისში დაბადებული, გაზრდილი, გაბოლშევიკებული კომუნისტი. წითელარმიელებს მისი ჩრდილოეთში გამგზავრების მიზანი აინტერესებდათ. მას მერე, რაც ჰალილ ფაშამ გაანდო ჩასვლის მიზანი, მას ვინმე პოლკოვნიკი ისკოჩკო მიამაგრეს და მოსკოვში გაამგზავრეს. (ჯებესოი,1982, გვ.176). ჰალილ ფაშა მოსკოვში 1920 წელს ჩავიდა. (ფერინჩეკი,2007, გვ. 45). ამ პოლკოვნიკის შუამდომლობით ჰალილ ფაშა გიორგი ჩიჩერინს შეხვდა.

ბოლშევიკებთან ურთიერთობის დამყარებას თურქი ნაციონალისტების კიდევ ერთი დაჯგუფება - „ყარაქოლი“ ცდილობდა. ყარაქოლი ერთობისა და პროგრესის პარტიის წევრების შექმნილი საიდუმლო ორგანიზაცი იყო, რომელიც ათათურქის წინააღმდეგობის მოძრაობისგან დამოუკიდებლად მოქმედებდა. სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკებთან პირველი კავშირები ამ ორგანიზაციის წევრების დახმარებით ხდება. ყარაქოლის ერთ-ერთი დამფუძნებლის - ყარა ვასიფის მიერ ალი ფუად ჯებესოისთვის მიწერილ წერილში ვიგებთ,

რომ „რუსმა ბოლშევიკებმა აღმოსავლეთის კომიტეტის წარმომადგენელს სთხოვეს ორი დელეგატი გააგზავნონ, რათა მოხდეს შეთანხმება დახმარების პირობების შესახებ, რომ საბჭოთა რუსეთი თანახმაა ყირიმიდან დახმარება აღმოუჩინოს თურქებს“. (ჯებესოი,1953, გვ 94). ალი ფუად ჯებესოიმ ეს ინფორმაცია მაშინვე ერზურუმში გააგზავნა, სადაც მუსტაფა ქემალ ათათურქი და ქაზიმ ყარაბექირი იმყოფებოდნენ. მუსტაფა ქემალ ათათურქი უარყოფითად შეხვდა ყარაქოლის მესვეურების თვითნებობას. ამიერიდან ბოლშევიკებთან კონტაქტები მხოლოდ და მხოლოდ ქიაზიმ ყარაბექირის უშუალო მეთვალყურეობით და დირექტივების მიხედვით უნდა წარმართულიყო. შესაბამისად, სპეციალური დავალებით ბაქოში ომერ ლუთფი(1878-1956)[11] და ექიმი ფუად საბითი (1887-1957) გაემგზავრნენ. ფუად საბითი კომუნისტური პარტიის კავკასიის კომიტეტის წევრს, ვიქტორ ნანეიშვილს შეხვდა. ომერ ლუთფი 2 სექტემბერს ისევ ერზურუმში დაბრუნდა. ქიაზიმ ყარაბექირისადმი გაგზავნილ პატაკში ვკითხულობთ: „კავკასიაში ბოლშევიკებს ფეხი ჯერ არ მოუკიდიათ, თუმცა, იგრძნობა მათი ჩუმი გავლენა. ბაქოში აზერბაიჯანის მუსავათის მთავრობა ინგლისელების გავლენის ქვეშაა... სჯერათ, რომ ბოლშევიკები მალე დამარცხდებიან. ქართული მენშევიკური მთავრობაც ინგლისელების ხელშია. ბაქოში და თბილისში ინგლისელების სამხედრო ძალები დიდად არ შეინიშნება. სავარაუდოდ, ინგლისელები მთელ კავკასიას დატოვებენ. ბოლშევიკებთან მოლაპარაკების საწარმოებლად ექიმი ფუადი მოსკოვში გაემგზავრა“. (ჯებესოი,1982, გვ 167). სანამ მოსკოვში გაემგზავრებოდა, თურქი ნაციონალისტების მსტოვარი, ექიმი ფუადი ბაქოში ბოლშევიკების წარმომადგენელს შევხდა. ეს წამომადგენელი, იერასიმოსი ფიქრობს, რომ უნდა იყოს ქართველი ჩექისტი ვიქტორ ნანეიშვილი. (იერასიმოსი,2000, გვ. 108). თუმცა, თავის წერილში, რომელიც ექიმმა ფუადმა ქაზიმ ყარაბექირს 1919 წლის 21 ნოემბერს გაუგზავნა, სახელს არ ახსენებს. შეხვედრის დროს ბოლშევიკების წარმომადგენელმა საბჭოთა რუსეთის დახმარებისათვის მზადყოფნა აღუთქვა და ამ ეტაპზე მხოლოდ ფულადი დახმარებით შემოიფარგლა. (ყარაბექირი, 1960, გვ, 359).

ყარაქოლის წარმომადგენლებთან მოლაპარაკებებში ჩართული იყო ასევე შალვა ელიავა, რომლის დასტურად ზემოთ ალი ფუად ფაშასადმი ჯემალ ფაშას გაგზავნილი წერილი მოვიყვანეთ. ზოგი მკვლევარი (მეჰმედ ფერინჩეკი და იერასიმოსი) თვლიან, რომ ეს პიროვნება ილიჩოვი უნდა ყოფილიყო და ალი ფუად ფაშას უბრალოდ აერია. საბჭოთა

[11] 1920-1921 წლებში იყო სამოქალაქო საქმეების მინისტრი ანგორის მთავრობაში.

რუსეთთან მოლაპარაკებებში ჩაერთო ყარაქოლის წარმომადგენელი ბაჰა საითი(1882-1939), რომელიც ამავდროულად უშაქის კონგრესის წარმომადგენელი იყო და 1920 წლის იანვარში ბაქოში ხელი მოაწერა კომუნისტური პარტიის კავკასიის რეგიონალური კომიტეტის წარმომადგენელთან თანამშრომლობის შეთანხმებას. ყარაქოლის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა - ყარა ვასიფმა შეთანხმების ასლი მუსტაფა ქემალ ათათურქს გაუგზავნა, რომელმაც თავის მხრივ ინფორმაცია დაშიფრული დეპეშით ქიაზიმ ყარაბექირს აცნობა. შეთანხმების მიხედვით, მხარეები თანხმდებოდნენ დასავლური იმპერიალიზმის წინააღმდეგ ერთობლივ მოქმედებას. ამისათვის, კი, საბჭოთა რუსეთი ვალდებულებას იღებდა ოსმალეთს იარაღით, საომარი მასალებით დახმარებოდა და მატერიალური დახმარება აღმოეჩინა. ოსმალეთის წარმომადგენლობა თავის მხრივ ჰპირდებოდა საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელს დენიკინის, კოლჩაკისა და საბჭოთა რუსეთის სხვა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში შეიარაღებული რაზმებით დახმარებოდა. (ყარაბექირი,1960, გვ.628). ყარა ვასიფი, რომელიც ამ ფაქტს ქაზიმ ყარაბექირს ატყობინებს, წერს, რომ სტამბოლში შეთანხმებაზე ხელის მოსაწერად ჩამოვიდა ბოლშევიკების წარმომადგენელი ილიჩოვი. (ყარაბექირი,1960, გვ. 630). აქ ხელმომწერი პირის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა. მართალია, ქიაზიმ ყარაბექირი ახსენებს ილიჩევს, მაგრამ სინამდვილეში შესაძლებელია ეს შალვა ელიავა იყო, რადგან ალი ფუად ჯებესოი თავის მემუარებში წერს, რომ 1919 წლის დასასრულს ბოლშევიკების მხრიდან მოლაპარაკებებს შალვა ელიავა აწარმოებდა. (ჯებესოი,1986, გვ. 76). ამ აზრს იზიარებს ასევე მკვლევარი რიჩარდ ჰოვანესიანი. შალვა ელიავა აქტირუად იყო ჩაბმული ანატოლიასა და სტამბოლში ყარაქოლის მესვეურებთან, კონკრეტულად, ბაჰა საითთან მოლაპარაკებაში და ის იყო ბოლშევიკების ოფიციალური წამომადგენელი, რომელაც 1920 წლის 11 იანვარს ხელი მოაწერა შეთანხმებას. (Hovannisian/ჰოვანისიანი,1977,გვ.142).

ათათურქს მკვეთრად უარყოფითი რეაქცია ჰქონდა, რომ ყარაქოლის წარმომადგენელმა მისი ნებართვის გარეშე ხელი მოაწერა შეთანხმებას ბოლშევიკებთან. ქიაზიმ ყარაბექირი მემუარებში წერს, რომ მას მერე, რაც ექიმი ფუადი იქნა მის მიერ ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად წარგზავნილი, ბაჰა საითს ავტორიტეტი შეერყა და გადაწყვიტა, მოლაპარაკებები სეპარატისტულად ეწარმოებინა. „ბოლშევიკები მალე მიხვდებიან, რომ ბაჰა საითი თურქეთის წარმომადგენელი არ არის.“ წერს ქარაბექირი. (ყარაბექირი,1960, გვ.633).

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ყარაბექირმა მიზანშეწონილად ჩათვალა ბაქოში ტრაპიზონის პოლკის მეთაური მაიორი ალი რიზას მეთაურობით ჯგუფი გაეგზავნათ. მუსტაფა ქემალ ათათურქმა ბაქოში მიმავალ ჯგგუფს სპეციალური დირექტივები მისცა. კერძოდ, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურები თანახმანი არიან იმპერიალისტების წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში ჩაერთონ, ამავდროულად, ისინი არ ცნობენ ყარაქოლის წარმომადგენლის მიერ ბოლშევიკებთან გაფორმებულ შეთანხმებას. (ყარაბექირი,1960, გვ.632). „ბოლშევიკები მალე მიხვდებიან, რომ ბაჰა საითი თურქეთის წარმომადგენელი არ არის.“ წერს ყარაბექირი. (ყარაბექირი,1960, გვ.633). აღნიშნული შეთანხმება არ აღიარა საბჭოთა მხარემაც.

5.4. პირველი ოფიციალური შეხვედრები 1920 წ.

ქემალისტების საბჭოთა მთავრობასთან კავშირის დამყარების მცდელობები, როგორც დავინახეთ, არაოფიციალურად ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულიდან იწყება. ქემალისტებს შორის დიდი მსჯელობა მიმდინარეობდა, რამდენად მისაღები იყო და პასუხობდა წამოწყებული ნაციონალისტური მოძრაობის ინტერესებს საბჭოთა რუსეთთან ალიანსი, ბოლშევიზმის გავრცელების საფრთხე რაოდენ რეალური იყო. ანატოლიის ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები დიდი ყურადღებით აკვირდებოდნენ წითელი არმიის სამხრეთ კავკასიაში გადაადგილებებს. მეორეს მხრივ, ბრიტანეთი ცდილობდა სამხრეთ კავკასია თავისი პროტექტორატის ქვეშ მოექცია და საბჭოთა რუსეთთან ერთგვარ გამყოფ ველად ექცია და ამ შემთხვევაში ქემალისტების ბოლშევიკებთან დაახლოების პროცესს სერიოზული ბარიერი შეექმნებოდა. ბოლშევიკებისა და მეკავშირეთა სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკაზე თავის მოსაზრებას ქიაზიმ ყარაბექირი ასე აღწერს 1920 წლის 22 იანვრის ანკარაში გაგზავნილ პატაკში: „თუ მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ წინააღმდეგობა გავუწიოთ ან კონტრშეტევა განვახორციელოთ, იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკებმა გამარჯვება არ მოიპოვეს, ეს იმის მანიშნებელი იქნება, რომ ჩვენი ქვეყანა განადგურდება. ბოლშევიკები თუ ვერ გაიმარჯვებენ, ეს ნიშნავს, რომ ჩვენს ქვეყანას მეკავშირეებს ლანგარზე მივართმევთ. ამ შემთხვევაში საუკეთესო გზაა ვეცადოთ, ნეიტრალიტეტი დავიცვათ. ეს კი დიდი ოსტატობით უნდა მოვახერხოთ, იმისათვის, რომ მეკვაშირეები დავარწმუნოთ, თითქოს მათთვისაც ეს სასარგებლო იქნება. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ მეკავშირე სახელმწიფოები, რომ თურქეთს ბოლშევიზმი არ სურს და

ნეიტრალიტეტს ინარჩუნებს და ამით დავიცავთ ჩვენს საზღვრებს და ვიდრე მეკავშირეთა ძალები ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე იქნებიან ბოლშევიზმი ვერ გავრცელდება.“ (ყარაბექირი, 1960, გვ 451). შექმნილ სიტუაციას ასევე კარგად ასახავს მუსტაფა ქემალ ათათურქის 1920 წლის 5 თებერვლის საკმაოდ ვრცელი წერილი : „რაც არ უნდა იყოს, ბოლშევიკები ეჭვობენ, რომ დავთანხმდებით კაპიტულაციას, ამიტომაც ცდილობენ ჩვენს სამშვიდობო მოლაპარაკებაზე დაყოლიებას. სამხრეთ კავკასია თურქეთისთვის მეორე ფრონტია, თურქეთი თუ ბოლშევიკებს სამხრეთ კავკასიაში ექსპანსიას გაუადვილებს, მაშინ ჩვენთვის ანატოლიიდან დასავლეთის მიმართულებით ტერიტორია, სირის, ერაყის, ირანის, ავღანეთისა და ინდოეთის კარი გაიღება. ამ შემთხვევაში კი მეკავშირეები ვერ შეძლებენ ოპერაციის განხორციელებას, რადგან არ გააჩნიათ შესაბამისი ოპერატიული ძალები. ამიტომაც, მეკავშირეები ფიქრობენ ბათუმიდან კასპიის ზღვამდე ტერიტორიაზე გავლენა შეინარჩუნონ და ამგვარად ბოლშევიკებისა და თურქების დაახლოების პროცესს კავკასიელი ხალხების საშუალებით ხელი შეუშალონ. მეკავშირეებმა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით თავიანთი გავლენის ქვეშ მოაქციეს ეს რესპუბლიკები და ყველაფერს აკეთებენ, რომ ბოლშევიკების წინააღმდეგ წააქეზონ. გარდა ამისა, დაიწყეს საკუთარი ძალების მობილიზებაც, ამ ძალების საშუალებით ბოლშევიკებთან შეტაკებას უფრო დააჩქარებენ და აპირებენ, რომ კავკასიის ხალხების დახმარებით თურქებისა და ბოლშევიკების ნებისმიერი დაახლოებას ხელი შეუშალონ და გააკონტროლონ ეს პროცესი... თუ მათი ჩანაფიქრი განხორციელდა და ჩვენი ქვეყანა ალყაში მოექცა, თურქეთი საბოლოოდ ჩამოიშლება, მეკავშირეები კი სისხლს დაღვრიან, რომ კავკასიელი ხალხები თავის მორჩილებაში დატოვონ და ბოლშევიკების ექსპანსია შეაჩერონ. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ არ შედგეს მეკავშირეთა და სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოთა ალიანსი...პირველი, რაც საჭიროა, მობილიზაცია უნდა გამოვაცხადოთ და კავკასიის ალიანსს ზურგიდან დავარტყათ. აზერბაიჯანისა და დაღესტნის ისლამურ მთავრობებთან სასწრაფოდ დავამყაროთ კავშირი... ბოლშევიკებთან ჩვენი ძალები გავაერთიანოთ და ერთობლივად გადავიდეთ თავდასხმაზე... ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მეკავშირეებმა არ გაიმარჯვონ.„ (ათათურქი, 2003, ტ. 6 გვ.264).

ანგორის მთავრობის საბჭოთა ხელისუფლებასთან პირველი ოფიციალური კავშირი იწყება მუსტაფა ქემალ ათათურქის მიერ 1920 წლის 26 აპრილს მიწერილი წერილით. ოფიციალურ

მიმართვას წინ უსწრებდა მუსტაფა ქემალ ათათურქის თანამებრძოლების განცხადებები რუსებთან შეთანხმების აუცილებლობის შესახებ. ქიაზიმ ყარაბექირი წერს, რომ 22 აპრილისთვის საბჭოთა რუსეთთან თანამშრომლობის დასაწყებად ყველაფერი მზად იყო. ანგორაში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლის გაგზავნის აუცილებლობის შესახებ მოთხოვნა უკვე გადაცემული იყო და ბაქოში ქემალისტები უკვე აქტიურად აწარმოებდნენ მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან. ქიაზიმ ყარაბექირი საიდუმლო დეპეშით იტყობინებოდა, რომ ბაქოსა და მოსკოვს შორის სარკინიგზო მოძრაობა დაწყებულია. ბოლშევიკების რაზმი შავი ზღვის სანაპიროზე ქალაქ სოჭაში იმყოფება, ბოლშევიკები ბათუმში პროკლამაციებს ავრცელებენ, რომ ბრიტანელები ბათუმს დატოვებენ, ბათუმში ბოლშევიკური გაზეთის გამოცემაც კი დაიწყო. საბჭოთა რუსეთთან ოფიციალური თანამშომლობის დასაწყებად ნიადაგი უკვე მომზადებული იყო. (ყარაბექირი, 1960, გვ 652). 1920 წლის 24 აპრილს გაიხსნა დიდი მეჯლისის სხდომა, რომელზეც გაცხადდა ანგორის მთავრობის საგარეო პოლიტიკის კურსი. ამ სხდომაზე მუსტაფა ქემალ ათათურქმა საგარეო კურსზე სიტყვით გამოსვლისას საქართველოს შესახებაც ისაუბრა. თქვა, რომ „საქართველო ჩვენ მიმართ ლოიალურად არის განწყობილი. თანაც, აზერბაიჯანთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა... აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის კონფლიქტის დროს საქართველომ აზერბაიჯანის მხარე დაიჭირა და დღემდე მას მხარს უჭერს.... საქართველოსთან ჩვენ ძველი საზღვარი გვაკავშირებს და ეს ოლქებია ბათუმი, ყარსი და არტაანი. ეს ოლქები ჩვენი ქვეყნის ნაწილად მიგვაჩნია, სადაც ძირითადად მუსლიმი მოსახლეობა იყრის თავს. ჩვენ ეს საჯაროდ არსად გვითქვამს, მაგრამ იქაური მოსახლეობაც სრულად იზიარებს ჩვენს აზრს, ზოგიერთი მათგანი ახლა ამ სხდომასაც კი ესწრება.“ შემდეგ კი სამხრეთ კავკასიასთან მიმართებით ანგორის მთავრობის პოლიტიკის კონტექსტში ბოლშევიკებთან ალიანსის შესაძლებლობაზე ისაუბრა: „ როდესაც კავკასიაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად რუსეთსაც უნდა შევეხოთ, რადგან იკვეთება საერთო ინტერესები და ეს ინტერესები ჩვენი ქვეყნის ინტერესებსაც კვეთს. რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ ყოველთვის ჩვენს ადათებს, ჩვენს სარწმუნოებას ვითვალისწინებთ და ქვეყნის საჭიროებისდამიხედვით ვმოქმედებთ, ამიტომაც, ბოლშევიკებთან ურთიერთობისას სიდინჯე და დაფიქრება გვმართებს. ზოგადად, არცერთი ერის წინააღმდეგი არ ვართ, თუმცა, იმპერიალიზმს ვემტერებით.... დიდხანს ვიფიქრე, რამდენად შეგვიძლია დავეყრდნოთ ჩვენს ბრძოლაში ბოლშევიკებს. ბოლშევიკებთან ურთიერთობის დამყარების გარკვეულ მცდელობებს ადგილი ჰქონდა, თუმცა, რამე

კონკრტეული შეთანხმება არ მომხდარა. თუკი ვაღიარებთ, რომ საჭიროება არსებობს, მაშინ უფრო კონკრეტული ნაბიჯები უნდა გადადგას მეჯლისმა.“ (საიდუმლო სხდომის ოქმი, ტ. 1. 24 პრილი, 1920). 1920 წლის 26 აპრილს მუსტაფა ქემალ ათათურქი ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ოფიციალურ წერილს წერს. ეს წერილი ჯერ ბაქოში, ჰალილ ფაშას მიერ დაფუძნებულ თურქულ კომუნიტურ პარტიაში უნდა გაგზავნილიყო. ქიაზიმ ყარაბექირის ბრძანებით წერილი ტელეგრაფით ჯერ ტრაპიზონში გაიგზავნა. შემდეგ კი ხელით აიკრიფა და ბაქოში უნდა გაგზავნილიყო, თუმცა, 28 აპრილს წითელი არმია შევიდა ბაქოში. ამიტომ, ქიაზიმ ყარაბექირმა ერთი ასლი ნახჭევანის გზით ბაქოში გააგზავნა, მეორე ასლი კი პირდაპირ მოსკოვში, ლეიტენანტ იბრაჰიმ ეფენდის გაატანა. მსტოვარმა ეს წერილი საგარეო საქმეთა კომისარს გიორგი ჩიჩერინს გადასცა. (იერასიმოსი,2000, გვ. 141). მუსტაფა ქემალ ათათურქის გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „თანახმანი ვართ ბოლშევიკ რუსებთან ერთად ვიბრძოლოთ იმპერიალისტების წნეხის ქვეშ მყოფი ადამიანების გასანთავისუფლებლად. იმ შემთხვევაში, თუ ბოლშევიკური ძალები საქართველოს გასაბჭოებას დაიწყებენ და უზრუნველჰყოფენ ინგლისის გასვლას რეგიონიდან, თურქეთის მთავრობა იმპერიალისტი სომხების წინააღმდეგ გადავა საბრძოლო მოქმედებაზე და ასევე, უზრუნველჰყოფს აზერბაიჯანის საბჭოთა სახელმწიფოში გაერთიანებას. იმპერიალისტების მიერ ანექსირებული ტერიტორიების განთავისუფლების. ეფექტური ბრძოლის წარმართვის მიზნით, პირველ რიგში, გვესაჭიროება ხუთი მილიონის ოქრო, ტყვია-წამალი და სხვა აუცილებელი ნივთები, რათა უზრუნველყოფილი იქნას აღმოსავლეთში საბრძოლო მოქმედებებში ჩართული ძალების სანიტარული ნორმების დაცვა და ასევე მათი გამოკვება“ (ათათურქი, 2006, გვ.256). იმავე დღეს მუსტაფა ქემალ ათათურქი გადაწყვეტილებას იღებს ბოლშევიკებთან მოლაპარაკებების შემდგომი გაგრძელების მიზნით, მოსკოვში საგანგებო დელეგაცია გაიგზავნოს, რომელსაც უხელმძღვანელებდა ბექირ სამი კუნდუხი (1864-1932) [12] (ჯებესოი,1982, გვ. 75). ბექირ სამისთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით დიმიტრი შალიკაშვილის მოგონებებში, სადაც ის წერს : „ბექირ სამი შვილია თავის დროზე განთქმული გენერალი კუნდუხოვისა, რომელიც კავკასიიდან თურქეთს გადასახლდა. მან

[12] ბექირ სამი კუნდუხი- წარმოშობით ოსი, მამა- მუსა ალხაზის ძე კუნდუხოვი - რუსეთის იმპერიის გენერალი , შემდეგ კი ოსმალეთის არმიაში მსახურობდა. აღსანიშნავია, რომ ბექირ სამი 1920 წლის 28 დეკემბერს ახლდა ქართულ დიპლომატიურ დელეგაციას ანგორაში, მას მერე, რაც ის მოსკოვიდან დაბრუნდა

განათლება საფრანგეთში მიიღო. ერთხანს იმყოფებოდა თურქულ საელჩოში პეტერბურგში, მერმე იყო გუბერნატორად ტრიპოლიში და ტრაპეზუნდში. იგი სავსებით კულტურული კაცია, რაც თურქეთში, მგონია, იშვიათია.“ (შალიკაშვილი, 1972/72, გვ.132). დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ ასევე ეკონომისტი იუსუფ ქემალი (იუსუფ ქემალ თენგრიშექი), ექიმი იბრაჰი თალი(იბრაჰიმ თალი ონგორენი), ლაზი დეპუტატი ოსმანი, გენერალური შტაბის წარმომადგენელი სეიფი (სეიფი დუზგორენი). (ჯებესოი,1986, გვ. 77). ბექირ სამის მთავარი მოვალეობა საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და ფინანსური დახმარება და საბრძოლო მასალის მიღება იყო. ქიაზიმ ყარაბექირმა მოსკოვში მიმავალ დელეგაციას დაავალა: დაედგინათ ბოლშევიკებს ბრიტანელებთან დაკავშირებით რა პოლიტიკური მიზნები ჰქონდათ, როგორ უყურებენ ოსმალეთთან პოლიტიკურ და სამხედრო ალიანსს, კავკასიაში როგორ არის განაწილებული სამხედრო ძალები, ბოლშევიკების ფლოტის შესახებ ინფორმაცია, როგორია საქართველოში პოლიტიკური სიტუაცია, რას ფიქრობენ ამასთან დაკავშირებით ბოლშევიკები. (ყარაბექირი,1960, გვ. 670). სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებით შეშფოთებული ქიაზიმ ყარაბექირი ანკარას სწერდა, რომ შესაძლებელია მოხდეს ბოლშევიკებსა და სომხებს შორის გარიგება,(ყარაბექირი, 1960, გვ. 727). აზერბაიჯანი ბოლშევიკებს შეუერთდა და წითელმა არმიამ საქართველოზე ზეწოლა დაიწყო. „ანტანტის პოლიტიკის შერბილების მიზეზი ის არის, რომ მათ სამხრეთ კავკასიაში ფეხი ვერ მოიკიდეს და ეშინიათ ჩვენი ბოლშევიკებთან გარიგების. ბოლშევიკები სომხებსა და ქართველების წინააღმდეგობას თუ ვერ გატეხენ, ცხადია, რომ ანტანტის ქვეყნები საკუთარ მიზანს არ გადაუხვევენ და ეცდებიან ჩვენს განადგურებას.. ამიტომ, აუცილებლად უნდა გადავიდეთ მოქმედებაზე, ყოველი დღე ჩვენთვის მნიშვნელოვანია, თუ სომხებთან ერთად კავკასიის სხვა ხალხებიც ბოლშვიკებს გაურიგდებიან, ბოლშევიკებთან გარიგების შესაძლებლობას დავკარგავთ“. (1920 წ. 6 მაისი) (ყარაბექირი, 1960, გვ 729).

საბჭოთა რუსეთი 1920 წლის მაისის შუა რიცხვებში სომხეთთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა ქემალისტური რუსეთისათვის ზენგეზურსა და ნახჭევანზე დერეფნის გაჭრისათვის, თუმცა, ანგორის მთავრობასა და ბოლშევიკებს შორის საზღვართან დაკავშირებით ორი მნიშვნელოვანი საკითხი კვლავ გადაუჭერილი რჩებოდა - ბათუმი და აღმოსავლეთ ანატოლიაში სომხეთისთვის მიწის მიცემა.

7 მაისს მოსკოვსა და საქართველოს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა არსებულ საზღვრებში სცნო, მათ შორის ბათუმიც საქართველოს მიაკუთვნა. საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ზ. ავალიშვილის მოგონებებიდან ციტირებას მოვიყვანთ: „ როცა გავეცანი აღნიშნულ დოკუმკენტს, გავოცდი, რა მსუბუქად შეეგუა საქართველოს მთავრობა აზერბაიჯანში მომხდარ გადატიალებას და შესაბამისად, უარი თქვა საქართველო-აზერნაიჯანს შორის თანამშრომლობის იდეაზე და რა მარტივად დათანხმდა საბჭოთა რუსეთს განსაჯოს საბჭოთა აზერბაიჯანთან საზღვართან დაკავშირებული უთანხმოება.... საქართველო თავის თავზე იღებდა შეეწყვიტა ბათუმში და ბათუმის ოლქში ბრიტანეთის ოკუპაცია.... ეს იყო „ევროპულ ორიენტაციაზე„ უარი და პრაქტიკულად ნიშნავდა მოსკოვის მთავრობის პოლიტიკური ზეგავლენის აღიარებას“. (ავალიშვილი, 1924, გვ.286). თუმცა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ხელშეკრულება მაინც საქართველოსთვის აუცილებელ მუხლებს შეიცავდა, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ ბათუმის, არამედ, სოხუმისა და ოსეთის მის საზღვრებში ცნობას. აღნიშნულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ლ.თოიძეს ი. ირემაშვილის მოგონებები მოჰყავს, რომლის ციტირებაც საჭიროდ მიგვაჩნია, რათა წარმოვაჩინოთ საქართველო მართლაც რაოდენ მომგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდა ხელშეკრულების ხელმოწერით, რომ სტალინიც კი აღაშფოთა:“ სტალინი ამ ხელშეკრულების წინააღმდეგი იყო, არ უნდოდა, რომ მისი სამშობლო რუსეთის სახელმწიფოსგან გამოთიშული ყოფილიყო და იქ მისთვის საძულველ მენშევიკებს თავისუფლად ეხელისუფლათ. პატივმოყვარეობა უბიძგებდა საქარტველოზე ბატონობისკენ, სადაც მშვიდობიანი, გონიერი მოსახლეობა ურყევი სიმტკიცით ექინააღმდეგებოდა მისი დამანგრეველი პროპაგანდის წარმატებას.“ (თოიძე, 1991, გვ.21). საქართველოსთან ხელშეკრულების დადების მომენტში საბჭოთა რუსეთსა და პოლონეთს შორის ომი მინდინარეობდა, ასევე, ოსმალეთში გააფრთრებული ბრძოლა მიმდინარეობდა ქემალისტებსა და ბერძნებს შორის. ვიდრე ათათურქის წერილი მოსკოვს მიაღწევდა, ათათურქის მიერ მოსკოვში წარგზავნილი ჰალილ ფაშა ჩიჩერინს და მის მოადგილეს ლევ მიხეილის ძე კარახანს (1889-1937) [13] შეხვდა. შეხვედრაზე ჰალილ ფაშამ

[13] დაიბადა ქუთაისში, 1910-1915 წლებში სწავლობდა პეტერბურგის უნივერსიტეტში. 1913 წლიდან შეუერთდა ბოლშევიკურ მოძრაობას. 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკში იყო რუსული დელეგაციის წევრი და ხელი მოაწერა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას. 1925 წლიდან ჩინეთში რუსეთის დიპლომატიურ

ანტიიმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ბოლშვეიკებისგან სამხედრო და მატერიალური დახმარება ითხოვა. ამ შეხვედრის შესახებ ჰალილ ფაშა ალი ფუად ჯებესოისთან ასე აღწერს: „რუსმა პოლკოვნიკმა ჩიჩერინი და კარახანი გამაცნო. ჩიჩერინი საგარეო საქმეთა კომისარი იყო, კარახანი კი მისი მოადგილე. საკუთარი თავი თურქეთის გენერალური შტაბის წარმომადგენლად გავაცანი. მუსტაფა ქემალის პატივისცემა დავუდასტურე. ძალიან კმაყოფილი დარჩნენ. ანატოლიაში შექმნილი მდგომარეობა გავაცანი. ვუთხარი, რომ იმპერიალისტი ინგლისელები თურქი ერის დატყვევებას და თავისუფლების წართმევას ცდილობენ და ამაში მას სტამბოლის მთავრობა და ბერძნული ჯარი ეხმარება. ვუთხარი, რომ ანატოლია არ დანებდება და იბრძოლებს, რომ სტამბოლის მთავრობა და ბერძნული ჯარი დაამარცხოს. ვუთხარი, რომ იმედს არ ვკარგავთ, თუმცა, დახმარება გვჭირდება. ჩიჩერინსა და კარახანს განვუცხადე, რომ კაპიტალისტებსა და იმპერიალისტების წინააღმდეგ საერთო ფრონტი უნდა გავხსნათ. ... ვაუწყე, რომ ძალიან მალე ეროვნული მთავრობა შეიქმნება და საბჭოთა რუსეთთან მეგობრულ ურთიერთობას დაამყარებს და მასთან ერთად ალიანსს შექმნის. მათ მითხრეს, რომ თურქეთს დაეხმარებიან, მხოლოდ ამ დახმარების მიწოდების გზები უნდა გამოინახოს. მე მათ განვუცხადე, რომ ორივე მხარე თუ ეცდება, სავსებით შესაძლებელია გამოინახოს გზები, ახლა კი საზღვაო თუ სახმელეთო არსებული ყველა გზა უნდა იყოს გამოყენებული, რომ იარაღი და ფული იქნას გაგზავნილი.“ (ჯებესოი, 1960, გვ. 176).

გიორგი ჩიჩერინი ლევ კამენევს შეხვდება და მიიღეს გადაწყვეტილებას ოსმალეთს შეიარაღებით დაეხმარონ, თუმცა მიღებული გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანა შეყოვნდა, რადგან ამ დროს მოსკოვში დაშნაკის დელეგაცია იმყოფებოდა და კარახანთან შეხვედრებს მართავდა. სომხეთის დელეგაციას კრემლი არწმუნებდა, რომ არ სურდა სომხეთში საბჭოთა რეჟიმის დამყარებდა და შუამდლობლობა შესთავაზეს ოსმალეთთან ტერიტორიული დავის გადაწყვეტაში. (ანდერსენი, 2020, გვ. 331). ამავე პერიოდში, მოსკოვში მოლაპარაკებას მართავდა ოსმალეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი. 27 მაისს, ერთობისა და პროგრესის პარტიის ლიდერი, ჯემალ ფაშა, რომელიც გერმანიაში იმყოფებოდა, ჩავიდა მოსკოვში და მოლაპარაკებები გამართა კარლ რედეკთან, რომელიც

მისიაში მსახურობდა. 1934 წელს თურქეთში სრულუფლებიანი წარმომადგენლად დაინიშნა. 1937 წელს დახვრიტეს.

ცდილობდა დაერწმუნებინა ლიდერები, რომ სომხეთთან მიმართებაში აუცილებელი იყო ოსმალეთი გარკვეულ დათმობებზე წასულიყო, რათა მოეპოვებინა დასავლეთის კეთილგანწყობა. (იერასიმოსი,2000, გვ. 145). ჯემალ ფაშა თანხმდება საბჭოთა რუსეთის მიერ შეთავაზებულ მედიატორობას და ამის საპასუხოდ გიორგი ჩიჩერინი ათათურქს პასუხს უგზავნის. წერილში გიორგი ვასილის ძე კმაყოფილებას გამოხატავს, რომ ანგორის მთავრობის პრიორიტეტები სრულ თანხვედრაშია საბჭოთა მთავრობის მიზნებთან. „ეს პრიორიტეტები კი შემდეგია: „1) თურქეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება 2. თურქეთის ტერიტორიების დაბრუნება, ისე, რომ პრეტენზია სხვა სახელმწიფოებმა არ გამოთქვან....4. თურქეთის სომხეთის, ქურთისტანის, ლაზეთის, ბათუმის რეგიონის, აღმოსავლეთ თრაკიისა და ყველა არაბული ეთნოსის ხალხებს მიეცეთ საშუალება თავად გადაწყვიტონ საკუთარი ბედი. ამისათვის, ვთვლით, რომ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები, რეფერენდუმში მონაწილეობის მიზნით, უნდა დაბრუნდნენ თავის საცხოვებელ ადგილებზე. 5. ეროვნულმა მეჯისლმა უნდა სცნოს იმ ეროვნული უმცირესობების უფლებები, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთის სახელმწიფოს ტერიტორიაზე.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 784). შემდეგ კი წერს, რომ საბჭოთა მთავრობა ბედნიერია რუსი და თურქი ერის მყარი მეგობრული ერთობით. ჩიჩერინის ამ წერილზე ქიზაიმ ყარაბექირი გაოცებას ვერ მალავდა „ თითქოს საკმარისი არ იყოს თურქეთის სომხეთი, ქურთისტანი, ლაზეთი და ახლა აღმოსავლეთ თრაკიაც! აპირებენ, რომ ჩვენი ტერიტორიები წაგვართვან და მერე თავად დაეპატრონონ?!„ წერდა ქიაზიმ ყარაბექირი. (ყარაბექირი, 1960, გვ. 785).

1920 წლის 20 ივნისს მუსტაფა ქემალ ათათურქი გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინს პასუხს წერს, რომ შეშფოთებული არიან იმპერიალისტების მსგავსად მავანთა მიერ ოსმალეთის ტერიტორიების დანაწილების სურვილის გამო და „ამის შესაჩერებლად გადაწყვეტილება მივიღეთ ყარსი, არტაანისა და ბათუმის ოქლების გარვეული ტერიტორიები დავიპყროთ, თუმცა, თქვენი წერილის შემდეგ საბრძოლო ოპერაცია შევაჩერე. გამოვთვქავთ იმედს, რომ სომხების თავდასხმების შესაჩერებლად საჭირო ზომებს მიიღებთ. დელეგაცია, რომელსაც ევალება რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში მოლაპარაკბებების წარმოება, ახლა ერზურუმშია. ჩვენი მეზობლების მიერ გამოწვეული შეფერხების გამო დროულად ვერ ახერხებს ჩამოსვლას. ჩვენ მხოლოდ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის არ ვიბრძვით, ჩვენ ვცდილობთ, თურქი ერი დავიცვათ, რომ არ გახდეს იმპერიალიზმის იარაღი. გამოვთქვამ

იმედს, რომ რუსი და თურქი ერის ერთიანობას ნაყოფიერი შედეგი ექნება.„ (ათათურქი, 2006, გვ 278).

ამასობაში სამხრეთ კავკასიაში სიტუაცია ისევ აირია. წითელი წითელი არმიის ბაქოში შესვლის შემდეგ განჯაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ამბოხი მოხდა. ამ ამბოხს სათავეში ნური ფაშა და სხვა თურქი ოფიცრები ედგნენ სათავეში. (იერასიმოსი,2000, გვ. 151). მათი მიზანი ანატოლიის მთავრობისა და წითელი არმიის ალიასნის ხელის შეშლა იყო, რაც ქემალისტების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. ყარაბექირი წერს, რომ „ჩვენი მიზანი ბოლშევიკებთან მტრობა კი არა მათთან ურთიერთობის დამყარებაა. აზერბაიჯანიდან გაქცეულები ფიქრობენ, რომ ბოლშევიზმს მალე ბოლო მოეღება და რუსეთში ისევ ცარიზმი აღდგება და რუსეთი მეგობრად მოგვევლინება. ასეთი აზრები არანაირ მტკიცებულებას არ ემყარება და მეც სწორად არ მიმაჩნია. არც ისეთი ადვილია ბოლშევიზმის მომავლის ჩაქრობა. რუსეთში ცარიზმი ვეღარ გაიმარჯვებს და ეს დენიკინისა და კოლჩაკის მომხრეების გულუბრყვილო იმედებია“. (ყარაბექირი, 1960, გვ. 831). ნური ფაშა დამარცხდა და წითელი არმია ყარაბაღში შევიდა.

5.5 ბექირ სამის შეხვედრები გიორგი ჩიჩერინთან

ამასობაში დელეგაცია ბექირ სამის ხელმძღვანელობით მოსკოვში ჩასვლას აგვიანებს. მხოლოდ სამოცდაცხრა დღის შემდეგ, 1920 წლის 19 ივლისს ჩავიდა. დელეგაცია მიიღო გიორგი ჩიჩერინმა. შეხვედრას ესწრებოდა ასევე საგარეო საქმეებში სახალხო კომისრის თანაშემწე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ბექირ სამი ანკარაში გაგზავნილ პატაკში წერს, რომ ბოლშევიკების და ქემალისტების ინტერესები თანხვედრაშია და ინგლისთან კონფლიქტის შემთხვევაში საჭიროდ თვლიან გაგრძელდეს ანგორის მთავრობასთან კონსულტაციები, რათა დაიცავან საერთო ინტერესები. (ჯებესოი, 1986, გვ. 79).

კარახანს დელეგაცია ცალკე შეხვდა და კიდევ ერთხელ მოითხოვა სომხეთის გზის დაუყოვნებლივ გახსნა. კარახანმა კი უპასუხა, რომ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გამო გზა სულ მცირე ორი კვირის განმავლობაში მაინც არ გაიხსნება. მერე კი დასძინა, რომ მზადდება დახმარება, ოქრო და შეიარაღება, რათა ჰალილი ფაშამ და საბჭოთა რუსეთის კონსულმა ანკარაში თან წაიღონ. (ჯებესოი, 1960, გვ 80). ანგორის დელეგაცია დარწმუნებული იყო, რომ საბჭოთა მთავრობის წამომარგენლები უბრალოდ დროს

წელავდნენ. დელეგაცია ლევ მიხეილის ძე კარახანი 4 აგვისტოს ისევ შეხვდა და პირველი, კმაყოფილება გამოხატა, რომ ნახჭევანშსი შესული წითელი არმია თურქულ სამხედრო ნაწილებს მეგობრულად შეხვდა და მერე დასძინა, რომ ანგორის მთავრობის გადაწყვეტილება - სომხეთს ბრესტ-ლიტოვსკის საზღვრებში დაბრუნება მოსთხოვოს - მიზანშეწონილი არ არის, რადგან ეს ხელშეკრულება ისედაც ძალადაკარგულია. ბექირ სამი ანკარაში გაგზავნილ პატაკში იმასაც წერს, რომ საბჭოთა მთავრობა სარიყამიშის თურქების მიერ დაპყრობის წინააღმდეგი არ არის. „მოსკოვში ყოფნის დროს გავიგეთ, რომ ვინმე ელიავას ანკარაში ელჩად აგზავნიან. წარმოშობით ქართველი, ჯერ მენშევიკების პარტიაში იყო და შემდეგ ბოლშევიკების მხარეს გადავიდა. თურქისტანში სამხედრო გადატრიალებას ედგა სათავეში. დელეგაციაში.... დაახლოებით ორასი ადამიანია“ (ჯეგესოი, 1982, გვ 85, 86).

ბექირ სამის დელეგაცია გიორგი ვასილის ჩიჩერინს 1920 წლის 13 აგვისტოს ისევ შევხდა. ანგორის მთავრობის წარმომადგენლები დაჟინებით ითხოვდნენ სომხეთის გზის გახსნას, რათა დახმარება მიეღოთ. თუცა, კონკრეტული შეანხმება მაინც ვერ მოხერხდა. გიორგი ჩიჩერინი მუდამ გაურბოდა პასუხებს, როგორც კი საკითხი ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებისა და სომხეთს შეეხებოდა, მაშინვე ღიზიანდებოდა. (ჯეგესოი, 1960, გვ. 89). ანგორის დელეგაცია დღის წესრიგში კიდევ ერთხელ აყენებს საკითხს ხელშეკრულების მომზადების აუცილებლობაზე და დასძენს, რომ მიზანი არა მხოლოდ შეიარაღების ან ფულადი დახმარების მიღებაა, არამედ ეს შეთანხმება ერთგვარი საფუძველი იქნება შემდგომი თანამშრომლობის და მჭიდრო ალიანსის. ამისათვის კი დელეგაცია სთავაზობს შეიქმნას სპეციალური კომისია. გიორგი ჩიჩერინი ამ წინადადებას თანხმდება და აცხადებს, რომ ორ დღეში კომისიის წევრების ვინაობასაც გააცნობს. (ჯეგესოი, 1960, გვ, 160). და მართლაც, სახალხო კომისრის მიერ ანგორის დელეგაციისადმი მიწერილმა ნოტამაც არ დააყოვნა, სადაც წერია, რომ კომისიის წევრები იქნებიან ეკონომიკური და პოლიტიკური საქმეების განყოფილების უფროსი ამხანაგი საბანინი და აღთმოსავლეთის საქმეებში რწმუნებული ადამოვი. (Документы внешней политики СССР. Т. / საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 131). ანგორის დელეგაცია მეორე დღეს, 1920 წლის 14 აგვისტოს ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა მიიღო. დელეგაციის ხელმძღვანელმა - ბექირ სამიმ ანგორის მთავრობის პატივისცემა დაუდასტურა და განაცხადა, რომ ორი წელია თურქი ხალხი იბრძვის იმპერიალისტებისა და

კაპიტალისტი მთავრობების წინააღმდეგ და დიდ იმედებს ამყარებენ საბჭოთა მთავრობაზე, რომელიც თურქი ხალხის მიმართ დახმარებას არ დაიშურებს. ამის საპასუხოდ ლენინმა განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობის მთავარი პრინციპი ჩაგრული ერების დახმარებაა და რუს ერს თურქი ერის მიმართ გულწრფელი გრძნობები აკავშირებს, დახმარებისგან უკან არ დაიხევენ და გამოთქვა რწმენა, რომ ყაზახეთის, თურქისტანისა და ბაშკურდისტანის მსგავსად ყველა მუსლიმი ხალხი თავისუფლებას მოიპოვებს. ანგორის დელეგაცია კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ სომხეთის გზა გახსნილი არ არის, რაზეც ლენინი პასუხობს, რომ გაუგებრობას აქვს ადგილი და დელეგაციის წევრებს პრობლემის სამ-ოთხს დღეში მოგვარება აღუთქვა და ერთგვარი მინიშნებაც გააკეთა, რომ პრობლემის მოგვარების ერთადერთი გზა სამხრეთ კავკასიის სრული გასაბჭოებაა. „სომხეთშიც და საქართველოშიც ძალიან მალე ჩვენთვის სასურველი წესრიგი დამყარდება“ - ამბობს ლენინი. (ჯებესოი,1982, გვ. 93). ლენინის ამ სიტყვებს ეჭვის ქვეს აყენებს ლ. თოიძე. “ მართლაც ძნელი დასაჯერებელია, რომ ჭეშმარიტად დიდი პოლიტიკოსი ვ.ი. ლენინი ასეთ საიდუმლოს გაანდობდა თურქეთის დელეგაციას, თუმცა, ვინ იცის, იქნებ სწორედ „დიდ,ა პოლიტიკამ“ აიძულა საბჭოთა რუსეთის მეთაური დაეიმედებინა ქვეყანა, რომელთანაც კეთილმეზობლურ და მეგობრულ ურთიერთობას ეძებდა.“ (თოიძე, 1991, გვ 40).

„ჩაგრული ერების დაცვის“ პრინციპს ამოფარებული საბჭოთა რუსეთის მთავრობა რომ ისეთივე იმპერიალისტური იდეოლოგიის მატარებელი იყო, როგორც ცარისტული რუსეთი, უკვე ადვილი მისახვედრი იყო ანგორის მთავრობისთვისაც. „საბჭოთა რუსეთი ღიად აცხადებდა, რომ სომხეთისა და თვით საქართველოს დაპყრობას აპირებდა. კარახანის მიერ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშერკულებით „გათვალისსწინებული საზღვრების უგულებელყოფა და დახასული საზღვრების, როგორც ეროვნული თვითგამოხატვის თავისუფლების დაცვის პრინციპების დაცვა, არაფერი იყო თუ არა შენიღბული იმპერიალიზმი, რომელსაც ბოლშევიზმი ეფუძნებოდა. გასაგებია, რომ ისინიც აპირებენ იგივე იპერიალისტური პოლიტიკა გაატარონ, როგორსაც ცარისტული რუსეთი აპირებდა.“ წერს ალი ფუად ჯებესოი (ჯებესოი, 1982, გვ. 94).

5.6 ანგორის მთავრობის ეჭვები

1920 წლის 10 აგვისტოს სევრში დაიდო საზავო ხელშეკრულება „მეკავშირე და ასოცირებულ ერს“ და მეორე მხრივ ოსმალეთს შორის, რომლის თანახმად, სომხეთ გადაეცემოდა აღმოსავლეთ ანატოლიაში გარკვეული ტერიტორიები - ერზურუმის, ვანის, ბითლისისა და ტყრაპიზონის ვილაეთებში, თუმცა, სომხეთს აღნიშნული ტერიტორიებზე დე-ფაქტო თავისი უირისდიქციის გავრცელების შესაძლებლობა არ მიეცა, გარდა ამისა, აღნიშნულ ხელშეკრულების კატეგორიულად უარყოფითი შეფასება მისცა ანგორის მთავრობა, რომელსაც მუსტაფა ქემალ ათათურქი ედგა სათავეში და ფაქტობრივად აკონტროლებდნენ ანატოლიის იმ ტერიტორიებს, რომელიც ზავით სომხეთს გადაეცა.

1920 წლის 9 აგვისტოს ანგორის მეჯლისის სხდომაზე მუსტაფა ქემალ ათათურქმა ბოლშვეიკებთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი მოხსენება გააკეთა და განაცხადა, რომ ქვეყნისა და ხალხის გადასარჩენად ყველაფერი უნდა გაკეთდეს. (საიდუმლო სხდომის ოქმი, ტ. 3 გვ.206). დაახლოებით ამავე პერიოდში, აგვისტოს შუა რიცხვებში მუსტაფა ქემალ ათათურქი ხვდება თურქ კომუნისტს სულეიმან სამის. შეხვედრაზე მუსტაფა ქემალ ათათურქი კითხვას უსვამს, რუსები დაეხმარებიან თუ არა თურქებს, რაზეც სულეიმან სამი პასუხობს: „რუსეთის რესპუბლიკამ მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო დაეხმაროს იმპერიალისტებთან ბრძოლაში ჩაგრულ ერებს. თუმცა, იმის გამო, რომ ანგორის მთავრობა კომუნიზმის პრინციპებისაგან შორს დგას, ამან შეიძლება რუსეთსა და თურქებს შორის გარკვეული ეჭვები გააჩინოს. იმისათვის, რომ მხარდაჭერა მიიღოს, თურქეთმა კომუნისტებთან შეხვედრებს კარი უნდა გაუღოსო“ (აღნიშნული დოკუმენტი მოყვანილი აქვს მეჰმედ ფერინჩეკს გვ. 248.) თუმცა, მას მერე, რაც საბჭოთა მთავრობისა და სომხეთის გარიგების შესახებ ანგორაში ამბავი ცნობილი ხდება, 1920 წლის 2 სექტემბერს გადაწყვეტილებას იღებს პოლიტიკა შეცვალოს. „მოსკოვში ჩვენი წარმომადგენლის 1920 წლის 29 აგვისტოს მიღებული პატაკის საფუძველზე ირკვევა, რომ ბოლშევიკურ რუსეთს სურს ისლამურ და თურქულ სახელმწიფოებში უპირობო გავლენა მოიპოვოს.... მისი ქმედებებიდან გამომდინარე ვვარაუდობთ, რომ საბჭოთა რუსეთი ცდილობს თავი ისე წარმოაჩინოს, თითქოს თურქეთს ბრძოლაში ეხმარება, თუმცაღა არ შესწევს ძალა მოთხოვნილი დახმარება აღმოუჩინოს და ცდილობს დრო გაწელოს... სომხების გამო დასავლურ ქრისტიანულ სამყაროში ცდილობს თურქეთის საწინააღმდეგო ინფორმაცია გაავრცელოს,ბოლშევიზმის ქვეყნის შიგნით გავრცელების მცდელობით ხელს უშლის

თურქეთს დამოუკიდებელი პოლიტიკა აწარმოოს დასავლეთის მიმართ და ამით ცდილობს თურქეთი დამოკიდებული გაცხადოს, ქვეყნის მართვის სადავეები კი მოსკოვს დაუქვემდებაროს. ბოლშევიკებმა.... თურქეთს ერთი ქურუშიც არ მისცეს, აზერბაიჯანი ძალიან მარტივად დაიპყრეს, ცდილობენ თურქეთსა და დანარჩენ მუსლიმურ სამყაროს შორის კავშირს ხელი შუეშალონ, სომხებსა და დასავლეთს ისე აჩვენებენ, თითქოს ცდილობენ სომხების პრობლემები მათ სასარგებლოდ გადაწყვიტონ.... ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ბოლშევიკური რუსეთის მიმართ ჩვენი პოლიტიკა უნდა იყოს შემდეგნაირი: ხელი შვუშალოთ აღმოსვალეთის საზღვრებთან და სხვადასხვა რეგიონებში საიდუმლო ჯგუფების, რომელიც ცდილობენ კომუნიზმის გავრცელებას, შემოსვლა, აღვკვეთოთ, განსაკუთრებით, ჯარში ბოლშევიკური საიდუმლო დაჯგუფებები უნდა აღიკვეთოს. .... აღმოსავლეთის ხალხები თვლიან, რომ ჩვენ ბოლშევიკებთან გვაქვს კავშირი და ბოლშევიკურ რუსეთზე იმედს ამყარებენ. ეს კი სიმართლეს არ შეესაბამება და საჭიროა ამის საჯაროდ განცხადება. თუკი ალიანსი შეუძლებელია, ეს უნდა გავიაზროთ და შესაბამისად უნდა ვიმოქმედოთ.... (ჯებესოი, 1982, გვ.96). გარდა იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება ანგორის მთავრობის პოლიტიკის მიმართულებას განსაზვრავდა ბოლშევიკებთან მიმართებაში, ამავდროულად, მოსკოვში მყოფი ბექირ სამისთვის ერთგვარი გზავნილი იყო შემდგომის ნაბიჯების გადადმის კუთხით.

მოსკოვში თვეზე მეტი მიმდინარე მოლაპარაკებები, საბოლოო ჯამში, 1920 წლის 24 აგვისტოს დროებითი შეთანხმებით დასრულდა. აღნიშნული შეთანხმება 1920 წლის 18 სექტემბერს ტელეგრაფით ეცნობა ანგორის მთავრობას. შეთანხმების დადებიდან სამი დღის შემდეგ ჩიჩერინმა თავისთან იხმო ბექირ სამი და ისევ სომხეთზე ჩამოაგდო სიტყვა და თქვა, რომ საბჭოა მთავრობა ეცდება მოლაპარაკებების გზით დაიყოლიოს სომხეთის მხარე, თუკი ამ მოლაპარაკებებმა არ გაჭრა,მაშინ ძალას გამოიყენებენ. გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინმა ასევე განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა თანახმაა თურქეთის მხარის მიერ სარიყამიშის დაპყრობაზე, თუმცა, გარანტიებს იხოვდა, რომ სომხების ხოცვა-ჟლეტა არ მოხდებოდა, რაზეც ბაქირ სამიმ უპასუხა, რომ უიარაღო სომხების მოკვლას აზრადაც კი არავინ გაივლებდა, იქვე დასძინა, რომ სასწრაფოდ ბოლო უნდა მოეღოს ყარსში, ნახჭევანში და შახტახტში მუსლიმების ხოცვას. შემდეგ კი გიორგი ჩიჩერინმა შეთანხმებაში კიდევ ერთი დამატებითი პუნქტის ჩამატება დაჟინებით მოითხოვა, რაც გულისხმობდა ვანისა და

ბითლისის სომსხეთისთვის გადაცემას, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ თურქეთისთვის დახმარების აღმოჩენა ზუსტად ამაზე იყო დამოკიდებული. ასევე, შეახსენა, რომ ჰალილ და ჯემალ ფაშასთან საუბრისას ისინი აღნიშნულ საკითხს დაჰყაბულდნენ კიდეც. (ჯებესოი, 1982, გვ. 107). საბჭოთა კომისარი აცხადებდა,რომ საბჭოთა რუსეთი წინააღმდეგ შემთხვევაში ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდა. ამავე პერიოდში ენვერ ფაშა, რომელიც მოსკოვში ხვდება კარლ რედეკს, იგივე მოთხოვნას ისმენს :"ვიდრე გაძლიერდებით, დრო უნდა მოიგოთ, სხვა გზა არ გაქვთ. იქედან გამომდინარე, რომ საბჭოთა რუსეთის მთავრობა, რომლისგანაც ჩვენ დახმარების, მეგობრობისა და დიდი ალბაობით, მეკავშირეობის მოლოდინი გვქონდა, ინგლისთან იყო გარიგებული, ვერ მოგვაწვდიდა იმ ოდენობის დახმარებას, რომ ჩვენი საჭიროებები დაეკმაყოფილებინა" . (ჯებესოი, 1982, 127).

ბექირ სამი ანგორის მთავრობას კომპრომისზე წასვლას სთხოვდა. შექმნილ სიტუაციაზე მსჯელობის მიზნით, 1920 წლის 16 ოქტომბერს, ანგორის მთავრობა სპეციალურად შეიკრიბა და მოისმინა იუსუფ ქემალის მოხსენება. მან დაწვრილებით მოყვა მოსკოვში ჩასვლის და საგარეო საქმეთა კომისართან შეხვედრის დეტალები. შეხვედრის დროს ანგორის მთავრობა ითხოვდა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების საზღვრებთან დაკავშირებული პუნქტის აღგდენას, რომლის მიხედვით ოსმალეთს ყარსი, არტაანი და ბათუმი გადაეცემოდა. საბჭოთა მთავრობა თურქებისგან ვანისა და ბითლისის სომხეთისთვის გადაცემას ითხოვდა. ამგვარად, საბოლოო შეთანხმებაზე ბექირ სამიმ ხელი არ მოაწერა. (საიდუმლო სხდომის ოქმი, 16 ოქტომბერი, 1920 წ. მე -5 ტ. გვ,158). იუსუფ ქემალის მოხესენების მოსმენის შემდეგ ანგორის მთავრობამ გადაწყვეტილება მიიღო სომხეთის წინააღმდეგ საბრძოლო მოქმედებაზე გადასულიყო.

5.7 საბჭოთა რუსეთის პირველი დიპლომატიური მისია ანგორაში

1920 წლის 8 სექტემბერს ერზურუმში ჩამოდის საბჭოთა რუსეთის ორას კაციანი პირველი დიპლომატიური მისია. მისიის ხელმძთვანელად, როგორც ზემოთ ვთქვით, დანიშნული იყო შალვა ელიავა, თუმცა, ავადმყოფობის მომიზეზების გამო, იან უპმალი დაინიშნა ელჩის მოვალეობის შემსულებლად. ერზურუმში უპმალს ქიაზიმ ყარაბექირი შეხვდა. შეხვედრის შესახებ პატაკი ქიაზიმ ყარაბექირმა ანგორის მთავრობას 1920 წლის 14 სექტებმერს გაუგზავნა, რომელშიც ის წერს:" უპმალის თქმით, საბჭოთა მთავრობის პრინციპია

დაეხმაროს ყველა ჩაგრულ ხალხს, რომელიც დახმარებას ითხოვს... საბჭოთა მთავრობა იბრძვის იმპერიალისტების წინააღმდეგ, ამიტომ, საჭიროა თურქეთთან და სხვა ისლამურ მთავრობებთან შექმნას ალიანსი... თურქეთი თუ სულთნის მთავრობის გავლენის ქვეშ არ მოიქცევა და ხალხს აუხსნის, რაოდენ ცუდია და დრომოჭულია სასულთნო, ის შეძლებს იმპერიალისტური გავლებისაგან თავის დაღწევას და ნდობის უფრო გამყარებას... თუკი თურქეთის დღევანდელი სახალხო მთავრობა ფიქრობს ხალხში პროპაგანდას, თურქეთის კომუნისტურ პარტიას უნდა მიეცეს ნებართა, ჩაერთოს ამ მუშაობაში, რათა რუსეთის საბჭოთა მთავრობა დარწმუნდეს, რომ თურქეთში მთავრობა იმპერიალისტების წინააღმდეგ მუშაობს...ანატოლიაში არიან ამხანაგები, ვინც კომუნისტური პარტიაში შევიდნენ, თუმცა, იმალებიან, ეშინიათ ღიად მუშოაბის.“ ამგვარად, შეხვედრაზე, როგორც ჩანს, საბჭოთა მთავრობამ ანატოლიაში კომუნისტური პარტიის ღიად მუშაობისათვის მხარდაჭერა და ნებართვა მოითხოვა. საბჭოთა რუსეთის ელჩობას მუსტაფა ქემალ ათათურქი ასე ეხმაურება: „ბოლშევიკების დიპლომატიური მისიას გუშინ შევხვდით და ვუმასპინძლეთ. ისინი ერთადერთ წოდებას და მიმართვას იყენებენ, რომელიც ბოლშევიზმისათვის არის დამახასიათებელი - ამხანაგი! ჩვენთვისაც მისაღებია ეს მიმართვა და მათ, როგორც ამხანაგებს, ისე მივიღებთ. ისინი ჩვენი მეგობრები და ამხანაგები არიან.ერთ გზაზე ვდგავართ და ერთი მიზანი გვაქვს.“ (ფერინჩეკი, 2007, გვ 68). საბჭოთა მისია ანგარაში 5 ოქტომბერს ჩავიდა. ამ ამბავს თურქული გაზეთი „ჰაქიმიეთ ი მილიე“ ასე ეხმაურება: „რუსი ბოლშევიკების დელეგაცია ანკარაში გუშინ საღამოს ჩამოვიდა. დელეგაციას სადგურში ქალაქისა და მთავრობის წარმომადგენლები დახვდნენ.... დელეგაცია სრული შემადგენლობით ჯერ არ ჩამოსულა. ელჩი, ამხანაგი ელიავა ჯერ არ ჩამოსულა.... დელეგაციაში ოცდაოთხი წევრია, ხუთი კი არზრუმში დარჩა, რომ ანკარასა და ბაქოს შორის კავშირი უზრუნველჰყოს. ეს დელეგაცია საჭირო დახმარებას ნახჭევანიდან არზრუმში თანდათანობით ჩამოიტანს“. (5 ოქტომბერი, 1920 წ. ჰაქიმიეთ ი მილიე). საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელმა მუსტაფა ქემალ ათათურქს გადასცა გიორგი ჩიჩერინის 2 ივლისით დათარიღებული წერილი, რომელშიც ეწერა, რომ საბჭოთა რუსეთი პატივისცემასა და სიმპატიებს უდასტურებს თურქ ხალხს, რომელიც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ. შემდეგ წერს, რომ საბჭოთა რუსეთი ყოველგვარი ჩაგვრის წინააღდმეგია და ხელს უწვდის თურქ მშრომელ ხალხს და უცხადებს სოლიდარობას. ის იმედს გამოთქვამდა, რომ ჰალილ ფაშას ჩამოსვლა და საბჭოთა დიპლომატიური მრჩევლის თურქეთში ჩასვლა, ხელს შეუწყობს

ორი ქვეყნის კიდევ უფრო დაახლოებას. საბჭოთა კომისრის წერილზე მუსტაფა ქემალ ათათურქის პასუხი მოსკოვში 1920 წლის 29 ნოემბერს ჩავიდა. ამ წერილში მუსტაფა ქემალ ათათურქი მადლობას უხდიდა იმ შეფასებისთვის, რომელიც თურქმა ერმა იმპერიალისტების წინააღდმეგ ბრძოლისათვის დაიმსახურა. „ ჩვენ ვიაზრებთ რაოდენ დიდ მსხვერპლზე წავიდა რუსი ერი, რათა გადაერჩინა კაცობრიობა, საუკუნეების მანძილზე იბრძოდა მუსლიმური ქვენების გადასარჩენად, რომელიც ევროპელი იმპერიალისტების ინტერესის საგანს წარმოადგენდა... საბჭოთა ფედერალური საბჭოთა რესპუბლიკის მაღალი ავტორიტეტი ევროპის მშრომელთა წრეში და თურქი ერისადმი და ზოგადად, მუსლიმური სამყაროს სიყვარული რწმენას მაძლევს, რომ ჩვენი ალიანსი საკმარისი იქნება, რომ ყველა გავაერთიანოთ ევროპელი კაპიტალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში“.(საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956 გვ. 11, 12).

1920 წლის 9 ოქტომბერს კი საზეიმოდ გაიხსნა საბჭოთა საელჩო. მუსტაფა ქემალ ათათურქი საბჭოთა მისიის წარმომადგენელს 1921 წლის 1 იანვარს შეხვდა. შეხვედრაზე იან უპმალმა სთხოვა ჯარში კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელებისთვის ხელი არ შეეშალა მთავრობას, მუსტაფა ქემალ ათათურქი დელიკატურად ცდილობდა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლისათვის მიეხვედრებინა, რომ ოსმალეთის ჯარს, პირველ რიგში, სახელმწიფოსი სჯერა და ემორჩილება მთავრობას, თუმცა, თუკი აღმოჩნდებიან მავანნი, ვინც მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ წავლენ, იძულებული იქნება აუკრძალოს ოფიცრებს ნებისმიერ პარტიაში გაწევრიანება. (ათათურქი,2006, გვ.232). კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელების საშიშროება მართლაც რომ საფიქრებელი იყო ანგორის მთავრობისთვის, ამიტომ, 1921 წლის 22 იანვარს, მეჯლისის საიდუმლო სხდომაზე კომუნიზმის პრაგანდის საკითხი იქნა განხილული. მუსტაფა ქემალ ათათურქმა მტკიცედ განაცხადა, რომ მთავრობა კომუნისტურ პრონციპებს კატეგორიულად არ იზიარებს, მავანნი კი, მუსტაფა სუფის ხელმძღვანელობით, ცდილობენ ქვეყანაში კომუნისტური ორგანიზაცია შექმნან. ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელების აღკვეთა აუცილებელი იყო, ოღონდ, ისე, რომ კომუნისტური რუსეთის აღშფოთება არ გამოეწვია, რადგან ანგორის მთავრობა იმ დროს მოსკოვთან მოლაპარაკებებს აწარმოებდა (ათათურქი, 2006, გვ.304).

1921 წლის 24 იანვარს მუსტაფა ქემალ ათათურქსა და იან უპმალს შორის შედგა მეორე შეხვედრა, სადაც მუსტაფა ქემალ ათათურქმა რუსი ბოლშევიკი ინტრიგებსა და

ანტისახელმწიფოებრივი სამქიანობის ხელშეწყობაში ამხილა. რის პასუხად უპმალი თავის მართლებას შეუდგა. შეხვედრაზე მუსტაფა ქემალ ათათურქმა სულეიმან სამის შესახებ სიტყვა ჩამოაგდო. გაზეთ "ახალი სამყაროს" (Yeni Dünya) დაკავებულებულებს შორის წერილი ვიპოვეთ. ამ წერილში ეწერა, რომ სულეიმან სამიმ თურქეთში კომუნისტური პროპაგანდის სანაცვლოდ რუსეთში ორი მილიონის მოგროვება შეძლო და თითქოს ეს ფული მე შემომთავაზა და უარი რომ მიიღო, გდაწყვიტა ეს ფული კომუნისტური ორგანიზაციისთციისთვის მიეცა. ეს ტყუილია, იმიტომ, რომ სულეიმან სამი ჩემთან ამ წინადადებით არ მოსულა." მუსტაფა ქემალ ათათურქმა საბჭოთა საელჩოს მესვეურები კომუნისტური ორგანიზაციებისთვის ფულადი დახმარების გაწევაში, პრესაში მის წინააღმდგ კამპანიის აგორებასა და პოლიტიკურ პარტიებში კომუნისტური პროპაგანდის გავრცელებაშიც ამხილა. იან უპმალმა ანგორის მთავრობა კომუნისტების დევნაში დაადანაშაულა, რაზეც მუსტაფა ქემალ ათათურქმა უპასუხა, რომ თურქეთში კომუნისტურ იდეოლოგიასთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება არ არის, მაშინ, როდესაც გაჩაღებულია ეროვნულ-განმათავირუფლეელი ბრძოლა, აუცილებელია ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და ერის ერთი იდეოლოგიის ქვეშ გაერთიანება. „კომუნიზმის საკითხი კი ხალხმა თავად უნდა გადაწყვიტოს" - ამბობს ათათურქი - „ხალხმა უნა გაიცნოს კომუნისტური იდეოლოგია და მერე უნდა ვკითხოთ, რა აზრისაა ამაზე. ზუსტად ამ მიზნით დავაფუძნე თურქული კომუნისტური პარტია, რომლის მიზანი ამ იდეოლოგიის ჩვენს მოთხოვნილებებთან მორგებაა. ამჟამად აღნიშნული პარტია სახელმწიფოს მეთალყურეობის ქვეშ არის." (ათათურქი, 2006, გვ.324).ამ შეხვედრიდან მეორე დღეს მუსტაფა ქემალ ათათურქი ტელეგრაფს ანგზავნის, რომელშიც ის წერს, რომ მიზანშეწონილია რუსეთის სავაჭრო მისიის ხელმძღვანელმა უპმალმა დატოვოს ქვეყანა, რადგან ანკარაში მისი პროვოკაციული საქმიანობა დადასტურდა. (ფერინჩეკი, 2007, გვ 85).

თავი VI - მოსკოვის კონფერენცია

6.1 შეტევა სომხეთზე და ყარსის ოკუპაცია

მას მერე, რაც გიორგი ჩიჩერინმა მოითხოვა ვანისა და ბითლისის ტერიტორიების სომხეთისთვის დათმობა, ანგორის მთავრობამ საბრძოლო მოქმედებები დაიწყო. მუსტაფა ქემალ ათათურქი ქიაზიმ ყარაბექირს 20 სექტემბერს გაგზავნილ ტელეგრაფში შეტევაზე

გადასვლს ნებას რთავდა, ოღონდ ქართველების მიმართ ნეიტრალიტეტი უნდა დაეცვა(ყარაბექირი, 1960, გვ. 901). ამგვარად, ანგორის მთავრობამ დიპლომატიური სვლა გააკეთა და ეცადა, სამხრეთ კავკასიაში ზედმეტი პროვოკაციები თავიდან აეცილებინა.

24 სექტემბერს ოსმალეთის ჯარი იერიშზე გადავიდა. 29 სექტემბერს სარიყამიში, 30 სექტემბერს ოლთისსა და არტაანს შორის მდებარე მერდენექის ოლქი აიღო. ამის საპასუხოდ სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახანჯიანმა საბჭოთა მთავრობის საგარეო საქმეთა კომისარს 30 სექტემბერს დეპეშა გაუგზავნა და მოითხოვა ოსმალეთის ჯარის სასწრაფოდ შეჩერება. (ჯეგესოი, 1982, გვ. 120). ამავე პერიოდში გიორგი ჩიჩერინმა თბილისში საბჭოთა რუსეთის ელჩს შაუმიანს დირექტივა მისცა, თუ თურქები სარიყამიშის შემდეგ კიდევ წინ არ წაიწევდნენ, არ ჩარეულიყო და მზადყოფნისათვის შესაბამისი ზომები მიეღო. (იერასიმოსი, 2000, გვ.178). სოხეთის მთავრობა, მიხვდა რა, წინააღმდეგობას რომ ვერ გაუწევდა ოსმალეთს, დაზავება შესთავაზა. საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელმა კავკასიაში ლეგრანმა ერევანს შემდეგი პირობები წაუყენა: რკინიგზის გამოყენებაში შეზღუდვა არ ექნებოდა საბჭოთა რუსეთს, აზერბაიჯანს და ანგორის მთავრობას, სომხეთი სივრის ხელშეკრულებას ძალადაკარგულად გამოაცხადებდა და ყოველგვარ ურთიერთობას გაწყვეტა მეკავშირე სახელმწიფოებთან. ოსმალეთთან საზღვართან დაკავშირებული კონფლიქტი საბჭოთა მთავრობის მედიატორობით უნდა მოგვარებულიყო, სამაგიეროდ, საბჭოეთის მიერ ოკუპირებული ზენგიზორი და ყარაბაღი სომხეთს გადაეცემოდა. (იერასიმოსი, 2000, გვ. 179). თუმცა, სომხეთის მთავრობის მონდომებამ, თავი აერიდებინა ომისთვის, არ გაჭრა და ოსმალეთის ჯარმა სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებები წამოიწყო. დახმარების მოლოდინში მყოფი ანგორის მთავრობისთვის საბჭოთა რუსეთის კეთილგანწყობის შენარჩუნებაც აუცლებელი იყო, ამისათვის, 1920 წლის 6 ოქტომბერს, ბექირ სამის წერილი გაუგზავნა, რომელშიც ანგორის მთავრობა სთხოვდა აეხსნა საბჭოთა ხელმძღვანელობისთვის, რომ წამოწყებული იერიში მხოლოდ და მხოლოდ სომხების მიერ მშვიდობიან მოსახლეობაზე განხორციელებული თავდასხმების პასუხია და ეს ვერავითარ შემთხვევაში ვერ იმოქმედებს საბჭოთა რუსეთსა და ოსმალეთს შორის მიმდინარე მოლაპარაკებებზე და სთხოვდა მოსკოვს ამ საკითხთან დაკავშირებით დახმარებას. (ჯეგესოი, 1982, გვ. 118).

სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების გამო საქართველოს მთავრობაც შეშფოთებული იყო. სიტუაციის გასანეიტრალებლად კაპიტანი თალათ ბეი თბილისში იქნა გაგზავნილი. გარდა ამისა, ანგორის მთავრობამ საქართველოს მთავრობას 9 ოქტომბერს ტელეგრაფი გაუგზავნა, რომელშიც იტყობინებოდა, რომ აღნიშნული საბრძოლო მოქმედება მხოლოდ სომხეთის წინააღმდეგ არის და საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობების დამყარების სურვილს გამოთქვამდა. (Sarı/სარი, 2014, გვ 568). თუმცა, თურქეთის ჯარის სამხრეთ კავკასიაში საბრძოლო მოქმედებების კიდევ უფრო გაფართოების გამო საქართველოს მთავრობა მაინც გრძნობდა მოახლოებულ საფრთხეს. გარდა იმისა, რომ მობილიზაცია გამოაცხადა, ცდილობდა მოსკოვთან მოლაპარაკება ეწარმოებინა. ამ მიზნით, ნოე რამიშვილმა 1920 წლის 20 ოქტომბერს ტელეგრამა გააგზავნა მოსკოვში, რომელიც იქედან აღმოსავლეთის ფრონტზე მოხვდა. წერილი შემდეგი შინაარსისაა: „მიღებული ცნობების თანახმად, მუსტაფა ქემალ ფაშას საბრძოლო ქვედანაყოფები სარიყამიშისა და არტაანის ოლქებში შეტევას განაგრძნობენ. მუსტაფა ქემალ ათათურქის ჯარის მოქმედებები ჩვენს მთავრობებს შორის, მუსტაფა ქემალ ფაშასთან ერთად დამყარებულ კეთილმეზობლურ ურთიერთობაზე იმოქმედებს. ვგრძნობ, რომ ასეთი მოქმედებები ჩვენ შორის არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობას ზიანს მიაყენებს. გთხოვთ, გვაცნობოთ, მუსტაფა ქემალ ფაშას სამხრეთ კავკასიაში წარმოებული საბრძოლო მოქმედებები კიდევ უფრო შორს რატომ გავრცელდა და ეს ოპერაცია ჩვენ გვიკავშირდება თუ არა. მუსტაფა ქემალ ფაშას საომარი მოქმედებები ჩვენს ქვეყანას საფრთხეს უქმნის. ამ ოპერაციის შესახებ ალბათ საქმის კურსში ხართ და ჩვენს მთავრობას აინტერესებს, საბრძოლო მოქმედებები რამდენად შორს წაიწევს? მუსტაფა ქემალ ფაშას ჯარი საქართველოშიც შევა? თუ შესვლას აპირებს, გთხოვთ, გვაცნობოთ მიზეხზი და იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ მუსტაფა ქემალ ფაშასა და ჩვენს დანაყოფებს შორის შეტაკება, მიიღოთ შესაბამისი ზომები.“ (Türk İstiklal Harbi Doğu Cephesi (1919-1921) /თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, გვ.187). ამ ნოტაზე ანგორის მთავრობამ სასწრაფოდ რეაგირება მოახდინა და საქართველოს მთავრობას შემდეგი შინაარსის ნოტა გაუგზავნა:„ როგორც გავიგეთ, სომხების მიერ მუდმივი თავდასხმების პასუხად ჩვენ მიერ წამოწყებული შეტევის გამო თბილისის მთავრობა შეშფოთებულია და ითხოვს გარანტიას. ანგორის მთავრობა თვლის, რომ საჭიროა ორ ერს შორის გაუგებრობა აღმოიფხვრას.... ამ მიზნით, მზად ვარ შევხვდეთ ქართულ დელეგაციას.... მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, ანგორის მთავრობა პირობას

დებს, რომ თბილისის მთავრობის მოთხოვნის შესაბამისად, საზღვარს არ გადაკვეთს, საპასუხოდ კი, საქართველოს მთავრობას სთხოვს დაიცვას ნეიტრალიტეტი და საზღვარზე მომდგარ სომხურ საჯარისო ქვედანაყოფები განაიარაღოს.... თბილისში მყოფმა ჩვენმა წარმომადგენელმა გაცნობათ, რომ არტაანის ოლქში ჩვენი საჯარისო დანაყოფები შეჭრას არ აპირებენ, თუმცა, გვიკვირს საქართველოს მთავრობის შეშფოთება ამ საკითხთან დაკავშირებით, რამდენად იყო საჭირო მობილიზაციის გამოცხადება. გთხოვთ, გვაცნობოთ, რას ემსახურება საქართველოს მთავრობის მიღებული ზომები." (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული,1995, გვ.189). საქართველოს მთავრობა ნეიტრალიტეტთან დაკავშირებით დუმდა, ამიტომ, თადარიგის დაჭერის მიზნით, ანგორის მთავრობამ თბილისში მოსალაპარაკებლად გააგზავნა ერთობისა და პროგრესის პარტიის წარმომადგენელი ჰილმი ბეი. 1920 წლის 14 ოქტომბერს მიღებული პატაკის საფუძველზე ვგებულობთ, რომ ჰილმი ბეიმ საქართველოს მთავრობის მესვეურების დარწმუნება შეძლო, უფრო მეტიც, ოსმალეთის ჯარს საქართველო ნებას რთავდა მტკვრის აღმოსავლეთით თავისუფლად გადაადგილებულიყო და საბრძოლო მოქმედებები ეწარმოებინა და დახმარებაც კი აღუთქვა. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, გვ.190). თუმცა, მიუხედავად შეპირებისა, ქიაზიმ ყარაბექირმა ჯარი არტაანის ოლქში მაინც გააგზავნა. (იერასიმოსი, 2000, გვ. 182). 30 ოქტომბერს კი ოსმალეთის ჯარმა ყარსი აიღო.

ამავე პერიოდში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მეჯლისის საიდუმლო შეხვედრაზე იუსუფ ქემალმა მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა მუსტაფა ქემალ ათათურქს და ბოლშვიკების მოთხოვნა - ვანი და ბითლისიც სომხებისთვის გადაეცათ. 16 ოქტომბერს ქიაზიმ ყარაბექირს გენერალური შტაბიდან ვანისა და ბითლისის სომხეთზე გადაცემის თაობაზე აზრი ჰკითხეს, რაზეც მან უპასუხა:"ჯობს, გავაგრძელოთ ყარსი, არტაანი, ბათუმის ოლქების დაპყრობა". (ყარაბექირი, 1960, გვ.909). ყარსის დაპყრობის შემდეგ კი, ყარაბექირი წერს, რომ ქართველებმა არტაანში ძალების მობილიზება დაიწყეს, თუმცა საეჭვოა, რომ ყარსს დაეხმარონ. (ყარაბექირი, 1960, გვ. 909). 16 ოქტომბერს საიდუმოლო სხდომაზე, იუსუფ ქემალის მოსმენის შემდეგ, მეჯლისი გადაწყვეტილებას იღებს მოსკოვს უარი უთხრას ვანისა და ბითლისის დათმობაზე და ამავე დღეს მუსტაფა ქემალ ათათურქი საკმაოდ ვრცელ წერილს წერს ბექირ სამის. მუსტაფა ქემალ ათათურქი

წერს, რომ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნამ - ვანი და ბითლისი სომხეთისთვის გადაეცა - ეჭვი გააღვივა. ეროვნულმა მეჯლისმა იმსჯელა საკითხის ირგვლივ და ხმათა უმრავლესობით დაადგინა, რომ თურქი ერი კატეგორიულად არ დათანხმდება ტერიოტიების დათმობას, რომ თურქეთი, რადაც არ უნდა დაუჯდეს, დაიცავს ტერიტორიულ მთლიანობას. „ მსგავსი იმპერიალისტური მოთხოვნა, თუნდაც ეს თხოვნა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკიდან მომდინარეობდეს, კატეგორიულად მიუღებელია...ამასთან ერთად, ჩვენ გვეჯერა, რომ რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას, ისევე, როგორც ანგორის ეროვნულ მთავრობას , ლენინის და ჩიჩერინის საუბრებიდან გამომდინარე, აქვთ სურვილი, რომ უფრო მჭიდრო ურთიერთობა გვქონდეს, ამიტომ, დარწმუნებული ვართ, რომ დღევანდელ სიტუაციას გადახედავენ და ეროვნული კრების სურვილებს გაითვალისწინებენ... გთხოვთ, ჩიჩერინს გადასცეთ შემდეგი: 1. პუნქტი: ვანსა და ბითლისში, ადგილობრივი და უცხოელი მეცნიერების მიერ ჩატარებული სტატისტიკის მიხედვით, სომხური მოსახლეობა არასდროს ყოფილა უმრავლესობა. ამიტომაც, მიწის გარკვეული ნაწილის უმცირესობისთვის გადაცემა იმპერიალისტური მიდგომაა და სხვა არაფერი. ანგორის ეროვნული მთავრობა იბრძვის რა იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მსგავს წინადადებას არასდროს დათანხმდება.2 პუნქტი: ანგორის ეროვნული მთავრობა თანახმაა ემიგრაციიდან დაბრუნებული სომხები დაუბრუნდნენ იმ ტერიტორიებს, რომელზეც ისინი ცხოვრობდნენ და ყველა ის უფლება მისცეს, რასაც უმცირესობების უფლებების დაცვით არის გარანტირებული (ათათურქი, 2006, გვ.290). თუმცა, ბექირ სამისთვის განკუთვნილი წერილის ნაცვლად სხვა ტელეგრამა გააგზავნეს, რომელშიც ეწერა, რომ სტამბოლში თევფიქ ფაშას მეთაურობით ახალი მთავრობა შეიქმნა, დელეგაციამ აღარ უნდა დააყენოს დღის წესრიგში ვანისა და ბითლისის საკითხი, და, თუკი საბჭოთა რუსეთს სურს იმპერიალიზმის წინააღდმდეგ თურქ ხალხთან ერთად ბრძოლა, უარი უნდა თქვას მოთხოვნაზე. (ჯებესოი, 1960, გვ. 116, 117).

ყარსის აღების შემდეგ ოსმალეთის ჯარის მეთაურობა გადაწყვეტილებას იღებს შეტევა გააგრძელოს. 1920 წლის 31 ოქტომბრის გენერალური შტაბის მიერ გაგზავნილ დირექტივაში წერია, რომ „მიღებული გამარჯვებით აუცილებლად უნდა ვისარგებლოთ. ვიდრე სომხები იარაღს არ დაყრიან და არ ვაიძულებთ დაზავებას, საბრძოლო მოქმედებები უნდა გაგრძელდეს.“ (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული,

1995, გვ.214). ოსმალეთის ჯარის შეტევაზე გადასვლისთანავე სტალინმა მუსტაფა ქემალ ფაშას საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა მოსთხოვა. (იერასიმოსი, 2000, გვ. 185). ამავე პერიოდში საქართველოში აქტიურად ცდილოს ბრიტანეთი და საფრანგეთი გავლენის გაძლიერებას, რაც საბჭოთა მთავრობას, რა თქმა უნდა, არ გამორჩენია და სიტუაციის განეიტრალების მიზნით,1920 წლის 11 ნოემბერს გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინმა ანგორისა და სომეთის მთავრობებს მედიატორობას სთავაზობს და გადაწყვეტილებას იღებს საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტში გააგზავნოს თავისი რწმუნებული - ბუდუ მდივანი (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956. გვ.325).

ბუდუ მდივანი, ყარსში ჩავიდა თუ არა ქიაზიმ ყარაბერქირს შეხვდა. შეხვედრის დროს თურქულმა მხარემ შემდეგი საკითხები წამოაყენა: სომხეთის წინააღმდეგ მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების შემდეგ ახალი საზღვრები აღიარებული იქნება თუ არა? ხელი მოეწერება თუ არა თანამშომლობის ხელშეკრულებას? საკმარისი ოდენობის დახმარებას მიიღებენ თუ არა? ალი ფუად ჯებესოი წერს, რომ ბუდუ მდივანისგან მიღებული პასუხებიდან ცხადი იყო, რომ მოსკოვის პოლიტიკური განწყობა შეცვლილი იყო და ოსმალეთის მიმართ უფრო მეტ ყურადღებას იჩენდა საბჭოთა მთავრობა. (ჯებესოი, 1982, გვ.152). ყარსში გამართული შეხვედრის შემდეგ ბუდუ მდივანი გიუმრიში ჩავიდა, თუმცა, ქიაზიმ ყარაბექირმა იქვე განუცხადა, რომ შეძლეს სომხების ოსმალების მიერ ყველა მოხოვნაზე დაყოლიება და საბჭოთა მსტოვრის მედიატორობა უკვე საჭირო აღარ იყო. (იერასიმოსი, 2000, გვ. 190). ანგორის მთავრობამ 2 დეკემბერს დაშნაკურ სომხეთთან გიუმრის შეთანხმებას ხელი მოაწერა და ამავე დღეს სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. 1920 წელს საბჭოთა მთავრობასთან მიმდინარე მოლაპარაკებები ურთიერთწინააღმდეგობრივი იყო. მაშინ, როცა ანგორის მთავრობის წარმომადგენელთან თანამშრომლობის ხელშეკრულების პუნქტები უკვე შეთანხმებული იყო, მოულოდნელად საბჭოთა მთავრობამ სომხეთისთვის ტერიტორიების დათმობა მოითხოვა. ორპირი პოლიტიკა, რომელსაც საბჭოთა მესვეურები ახორციელებდნენ, არაფერი იყო თუ არა ჩაგრული ერების დაცვით შენიღბული იმპერიალისტური პოლიტიკა. მას მერე, რაც ანგორის მთავრობამ მოახერხა დაშნაკურ სომხეთთან საზღვრის საკითხის მოგვარება და სომხეთში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, საბჭოთა მთავრობამ მოლაპარაკებების განახლება

შესთავაზა, გამომდინარე იქედან, რომ არ ცნობდა ანგორის მთავრობასა და დაშნაკებს შორის დადებულ ხელშეკრულებას და საჭირო იყო საზღვრების გადახედვა.

6.2 ანგორის მთავრობასა და საბჭოთა მთავრობებს შორის მოლაპარაკებების გაგრძელება

1920 წლის 3 დეკემბერს გიორგი ჩიჩერინმა ბუდუ მდივანს სთხოვა ანგორის მთავრობასთან დაეზუსტებინა ბექირ სამისთან ერთად მომზადებული და იუსუფ ქემალის ხელით ანგორის მთავრობისთვის გაგზავნილი თანამშრომლობის ხელშეკრულება მიიღეს თუ არა და რამდენად მისაღებია მათთვის ხელშეკრულებაში ასახული პუნქტები. როდის შეძლებს ანგორის მთავრობის მიერ დანიშნული კომისია მოსკოვში მოლაპარაკებების გაგრძელების მიზნით ჩამოსვლას. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956 გვ. 364). ამავე პერიოდში ანგორის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი- აჰმედ მუჰთარ ბეი (1870-1934) გიორგი ჩიჩერინს ნოტას უგზავნის, რომელშიც ის ოსმალეთ-საბჭოთა მოლაპარაკებების განახლების აუცილებლობაზე და მეგობრობისა და ძმობის ხელშეკრულების ხელმოწერის მნიშვნელობაზე წერს. (იერასიმოსი, 2000, გვ.192). 1920 წლის 9 დეკემბერს გიორგი ჩიჩერინის პასუხმაც არ დააყოვნა, რომელშიც ის ანგორის მთავრობას მიმართავს და მზადყოფნას გამოთქვამს გაგრძელდეს მოლაპარაკებები მოსკოვში.“თანაც, აუცილებელია, რომ მოლაპარაკებებს დაესწრონ სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები, რადგან აუცილებელია, რომ ტერიტორიული და სხვა საკითხების მოგვარება... დაშნაკური სომხეთი ბოლო დღემდე ცდილობდა ხელი შეეშალა ხალხთა შორის ძმობის დამყარებისათვის... მშრომელ სომეხ ერს არც თურქი და არც რუსი ერის მიმართ შუღლი არ გააჩნია, ისევე, როგორც თურქ და რუს ერებს არაფერი ამოძრავებთ სომხეთის მიმართ გარდა ძმობისა და მეგობრობისა, ისევე როგორც აზერბაიჯანელებს, რომლებიც უკვე შეუერთდნენ რუსეთის მშრომელ მასებს...დარწმუნებული ვართ, რომ ოთხი ქვეყნის წარმომადგენლის მოსკოვში ყოფნა მნიშვნელოვანი შედეგების მატარებელი იქნება აღმოსავლეთში ევროპული მილიტარიზმის წინააღმდეგ მიმდინარე ბრძოლაში. საბჭოთა ხელისუფლება ხაზს უსვამს ამ კონფერენციის დაწყების აუცილებლობას. „ (საბჭოთა

კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 372).

მოსკოვის კონფერენციაზე მონაწილეობის მიღების სურვილი საქართველოს რესპუბლიკის მთავობამაც გამოთქვა, მაგრამ რუსეთის მთავრობამ მათ უარი განუცხადა. საქართველოს ყოფნა, როგორც ჩანს არც ანგორის მთავრობას ეპიტნავებოდა. 2 დეკემბერს აჰმედ მუჰთარ ბეი გიორგი ჩიჩერინს ნოტას უგზავნის, რომელშიც ეკითხება საბჭოთა მთავრობის მოსაზრებას საქართველოს მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება საქართველოსა და მოსკოვს შორის 7 მაისს ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველოს საზღვრების ცნობას. „ვიდრე ამ ნოტაზე პასუხს გავცემდეთ, გვაინტერესებს ანგორის მთავრობის ერთადერთი მოკავშირის - საბჭოთა რესპუბლიკის მოსაზრება და ასევე მიგვითითოთ, ის მთავარი საკითხები, რითაც შესაძლებელია, რომ რუსეთმა ისარგებლოს.“ (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956გვ. 396). საქარველო ანგორის მთავრობამაც გაწირა და საბჭოთა რუსეთთან ვაჭრობის საგანი გახდა.

1921 წლის 14 იანვარს ბუდუ მდივანი შემდეგი შინაარსის წერილს წერს: „ამხანაგმა ორჯონიკიძემ ამხანაგ ჩიჩერინს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, აჰმედ მუჰთარ ბეის ნოტის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. გიორგი ჩიჩერინმა სერგო ორჯონიკიძეს უთხრა, რომ თუ თურქეთის დელეგაცია დროს არ დაკარგავს და მალე ჩამოვა, შესაძლებელია ყველა საკითხის უცებ მოგვარება... ამხანაგმა ორჯონიკიძემ დადებითად შეაფასა თურქეთსა და რუსეთს შორის განსახილველი საკითხები და აღნიშნა, რომ ამხანაგი სტალინი აუცილებლად მიიღებს მონაწილეობას მოსკოვის კონფერენციაზე. მე კი გარწმუნებთ, რომ ქიაზიმ ყარაბექირ ფაშასთან როგორც აღვნიშნე, ვიდრე თურქეთში გამოვემგზავრებოდი, ამხანაგი სტალინისგან სომხეთის ტეროტირიებთან დაკავშირებით არანაირი დირექტივა არ მიმიღია. იმედი მაქვს, დაგარწმუნეთ, რომ რუსეთის მთავრობას მხოლოდ კეთილი მიზნები გააჩნია.“ (ჯებესოი, 1982, გვ.154).

ამრიგად, მოსკოვის მოლაპარაკებებზე საქართველოს წარმომადგენლობის დასწრება არცერთ მხარეს არ აწყობდა. ერთი მხრივ, ანგორის მთავრობა, რომელიც თითქოსდა ანგარიშს უწევდა რუს ბოლშევიკებს, თუმცა, აშკარა იყო, რომ არტაანზე შეტევის შემდეგ ჯერი ბათუმზე უნდა

მიმდგარიყო, ისევე , როგორც საბჭოთა მთავრობა, რომელსაც უკვე წინასწარ განზრახული ჰქონდა საქართველოს ოკუპაცია, ბათუმის ანგორისთვის დათმობას აღარ აპირებდა. საინტერესოა, როგორ ამართლებენ თურქი მკვლევრები საბჭოთა რუსეთის ამ ნაბიჯს, თითქოს საბჭოთა რუსეთს საქართველოსთან 7 მაისს დადებულ ხელშეკრულების ძალაში დატოვება სურდა, რადგან გასაბჭოების შემდეგ ის ისედაც საბჭოთა რუსეთის საზღვრებში მოექცეოდა. (სარი, 2014, გვ. 587). ყოველი შემთხვევისთვის, საქართველოს ბედი უკვე რომ წინასწარ გადაწყვეტილი იყო, ეს უკვე აშკარად ჩანდა.

6.3 ანგორის დიპლომატიური მისია მოსკოვში

1920 წლის 21 ნოემბერს საბჭოთა რუსეთში ელჩად ალი ფუად ჯებესოი დაინიშნა. დიპლომატიურმა დელეგაციამ მოსკოვში თბილისი - ბაქო -ხარკოვის გზით წასვლა გადაწყვიტა. თბილისში ერთი კვირით გაჩერდნენ. დელეგაციამ შეხვედრები გამართა საქართველოს მთავრობის წრევრებთან. აი, რას წერს ალი ფუად ჯებესოი საქართველოს საგარეო პოლიტიკის შესახებ: „ ინგლისი, რომელსაც საქართველო თავისი იმპერიალისტური გავლენის ქვეშ ჰყავდა მოქცეული, სინამდვილეში რუსებს სტყუარასავით მიუგდო და მეორე მხრივ ცდილობდა თურქეთი ბერძნების და სომხების დახმარებით პოლიტიკური სცენიდან ჩამოეშორებინა. ქართველები შველას ითხოვდნენ, მაგრამ უშედეგოდ... თბილისში პირველად ვარ. კავკასიაში მართლაც რომ ყველაზე ლამაზი ქალაქია. თბილისი, რომელიც ძველი ქართლის ცენტრი იყო, ცარისტული რუსეთის დროს სამხედრო გარნიზონად და ასევე კავკასიაში რუსეთის მნიშნელოვან გუბერნიად იყო ქცეული.... თბილისში რამდენიმე ოფიციალური შეხვედრა გვქონდა.... ქართველებმა გვითხრეს, რომ ძალიან მალე წითელი არმია საქართველოს გასაბჭოებას აპირებს და თურქებს დახმარება სთხოვეს... საქართველოს გარშემო ბოლშევიკები იყრიდნენ თავს და საქართველოს ... პოლიტიკური ასპარეზიდან ჩამოშორებას და მთლიანად გაქრობას ცდილობდნენ. ქართველები კი... შველას ითხოვნდნენ როგორც შეეძლოთ, მაგრამ უშედეგოდ.“ შემდეგ ავტორი წერს: „ თურქ ერს, რომელიც იარაღით ხელში იმპერიალიზმის წინააღმდეგ იბრძოდა, უპასუხოდ არ უნდა დაეტოვებინა საფრთხეში ჩავარდნილი სხვა ერი. სამხუხაროდ, ჩვენ ეს არ შეგვეძლო, რადგან დიდ მეზობელთან ერთად იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძლაში გავერთიანდით.... თავის დროზე, როცა სამხრეთ კავკასია ინგლისისა და საფრანგეთის ტყვეობაში მოექცა, ქართველები ამბობდნენ, რომ რუსეთში ახალი რეჟიმი ძლიერდება, კავკასიაში პატარა ერები

გადარჩენას მხოლოდ გაერთიანებით შეძლებენ და ბოლშვეიკების ექსპანსისგან ასე შევძლებთ თავის დაცვასო.“ ამრიგად, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ცდილობნენ ანგორის მთავრობის სახით მოკავშირე შეეძინათ და გაერთიანებაზე ფიქრობდნენ, თუმცა, უშედეგოდ. „ქართველები პოლიტიკოსები ძალიან დადარდიანებული იყვნენ“ წერს ალიფ ფუად ჯეზესიო. (ჯეზესიო, 1982, გვ. 160). თბილისიდან დელეგაცია ბაქოში გაემგზავრა. “თავისი ყოფით ბურჟუაზიული ქალაქისგან სრულიად განსხვავდებოდა. ყველაფერი სახელმწიფოს საკუთრებაშია გადასული, თავისუფლად ცხოვრება აკრძალულია და ყველა ემორჩილება სახელმწიფოს კანონებს. თავისუფალი ვაჭრობა აღარ არის, ხალხი სახელმწიფო მაღაზიების წინ უზარმაზარ რიგში დგას და ხელთ არსებული დოკუმენტებით ცდილობენ შეიძინონ საჭირო საკვები. როგორც გავიგეთ, საკვები პროდუქტების დარიგების პროცესი მძიმედ მიდიოდა და საჭირო რაოდენობის არ იყო. იყო სოფლები, სადაც საბჭოთა ხელისუფლება ჯერ არ შესულიყო. იქ ცხოვრება ისევ ძველებურად მიდიოდა.“ (ჯეზესიო, 1982, გვ. 162).

დიპლომატიური მისია მოსკოვში 19 თებერვალს ჩავიდა. დელეგაციას დიდი პატივით დახვდნენ. ვიდრე საზვრებთან დაკავშირებული მოლაპარაკებები დაიწყებოდა, მიღებულ იქნა გადაწეყვეტილება მისიის ხელმძღვანელი საბჭოთა საგარეო კომისარს შეხვედროდა. პირველი შეხვედრა 21 თებერვალს მოხდა. რუსეთის მხრიდან გიორგი ჩიჩერინი და მისი მოადგილე კარახანი, ანგორის მთავრობის მხრიდან თავად ალი ფუად ჯეზესიო, იუსუფ ქემალი და ექიმი რიზა ნური ესწრებოდნენ. ანგორის მთავრობის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მოსკოვში საბჭოთა მთავრობის მოთხოვნით იმყოფებოდნენ და წარმოადგინეს ბუდუ მდივანის ანგორის მთავრობისადმი გაგზავნილი წერილი. შეხვედრაზე რუსმა კომუნისტებმა უსაყვედურეს თურქებს, რომ კომუნისტებს დევნიან, რომ სომხებთან მიმდინარე მოლაპარაკებების დროს არ იყო გათვალისწინებული საბჭოთა მთავრობის მოთხოვნები. რაზეც ანგორის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არ ხდება კომუნისტების შევიწროება და დასძინეს, რომ ქვეყნის შიდა უსაფრთხოების გამო გარკვეული ზომების მიღება გახდა საჭირო. ჩიჩერინთან შეხვედრის შემდეგ, როგორც ალი ფუად ჯეზესიო იხსენებს, ცხადი გახდა, რომ შეხვედრები შედეგის მომტანი არ იქნებოდა, ამიტომ მოითხოვეს სახალხო კომისართან, იოსებ სტალითან შეხვედრა. სტალინმა მისია 22-23 თებერვალს მიიღო. „შეთანხმებას ვეღარ გადავდებთ, რადგან ინგლისელებთან სავაჭრო ხელშეკრულება

უნდა გავაფორმოთ, მიზანი ამ შეთანხმების მოწინააღმდეგე საფრანგეთსა და ინგლისს შორის, საბოლოო ჯამში კი, ამერიკას შორის კონკურენციის გაზრდაა. თუმცა, ჩვენი მთავარი მიზანი ბრძოლის გაგრძელებაა. საჭირო ტყვია-წამლის ინგლისიდან წამოღება და ანტანტის ერთობის დაშლაა. თუ თქვენი მიზანიც ფული, იარაღი და ჰუმანიტარული დახმარების მიღებაა, ეს სასწრაფოდ უნდა გავაკეთოთ. მეგობრობის ხელშეკრულებას ხელს მოვაწერთ, იმიტომ, რომ ეს სავაჭრო ხელშეკრულებას ხელს არ შეუშლის.„ შემდეგ სტალინი სომხეთის საკითხს შეეხო და იკითხა, გიუმრიდან როდის გავიდოდა თურქული ჯარი, რაზეც პასუხად მიიღო, რომ როგორც კი შეთანხმების პუნქტები შეჯერდებოდა, ჯარი დაუყოვნებლივ დატოვებდა ტერიტორიას.“ (ჯეგესოი, 1982, გვ. 185). ამ პასუხით კმაყოფილი ოსმალეთის დელეგაცია უკან გაბრუნდა. გიორგი ჩიჩერინთან შეხვედრა 24 თებერვალსაც შედგა. შეხვედრაზე თურქულმა მხარემ სამხედრო დახმარების სია გადასცა და განხიული იქნა ამ შეიარაღების მიწოდების გზები. (ჯეგესოი, 1982, გვ. 187-189). ამრიგად, მაღალი რანგის მოლაპარაკების დასაწყებად ყველაფერი მზად იყო.

6.4 საქართველოს საკითხი მოსკოვის მოლაპარაკებების დაწყების წინ

მოსკოვის კონფერენციის დაწყებდამდე მოლაპარაკებები ძირითადად ბათუმის საკითხსა და გიუმრის ხელშეკრულების ცნობა-არცნობის საკითხს შეეეხებოდა. სომხეთის გასაბჭოების შემდეგ, ახალმა ხელისუფლებამ ანგორის მთავრობას, კერძოდ, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს- აჰმედ მუჰთარს ნოტა გაუგზავნა, რომელშიც ეწერა, რომ დაშნაკების მიერ ალექსანდროპოლში ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობები იმის მკტიცებულებაა, რომ მათ ვერ შეძლეს სომხეთის მოსახლეობა სიღარიბისგან და სირცხვილისგან დაეხსნათ. „ სომხეთის საბჭოთა ხელისუფლებას ეჭვი აქვს, რომ თურქეთის დიდი ეროვნული კრება დიდი სიხარულით შეხვდა სომხეთში გადატრიალების შესახებ ამბავს და იქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას.... საბჭოთა ხელისუფლება დარწმუნებულია, რომ ამიერიდან თურქ და სომეხ მოსახლეობას შორის აღარ მოხდება შეტაკებები და დამყარდება მათ შორის ურთიერთობები, რომელიც ერთმანეთის პატივისცემაზე იქნება დაფუძნებული და ორივე ერს დამოუკიდებლად და შეუზღურავად განვითარების შესაძლებლობას მისცემს. საბჭოთა ხელისუფლება ელოდება თქვენს საჯარო განცხადებას, რომ ხელშკერულება ძალადაკარგულია და მოგიწოდებთ დაინიშნოს კონფერენცია, რომელზეც განხილული

იქნება ახალი შეთანხმება, რომელიც უპასუხებს შექმნილ რეალობას.“ (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956 გვ. 379).

საბჭოთა რუსეთსა და ანგორის მთავრობას შორის მოსკოვის კონფერენციამდე ბათუმის საკითხი დღის წესრიგში აქტიურად დადგა. 1920 წლის 28 იანვარს ოსმალეთის პარლამენტში მუსტაფა ქემალ ათათურქის მომხრე დეპუტატების მოთხოვნით მიღებული იქნა „ეროვნული პაქტი“ იგივე „ეროვნული აღთქმა“, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ერთგვარ ქვაკუთხედად იქცა. „ეროვნული აღთქმის“ მეორე მუხლში ეწერა, რომ “ყარსის არტაანისა და ბათუმის ოლქის მოსახლეობა საერთო ეროვნული რეფერენდუმით დედასამშობლოს დაუბრუნდა და თუ საჭიროა, შესაძებელია ხელახლა მოეწყოს რეფერენდუმი“ . საუბარია ბრესტ-ლისტოვსკის მოლაპარაკებების დროს მიღებულ შეთანხმებაზე, რომლის მიხედვით ბათუმში(და ასევე სამცხეში) ჩატარდა ეგრეთ წოდებული რეფერენდუმი, რომლის მიხედვითც თითქოსდა მოსახელობამ ოსმალეთის სასარგებლოდ გადაწყვიტა თავისი ბედი. 1920 წლის 16 მარტს, როდესაც ანტანტის ჯარებმა კონსტანტინოპოლის ოკუპაცია მოახდინეს და პარლამენტი, რომელმაც ეს დაგდენილება მიიღო, დაშალეს. ამ დროს საქართველოს მთავრობა თავდაუზოგავად ცდილობდა ბათუმის საკითხის პოლიტიკური ასპექტები ყოფილიყო გადაწყვეტილი. დიდი გამარჯვება იყო 1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთთან დადებული ხელშეკრულება, რომლის მიხედვით რუსეთი საქართველოს საზვღრებში აღიარებდა ბათუმსაც. ამ ხელშეკრულებაში ერთი მნიშვნელოვანი პუნქტიც შედიოდა, რომლის მიხედვით საქართველო ვალდებულებას იღებდა გარეშე ძალები გაეძევებინა ქვეყნის ტერიტორიიდან: „ საქართველო და რუსეთი პირობას დებენ ურთიერთშორის დაიცვან ნეიტრალიტეტი და ნება არ მისცენ თავ-თავვიანთ ტერიტორიაზებზე მოხდეს ორგანიზაციების ისეთი ძალების და დაჯგუფებისა, რომელნიც მიზნად დაისახავენ იარაღით შებრძოლებას და ხსენებულ რესპუბლიკებში არსებულ წესწყობილების დამხომას. თუ ხელშეკრულების დამდებ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე ასეთი ძალები გაჩნდება, მათ იარაღი უნდა აეყაროთ და მოთავსებული იქმნენ განსაკუთრებულ ადგილებში“ (საქართველოს რესპუბლიკა, 1920, 11 მაისი). ამიტომ, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა ინგლისისთვის მოეთხოვა დაუყოვნებლივ დაეცალა ბათუმი. ინგლისის გავლენა სამხრეთ კავკასიაში უკვე შესუსტებული იყო, განსაკუთრებით, აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ, ინგლისმა ბათუმი დატოვა და ბათუმის

გამო ახლა ორი ძალა იბრძოდა - საბჭოთა რუსეთი და ოსმალეთი. საქართველო 1920 წლის მეორე ნახევრიდან ანტანტის სახელმწიფოების მიერ ფაქტობრივად განწირული აღმოჩნდა. ბრიტანეთის მიერ საბჭოთა რუსეთტან სავაჭრო ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით წამოწყებულმა მოლაპარაკებებმა კრემლი უფრო შეაგულიანა და 1920 წელს საქართველოზე პირველი დარტყმაც განახორციელა. „ კავკასიის რეგიონში რუსეთმა თავისუფალი მოქმედების ნებართვა მიიღო, რითაც ევროპის სახელწმიფოებმა საქართველო გასაწირად გაიმეტეს.“ (ვადაჭკორია, 2001, გვ 432). 1920 წლის 3 ივნისის გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინის მუსტაფა ქემალისადმი მიწერილი ნოტით საბჭოთა რუსეთი ფაქტობრივად აღიარებს ოსმალეთის უფლებას სამ ოლქზე: ყარსი, ბათუმი არტაანი, მაშინ, როდესაც მანამდე სულ რაღაც ერთი თვით ადრე, საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა სცნო და მის საზღვრებში ბათუმიც აღიარა. ნოტაში ვკითხულობთ, რომ: „რაც შეეხება გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო ნაციონალურმა საბჭომ თურქეთის სომხეთის, ქურდისტანის, ლაზეთის, ბათუმის ოლქის, აღმოსავლეთ თრაკიისა და ყველა თურქულ - არაბული ეთნიკური მოსახლეობით დასახლებული ტერორიების თვითგამორკვევის შესახებ, საბჭოთა მთავრობა კმაყოფილია და, რა თქმა უნდა ფიქრობს, რომ ამ ტეროტირიებზე ისევ მოეწყობა თავისუფალი რეფერენდუმი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ლტოლვილები და ემიგრანტები, რომლებიც თავის დროზე იძულებული იყვნენ სამშობლო დაეტოვებინათ“. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ 554). ამ ნოტით საბჭოთა რუსეთმა ფაქტობრივად ოსმალეთის საზღვრები აღიარა.

სანამ მოლაპარაკებები დაიწყებოდა, რამდენიმე თვით ადრე, 9 დეკემბერს, თბილისში მყოფი ანგორის მთავრობის წარმომადნეგელი ქიაზიმ ბეი (დირიქი) (1881-1941) [14]თბილისში საბჭოთა მთავრობის ელჩს - აროვ ლვოვის ძე შეინმანს (1886-1944) შეხვდა. ამ შეხვედრაზე რუსეთის წარმომადგენელმა განუცხადა, რომ ყარსი, არტაანი და ბათუმი თურქეთს ეკუთვნის. გიორგი ჩიჩერინმა როგორც კი შეიტყო ამის შესახებ, ორჯონიკიძეს წერილი გაუგზავნა და სთხოვა ბუდუ მდივანისთვის მიეცა დირექტივა, რათა მას თურქებისთვის

[14] ქიაზიმ დირიქის თბილისში ანგორის წამომადგენლად დანიშვნის შესახებ საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ დიმიტრი შალიკაშვილის მოგონებებიდან. როგორც აღმოჩნდა, ოსმალეთ-სომხეთის ომის დროს ანგორის მთავრობის ოთხმა წევრმა ითხოვა თბილისზე გავლით სომხეთთან მოსალაპარაკებლად ნებართვა მიეცათ. მას ნება დართეს და ქიაზიმ ბეი ამგვარად თბილისში ჩამოვიდა, თუმცა, სომხებთან მოლაპარაკებები მაინც არ დაიწყო და ამგვარად, ქიაზიმ დირიქი ,ანგორის ბრძანების თანახმად, გახდა ოფიციალური წარმომადგენელი თბილისში.

განემარტა, რომ აღნიშნული საკითხი მოსკოვის კონფერენციაზე გადაწყდებოდა. რაზეც ქიაზიმ ყარაბექირმა უპასუხა, რომ“აზრადაც არ გაუვლიათ“ ასეთი რამ. (სარი, 2014, გვ 588). 10 დეკემბერს გიორგი ჩიჩერინი წერილს უგზავნის საქართველოში საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიან წარმომადგენელს შეიმანს, რომელშიც ის წერს, რომ „ანტანტასა და ქემალისტებს შორის შერიგების მცდელობებმა ფუჭად ჩაიარა და ქემალისტებმა ისევ საბჭოთა ორიენტაცია დაიჭირეს. თურქეთში იმდენად ძლიერია ჩვენი პრესტიჟი, რომ ქემალისტების მემარჯვენე ფრთამ ვერ შეძლო რადიკალურად შეებრუნებინა ჩვენ წინააღმდეგ პოლიტიკა.... თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომავალში მსგავსი საფრთხეები არ იარსებებს, მაგალითად, ბათუმის თურქების ხელში გადასვლა ყოვლად მიუღებელია. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ქემალსტების მიმართ ჩვენი მეგობრული პოლიტიკა, თუმცა, ამავდროულად, ჩვენთვის არასასრუველი ქმედებები თავიდან უნდა ავიცილოთ. მათ ბევრი მიზეზი აქვთ, რომ ჩვენთან იმეგობრონ, ამიტომ, სიმტკიცე უნდა გამოვიჩინოთ. რაც შეეხება იარაღისა და ოქროს გაგზავნას, იხელმძღვანელეთ სერგოს (ორჯონიკიძე) ინსტრუქციებით.“ (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 372). და 11 დეკემბერს სერგო ორჯონიკიძეს წერს წერილს, რომელშიც ის იარაღის მიწოდების განახლებას ითხოვს. „იარაღის მიწოდება უნდა განვაახლოთ დაუყოვნებლივ, მაგრამ უნდა გავაფრთხილოთ, რომ ვითხოვთ ალექსანდროპოლისის დაცლას და ყარსის ოლქამდე დახევას. ჩვენ შეიარაღებას არ მივაწვდით, ვიდრე არ შესრულდება ეს პირობები. მდივანმა უნდა ხაზი გაუსვას, რომ ეს ნდობის ნიშანია და ჩვენ მეგობრობისკენ ვისწრაფვით.“ (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 380). როგორც ჩანს, საბჭოთა რუსეთი გადაწყვეტილებას იღებს ოსმალეთის მიმართ რბილი პოლიტიკა გაატაროს. 21 დეკემბერს კომუნისტური პარტიის კონგრესზე ლენინი აცხადებს: „თურქეთის თავდასხმა ჩვენ წინააღმდეგ თავდასხმად მიგვაჩნია. ანტანტამ ორმო გათხარა, რომელშიც თავადვე ჩავარდნენ. ჩვენ კი საბჭოთა სომხეთი მივიღეთ... თურქი ერი ანტანტის ძალადობის წინააღმდეგ ამხედრდა და ჩვენ აზერბაიჯანის დამოუკიდებელ რესპუბლიკას და მუსლიმ სოფლებს ვიდრე ვეხმარებოდით, საბჭოთა რუსეთის მიმართ ნდობა კიდევ უფრო გაიზარდა... თურქეთსა და ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობები ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა გავაძლიეროთ“. (იერასიმოსი, 2000, გვ. 195).

ამასობაში, აჰმედ მუჰთარ ბეი, რომელმაც საქართველოსთან დაკავშირებით პასუხი ვერ მიიღო, 15 დეკემბერს მეორე ნოტას აგზავნის სახალხო კომისრის სახელზე. „ მოლაპარაკებების დაწყებამდე საქართველოს მთავრობისგან მივიღეთ წინადადგება დავიწყოთ სამშვიდობო მოლაპარაკებები. ამასთან დაკავშირებით საბჭოთა მთავრობას ვკითხეთ აზრი, რას ფიქრობდა, რადგან საქართველოსთან მოლაპარაკებების დროს გაგვეთვალისწინებინა. მაგრამ ... აქამდე არ მიგვიღია არანაირი პასუხი და საქართველოს მთავრობაც აქამდე ელოდება ჩვენგან პასუხს სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყების თაობაზე...საკითხები, რომელიც ჩვენ გვაინტერესებს და რომელზეც დამოკიდებული იქნება ჩვენი დელეგატებისთვის მისაცემი ინსტრუქციები, შემდეგია: რა პოლიტიკას აწარმოებს მოსკოვი სომხეთის საკითხთან დაკავშირებით ერევანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ... ჩვენ მეგობრულად ვიკითხეთ საქართველოსადმი რუსეთის დამოკიდებულების შესახებ, თუმცა, აქამდე არანაირი პასუხი არ მიგვიღია. მეორეს მხრივ, ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ წითელ არმიასა და ქართველებს შორის მოხდა შეტაკება. თუ ეს შეტყობინება სიმართლეა, გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გვაინტერესებს, როგორია თქვენი მთავრობის ზრახვები.“ შემდეგ აჰმედ მუჰთარ ბეი ერთგვარ გაფრთხილებას აძლევს კომისარს, რომ კონსტანტინოპოლში ამერიკის უმაღლესი კომისარი დაინტერესებულია განახლდეს დაახლოების პროცესი. „ მეგობრულად გატყობინებთ, რომ ჩვენ მოწადინებული ვართ სავაჭრო ურთიერთობები დავამყაროთ ამ ქვეყანასთან იმ შემთხვევაში, თუ ის აღიარებს ანგორის მთავრობას და ანატოლიის დამოუკიდებლობას, ისევე, როგორც რუსეთის მთავრობა მოიქცა ინგლისთან დაკავშირებით“. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 397). და იმავე დღეს გიორგი ჩიჩერინი პასუხობს აჰმედ მუჰთარ ბეის ტელეგრამით, რომელშიც ის აცხადებს, რომ კონფერენცია, რომელსაც დაესწრებიან ოსმალეთის, რუსეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმომადგენლები ძალიან მნიშვნელოვანია ორმხრივი მეგობრობისა გასანმტკიცებად. შემდეგ კი სთავაზობს კონფერენცია გაიმართოს მისკოვში ბაქოს ნაცვლად. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 392). იმავე დღეს აგზავნის მეორე, უფრო ვრცელ ტელეგრამას, რომელშიც ასევე საქართველოს შესახებ საუბრობს : „ საბჭოთა მთავრობამ საქართველოსთან 1920 წლის 7 მაისს გააფორმა ხელშეკრულება. ჩვენ მოგვცეს ინსტრუქციები, რომ აღნიშნული ხელშეკრულების ასლი გადმოგცეთ თქვენ თბილისში ქიაზიმ ბეის და სომხეთში ქიაზიმ

ყარაბექირს. საბჭოთა ხელისუფლება თვლის, რომ უპრიანი იქნება საქართველოსა და თურქეთს შორის ხელშეკრულება დაეყრნოს რუსეთსა და საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების პრინციპებს.“ შემდეგ კი ინგლისთან საბჭოთა რუსეთის დაახლოებასთან დაკავშირებით გიორგი ჩიჩერინი ცდილობს ანგორის მთავრობა დაარწმუნოს, რომ ეს თანამშრომლობა მხოლოდ ვაჭრობის სფეროს შეეხება და „ინგლისი არ აპირებს პოლიტიკური მოლაპრაკება დაიწყოს რუსეთთან, რომ საბოლოო სამშვიდობო შეთანხმება შედგეს.... თუკი უმაღლესმა ნაციონალურმა კონგრესმა მიიღო წინადადება ინგლისისგან, ვფიქრობთ, რომ ეს წინადადება გულწრფელი არ არის და ინგლისი მხოლოდ ცდილობს თურქი ერის კეთილგანწყობილება მოიპოვოს და შეასუსტოს წინააღმდეგობა.“ ((საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 392).

6.5 ბუდუ მდივანის და ქიაზიმ ყარაბექირის მოლაპარაკებები ყარსში

1920 წლის დეკემბრის ბოლოს ყარსი საბჭოთა და ქემალისტების მოლაპარაკებების ადგილი ხდება. მოსკოვიდან დანიშნული სრულუფლებიანი ელჩი ბუდუ მდივანი ყარსში გაჩერდა. მას მეგზურობას თურქი კომუნისტი მუსტაფა სუფი უწევდა. ყარსში გაჩერდა ასევე მოსკოვში მიმავალი ანგორის მთავრობის ელჩი ალი ფუად ჯებესოი. ყარსში ჩასული ბუდუ მდივანი 1920 წლის 3 დეკემბერს გიორგი ჩიჩერინის წერილს იღებს, რომლის მიხედვით მას ევალება აწარმოოს თურქებთან მოლაპარაკებბა და ასევე შეტყობინოს თურქების მოსაზრება ხელშეკრულების პროექტთან დაკავშირებით და ვინ იქნებოდნენ მოლაპარაკებაში ჩართული პირები (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 364). ქიაზიმ ყარაბექირმა ბუდუ მდივანთან შეხვედრის შესახებ დაუყოვნებლივ ანგორის მთავრობას აცნობა. ქიაზიმ ყარაბექირი ყარსში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის:“ 28 ნოემბერს ჩემთან მოვიდა ქართველი (ბუდუ) მდივანი და თურქი კომუნისტი მუსტაფა სუფი, რომლებიც ცდილობენ, რომ ჩვენდამი კეთილგანწყობა გვაჩვენონ და ისე წარმოაჩინონ თავი, თითქოს სურთ საბჭოთა ჯარის წინააღმდეგ თავისი პროტესტი გვაჩვენონ.“ ბუდუ მდივანის წითელი არმიის წინააღმდეგ რაიმე გამონათქვამის ნამდვილობაში ეჭვი გვეპარება, თუმცა, ამ სიტყვების ჭეშმარიტების დადგენა ჩვენი მიზანი არ არის. შემდეგ ის წერს:“ ჩემთან ხშირად მოდიან, მეგობრობაზე მესაუბრებიან, საქართველოს მთავრობის კეთილგანწყობაც

დაადასტურეს. რუსი ბოლშევიკი მდივანის ძმა მენშევიკი ქართველი მდივანი ანკარაში საქართველოს ელჩად დანინიშნა, დელეგაციებს მეგობრული მიმოწერაც აქვთ.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 923). 14 იანვარს ქიაზიმ ყარაბექირმა ბუდუ მდივანს აცნობა, რომ მოსკოვში მოლაპარაკებების წარმოების მიზნით დელეგაცია გაემგზავრა და ასევე, სთხოვა, განემარტა მისი როლი ამ მოლაპარაკებებში (იერასიმოსი,2000, გვ. 277). ბუდუ მდივანმა იმავე დღეს უპასუხა ქიაზიმ ყარაბექირს და აუხსნა, რომ მისი მისია ხელშეკრულებასთან დაკავშირებით თურქეთის მხარის მოსაზრებების დადგენა და ამ მოსაზრებების მოსკოვისთვის შეტყობინება იყო, რომ ყარსში გამართული მათი შეხვედრის შედეგები მოსკოვში მომავალი კონფერენციის ორგანიზების საქმეს დადებითად წაადგებოდა. (იერასიმოსი, 2000, გვ. 278).

16 იანვარს ანგორის დელეგაცია ყარსიდან მოსკოვს გაემგზავრა „დიდებული ცერემონიით“ - როგორც ქიაზიმ ყარაბექირი წერს. 21იანვარს კი მასთან გამოსამშვიდობებლად ბუდუ მდივანი მივიდა.“ იმ 24 დღის განმავლობაში, რაც მდივანი ყარსში იმყოფებოდა, უსაქმურად არ მჯდარა. სოფლებში ბოლშევიკური საიდუმლო ორგანიზაციები ჩამოაყალიბა. მუსტაფა სუფის გუნდს მართავდა და დირექტივებს აძლევდა, ელჩის ყარსში ამდენ ხანს გაჩერება და სოფლებში ბოდიალი დიდი სირცხვილი და ცუდი საქციელია.“ წერს ქიაზიმ ყარაბექირი „ ამიტომაც მდივანი ვიხმე და განვუმარტე, რომ მაშინ, როდესაც ჩვენ თურქი ერის იმპერიალისტებისაგან დახსნას ვცდილობთ, ვინმე თუ ეცდება ჩვენ შორის შუღლის ჩამოგდეგას, ისევე მოვექცევით, როგორც მტერს“. (ყარაბექირი, 1960. გვ. 924). ამგვარად, ბუდუ მდივანი ყარსიდან გაემგზავრა და ანკარაში 18 თებერვალს ჩავიდა.

6.6. ოსმალეთის მიერ არტაანისა და ართვინის ოლქების აღება

რუსეთ-ოსმალეთს მოლაპარაკებების დაწყების წინ საქართველოს მთავრობა ბეწვის ხიდზე გადიოდა. უსასოო მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველი პოლიტიკოსები იმედს ოსმალეთზე ამყარებდნენ, მაშინ, როდესაც ეს უკასკნელი საბჭოთა რუსეთისგან დახმარებას ითხოვდა. მოლაპარაკებების დაწყებამდე, 17 იანვარს, თბილისში ჩავიდა ყარსიდან გამგზავრებული დელეგაცია იუსუფ ქემალის მეთაურობით და მიმდინარეობდა მოლაპარაკება ოსმალებსა და ქართველების რუსეთის წინააღმდეგ კავკასიის ფედერაციის შექმნაზე. (იერასიმოსი, 2000, გვ. 203). ოსმალები „ერონული პაქტით“ გათვალისწინებული პუნქტის აღსრულებას ითხოვდნენ. (ნოზაძე გვ. 94). თუმცა, დელეგაციამ ანგორადან პასუხი

ვერ მიიღო და ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა. დელეგაცია მოსკოვში გაემგზავრა. 14 თებერვალს კი წითელმა არმიამ სომხეთიდან საქართველოს შეუტია. ამის შესახებ 16 თებერვალს საქართველოში ანგორის წარმოადგენელი ქიაზიმ ბეი (დირიქი)ქიაზიმ ყარაბექირს დეპეშით ატყობინებს და სწერს, რომ საქართველოს მთავრობა ითხოვს ოსმალეთის დახმარებას რუსებისა და სომხების წინააღმდეგ ბრძოლაში.ქიაზიმ ყარაბექირი მეტად გაკვირვებული დარჩენილა, რადგან „ ქიაზიმ ბეის მიცემული ჰქონია დავალება ბოლშევიკებსა და ქართველებს შორის ნეიტრალიტეტი დაეჭირა. რადგან რუსების მარცხის შემთხვევაში თუ ანტანტა გაერთიანდა, თურქეთი შეიძლება ისევ მათ ალყაში მოექცეს, საქართველო ისედაც ანტანტის ხელშია. ქართველი მენშევიკები ანგორის მთავრობას არც კი აღიარებდნენ, სანამ რუსებმა შეტევა არ დაიწყეს და სომხებთანაც კი მშვიდობის დამყარება უდნოდათ, ჩვენთან კი ამის შესახებ სიტყვაც არ დაუძრავთ“ - წერს ყარაბექირი.(ყარაბექირი, 2000, გვ. 934). მართლაც, 1921 წლის 15 თებერვალს საქართველოსა და სომხეთს შორის მოლაპრაკებები უნდა დაწყებულიყო, თუმცა, არ დასცალდა, რადგან წითელი არმია შეტევაზე გადავიდა. (ნოზაძე გვ,94) „ცხადია, რომ თბილისს სურს რუსებთან დაგვაპირისპიროს. ქიაზიმ ბეი როგორ ვერ იაზრებს სიტუაციას და გავლენის ქვეშ არის მოქცეული“ . შემდეგ კი წერს, რომ გენერალური შტაბის უფროსისგან - ფევზი ფაშასგან ბრძანებას იღებს, რომ ჯარი აღმოსავლეთ მიმართულებით შეტევისთვის მზად იყოს, რადგან „თურმე ანგორის მთავრობას გადაწყვეიტლება მიუღია კავკასიის ფედერაცია შექმნას“. ქიაზიმ ყარაბექირი კატეგორიული წინააღმდეგია ბოლშევიკებთან დაპირისპირების და ამიტომაც, ანგორა საქართველოს დახმარებას ვერ აღმოუჩენდა.(ყარაბექირი, 1960, გვ. 935). “კავკასიის ფედერაციის შექმნის მიზნით ბოლშევიკებს თუ ზურგს ვაქცევთ ან თუ დავთანხმდებით კავკასიის ჩრდილოეთით კიდევ უფრო წინ წაწევას და მერე დაშნაკური სომხური მთავრობა და მენშევიქი ქართული მთავრობა, შეიძლება მერე აზერბაჯანის მუსავათის მთავრობაც ანტანტის ბრძანდებით მტრად გადაგვეკიდოს, მერე ჩემი ჯარი რა მდგომარეობაში ჩავარდება?..... ვფიქრობ, დროა არტაანისა და ართვინის ოლქების, რომელზეც ჩვენი პრეზენტზია მოსკოვს უკვე განვუცხადეთ, ოკუპაცია დავიწყოთ. როგორც ქართველები მოიქცნენ ყარსის ოპერაციის დროს, როდესაც გზა მოგვცეს იმ პირობით, რომ არტაანსა და ართვინს უსამართლოდ თავისთვის დაიგულებდნენ და ჩვენ თუ საზღვარს არ გადავლახავდით, ნეიტრალიტეტს დაიჭერდნენ, ჩვენც ისევე უნდა ვუპასუხოთ და ვაცნობოთ ბოლშევიკებსა და ქართველებს, რომ ნეიტრალიტეტს ვინარჩუნებთ და

სასწრაფოდ არტაანისა და ართვინის ოკუპაცია უნდა დავიწყოთ.“ შემდეგ კი, ქიაზიმ ყარაბექირი წერს, რომ „თბილისში ჩვენი წარმომადგენლისაგან წერილი მივიღე, რომელშიც ის გვთხოს, რომ ქართველებს დავეხმაროთ და რუსებზე შეტევა სასწრაფოდ დავიწყოთ.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 935).

1921 წლის 18 თებერვალს ოსმალეთის ჯარი ართვინში შევიდა. წითელი არმიის შეჭრის მოლოდინში მყოფი საქართველო რომ ჯეროვან სამხედრო წინააღმდეგომბას ვერ გაუწევდა, ეს ცხადი იყო. საბჭოთა რუსეთის შეჭრაც ოსმალეთის იტერესებს პასუხობდა და „ეროვნული პაქტის“ აღსრულებას სასწრაფოდ შეუდგა. ოსმალეთის ართვინში შეჭრაზე პროტესტი ანგორაში საქართელოს ელჩმა სვ. მდივანმა გამოთქვა და შეტევა რამდენიმე დღით შეჩერდა. (ნოზაძე გვ.95). როგორც ჩანს, ანგორის მთავრობაში გენერლის მოსაზრებებისაგან განსხვავებული გეგმები ჰქონდათ და ჩვენს ამ მოსაზრებას ისევ ქიაზიმ ყარაბექირის სიტყვები ამყარებს :“ანგორის მთავრობამ მიბრძანა, რომ ბოლშევიკებზე თავდასხმა განვახორციელო, ის თანახმაა დაცვაზე, კავკასიის ფედერაციის ილუზიით გაბრუებულია.“ შემდეგ კი ბოლშევიკებისა და თურქების სტრტეგიული დაახლოების სიკეთეებზე წერს: “ჩვენმა ერმა რუსებთან მეგობრობა მართლაც რომ საქმით დაამტკიცა. მაგალითად, ნახჭევანში დაშნაკების წინააღმდეგ ერთად იბრძოლეს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენ და ბოლშევიკებმა ანტანტის ქვეყნებს ერთად გავუხსენით ფრონტი“.ქიაზიმ ყარაბექირი დაუმორჩილებლობას უცხადებს ანგორის მთავრობას, ფიქრობს, რომ მისი შეხედულებები მცდარია და ეწინააღმდეგება ქვეყნის ინტერესებს. ის ბრძანებას გასცემს დაიწყოს ზარშათისკენ(არფაჩაის ილჩეს ძველი სახელწოდება, ექვემდებარება ყარსის ილს) საბრძოლო ოპერაცია. ოპერაციის დაწყებასთან ერთად თბილისში ანგორის მთავრობის წარმომადგენელს დეპეშას უგზავნის და სწერს, რომ ის კარგად ვერ ერკვევა შექმნილ სიტუაციაში და აფრთხილებს, რომ, მაშინ, როდესაც „ ანტანტის ქვეყებს პოზიციები არ შეუვლიათ, ბოლშვიკებთან დაპირისპირება, ქვეყნის ბრძოლაში ჩათრევას და ცეცხლის ალში მოქცევას ნიშნავს.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 936). შემდეგ კი, ქიაზიმ ყაბექირმა, როგორც ჩანს, ქიაზიმ ბეისგან დეპეშა მიიღო თბილისის მისაგომებთან გაჩაღებული ბრძოლების შესხებ და წერს: „ 20 თებერვალს ბოლშევიკებმა თბილისთან ბრძოლაში მარცხი განიცადეს, თუმცა, არა მგონია, რომ ქართველებმა დიდხანს გაუძლონ შეტევას. ქართველებმა, რომლებმაც ორი წლის წინ ვერაფერი გააწყეს სომხურ ჯართან, ახლა რუსი ჯარის წინააღმდეგ, რომლებშიც

სომხებიც არიან გაერთიანებული, რა ღირსება უნდა გვაჩვენონ? ქართველი ერი უკვე წელში გატეხილია. ერთი ქართველი ბოლშევიკი ანგორაში მოსკოვის ელჩად წასულა. ეჭვი არ მეპარება, რომ მცირეოდენი მარცხის ან თუნდაც ომის გაგრძელების შემთხვევაშიც კი საქართველოში ბოლშევიზმის დამყარების მიზეზი გახდება. ჩვენ კი თუ გავაგრძელებთ ყოყმანს, რუსეთის ჯარი ართვინისა და არტაანის ოლქების იკუპაციას მოახდენს.“ (ყარაბექირი, გვ. 936).

20 თებერვალს ქიაზიმ ყარაბექირმა გენერალური შტაბის უფროსისგან - ფევზი ფაშასგან დეპეშა მიიღო, რომელშიც ის წერდა, რომ თუ ქართველები არ დაცლიან არტაანსა და ართვინს მშვიდობიანად, საბრძოლო მოქმედებაზე გადასულიყო (ყარაბექირი, 1960, გვ. 937). როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობამ ინიციატივა სრულად თავის ხელში აიღო. ასეთი ქმედებით, ცოტა არ იყოს შეშინებულმა ანგორის მთავრობის წარმომადგენელმა აჰმედ მუჰთარი გიორგი ჩიჩერინს დაეკითხა, რა აზრის იყო მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებთან დაკავშირებით (სარი, 2014, გვ. 596). 20 თებერვალს ფევზი ფაშასგან დეპეშის მიღებისთანავე ქიაზიმ ყარაბექირმა ქართულ ჯარს ულტიმატუმი წაუყენა უბრძოლველად დაეცალათ ართვინი. „ ქართველებს, როგორც თავად მომექცნენ, მეც ისევე მოვიქეცი და გავუგზავნე ამბავი და შევატყობინე, რომ ართვინისა და არტაანის მათ საზღვრებამდე ოკუპირებას მოვახდენ.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 937).

1921 წლის 21 თებერვალს შეიკრიბა დიდი ეროვნული კრება, სადაც საიდუმლო სესიაზე მოისმინეს ფევზი ფაშას მოხსენება კავკასიაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ის ბოლშევიკების წინააღმდეგ კავკასიაში წინააღმდეგობის გაღვივებაში ბრიტანეთს ადანაშაულებდა, აცხადებდა, რომ ოსმალეთის და ბოლშევიკების წინააღმდეგ კავკასიის ფედერაციის შექმნას ცდილობდა. „ქართველებმა იციან, რომ მალე მოხდება გასაბჭოება, ამიტომ, ამჯობინეს, რომ ჩვენთან დაიჭირონ მშვიდობა, ბოლშევიკების წინაამდეგ ჩვენთან ალიანსი შექმნან....ჩვენთან თუ იმეგობრებენ, შეძლებენ თავიანთი თავისუფლება შეინარჩუნონ. თუმცა, მუდმივად ვრწმუნდებით, რომ ქართველებს ისევ ინგლისელები აგულიანებენ. იარაღს და ტყვია-წამალს აძლევენ....ქართველებთან ჩვენი მოლაპარაკებებები ცოტა არ იყოს, გაიწელა, მიზეზი კი, მოგეხსენებათ, ჩვენი „ეროვნული აღთქმით“გათვალისწინებული საზღვრებია, რომელიც უნდა დავიცვათ.... ბოლშევიკები საფრთხეს ვერ ხედავენ და იმედი აქვთ, რომ სიტუაციას სათავისოდ გამოასწორებენ. რაც არ

უნდა მოხდეს, დღევანდელი სიტუაცია უნდა გამოვიყენოთ და ჩვენი ხელისუფლება დავამყაროთ... ქართველები ისედაც არ არიან უარზე, რომ არტაანი და ართვინი დატოვონ. ბათუმს რაც შეეხება, გვაცნობეს, რომ არასდროს იტყვიან უარს ბათუმზე. გვითხრეს, რომ არტაანისა და ართვინის ოკუპაცია ახლავე მოვახდინოთ... ხოლო ბათუმში ბლებისციტი გაიმართოს და შედეგების მიხედვით გადაწყდება მისი ბედი.... ჩვენ გვინდოდა ეს ტერიტორიები ისე დაგვებრუნებინა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო, მაგრამ ქართველებმა დრო გაიყვანეს, მას მერე, რაც ბოლშევიკები დაამარცხეს და ძალები გააძლიერეს, დიდია ალბათობა იმისა, რომ ანტანტის მთავრობებისგან დახმარებას მიიღებენ და ამ ტერიტორიების დატოვებაზე უარს იტყვიან. ამიტომ, უნდა წავიდეთ და მუსლიმი ქართველები დავიხსნათ.“ (საიდუმლო სხდომის ოქმები, 21 თებერვალი, 1921 წ. ტ. 8 გვ.446,447). ფევზი ფაშას სიტყვებიდან ჩანს, რომ ოსმალეთი ართვინისა და არტაანის გარდა ბათუმის ოკუპაციასაც აპირებდა. ამავე სხდომაზე მოუსმინეს აჰმედ მუჰთარ ბეის გამოსვლასაც საქართველოს ელჩთან მიმდინარე მოლაპარაკებების შესახებ. სიტყვით გამოსვლა მან იმით დაიწყო, რომ დაადანაშაულა საქართველოს მთავრობა ქართველი ხალხის თურქების წინააღმდეგ ამხედრებასა და წაქეზებაში. შემდეგ ისიც აღნიშნა, რომ რადგან საქართველო ქრისტიანული აღმსარებლობის ქვეყანაა, თურქების მიმართ მუდმივად დაუმორჩილებლობასა და მტრობას ავლენდა. „ ჩვენსა და ბოლშევიკებს შორის კავშირი მათთვის ბუნდოვანი იყო, ამიტომ, ჩვენთან მშვიდობის დამყარების მიზნით სპეციალური დელეგაცია გამოაგზავნეს.“ როგორც მუჰთარ ბეი შემდეგ აცხადებს, ქართველებმა იგრძნეს ბოლშევიკური რუსეთი რომ შეტევაზე გადასვლას აპირებდა და ერთგგვარი თადარიგის დაჭერა გადაწყვიტეს. სვიმონ მდივანთან შეხვედრაზე აჰმედ მუჰთარ ბეი დიანტერესებულა ქართელებმა „ეროვნული აღთქმის“ შესახებ რამე თუ იციან, რომელიც ეროვნულმა კრებამ ერთი წლით ადრე დაამტკიცა. ქართველ ელჩს, როგორც ჩანს, არაფერი სცოდნია. აჰმედ მუჰთარ ბეი თურმე იმაზეც ყოფილა განაწყენებული, რომ საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების დე- იურე აღიარების შესახებ ინფორმაცია გამოითხოვეს, თუმცა, ქართული მხარისაგან პასუხი არ მიუღიათ. შემდეგ აჰმედ მუჰთარ ბეი სვიმონ მდივანთან მოლაპარაკების დეტალებს ყვება. სვიმონ მდივანს „არტაანზე ხმა არ ამოუღია, ბათუმს კი კატეგორიულად ითხოვდა“ ამბობს აჰმეთ მუჰთარ ბეი. „(ბათუმი) ოცდაერთი საუკუნეა ჩვენია, აქ ვცხოვრობთ, აქ არის ჩვენი კერია, ჩვენი სამშობლო, ჩვენი ქონება იქ არის, თუ ბათუმზე უარს ვიტყვით, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოზე უნდა

ვთქვათ უარი.“ უთქვამს სვიმონ მდივანს, რაზეც თურქებს უარყვიათ, რომ არ აპირებენ რამის ძალით წართმევას „ ჩვენ ისევე არ მოვიქცევით, როგორც თქვენ ერთ დროს სომხეთს მოექეცით, რადგან თურქები დიდსულოვანი ადამიანები არიან“ უთქვამს აჰმედ მუჰთარ ბეის, თუმცა,. რას გულისხმობდა სომხებთან დაკავშირებით, ჩვენთვის უცნობია. სომხეთ-საქართველოს ომის დროს რომ საქართველოს, პირიქით, ბორჩალოს მხარის დათმობა მოუწია, ამის შესახებ რომ არ სცოდნოდა საგარეო საქმეთა კომისარს, წარმოუდგენელია. სვიმონ მდივანს საქართველოს მთავრობის სახელით უკანასკნელი წინადადება გაუკეთებია თურქული მხარისთვის. „ თუ ბათუმი საქართველოს საზღვრებში არ დარჩება, გვირჩევნია დავიხოცოთ. სამაგიეროდ, თქვენ არტაანს ახლავე დაგითმობთ.“ - უთქვამს ელჩს. თურქული მხარე კი, დაჟინებით ითხოვდა არტაანის გარდა ართვინს და ბათუმსაც, რადგან „ეროვნული აღთქმის“ მიხედვით საზღვარში სამი სანჯაყი : ყარსი, არტაანი და ბათუმი უნდა მოქცეულიყო. ქართველების მოთხოვნაზე, ბათუმი საქართველოს საზვრებში დარჩენილიყო -თურქული მხარე კატეგორიულად არ ეთანხმებოდა და ულლტიმატუმს უყენებდა. „ჩვენი მთავრობა ქართველებს ან უნდა ეომოს ან მშვიდობა უნდა დაამყაროს“. სხდომაზე ცხარე კამათი გაიმართა, რუს ბოლშევიკებთან ალიანსი რამდენად საიმედო იყო თურქეთისთვის და ხომ არ უქმნიდა საშიშროებას ქვეყნის უსაფრთხოებას. „პირველ რიგში, როდესაც წითლებმა საქართველოზე თავდასხმა დაიწყეს, ამის შესახებ ჩვენ არაფერი შეგვატყობინეს. მეორე, რუსებმა არც კი შემოგვთავაზეს, რომ ერთობლივად გვემოქმედა. წუხელ ღამე რუსების ელჩმა მდივანმა ისიც კი გვითხრა, თქვენი ტერიტორია ვიწროა და ჯობს დარჩეთ იქ, სადაც ხართო.... თავის დროზე ჩიჩერინი იმასაც გვეუბნებოდა, რომ ყარსი, არტაანისა და ბათუმის შესახებ სიტყვა არ დაძრათო. ბათუმი რუსული ქალაქია, ამიტომ, ვფიქრობ, ისინი წინააღმდეგი იქნებიან, თუკი ამ ოლქებს დავიპყრობთ.... ქართველები შეიძლება დამარცხდნენ ან გაიმარჯვონ. თუ რუსები გაიმარჯვებენ, ქართველები იძულებული იქნებიან ინგლისელებსა და ფრანგებს დახმარებისათვის მიმართონ და ჩვენ ამის შემდეგ იძულებული გავხდებით წინააღმდეგობა გავუწიოთ დიდ ძალებს. თუ რუსები ქართველებს დაამარცხებენ, აუცილებლად დაამყარებენ კომუნიზმს. ამიტომ, თუკი დაპყრობაა, ახლა უნდა დავიპყროთ, ზუსტად რომ ამის დროა, ზუსტად რომ დადგა წამი, როდესაც უნდა ვიმოქმედოთ, ან მშვიდობით ან ძალით“. მუსტაფა ქემალ ათათურქი სიტყვით გამოსვლისას აცხადებს, რომ დიდი ეროვნული კრების პოლიტიკა ომი არ არის, ამიტომ, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ ომი არ დაიწყოს. თუმცა, გენერალური შტაბის წარმომადგენლის სიტყვები

იმას მიანიშნებდა, რომ ბრძოლის გარეშე ოსმალეთი „ეროვნული აღთქმას“, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მთავარი საყრდენი იყო, ვერ შეასრულდებდა. კითხვა შემდეგში მდგომარეობდა: როდის უნდა გადასულიყო ოსმალეთი საბრძოლო მოქმედებაზე? „ქართული მთავრობა და ქართული ჯარი დამარცხდეს. რუსებმა იქაურობა დაიპყრონ, კომუნიზმი გაავრცელონ და მერე გადავიდეთ მოქმედებაზე? „ - კითხულობს მუსტაფა ქემალ ათათურქი- „ მაშინ ახლა არის შესაფერისი დრო, რომ დავიპყროთ, მაგრამ „ეროვნული აღთქმით“ გათვალისწინებული ყველა ტერიტორიის დაბრუნება შეუძლებელია.. ქართველები თანახმანი არ არიან, მაგრამ ძალიან მნივნელოვან რამეებზე უკან იხევენ.. არტაანზე, ართვინზე. ქართველები ბათუმთან დაკავშირებით ჩვენს მოთხოვნაზე არ თანხმდებიან. ართვინთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს ისევ ვაგრძელებთ. დიდი ალბათობით, ამაზეც დათანხმდებიან. ჩვენ კიდევ ერთ ყაზას ვითხოვთ.: ართვინს! ართვისთან დაკავშირებით მოლაპარაკებები ისევ გრძელდება.“ (საიდუმლო სხდომის ოქმები, 21 თებერვალი, 1921 წ. ტ. 8 გვ453, 454). ართვინსა და არტაანის ბრძოლის გარეშე დაპყრობა უკვე გადაწყვეტილი იყო, თუმცა, შემდეგ ჯერი, რომ ბათუმზე, მივიდოდა - ეს ცხადი იყო. ამავე სხდომაზე დაისვა ბათუმის საკითხიც. რამდენად იყო იმის ალბათობა, რომ ბოლშევიკები თურქებს ბათუმიდან გააძევებდნენ. „ ჩვენ ხომ არ ვამბობთ, რომ ბათუმს დავიპყრობთ, ჩვენ არტაანსა და ართვინს ვიპტყრობთ“ ამბობს მუსტაფა ქემალ ათათურქი „მაგრამ ფრანგები და ინგლისელები ბათუმს ტყვია-წამლით ამარაგებენ. შეიძლება დაპყრობაც საჭირო გახდეს....ამაზე მერე უნდა ვიფიქროთ. შეიძლება ნაწილი, 2/3 და მეორე ნაწილში კი პლებისციტი მოვაწყოთ.“ ბათუმში პლებისციტის მოწობას სკეპტიკურად უყურებენ სხვა დეპუტატები. საინტერესოა ამ კუთხით ლაზი ზია ყურშით ბეის მოსაზრება. ის აცხადებს, რომ ბათუმი თავის დროზე ინგლისელებმა დაიპყრეს და ეს ტერიტორია ოსმალეთის კუთვნილებაა. ამიტომ, მთლიანად,სამივე ოლქის დაპყრობა უფრო უპრიანი იქნება. დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ეროვნულმა ყრილობამ გადაწყვეტილება მიიღო საგანგებო ნოტით საქართელოს მთავრობისთვის მიემართა, რათა ქართველებს არტაანი და ართვინი დაეცალათ, ხოლო ბათუმში პლებისციტის ჩატარება გადაწყდა. (საიდუმლო სხდომის ოქმები, 21 თებერვალი, 1921 წ. ტ. 8 გვ. 457) აჰმედ მუჰთარ ბეიმ იმავე დღეს, 21 თებერვალს, ანგორაში სვიმონ მდივანს კონკრეტული პასუხი მოსთხოვა ოსმალეთის ჯარის შესვლასთან დაკავშირებით. სვიმონ მდივანი პროტესტი განაცხადა ჯარის შეყვანაზე. „თქვენ მიერ განზრახული მოქმედება არდაგანისა და ართვინის ოლქებში შესვლისა, ჩვენთან

შეუთანხმებლად, არის განმეორება იმ დიდი ისტორიული შეცდომისა, რომლითაც ძველმა ოსმალეთმა განუწყვეტელი თავდასხმით აიძულა ძველი საქართველო მოეყვანა ოსმალეთის კარზე მისი დაუძინებელი და უსასტიკესი მტერი - რუსეთი და მით თავიც დაესაჯა. იგივე მეორდება დღესაც, როცა ერთი მხრით ახალგაზრდა ოსმალეთი ჩაბმულია საშინელ ბრძოლაში თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად, ხოლო მეორე მხრით, ახალი დემოკრატიული საქართველო უსასტიკეს ბრძოლას აწარმოებს ტავისი თავისუფლებისა და არსებობის შესანარჩუნებლად, სწორედ ამ დროს, ნაციონალურმა დიდმა კრებამ გადაწყვიტა ტავსასხმა საქართველოზე. ამიტომ, სასტიკსა და ენერგიულ პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ და თან ნებას ვაძლევ ჩემს თავს განვაცხადო, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ძალით შემოჭროს შემდეგ რაიმე საიკითხის გადაჭრა კავკასიის შესაცებ საქართველოს დაუკითხავად, შეუძლებელი იქნება." (ნოზაძე, 1989, გვ 95). წერია სვიმონ მდივანის ნოტაში. თუმცა, ოსმალეთის მთავროისთვის ეს პასუხი დამაკმაყოფილებელი არ აღმოჩნდა და აჰმედ მუჰთარ ბეიმ 22 თებერვალს გაუგზავნა ახალი ნოტა. აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი აქვს თავის მონოგრაფიაში მუსტაფა ადილ ოზდერს: „იმის გამო, რომ თქვენან პასუხი ვერ მოივიღე, იძულებული ვარ გაცნობოთ, რომ აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობა სამშობლოს წინაშე თავისი ვალდებულების შესრულებას იწყებს. მინდა შეგახსენოთ, რომ ჩვენი მოთხოვნა სავსებით სამართლიანია და არავითარ შემთხვევაში არ ეწინააღმდეგება თქვენს ინტერესებს. ვალდებული ვარ ქართველ ხალხს შევახსენო, რომ 1878 წელს, ჯერ კიდევ ცარისტულ რუსეთსა და ჩვენ შორის აღნიშნულ ოლქთან დაკავშირებით შეთანხმება არ მომხდარა. 1918 წლის 30 ოქტომბერს, მუდროსის ზავის შემდეგ, ინგლისის მთავრობამ აღნიშნული ოლქის ოკუპაცია მოახდინა. ოლქიდან გასვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტეროტორია მიუსლიმებითა და თურქებით იყო დასახლებული, ერთგვარი საჩუქარი გაუკეთა თქვენს მთავრობას და ამ ნაბიჯით ეცადა, რომ საქართველოსა და თურქეთს შორის უთანხმოება ჩამოეგდო". (ოზდერი, 2017, გვ.147). შემდეგ კი აჰმეთ მუჰთარ ბეი ასახელებს იმ მიზეზებს, რის გამოც ოსმალეთს სრული უფლება აქვთ გავრცელდეს ამ ტერიტორიებზე თავისი იურისდიქცია და ამ უფლებებს ამყარებს სან-სტეფანოს და ბერლინის ხელშეკრულებების საფუძველზე.

1921 წლის 23 თებერვალს ვრცელდება ინფორმაცია, რომ საქართველო ბოლშევიკების მიერ ოკუპაციის შესახებ. გაზეთი ვაქითი იტყობინებოდა, რომ წითელ არმიასა და ქართულ ჯარს

შორის შეტაკებები დაიწყო. (ვაქით, 23 თებერვალი, 1921 წ. # 1153). ანგორის მთავრობა იმავე დღეს, 23 თებერვალს საქართველოს ელჩს კიდევ ერთ ნოტას უგზავნის, სადაც წერია, რომ აღმოსავლეთის სარდლობა ბრძანების თანახმად იწყებს არტაანისა და ართვინის ოლქების ოკუპაციას. (სარი, 2014, გვ. 598). გაზეთი „ვაქითი“ 4 მარტის ნომერში დიდი სიხარულით ატყობინებდა მკითხველს, რომ არტაანსა და ართვინში უკვე თურქეთის დროშა ფრიალდებდა (ვაქითი, 4 მარტი, 1921 წ, # 1162).

გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი საქართველოს მთავრობა მეჯლისს პასუხს უგზავნის, რომელშიც ართვინისა და არტაანის ოსმალეთისთვის დათმობაზე თანხმობა განაცხადა. ამ გადაწყვეტილების შესახებ ინფორმაციას თურქულ გაზეთ ვაქით -ში ვკითხულობთ: „ ანგორის მთავრობის შეთავაზებას საქართვრლოს მთავრობა დიდი ენთუზიაზმით შეხვდა. საქართველოს მთავრობასაც სურვილი აქვს, რომ ტერიტორიული პრობლემები მშვიდობიანად გადაწყდეს... საქართველოს მთავრობამ, მეგობრული ურთიეთობების სენარჩუნების მიზნით, ბრძანება გასცა ჯარმა ართვინისა და არტაანის ოლქები დატოვოს. ჯარი ღნიშნული ოლქებიდან გასვლას 23 თებერვლიდან დაიწყებს. „ (ვაქით, 6 მარტი, 1921 წ). გაზეთ „ვაქითის“ იგივე ნომერში წერია ინფორმაციაც, რომ საქართველოში ანარქია სუფევს, ბოლშევიკების მიერ ოკუპირებული ქალაქებიდან ხალხი გარბის.

ართვინი და არტაანიდან ქართული ჯარის გასვლას ქიაზიმ ყარაბექირი ასე ეხმაურება: „23 თებერვალს ქართველებმა უკან დაიხიეს და არტაანის ოკუპირება მოვახდინეთ. ქართველებმა ჩვენი ეს მოქმედება კმაყოფილებით მიიღეს, რადგან ბოლშევიკების წინააღმდეგ ჯარს აგროვებდნენ. ქართულმა მთავრობამ ეს ამბავი ანგორაში თავის ელჩსაც შეატყობინა.“ - წერს ყარაბექირი (ყარაბექირი, 1960, გვ. 937). აღმოსავლეთის ფრონტის დაზვერვის სამსახური არტაანისა და ართვინის ოკუპირების შესახებ ანგორის მთავრობას შემდეგ პატაკს უგზავნის: „1921 წლის 23 თებერვალს ანგორაში ქართელ ელჩს ოფიციალურად ეცნობა, რომ არტაანისა და ართვინის ოლქებთან დაკავშრებით თურქეთის დიდი ეროვნული კრების მთავრობასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის უთანხმოება წარმატებით დასრულდა და ეს ორი ოლქი ჩვენ გადმოგვეცა...არტაანში ქართული ადმინისტრაცია და ჯარი ახალციხეში გადავიდა და იქ თურქეთის დიდი ეროვნული კრების სახელით დამყარდა ადმინისტრაციული ხელისუფლება.“ (ყარაბექირი გვ. 938). „ანგორის

მთავრობის მცდარი გადაწყვეტილებით შეიძლება ჩვენი ეროვნული მოძრაობა დიდ უბედურებაში გახვეულიყო, ამის ნაცვლად, სისხლის დაღვრის გარეშე თურქეთის კუთვნილი ძველი სანჯაყი დავუბრუნეთ და ახლა მეორის აღებასაც ვაპირებთ“ - წერს ქიზიმ ყარაბექირი. (ყარაბექირი, გვ. 938).

ართვინისა და არტაანის ოლქებში ოსმალეთის ჯარის შესვლა თურქულ ისტორიოგრაფიაში „განთავისუფლების დღედ“ მოიხსენიება. მუსტაფა ქემალ ათათურქის სიტყვების ციტირებას მოვახდენთ: „1920 წლის ივლისში, როდესაც ინგლისელებმა ბათუმი დატოვეს, ქართველებმა მაშინვე განახორციელეს ოლქის ოკუპაცია. აღნიშნული ქმედება ეწინააღდმეგებოდა ბრეეტ-ლიტოვსკისა და ტრაპიზონის შეთანხმებებს და 1920 წლის 25 ივლისს გამოვთქვით ჩვენი პროტესტი. 1921 წლის 8 თებერვალს, ანკარაში რემუნწბათა სიგელები გამოგვცა საქარტველოს ელჩმა და დაიწყო თურქეთ-საქართველოს მოლაპარაკებები. ბოლოს, 1921 წლის 23 თებერვალს არტაანის , არტვინისა და ბათუმის ოლქების დაცლასთან დაკავშირებით ჩვენ მიერ ულტიმატუმი იქნა გაგზავნილი. ამ ულტიმატუმიდან 15 დღის შემდეგ ბათუმი ჩვენ მიერ იქნა დაკავებული. შემდეგ მოსკოვის ხელშეკრულების საფუძველზე ბათუმიდან გავედით, დანარჩენი ოქლები კი სამშობლოს დაუბრუნდა“ (ოზდერი, 2017, გვ. 153). არც ბრესტ- ლიტოვსკის ხელშეკრულება იყო ძალაში და მით უმეტეს, არც ტრაპიზონის ხელშეკრულება, რომლის საფუძვეზეც ანგორის მთავრობა აღნიშნულ ოლქებში თავისი უფლებებს ასაბუთებდა. ოსმალეთმა ართვინზე და არტაანზე ოსმალეთმა პრეტენზია ზუსტად მაშინ გამოაცხადა, როდესაც საქართველო წითელ არმიასთან ბრძოლაში იყო ჩაბმული და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იბრძოდა. საქართველოს მთავრობას სხვა არაფერი დარჩენოდა გარდა იმისა, რომ ამ მხარეების მოთხოვნებს დათანხმებოდა.

6.7 მოსკოვის კონფერენცია და ბათუმის საკითხი

მოსკოვის მოლაპარაკებები 1921 წლის 26 თებერვალს დაიწყო. კონფერენციას ესწრებოდნენ ალი ფუად ფაშა, იუსუფ ქემალი, ექიმი რიზა ნური. რუსეთის მხრიდან გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინი და ჯეჯალ ქორქმაზოვი.[15]საგარეო საქმეთა კომისრის მოადგილე კარახანი

[15] ჯელალ ქორქმაზოვი - რევოლუციონერი, სახელმწიფო მოღვაწე, დაიბადა დაღესტანში 1877 წელს. მონაწილეობა მიიღო 1905 წლის რევოლუციაში დაღესტანში და იქნა დაპატიმრებული. 1907 წელს წავიდა პარიზში, ემიგრაციაში, სადაც სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში. იქ დაუახლოვდა ემიგრაციაში წასულ ახალგაზრდა თურქებს ერთობისა და პროგრესის პარტიიდან. ცხოვრობდა

კონფერენციას არ ესწრებოდა. ოსმალეთის დელეგაციის მთავარი მოთხოვნა იყო თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერა, 1920 წლის 28 იანვარს დიდი ეროვნული კრების მიერ მიღებული „ეროვნულ აღთქმის“ შესაბამისად საზღვრების დემარკაციაზე ბოლშევიკების დაყოლიება, სრუტეების თავისუფალი ვაჭრობისათვის გამოყენება, ცარისტულ რუსეთთან დადებული შეთანხმებისა და ომის დროს დაგროვებული ვალების ჩამოწერა, პირველი მსოფლიო ომის დროს დატყვევებული, ჯერ კიდევ რუსეთში მყოფი თურქი სამხედროების ოსმალეთში ექსტრადირება. ეს იყო ის მთავარი საკითხები, რომელზეც ანგორის დელეგაცია აპირებდა, რომ ყურადღება გაემახვილებინა. გარდა ამისა, ერთი მნიშვნელოვანი საკითხის დაყენება სურდა, კერძოდ, არფაჩაის დასავლეთ საზღვრამდე ტერიტორიის მოთხოვნას აპირებდა ბათუმის დათმობის პირობით. „ჩვენი წადილი დავმალეთ. მას მერე, რაც ჩვენს ყველა მოთხოვნას დავიკმაყოფილებდით, ბოლო წამს ბათუმზე ვაპირებდით სიტყვის ჩამოგდებას, თითქოს გარკვეული პირობების გათვალისწინებით ბათუმს ფეშქაშად ვაძლევდით“ - წერს ალი ფუად ჯებესოი. (ჯებესოი,1982, გვ. 191). ოსმალური მხარე ფიქრობდა, რომ თუ ბათუმის საკითხს მოლაპარაკაბებების დაწყებამდე დააყენებდა, მოლაპარაკებები ჩაიშლებოდა, რადგან საბჭოთა მთავრობა ოსმალეთის საზღვრებზე პრეტენზიების ცნობას არ აპირებდა.

პირველი შეხვედრა 1 მარტს შედგა, თუმცა, მხარეები კონკრეტულ შეთანხმებამდე ვერ მივიდნენ. დელეგაცია სტალინს მეორე დღეს შეხვდა და, როგორც გადაწყვეტილი ჰქონდა, საბჭოთა მთავრობას შესთავაზეს დათანხმებოდა ოსმალეთის საზღვრების დემარკაციას არფაშაჩაის დასავლეთ საზღვრამდე, სამაგიეროდ, ბათუმს და ბათუმის პორტს დათმობდნენ. არც ამ შეხვედრაზე მოხდა შეთანხმება და სტალინმა განაცხადა, რომ საგარეო საქმეთა კომისართან საჭიროებდა კონსულტაციას. (იერასიმოსი,2000, გვ. 211). იმავე დღეს, 1921 წლი 2 მარტს , გიორგი ჩიჩერინი დეპეშას უგზავნის ალი ფუად ფაშას, რომ მათ მიიღეს ინფორმაცია საქართველოს ძველ მთავრობასთან შეთანხმების თანახმად არტაანისა და ართვინის ოკუპირების შესახებ. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 556). ალი ფუად ფაშამ მეორე დღეს გასცა პასუხი გიორგი ჩიჩერინს, რომელშიც ის წერს, რომ საქართველოს

სტამბოლში და გამოსცემდა ჟურნალს რუსულ ენაზე. თებერვლის გადატრიალების შემდეგ დაბრუნდა რუსეთში. იყო დაღესტნის ცენტრალური კომიტეტის მდივანი. დახვრიტეს 1937 წელს.

მთავრობასთან ანგორის მთავრობას არანაირის შეთანხმება არ აქვს დადებული, ეს ურთიერთობა მხოლოდ კეთილმეზობლობას ემყარება. რაც შეეხება არტაანსა და ართვინს, ალი ფუად ფაშა აცხადებს, რომ ინფორმაცია არ აქვს აღნიშნული ოლქების დაკავების შესახებ, ასეც რომ ყოფილიყო, ოსმალეთის ქმედება ეფუძნება „ეროვნული აღთქმის“ პრინციპებს, რომელიც საზღვრისპირა რაიონებს ეხება. „თანაც, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გამორიცხულია რაიმე სახის შეთანხმება მენშევიკურ მთავრობასთან. პირიქით, - წერს ალი ფუად ფაშა -„ ეს ჩვენი ქმედება მიმართულია ქართველი მუშათა კლასის დახმარებისაკენ, რომელიც იბრძვის მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ“. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 556).

ბოლშევიკების მიერ თბილისის აღების შესახებ, ქიაზიმ ყარაბექირმა ქაიზიმ დირიქისგან ქუთაისიდან, 26 თებერვალს გაგზავნილი დეპეშიდან შეიტყო, ზუსტად იმ დღეს, როდესაც მოსკოვის კონფერენცია დაიწყო: „24 / 25 თებერვალს ღამე ბოლშევიკების ჯარმა ქართველების ხაზი გაარღვია და თბილისი აიღო. ქიაზიმ ბეი ქართულ მთავრობასთან ერთად ქუთაისში გაიხიზნა.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 938). დეპეშაში ქიაზიმ ბეი (დირიქი)ქიაზიმ ყარაბექირს ეკითხება: თუ რუსები ბათუმის მიმართულებით გააგრძელებენ სვლას, ბათუმის ოკუპაციასაც მოახდენს თუ არა ოსმალეთის ჯარი, რაზეც ყარაბექირმა უპასუხა: „პირველ რიგში, გვაცნობეთ, ქართული მთავრობა რას ფიქრობს. მე კი ჩვენს მთავრობას შევატყობინებ და მიღებულ პასუხს გაცნობებთ.“ (ყარაბექირი, 1960, გვ. 939). შემდეგ ისევ საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაზე წერს: „ქართული მთავრობა კუთხეშია მომწყვდეული და მფარველობას ითხოვს. აქამდე ხმა არ ამოუღია და მუდმივად ანტანტის ბრძანებებს ასრულებდა.....ქართულ ჯარს რამდენიმე კვირის სიცოცხლე დარჩა. მალე მთელ ხაზს ბოლშევიკები დაიკავებენ, ამიტომ, ჯარს ახალი ბრძანება მივეცი. იღდირში დისლოცირებული მე-11 საბრძოლო შენაერთი ყარსში გადავისროლე.... სანაპიროზე მდგარი ჩვენი შენაერთები კი ბათუმის საზღვართან დავაყენე“. (ყარაბექირი, 1960, გვ. 940). ყარაბექირმა წითელი არმიის კავკასიის ფრონტის მეთაურობას დეპეშა მიწერა, რომელშიც გააფრთხილა, რომ არსებობს ანტანტის ქვეყნების მიერ ბათუმში შეჭრის ალბათობა. (იერასიმოსი,2000, გვ. 209). საბჭოთა მთავრობა თადარიგს იჭერს და ქიაზიმ ყარაბექირთან აგზავნის სამ მეკავშირე ოფიცერს. წითელი არმიის ოფიცრები მთავარსარდალს ყარსში, 2

მარტს შეხვდნენ და წითელი არმიის პატივისცემა დაუდასტურეს. ამის შესახებ ქაიზიმ ყარაბექირმა ანგორას სასწრაფოდ აცნობა. (ყარაბექირი, 1960 940). იმავე დღეს, 2 მარტს, ქიაზიმ ყარაბექირმა ანგორიდან ბრძანება მიიღო ბათუმის დაკავების და კავკასიის კონფედერაციის შექმნის შესახებ (იერასიმოსი, 2000, გვ. 209). თუმცა, ქიაზიმ ყარაბექირი ანგორის გადაწყვეტილებას ბათუმთან დაკავშირებით არ ეთანხმება. „ვინაიდან საბჭოთა რუსეთს განზრახული აქვს ბათუმი აიღოს, შეიძლება ეს უკვე გააკეთა ისე, რომ თურქეთის მთავრობასა საეთოდ არც კი ჰკითხა და მთელი სანჯაყიც კი დაიპყრო. აქედან გამომდინარე, ძნელია იმხელა ძალას მოვუყაროთ თავი, რომ ბათუმის შენარჩუნებას შევძლოთ.“ და დასძენს, რომ ბათუმის დაპყრობა ოსმალეთისთვის საზიანო იქნება, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით ბათუმი მნიშვნელოვანი არ არის, თანაც, ამ ნაბიჯის გამო შესაძლებელია მუსლიმი მოსახლეობა დაიჩაგროს. უპრიანია, ჯარმა ჭოროხის ხეობიდან ჩრდილოეთით დაიხიოს და იქ გამაგრდეს. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, გვ 243). ქიაზიმს ყარაბექირის ამ წერილის საპასუხოდ გენერალურმა შტაბმა 4 მარტს ბრძანება გასცა, ვიდრე საქართველოში საბრძოლო შეტაკებები მიმდინარეობდა, აღმოსავლეთის ფრონტის გამაგრების მიზნით, ქიაზიმ ყარაბექირის საჯარისო შენაერთები შესულიყვნენ ახალციხისა და ახალქალაქში. ასევე, საბჭოთა მთავრობისთვის ეცნობებინათ, რომ ნეიტრალიტეტი დაეცვა. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, გვ 244). ქიაზიმ ყარაბექირმა გენერალურ შტაბს დაემორჩილა და ბრძანება გასცა “ მეგობრული მანევრირება დაეწყოთ, ისე, რომ ბოლშევიკები ბრძოლაში არ წამოეგოთ“. (ყარაბექირი, 1960, გვ. 940). ყარაბექირის კავალერიის ასეულმა ახალციხე დაიკავა. „ვღელავ, რადგან ბათუმის ასაღებად სისხლი დაიღვრება და ქართველები ბოლშევიზმს გამოაცხადებენ და ჩვენ წინააღმდეგ დაიწყებენ მოქმედებას.“ - წერს ქიაზიმ ყარაბექირი (ყარაბექირი, 1960, 941). ვიდრე გენერალურმა შტაბი აღნიშნულ გადაწყვეტილებას მიიღებდა, აჰმედ მუჰთარ ბეი 3 მარტს გიორგი ჩიჩერინს დეპეშას უგზავნის, რომელშიც ის საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით წერს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები და საბჭოთა ჯარების მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციები თურქეთის მთავარობას არ ეხება და არ თვლის, რომ ის უნდა ჩაერიოს. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 515). აჰმედ მუჰთარ ბეი 4 მარტს კიდევ ერთ დეპეშას უგზავნის გიორგი ჩიჩერინს და „მეგობრული ურთიერთობების შენარჩუნებისა და

წითელ არმიასა და თურქულ არმიას შორის ნებისმიერი სახის გაუგებრობის აცილების მიზნით, სთხოვს, ბრძანება მისცეს საქართველოში წითელი არმიის მეთაურს არ შევიდეს წითელი ჯარი ახალქალასა და ახალციხეში. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 515). როდესაც ოსმალეთი ახალციხის მიმართულებით მანევრირებას აკეთებდა, ამასობაში, 5 მარტს წითელმა არმიამ სოხუმი აიღო და ქართულმა ძალებმა სურამისკენ დაიხიეს. (სარი, 2014, გვ.607). აჰმედ მუჰთარ ბეის აღნიშნულ წერილზე პასუხი გიორგი ჩიჩერინმა 8 მარტს გასცა და დეპეშით ალი ფუად ფაშას მიმართა. წერილში ის წერს, რომ საბჭოთა ხელისუფლება იცავს მუსლიმი მშრომელი მოსახლეობის უფლებებს და მთავარი ამოცანაა ყველა ერის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. რაც შეეხება ახალციხესა და ახალქალაქის მუსლიმ მოსახლეობას, ბატონ ჩიჩერინს აღნიშნული სახელები არ ეცნო და აღუთქვა ელჩს, რომ შეატყობინებდა „კავკასიელ ამხანაგებს“ ემოქმედათ ისე, როგორც ამას თურქეთის მთავრობა მოითხოვს. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956I გვ. 581). 1921 წლის 8 მარტს ოსმალეთის გენერალური შტაბი გადაწყვეტილებას იღებს ახალქალაქისა და ახალციხის და ასევე ბათუმის ოკუპაცია მოახდინოს. ბრძანებაში წერია, რომ ბათუმი თურქეთის ეროვნული კრების მიერ „ეროვნული აღთქმით“გაცხადებულ საზღვრებშია, ახალციხისა და ახალქალაქის სანჯაყები კი ყარსის ილის შემაგდენლობაშია. ბათუმსმ ახალციხისა და ახალქალაქის ოლქები რაც შეიძლება, 9 მარტამდე უნდა ყოფილიყო ოკუპირებული. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, 3 ტ. გვ 244). რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, წითელი არმიის მეთაური ჰეკერი ქიაზიმ ყარაბექირს 9 მარტის დეპეშით ულოცავს, ორივე არმიის „მეგობრულად შეხვედრას “ (ყარაბექირი, 1960, გვ. 941).

იმავე დღეს, 9 მარტს, ანგორის დელეგაცია სტალინთან მესამე შეხვედრის დროს გარკვეულ საკითხებზე თანხმდება საბჭოთა ხელისუფლებასთან, კერძოდ, საზღვარი სოფელი სარფიდან დაიწყება და იქედან არფაჩაისა და არაქსს გაუყვება, ბათუმს ავტონომიურობა შეუნარჩუნდება და საქართველოს დარჩება. (იერასიმოსი, 2000, გვ. 213). აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ, როგორც ანგორის მთავრობა შემდეგ აცხადებს, ინფორმაცია არ მიუღია, რაც ცოტა უცნაურად გვეჩვენება ანგორის დელეგაციას მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკების დეტალების შესახებ არ ეცნობებინა მთავრობა. ბათუმის დაპყრობის შესახებ

გადაწყვეტილების მიღებით ანგორის მთავრობამ დროის მოგება და შექმნილი სიტუაციით სარგებლის ნახვა გადაწყვიტა. ქიაზიმ ყარაბექირმა დიდ ეროვნულ კრების გადაწყვეტილება ბათუმის დაპყრობის გადაწყვეტილების შესახებ მე-11 წითელ არმიას აცნობა, რაზეც ორჯონიკიძეს პრეტენზია გამოუთქვამს და 10 მარტს შემდეგი შინაარსის დეპეშით უპასუხა:"მოსკოვში თურქეთის დელეგაციასა და საბჭოთა რუსეთის მთავრობას შორის მიღებული შეთანხმების თანახმად, ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს დარჩება. აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობამ ამ ბრძანების შესაბამისად უნდა იმოქმედოს." (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, გვ. 249). ამ დეპეშის პასუხად ქიაზიმ ყარაბექირმა იმავე დღეს, 10 მარტს უპასუხა, რომ ანგორის მთავრობას მოსკოვში ოსმალეთის დელეგაციასა და საბჭოთა რუსეთს შორის მოლაპარაკებების დროს მიღებული გადაწყვეტილება უცნობია. „მუსლიმი მოსახლეობა მუდმივად იჩაგრებოდა სომხების მიერ, საქართველოში მიმდინარე სამხედრო ოპერაციისას. გვსურს, მუსლიმი მოსახელობა ისევ არ დაიჩაგროს, ამიტომ, ქართულ ჯარს არ მივცემთ გადაადგილების საშუალებას, მოვახდენთ მათ განაიარაღებას და ამით წითელ არმიას საქმეს უფრო გავუადვილებთ." - წერს ორჯონიკიძეს ყარაბექირი და ოსმალეთის ჯარის საბრძოლო ოპერაციას ასე ამართლებს. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, 3 ტ. გვ. 249). ქიაზიმ ყარაბექირმა ამ მიმოწერის შესახებ სასწრაფოდ ანგორის მთავრობას აცნობა. მიღებულმა ინფომაციამ საგარეო საქმეთა მინისტრი, აჰმედ მუჰთარ ბეი აღაშფოთა და აღმოსავლეთის ფრონტის სარდლობას ბათუმის ოკუპაციის დასრულება უბრძანა.

ბათუმში მიმდინარე მოვლენების პარალელურად, მოსკოვში ისევ გრძელდებოდა ანგორის წარმომადგენლების და საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკებები. 10 მარტს ანგორის დელეგაციამ ისევ მოითხოვა ბათუმის პორტის თავისუფალი ვაჭრობის ზონად გამოცხადება გიორგი ჩიჩერინმა სამაგიეროდ ტრაპიზონის პორტის იგივე პირობებით გადაცემა მოითხოვა. საბჭოთა რუსეთი ასევე ითხოვდა ბათუმისთვის ავტონომიურობის სტატუსის გადაცემას, თუმცა, იქ ოსმალეთის უფლებებს არ სცნობდა. მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. (იერასიმოსი, 2000, გვ 214). 11 მარტს მოსკოვში მიღებული გადაწყვეტილების თანახმად, ახალციხე, ახალქალაქი და ბათუმი საქართველოს რჩება, წითელი არმიის კავალერიის 106- ე პოლკი ახალციხიდან აჭარისკენ დაიძრა. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის,

დოკუმენტების კრებული, 1995 გვ. 248). მე -7 ბატალიონმა ბათუმის ოკუპაცია მოახდინა, დანარჩენ საჯარისო ნაწილებს კი დაევალა ქალაქის მისადგომებთან ლოკაცია გაემაგრებინა - წერს ქიაზიმ ყარაბექირი. „მივიღე ინფორმაცია, რომ ახალციხეში დისლოცირებული წითელი არმიის კავალერიის ნაწილი ემზადება ბათუმზე იერიში მიიტანოს. რუსები ბათუმს აღმოსავლეთიდან და სამხერთით შეუტევენ. უცნაური სიტუაცია შეიქმნა. ქართული ჯარი რუსებს ბათუმის ჩრდილოეთით ებრძოდა, ჩვენ კი ამ დროს ბათუმს ვიპყრობდით, თანაც, ეს ქართული ჯარის უკანასკნელი სამაგრი იყო. ახალციხეში რუსებს მეგობრულად შევხვდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარისო ნაწილს ბათუმში ქართველების წინააღმდეგობა უნდა გაერღვია და ციხე უბრძოლველად ხელში ჩაეგდო. იქ დისლოცირებული ჩვენი საჯარისო ნაწილი ბოლშევკებთან ბრძოლას ხომ არ დაიწყებდა? ქართული ჯარის დასახმარებლად ხომ არ შევედით ბათუმში?არც ერთი და არც - მეორე! ჩვენ ბათუმის დასაპყრობად მოვედით! ამ შემთხვევაში, ორივე ჯართან უნდა გვებრძოლა? თუკი ანგორის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს, რომ კავკასიის კონფედერაცია შექმნას, რაც ჩემი აზრით, სრულიად მიუღებელია და ესცუფრო გაართულებს სიტუაციას. სასწრაფოდ საღი გადაწყვეტილება უნდა მიღეულიყო, რადგან დრო არ ითმენდა, კამათის დრო აღარ იყო. ჩემს ჯარს ვუბრძანე, არ დაეთმოთ დაკავებული უბნები არცერთი მხარისათვის და ყველაფერი გაეკეთბინათ, რომ კონფლიქტში არ შესულიყვნენ“. (ყარაბექირი, 1960, გვ. 941). ოსმალებთან კონფლიქტს საბჭოთა რუსეთიც ერიდებოდა. სტალინი 11 მარტს ორჯონიკიძეს წერს, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, თურქებთან კონფრონტაციის გარეშე, თუ საჭირო იქნება, ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი ორივე არმიას ერთად დაეპყრო. (იერასიმოსი,2000, გვ. 216). ბოლშევიკებსა და ოსმალებს შორის რომ რაღაც გარიგება უკვე შესამჩნევი ხდებოდა. „ მინდა კიდევ ერთი ინციდენტი გავიხსენო, რომელიც კარგად ასახავს თურების ჩვენ მიმართ დამოკიდებულებას“ - წერს გენ. კვინიტაძე- „ როდესაც გადაწყვეტილება მიიღეს მტერთან მოლაპრაკარეკებაზე, ახალციხიდან გაიგზავნა ოფიცერი საპარლამენტო დროშით, რათა მას მოწინააღმდეგისთვის მოეთხოვა საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტა. თურქები, რომლებიც ხულოში იყვნე განლაგებულნი, მიუხედავად იმისა, რომ ოფიცერს საპარალმენტო დროშა ეჭირა, დააპატიმრეს. ამგვარად, თურქები საკუთარ საჯარისო შენაერთებში უშვებნდნე ჩვენს მოწინააღმდეგწს, ჩვენი პარლამენტარი კი დაპატიმრეს“. (კვინიტაძე, 1986, გვ. 335).

12 მარტს მოსკოვში ისევ განახლდა მოლაპარაკებები. გარდა საზღვრების დემარკაციისა საბჭოთა მთავრობა ანგორას სთხოვდა ასევე მტრული ძალები არ შეეფარებინა თავის ტერიტორიაზე და არ გაეფორმებინა საერთაშორისო ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთისთვის ცნობის გარეშე. (იერასიმოსი, 2000, გვ. 217).

12-13 მარტს ქიაზიმ ყარაბექირმა ანგორის მთავრობიდან მიიღო შეტყობინება ახალქალაქში, ახალციხესა და ბათუმში ანგორის მთავრობის სახელით ადმინისტრაცია დაენიშნა. ასევე, თბილისში მყოფი ანგორის მთავრობის წარმომადგენლისგან, პოლკოვნიკ ქიაზიმ ბეისგან შეტყობინებას იღებს, რომ თუ 24 საათის განმავლობაში რამე განსხვავებულ ბრძანებას არ მიიღებს, ბოლშევიკების წინააღმდეგ ქართველებთან ერთად მხარდამხარ ებრძოლა. ქიაზიმ ყარაბექირისთვის ეს ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა. „არ ვიცი, ანგორის მთავრობამ მისცა თუ არა ეს ბრძანება, მაგრამ ეს ქმედება რომ მუსლიმი მოსახლეობის გაწყვეტასა და ჩვენს ომში ჩათრევას გამოიწვევს, ეს ცხადია. „ - წერს ყარაბექირი. (ყარაბექირი, 1960, გვ. 942). 16 მარტს წინააღმდეგობის მიუხედავად, ქართულმა ჯარებმა უკან დაიხიეს. ბათუმში მყოფი ქიაზიმ დირიქი ქიაზიმ ყარაბექირს წერდა, რომ ნაციონალ-დემოკრატები, სავარაუდოდ, ოსმალეთს მფარველობას მოსთხოვენ. თუკი ანატოლიაში გაქცევას დააპირებენ, ითხოვდა, რომ პატივისცემით მიეღოთ და შეეფარებინათ. (ყარაბექირი, 1960, გვ. 945). 1921 წლის 17 მარტს საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ ბათუმი დატოვა. ქართველებს უკანასკნელ წუთს გადაუფიქრებიათ ბათუმის თურქებისთვის გადაცემა. ქართველებს როგორც ფრანგი მაიორი ბურა დობერი (Bois de Barre) წერს, უთქვამთ: „ჯობს ბოლშევიკებს დავუთმოთ ბათუმი, ვიდრე თურქებს, რადგან მოვა დრო და საბჭოეთი აღარ იარსებებს, თურქეთი თუ შევა ბათუმში,იქ მუდმივად დარჩება.“ (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, გვ. 251).

ამასობაში, მოსკოვში მიმდინარე მოლაპარაკებები უკვე დასასრულს უახლოვდება და მხარეებმა გარკვეულ შეთანხმებამდე მისვლა შეძლეს. 14 მარტს განხილული იყო „მეგობრობისა და ძმობის შესახებ შეთანხმების“ სამუშაო ვარიანტი. საბჭოთა მხარე, გამომდინარე იქედან, რომ არ სცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის შეთანხმებას, ბათუმი ოსმალეთს არ ეკუთვნოდა და საქართველოს ფარგლებში უნდა დარჩენილიყო. 16 მარტს მოხდა ალი ფუად ფაშასა და გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინს შორის მიმოწერა, რომელიც შეეხებოდა ორი ქვეყნის საგარეო კურსს. ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ საგარეო კურსის ცვლილების

შემთხვევაში აუცილებლად შეატყობინებდა მეორე მხარეს. „თურქეთი ვალდებულებას იღებს არ აწარმოოს საბჭოთა მთავრობისს ინტერესების წინააღმდეგ აზიაში საგარეო პოლიტიკა. თურქეთი ვალდებულებას იღებს არ გააფორმოს ისეთი ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოსთან, რომელიც ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს.“ წერილს ხელს აწერს ალი ფუად ჯებესოი (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956გვ. 606). იმავე დღეს, 16 მარტს გიორგი ჩიჩერინი ანგორის ელჩისადმი მიწერილ წერილში კმაყოფილებას გამოთქვამს ოსმალეთის მზადყოფნაზე რუსეთის მთავრობის ინტერესები გაითვალისწინოს საგარეო პოლიტიკაში და ასევე ადასტურებს, რომ საბჭოთა მთავრობა დაიცავს სხვა სახელმწიფოებთან მიმართებით ოსმალეთის ინტერესებს და არ გააფორმებს მისი ინტერესების საწინააღმდეგო ხელშეკრულებას. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956, გვ. 607)

16 მარტს ხელი მოაწერეს „მეგობრობისა და ძმობის შესახებ ხელშეკრულებას“. ხელი საბჭოთა რუსეთის მხრიდან გიორგი ვასილის ძე ჩიჩერინმა და ჯელალ ქორქმაზოვმა, ანგორის მთავრობის მხრიდან კი რიზა ნურმა და ალი ფუად ფაშამ. ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთი აღიარებდა 1920 წლის 28 იანვარს ოსმალეთის „ეროვნული აღთქმის“ პრინციპებს. საზღვარი იწყებოდა სოფელ სარფთან, გადიოდა ხედისმთაზე, შავშეთის გავლით და მიყვებოდა საზღვარს არტაანისა და ყარსის სანჯაყებამდე, არფა ჩაისა და არაქსის სანაპიროებით ქვედა ყარასუს შესართავამდე. მეორე პუნქტის მიხედვით, ოსმალეთი თანახმა იყო ბათუმის პორტი და ქალაქი დაეთმო შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ადგილობრივი მოსახელობა ფართო ავტომომიით ისარგებლებდა, ადმინისტრაციული, კულტურული და რელიგიური უფლებების კუთხით. ოსმალეთის ბათუმის პორტში ტვირთების თავისუფალი გადაზიდვის უფლებით ისარგებლებდა. რაც შეეხება ნახჭევანს, რომელზეც პრეტენზიას ასევე აცხადებდა ოსმალეთი, ხელშეკრულების მე- 3 პუნქტით ნახჭევანში ავტონომიური ოლქი უნდა შექმნილიყო აზერბაიჯანის პროტექტორატის ქვეშ. ორივე მხარე თანხმდებოდა, რომ არ სცნობდნენ და აუქმედნენ ადრე დადებულ ხელშეკრულებებს. საბჭოთა რუსეთი ასევე ათავისუფლებდა ოსმალეთს ყველანაირი ფულადი და სხვა ვალდებულებებისაგან. (საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული, ტ. III. 1956გვ. 597-604).

17-18 მარტს ბათუმში ანგორის მთავრობამ თავისი ადმინისტრაცია ჩამოაყალიბა. ამავე დროს ბათუმში ყალიბდება ბოლშევიკური რევკომი, რომელიც თურქებს ბათუმის დატოვებას სთხოვს, რაზეც ქიაზიმ დირიქი არ თანხმდება და რევკომს იარაღის დაყრასა და ჩაბარებას სთხოვს. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995 ტ. 3, გვ. 251). ქიზიმ ყარაბექირმა 18-19 მარტს ორჯონიკიძისგან დეპეშა მიიღო, რომელშიც ის ბათუმის დაუყოვნებლივ დაცლას ითხოვდა. 20 მარტს კი მოსკოვიდან მიიღო შიფროგრამა, რომელშიც ატყობინებენ, რომ 16 მარტს მოსკოვში ხელშეკრულებას მოეწერა ხელი. (ყარაბექირი, 1960, გვ. 945). 22 მარტს ქიაზიმ დირიქისაგან იღებს შეტყობინებას, რომ ქართველები ბარუთჰანეში მდებარე თურქულ ყაზარმას თავს დაესხნენ, ქვეითი და მოტორიზებული ასეულზე იერიში მიიტანეს. თურქული ასეული წითლებს ჩაბარდა, ბატალიონის დანარჩენმა ნაწილებმა კი ჭოროხის მიდამოებში დაიხიეს. 21 მარტს წითელი არმიის გენერალი ნიკოლოზ ვლადიმერის ძე კუიბიშევი ბათუმში შევიდა და ქიაზიმ ბეის ქალაქის დასაცლელად 20 საათს მისცა. (იერასიმოსი, 2000, გვ. 220). ქიაზიმ ყარაბექირმა ბათუმის დაცლის ბრძანება გასცა. წითელი არმიის სარდლობისთვის მიწერილ წერილში ქიაზიმ ყარაბექირმა შეატყობინა, რომ მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად, საქართველოსთვის გადაცემულ ტერიტორიას ტოვებს ბათუმში ოსმალეთის წარმომადგენლობის დასცავად კი ერთ ასეულს ტოვებს და ითხოვს წითელი არმიისაგან მეგობრულად და ძმურად მოექცნენ იქ დარჩენილ მუსლიმ მოსახლეობას და დაიცვან ისინი. 29 მარტს წითელი არმიის მეთაური ჰეკერი ბათუმში შევიდა. მან შტაბის კაპიტან თალათს წერილი მიწერა, რომელშიც ის ქართველებს აბრალებდა ბათუმში მომხდარ შეტაკებას, თუკი წითელი არმიის მიერ რაიმე შედომა იქნა დაშვებული, იმედს გამოთქვამდა, რომ ეს ორი ერის მეგობრობაზე არ აისახებოდა. ამავე თარიღებში ხდება თურქეთის ჯარის ახალციხიდან და ახალქალაქიდან გამოსვლა. (თურქეთის ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის, დოკუმენტების კრებული, 1995, ტ 3. გვ. 254).

ამგვარად დასრულდა საქართველოს გასაბჭოება. მოხდა ქემალისტური თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ინტერესების თანხვედრა. ზუსტად იმ დროს, როდესაც წითელი არმია თბილისს უტევდა, თურქულმა ჯარმა „ეროვნული აღთქმის“ უფლებით ჯერ ართვინი და არტაანი და შემდეგ ბათუმის აღებაც ნაწილობრივ მოახერხა. მოსკოვის კონფერენციის დროს სამხრეთ კავკასია ვაჭრობის საგანი გახდა. ოსმალეთი დაჟინებით ითხოვდა ბრესტ-

ლიტოვსკის პუნქტების თანახმად საზღვრების განაწილებას, რადგან ეს ტერიტორიები ეროვნული მეჯლილის მიერ მიღებული“ეროვნული აღთქმის“ საფუძველს ქმნიდა, თუმცა, საბჭოთა რუსეთი როგორც დაუთმოდა?! „ქართველმა მენშევიკებმა საიდუმლო შეთანხმება დადეს თურქეთისთვის ბათუმის გადაცემის შესახებ, რადგან უნდოდათ შეტაკების პროვოცირება მოეხდინათ წითელ არმიასა და ქემალისტურ თურქეთს შორის. ამ შემთხვევაში პროვოკლაციულ როლს თამაშობდა საფრანგეთი, რომელსაც სურდა შეექმნა მენშევიკური საქართველოსა და ქემალისტური თურქეთის ბლოკი. ქემალ ფაშამ ეს წინადადება არ მიიღო, რადგან თურქეთის ეროვნულ ინტერესებს კარგად იაზრებდა და იცოდა, რომ საბჭოთა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობები უფრო მნიშვნელოვანი იყო“ - წერს თურქეთში საბჭოთა რუსეთის ელჩი არალოვი. (არალოვი, 1960, გვ.27). ამგვარად, საბჭოთა რუსეთმა კუთხეში მომწყვდეული ანგორის მთავრობა აიძულა თავის მოთხოვნებს დაჰყაბულებოდა. ამ მუხანათური გარიგებების დროს, არც ბრესტ-ლისტოვსკში და არც მოსკოვის მოლაპარაკებების დროს, სადაც საქართველოს ტერიტირიების საკითხი წყდებოდა, არ ესწრებოდა საქართველოს წარმომადგენელი. ბედის უკუღმართობა თუ ლიდერების პოლიტიკური უმწიფრობა იყო მიზეზი - რთულია განსჯა, დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში საქართველო ყოველთვის ვაჭრობის საგანი იყო დიდ იმპერიებს შორის და მე-20 საუკუნის მიჯნაზეც, მისი ბედი ისევ ორ დიდ ძალას შორის გადაწყდა.

6.8 ყარსის ხელშეკრულება

მოსკოვში „მეგობრობისა და ძმობის შესახებ ხელშეკრულება“ 27 მარტს ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა. ქიაზიმ ყარაბექირი, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ბათუმში საბრძოლო მოქმედებების დაწყების, მუსტაფა ქემალ ათათურქს ვრცელ წერილს წერს, რომელშიც ის პოლიტიკურ ვითარებას ასე აფასებს: „ რუსებსა და ქართველებს შორის თურქების კავკასიის ფრონტზე რუსების წინააღმდეგ ომში ჩართვა და ამგვარად ოსმალეთის ცეცხლის ალში გახვევა რომ ერთი დიდი თამაშის ნაწილი იყო, ეს დღესავით ცხადია. ამას ვაბრალებ მეკავშირეთა პროპაგანდას, რომელის გავლენის ქვეშ მოექცა ჩვენი მთავრობა და მომაკვდავ ქართულ მენშევიკურ მთავრობას გაურიგდა და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ კავკასიის კონფედერაციის შექმნის იდეაც კი დაიბადა, და უმცირესობაში აღმოჩდნენ ის ადამიანები, მათ შორიც მეჯლისშიც, ვინც სწორად იაზრებდა აღმოსავლეთში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაცაის. ახალციხისა და ბათუმის აღებით ჩვენ დავაჩქარეთ

საქართველოს მთავრობის დროზე ადრე ჩამოშლა და ბოლშევიკები ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე შევიდნენ ბათუმში. ქართველებმა როცა დაინახეს, რომ ბათუმს კარგავდნენ ბოლშევიკებთან შეკრეს პირი ჩვენ წინააღმდეგ, ქართველებს ჩვენთვის იარაღი არ მოუციათ, საბოლოო ჯამში, არც რუსები დარჩნენ კმაყოფილი და არც ქართველები. მომავალში დიდი ცვლილებები გველოდება წინ და იმისათვის, რომ ჩვენი ქვეყანა არ მოყვეს ამ ცვლილებების გავლენის ქვეშ, აღმოსავლეთში ჩვენი პოლიტიკა სწორად უნდა დაიგეგმოს, დაინტერესებულ მხარეებს საიდუმლოდ უნდა გავანდოთ და აღარ უნდა წამოვეგოთ ფუჭ დაპირებებს. რუსები ან დარჩებიან კავკასიაში ან ისევე უცებ წავლენ, როგორც თავის დროზე ბოლშევიზმი გავრცელდა. მეორე ვარიანტი აუცილებლად უნდა მოხდეს, თორემ, გამოდის, რომ ანტანტის პროპაგანდას, რომელსაც უკვე მერამდენე თევა ვისმენთ რუსების სისუსტისა და მათი მთავრობის მალე ჩამოშლის შესახებ, აღარ უნდა დავუჯეროთ. ვიდრე რუსები კავიასიაში დარჩებიან, ჩვენ მათთან მეგობრული ურთიერთობა უნდა დავიჭიროთ და მეკავშირეებიც უნდა გავხდეთ. ეს კი ისე უნდა მოხდეს, რომ მათ სასიცოცხლოდ მნიშვნიშვნელოვან ინტერესებში არ შევეწინააღმდეგოთ, ჩვენი საქციელით და ქმედებებით დავარწმუნოთ ჩვენს გულწრფელობაში. „ (ყარაბექირი, 1960, გვ. 954).

1921 წლის 29 მარტს საბჭოთა ხელისუფლებამ ანგორაში სრულუფლებიან წარმომადგენლად ბუდუ მდივანის შემდეგ ს.პ. ნაცარენუსი[16] დანიშნა. ნაცარენუსის მიერ რწმუნებათა სიგელის გადაცემის შემდეგ მუსტაფა ქემალ ათათურქი შემდეგ განცხადებას წერს: „1921 წლის 16 მარტს მოსკოვის ხელშეკრულება სრულად თავისუფალია ცარისტული რუსეთის იმპერიალისტური ზრახვებისაგან და ეროვნული ინტერესების დაცვისათვის მებრძოლი თურქი და რუსი ერის მეგობრობის მყარი დასტურია... ჩვენმა ხალხმა ბევრი სირთულე გამოიარა და ყველაფერი გააკეთა, რომ ეს სირთულეები დაეძლია. დაწრმუნეული ვარ, რომ მომავალშიც ჩვენი ხალხი ყველანაირი დაბრკოლების გადალახვას ისევე თავდადებით შეძლებს, როგორც ამას აქამდე აკეთებდა.“ (ათათურქი, 2003, ტ. 11. გვ. 210).

[16] სერგეი პეტრეს ძე ნაცარენუსი აქტიურად მონაწილებდა რევოლუციურ მოძრაობაში. 1921-1922 წლებში იყო თურქეთში საბჭოთა რუსეთის წარმომადგენელი. 1927-1929 წლებში კამჩატკის სახელმწიფო სააქრიონერო სამმართველოს უფროსი იყო და მონაწილეობდა არა ერთ ჩრდილოეთ პოლუსის ექსპედიციის ორგანიზებაში. 1937 დააპატიმრეს კონტრევოლუციური საქმიანობის გამო და 1938 წელს დახვრიტეს,

1921 წლის 6 აპრილს გიორგი ჩიჩერინმა ალი ფუად ჯებესოის ნოტა გაუგზავნა, რომელშიც ითხოვდა მოსკოვის ხელშეკრულების თანახმად ალექსანდროპოლის და ერევნის თურქული ჯარის მიერ სასწრაფოდ დატოვებას. რაზეც ალი ფუად ჯებესოის პასუხმაც არ დააყოვნა მეორე დღეს, რომელშიც ის წერდა, რომ :"თურქული ჯარის იქ ყოფნა განპირობებულია აღმოსვალეთის ფრონტზე კონტრევოლუციური მოქმედებების აღკვეთის მიზნით ჯარის მობილიზებით და ჯარის ევაკუაცია მოხდება მაშინვე, როგორც კი სიტუაცია მისცემთ ამის საშუალებას". (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, 1959, გვ. 49). 6 აპრილს გიორგი ჩიჩერინი სერგო ორჯონიკიძეს აძლევს დირექტივას შეატყობინოს ბუდუ მდივანს, რომ აუცილებელია დაუყოვნებლივ შესრულდეს მოსკოვის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები, ყარაბექირს აცნობონ საბჭოთა მთავრობის პროტესტი იმის გამო, რომ ის უარს აცხადებს დატოვოს ალექსანდროპოლისი, რომ საბჭოთა მთავრობა კატეგორიულად მოითხოვს გაყვანილი იქნას თურქული ჯარები მოსკოვში დადგენილ საზღვრამდე. (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები", გვ. 55). საბჭოთა მთავრობის მოთხოვნის მიუხედავად, ქიაზიმ ყარაბექირი გიუმრის დატოვებაზე უარს აცხადებდა. 5 აპრილს გიუმრიში ქიაზიმ ყარაბექირი და მე- 11 წითელი არმიის მეთაური ჰეკერი შეხვედნენ. შეხვედრაზე ქიაზიმ ფაშამ განაცხადა, რომ თურქული ჯარი დატოვებს გიუმრის როგორც კი მოსკოვის ხელშეკრულებით მოხდება საზღვრების დაზუსტება. (ყარაბექირი, 1960. გვ.965). რაც შეეხება ალი ფუად ფაშას, 1921 წლი 11 აპრილის ანგარიშში ის ანგორის მთავრობას მოუწოდებდა სასწრაფოდ მოეგვარებინა აღმოსავლეთის საზვრების დემარკაცია და ამავდროულად, დიდი დახმერების იმედი არ უნდა ჰქონოდათ საბჭოთა რუსეთისგან. „თავდაპირველად რუსეთის მიზანი აღმოსავლეთის ხახლების იმოერიალიზმისა და კაპიტალიზმისგან დაცვა იყო და ამით მათი ნდობაც კი მოიპოვა, თუმცა, სინამდვილეში, მისი მიზანი ცარისტული რუსეთის ძველი საზღვრების აღდგენა და ძველ რუსეთზე უფრო ძლიერი რუსეთის შექმნაა". - წერდა ალი ფუად ფაშა. (ჯებესოი, 1981, გვ. 198).

8 აპრილს ოქროთი დატვირთული ვაგონი ბაქოში ჩავიდა. 9 აპრილს გიორგი ჩიჩერინმა მუსტაფა ქემალ ათათურქს წერტილი გაუგზავნა, სადაც ის სთხოვს, მიიღოს საბჭოთა მთავრობის მოკრძალებული ძღვენი ოცდაათი ათასი რუბლის სახით დახმარება იმპერიალისტების მიერ დაზარალებული მოსახლეობის საჭიროებებების

უზრუნველსაყოფად. (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, 1959, გვ. 58).

ბაქოში მოხდა ოსმალეთის დელეგაციის, იუსუფ ქემალის ხელმძღვანელობით, კავკასიაში საბჭოთა მთავრობის წარმომადგენელ ლეგრანისა, საქარათველოს წამომადგენელ მამია ორახელაშვილისა და სერგო ორჯონიკიძეს შეხვდა. შეხვედრაზე გადაწყდა ყარსში გაიმართოს კონფერენცია. 15 აპრილს დელეგაცია თბილისში ჩავიდა, თუმცა, სერგო ოჯრონიკიძის ბრძანების საფუძველზე ოქროთი დავირთული ვაგონი გააჩერეს. (იერასიმოსი, 2000, გვ. 317) . იმავე დღეს ქიაზიმ ყარაბექრიმა მიიღო ბრძანება, რომ გიუმრი სასწრაფოდ დაცალოს. (ყარაბექირი, 1960, გვ. 966). თურქულმა ჯარმა გიუმრი 23 აპრილს დაცალა, თუმცა, იქ არსებული ტყვია-წამლის საწყობები ააფეთქა. ამის გამო, 13 მაისს, გიორგი ჩიჩერინმა პროტესტის ნოტა მიწერა ალი ფუად ფაშას (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, 1959, გვ. 123).

24 აპრილს, თბილისში, იუსუფ ქემალი ისევ შეხვდა ს. ორჯონიკიძეს, მ. ორახელაშვილსა და საქართველოს საგარეო საქმეებში სახალხო კომისარს ალექსანდრე სვანიძეს[17]. ამ შეხვედრაზე კიდევ ერთხელ მოხდა შეთანხმება ყარსში კონფერენციის გამართვის შესახე, ხოლო 4 მილიონი ოქრო კი დაუყოვნებლივ გაიგზავნილიყო ანკარაში. (იერასიმოსი, 2000, გვ.319). დახმარების შეუფერხებლად გაგზავნის შესახებ პირობა ალი ფუად ჯებესოიმ სტალინისგანაც მიიღო. (ჯებესოი, 1981, გვ.203).

ყარსში კონფერენცია 26 სექტემბერს დაიწყო. ქიაზიმ ყარაბექირმა ანგორის მთავრობიდან ბრძანება მიიღო, რომ ყარსის კონფერენციაზე ანგორის წარმომადგენელი ყოფილიყო. თავიდან ქიაზიმ ფაშა უარზე იყო, მაგრამ ანგორის მთავრობის, და, რაც მთავარია, მუსტაფა ქემალ ფაშას მოთხოვნა ასეთი იყო და იძულებული გახდა დათანხმებოდა. ანგორის მთავრობას ქიაზიმ ყარაბექირი წარმოადგენდა, საბჭოთა მთავრობიდან - ამხანაგი იაკოვ განეცკი, აზერბაიჯანს - ბეხბუდ შახტახტინსკი, საქართველოს - შალვა ელიავა და ალექსანდრე სვანიძე, სომხეთს პოღოს მაკინზიანი და აშკენაზ მრავიანი (ყარაბექირი, 1960, გვ. 1015). კონფერენციაზე განსახილველ საკითხებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ბათუმისა

[17] ალექსანდრე სვანიძე 1920-1921 წლებში მუშაობდა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში. 1921 წელს დაინიშნა საქართველოს საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისრად. დახვრიტეს 1941 წელს გერმანიის სასარგებლოდ ჯაშუშობის ბრალდებით.

და ნახჭევანის სტატუსი იყო. ანგორა ითხოვდა ხელშეკრულებები, ცალ-ცალკე, აზერბაიჯანთან, სომხეთთან და საქართველოსთან ხელმოწერილიყო, რუსეთი კი სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკებთან ერთი საერთო შეთანხმების ხელმოწერას ითხოვდა. თურქული მხარე იძულებული გახდა ამ წინადადებას დათანხმებოდა.

მოლაპარაკებები დასრულდა 13 ოქტომბერს და ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომლის პირინციპები ძირითადად ეყრნობოდა მოსკოვის ხელშეკრულებას. პირველი პუნქტით მხარეების მიერ ძალადაკარგულად ცხადდებოდა ყველა ის ხელშეკრულება, რომელიც დადებული იყო საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკლების მიერ, მაგრამ ეს პუნქტი არ ეხებოდა თურქეთ-რუსეთის ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო მოსკოვში, 1921 წლი 16 მარტს. მეორე პუნქტით, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკები არ ცნობენ იმ საერთაშორისო აქტებს, რომელიც შეეხება თურქეთს და არ არის აღიარებული ანგორის ეროვნული კრების მიერ, ისევე, როგორც დიდი ეროვნული კრება არ ცნობდა იმ საერთაშორისო აქტებს, რომელიც არ არის აღიარებული სამხრეთ კავკასიის სოციალისტური რესპუბლიკების მიერ. ხელშეკრულების მეოთხე მუხლში ეწერა, რომ საზღვარი იწყება სოფელ სარფთან, რომელიც შავ ზღვასთან არის და გადის ქედის მთაზე, შავშეთის მთების წყალგამყოფ ხაზზე - მთა კანიდაღზე. შემდეგ კი მიყვება ძველ ადმინისტრაციულ საზღვარს ჩრდილოეთით არტაანისა და ყარსის სანჯაყების საზღვრამდე არფა ჩაისა და არაქსის მდინარეებს ყარასუს ქვედა შესართავამდე. მე- 5 პუნქტის მიხედვით, ანგორის მთავრობა და სომხეთისა და აზერბაიჯანის საბჭოთა რესპუბლიკები თანახმანი არიან ნახჭევანის ოლქს მიენიჭოს ავტონომია აზერბაიჯანის შემადგენლობაში. ხელშეკრულების მეექვსე პუნქტის მიხედვით, ოსმალეთი თმობდა ქალაქ ბათუმსა და ბათუმის პორტს შემდეგი პირობებით: აჭარას უნდა მიეღო ავტონონია და ადგილობრივი მოსახლეობას უნდა ესარგებლა კულტურული და რელიგიური უფლებებით. ოსმალეთს უფლება ეძლეოდა ესარგებლა ბათუმის პორტით საბაჟო მოსაკრებლების გადახდის გარეშე. ხელშეკრულება სულ ოცი პუნქტისგან შედგებოდა და მას ხელს აწერდნენ: სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარი შალვა ელიავა, საგარეო და ფინანთა სახალხო კომისარი ალექსანდრე სვანიძე, საბჭოთა რესპუბლიკების მხრიდან - მვარიანი, ბეხბუდ შახტახტინსკი, იაკობ განეცკი, პოღოს მაკინზიანი. ოსმალეთის მხრიდან - ქიაზიმ ყარაბექირი, ველი ბეი,

მუხთარ ბეი და მაჰმუდ შევკეთ ბეი. (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის დოკუმენტები, 1959 გვ. 420-426).

მუსტაფა ქემალ ათათურქმა 1922 წლის 1 მარტს დიდ ეროვნულ კრებაზე სიტყვის გამოსვლისას ყარსში დადებული ხელშეკრულება შემდეგნაირად შეაფასა: „ ამ ხელშეკრულებით აღმოსავლეთში საბოლოოდ მოხდა ჩვენი საზღვრების განსაზღვრა... სომხეთთან და სომეხი ერის ინტერესებთან დაკავშირებული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტილება ყარსის ხელშეკრულებაში იქნა ასახული და ეს არის გარანტია იმისა, რომ ორი მშრომელი ერი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ერთად მეგობრულად ცხოვრობდა, კვლავ გააგრძელებს ერთად თანაცხოვრებას.“ (ათათურქი, 2003, ტ. 12. გვ. 285).

ყარსის ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1922 წლის 11 სექტემბერს.

დასკვნა

პირველ მსოფლიო ომის შემდეგ ოსმალეთის იმპერიას მცდარი წარმოდგენა შეექმნა საკუთარ შესაძლებლობებზე. „ახალგაზრდა თურქების“ სახით ახალგაზრდა, მეტნაკლებად ნაციონალიზმით შთაგონებული თაობა მოვიდა ხელისუფლებაში. შედეგად, სრულად კონსტიტუციური სისტემა ჩამოყალიბდა. მაგრამ ამ სისტემამ დიდი ხანი ვერ იარსება. ახალგაზრდა თურქებმა სულ რამოდენიმე წელიწადში სისტემა ერთპარტიულ დიქტატურად აქციეს. სათავეში ერთობისა და პროგრესის პარტია მოვიდა, რომლის ლიდერები პან-თურანული იდეოლოგიით იყვნენ შეპყრობილი, სურდათ „დიდი თურანის“ აღდგენა, ცდილობდნენ სამხრეთ და ჩრდილო-სამხრეთ საზღვრები საკუთარი პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექციათ. „დიდი თურანი“, რომლის აღდგენასაც პან-ისლამისტები ოცნებობდნენ, კავკასიას, ყირიმს, ცენტრალურ აზიას, ასევე, ირანსა და ავღანეთსაც კი მოიცავდა. 1917 წელს თებერვლის რევოლიციის შემდეგ, როდესაც რუსეთის სათავეში ბოლშევიკები მოვიდნენ, ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა სამშვიდობო დეკრეტი გამოსცა, ბოლშევიკური რუსეთი უარს ამბობდა ოსმალეთის მიმართ იმპერიალისტური ინტერესების განხორციელებაზე, როგორიც იყო კოსტანტინოპოლის დაპყრობა და

ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გავლენის მოპოვება. შექმნილი სიტუაციით ისარგებლეს „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის ლიდერებმა ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკებებზე და თავისი მოთხოვნები წამოაყენეს. ოსმალები 1877-1878 წელს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას, სამი სანჯაყის : ყარსი, არტაანისა და ბათუმის ოსმალეთის საზღვრებში მოქცევას და კავკასიის ფრონტიდან რუსული ჯარების მთლიან გაყვანას ითხოვდნენ, რაზეც ბოლშევიკები იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ და საზავო ხელშეკრულებაზე ხელი მოაწერეს. პოლიტიკური სიტუაცია შეიცვალა მუდროსის დროებითი ზავის(1918 წლის 30 ოქტომბერი) შემდეგ, როდესაც ოსმალეთის სახელმწიფო რთულ მდოგმარეობაში აღმოჩნდა, ანტანტის სახელმწიფოებმა მოახდინეს ქვეყნის დანაწილება და ოსმალეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა, დამარცხდა“ერთობისა და პროგრესის“ პარტია, რომლის ლიდერები გერმანიაში გაიქცნენ. აღსანიშნავია, სწორედ ეს ლიდერები დგანან საბჭოთა რუსეთსა და თურქ ნაციონალისტებს შორის მოლაპარაკებებბის დაწყების ავანგარდში.

1919 წელს დაყწებულ თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში ჩაუდგა ქარიზმატული, ჭკვიანი და პრინციპული ლიდერი- მუსტაფა ქემალ ათათურქი, რომლის მოქნილი პოლიტიკის დამსახურებით თურქეთი იქცა თანამედროვე, წარმატებულოლ ქვეყნად. ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის ლიდერთა შორის გამორჩეული ადგილი ქიაზიმ ყარაბექირს უჭირავს, რომელიც მუსტაფა ქემალ ათათურქის მეტოქედაც მოიაზრებოდა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი ხისტი და სხარტი გადაწყვეტილებების წყალობით, რომელიც ხშირად ანგორის მთავრობის პოლიტიკასთან წინააღმდეგობაშიც კი მოდიოდა, აღმოსავლეთის ფრონტზე პოლიტიკური და სამხედრო გამარჯვებების მოპოვება შეძლო.

საბჭოთა რუსეთსა და თურქ ნაციონალისტებს შორის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი ორმხრივი ინტერესით იყო განპირობებული. ქემალისტებისათვის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დასაგვირგვინებლად ბრძოლისუნარიანი არმია და ფინანსური რესურსი ესაჭიროებოდათ. მუსტაფა ქემალ ათათურქი კარგად იაზრებდა, რომ ბოლშევიკებთან პოლიტიკურ ალიანსში შესვლა თურქეთისთვის სახიფათო იყო, მაგრამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის ქემალისტებს ძლიერი მეკავშირე სჭირდებოდათ. მიუხედავად იმისა, რომ ქემალისტები საბჭოთა რუსეთისგან როგორც

სამხედრო, ისე ფინანსურ დახმარებას იღებდნენ, ზოგადი განწყობა ბოლშევიკების მიმართ მკვეთრად უარყოფითი იყო, რაც დ. შალიკაშვილის მოგონებებიდანაც კარგად ჩანს, ქემალისტები ღიად უპირისპირდებიან ბოლშევიზმს, მუსტაფა ქემალ ათათურქმა იან უპმალიც გაიწვია ქვეყნიდან. ანატოლიაში დევნიან ყველას ვინც გაბედავს ბოლშევიზმის ქადაგებას,ქემალისტების ბოლშევიკებისადმი დამოკიდებულებას ისიც ადასტურებს, რომ 1922 წლის 12 სექტემბერს ანგორის მთავრობამ კომუნისტური პარტია აკრძალა. ქემალისტები მხოლოდ უკიდურესი საჭიროების გამო დათანხმდნენ კრემლთან ალიანსს.

ბოლშევიკებს კი, ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა „მსოფლიო მჩაგრველი იმპერიალისტების“ წინააღმდეგ ბრძოლაში რევოლუციური იდეებისა და ბოლშევიკური იდეოლოგიის გავრცელების კარგ პერსპექტივად ესახებოდათ, გარდა იმისა, რომ ქემალისტები სამხრეთ კავკასიაზე პრეტენზიას უკვე აღარ აცხადებდნენ და რუსეთმა ადვილად შეძლო სამივე რესპუბლიკის გასაბჭოება. ამგვარად, საბჭოთა რუსეთმა სამხრეთ კავკასია სრულად დაიმორჩილა. ის დაეპატრონა როგორც ბაქოს ბუნებრივ რესურსებს, ასევე, ხელში ჩაიგდო ბათუმის პორტი, რომლის საშუალებითაც ამ რესურსებს ანტანტის ქვეყნებში გაიტანდა. იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კი მხოლოდ შირმა იყო, რომლის უკან საბჭოთა რუსეთის ნამდვილი ზრახვები იმალებოდა.

კვლევაში შევეცადეთ გამოგვეყენებინა ჩვენთვის ხელმისაწვდომი პირველადი წყაროები, რომლის ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ ჩვენ მიერ ჩამოყალიბებული ჰიპოთეზები დაგვედასტურებინა და გაგვემყარებინდა.

სადისერტაციო ნაშრომის კვლევის შედეგები შემდეგია:

1. ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ ოსმალეთისთვის სახარბიელო მდგომარეობა შეიქმნა. საბჭოთა რუსეთის მიერ სამშვიდობო დეკრეტის გამოქვეყნების შემდეგ თურქეთის ინიციატივა - კავკასიაში დაწყებულიყო სამშვიდობო მოლაპრაკებები - შეიძლება ითქვას, ერთგვარი ხრიკი იყო და რეალურად, პან-თურანური იდეებით შეპყრობილი „ახალგაზრდა თურქების“ მთავრობა „დიდი თურანის“ აღდგენას გეგმავდა, რომელიც კავკასიიდან შუა აზიამდე უნდა გადაჭიმულიყო; ოსმალეთის ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ყარსი, არტაანი და ბათუმის შემოერთებით ოსმალეთის გავლენა და ძალა კიდევ უფრო გაიზარდა; ოსმალეთის გაძლიერებას

სამხრეთ კავკასიაში საბჭოთა რუსეთის ხელმძღვანელობისგან მკვეთრად უარყოფითი შეფასება მოჰყვა.

2. 1917 -1918 წლებში ოსმალეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვრის დაცვა და გაძლიერება დაიწყო, ვინაიდან სამხრეთ კავკასიის საზღვართან ბოლშევიზმის გავრცელების საშიშროება დადგა, ახალგაზრდა თურქების მთავრობამ ისლამის არმია შექმნა, რომლის მიზანი ახლო აღმოსვალეთში მუსლიმების დაცვა და ასევე, ეს გადაწყვეტილება „დიდი თურანის“ აღდგენის იდეასაც ემსახურებოდა; საბჭოთა რუსეთმა, რომლის ეკონომიკა ჩამოშვლის პირას იყო მისული, სამხრეთ კავკასიის გასაბჭოება აზერბაიჯანიდან დაიწყო, ვინაიდან ბაქოს ბუნებრივი რესურსები განსაკუთრებით საჭირო იყო ბოლშევიკებისთვის; ამიტომ, 1917-1918 წლებში „ახალგაზრდა თუქების“ მთავრობასა და საბჭოთა რუსეთი სამხრეთ კავკასიაში პოლიტიკა ურთიერთწინააღმდეგობრივია.
3. მუდროსის ზავის შემდეგ დაუძლურებულ და ანტანტის სახელმწიფოების მიერ დანაწევრებულ ოსმალეთში გამოჩნდნენ პატრიოტული ძალები, რომელთაც გააჩაღეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა. ამ ბრძოლის წარმატებით დაგვირგვინებისათვის აუცილებელი იყო მეკავშირის პოვნა, რომელთანაც თურქ ნაცილონალისტებს საერთო ინტერესი ექნებოდათ და სამედრო დახმარების პირობასაც მიიღებდნენ. ამ მხრივ იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა რუსეთი საუკეთესო პარტნიორი აღმოჩნდა. პირველ მოლაპარაკებებში თურქი ნაციონალისტების ორი ბანაკი - ერთი მხრივ მუსტაფა ქემალ ათათურქის წარმომადგენლები და მეორე მხრივ - ორგანიზაცია ყარაქოლის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულნი;
4. ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყებამდე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩართულ ლიდერებს შორის აქტიური დებატები მიმდინარეობდა ბოლშევიზმის გავრცელების საფრთხეებთან დაკავშირებით. მუსტაფა ქემალ ათათურქმა პრაგმატული პოლიტიკითა და დიპლომატიური გამჭრიახობით მოახერხა საფრთხის თავიდან აცილება, ქვეყნის ინტერესებიდან და გეოპოლიტიკური საჭიროებიდან გამომდინარე ბოლშევიკურ რუსეთთან ალიანსს დათანხმდა. თურქი ნაციონალისტებისა და ბოლშევიკების საერთო ინტერესები იმპერიალისტურ სახელმწიფოებთან ბრძოლის პერსპექტივაში ერთმანეთთან თანხვედრაში იყო.

საბჭოთა რუსეთისთვის ოსმალეთის პან-ისლამური იდეოლოგიის რევოლუციურ კონტექსტში გარდაქმნა და ანატოლიაში წამოწყებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, როგორც საკუთარი იდეოლოგიის გავრცელების კარგი პერსპექტივა იყო. ამგვარად, საერთო ამოცანებზე კონცენტრირების შემდეგ იდეოლოგიური განსხვევებებმაც მეორე პლანზე გადაინაცვლა და ორ ძალას შორის ალიანსი შედგა.

5. ქემალისტური მთავრობა საბჭოთა რუსეთისთვის სამხრეთ კავკასიაში საფრთხეს აღარ წარმოადგენდა, რადგან ანგორის მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით დარგვირგვინება და ქვეყნის ინტერესების დაცვა იყო, ამიტომ, საბჭოთა რუსეთმა მარტივად მოახერხა სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების გასაბჭოება. სახელმწიფო საზღვრების დემარკაცია საბოლოოდ მოხდა 1921 წლის მოსკოვში ხელმოწერილი ხელშეკრულების და შემდეგ ყარსის ხელშეკრულებით, რომლის მიხედვით, საბჭოთა რუსეთიც გარკვეულ დათმობებზე წავიდა და ყარსი-არტაანი ოსმალეთის შემადგემლობაში აღიარა, ხოლო ბათუმი კი საბჭოთა საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებში დატოვა.
6. ქემალისტური თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ალიანსი გეოპოლიტიკური აუცილებლობით იყო გამოწვეული და გრძელვადიან პერსპექტივაში სეკულარულ თურქეთსა და კომუნისტურ საბჭოთა რუსეთს შორის პარტნიორობა იდეოლოგიურად რადიკალურად განსხვავებების გამო წარმოუდგენელი იყო.

ბიბლიოგრაფია:

ავალიშვილი, ზ. (1924). *საქართელოს დამოუკიდებლობა 1918-21 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში,* თბილისი.

ანდერსენი, ე. (2020). *საქართველო და საერთაშორისო შეთანხმებები 1918-1921 წლებში,* მწიგნობარი

გიგინეიშვილი ო., (1963), *თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა,* თბილისი

გურული ვ., ჯიქია ლ. (2013), *„ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლებში საერთაშორისო ურთიერთობებში“,* თბილისი

დაუშვილი, ა., გოგოლიშვილი, ო., კარალიძე ჯ., სურგულაძე, კ., მანველიძე, ი., მესხია, და სხვანი, (2011), *ბრძოლა ბათუმისთვის 1921 წლის 18-20 მარტი,* თბილისი

ვადაჭკორია, შ., (2001)., *ქართული სოციალ-დემოკრატია 1917-1921 წლებში,* თბილისი

თოიძე, ლ.,(1991), *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც,* ივერთა მხარე

ლენინი, (1950), *თხზულებანი,* სახელგამი

ნოზაძე ვ. (1989) , *საქართველოს აღდგენისთვის ბრძოლა მესხეთს გამო,*თბილისი.

სვანიძე, მ. (2007), *თურქეთის ისტორია,* თბილისი

ჩაჩხიანი, ა. (2013). *ბოლშევიკური და ქემალისტური ურთიერთობების დასაწყისი და პირველი კონტაქტები 1919 წელს,* „ჟურნალი ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“,№ 1(12)

ჩაჩხიანი ა., (2020), *არშემდგარი სამხედრო პროექტი „ამიერკავკასიის მოხალისეთა ინტერნაციონალური არმია“* ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები # 1(24)

ჭუმბურიძე დ. (2018). *აკაკი ჩხენკელი - სახელმწიფო მოღვაწე, დიპლომატი, მამულიშვილი. უნივერსალი.* თბილისი.

შალიკაშვილი, დ, *საქართველოს წარმომადგენლობა 1921 წელს თურქეთში,* კავკასიონი, XVI-XVII, პარიზი, 1972/73

ყავრელიშვილი რ., (2005) *თურქეთის მთავრობის ორი ნოტა (1921) : [საქართველოს მთავრობასთან სამშვიდობო მოლაპარაკებისა და ართვინისა და არტაანის მხარის თურქეთისათვის გადაცემის თაობაზე,* საისტორიო კრებული, N6-7, ახალციხე.

ყავრელიშვილი, რ., (2008), *ალი ფუად ჯებესოის „მოსკოვური მოგონებები - როგორც წყარო საქართველოს ისტორიის შესასწავლად,* მესხეთი X

ყავრელიშვილი რ., (2000) *თურქული საარქივო წყაროები ბრესტ-ლიტოვსკის კონფერენციის შესახებ,* მესხეთი, ისტორია და თანამედროვეობა, ახალციხე.

Адамов Е.А. (1926), *Константинодоль И Проливы по Секрктным Документам Министерства Инностранных Дел,* Москва.

Аралов С А (1960), *Воспоминания Советккого Дипломата*, Москва.

Аркомед С. Т. , (1931), *Материалы По Истории Отпадения Закавказья от России*, Тифлис

Астахов, Г., (1925), *От Султаната К Демократической Турции*, Москва.

Брюханов В (2005) *Заговор Против Мира Кто Развезал Первую Мировую Войну* , АСТ

Берия, Л., (1948), К Вопросу об Истории Болшевикских Организаций в Закавказье, Москва

Гасратьян, М. А., Орешкова, С. Ф., Петросян, Ю. А., (1982) *Очерки Истории Турции,* Москва

Джафаров Б. (1994), *Лицо Врага История Армянского Национализма в Закавказье в Конце XIX- начале XX в.* Баку.

Документы и материалы по внешней политики Закавказъя и Грузии, 1975

Документы Внешней Политики СССР, 1959

История гражданской войны в СССР (1946), Москва.

Из истории Гражданской войны в СССР. 1918-1922: Сб. док. и материалов в 3 т. Т. 1. Май 1918-март 1919., 1960 https://docs.historyrussia.org/ru/indexes/values/569520

Генерал Квинитадзе Г.И. (1985) Мои Воспоминания в Годы Независимости Грузии 1917-1921, Париж

Корсун, Н.Г., (2004) , *Кавказский Фронт Первой Мировой Войны*, Москва.

Крючников Ю. В. & Сабанин, (1926), *Международная Политика Политика Новейшего Времени в Договорах, Нотах и Декарацияхрах*, Москва.

Лалаян, А.А., (1936), *Контрреволюционная деятельность партии Дашнакцутюн Исторические записки.* Москва.

Международные Отношения В Эпоху Империализма Документы По Архмвам Царского и Временного Правительств 1878 -1917 гг, т. III , VI, (1931), Ленинград

Миллер, А. Ф., (1944), *Турция И Германия В Годы Первой Мировой Войны,* Москва.

Нотович Ф. И.б (1937), *Дипломатичуская Борьба в Годы Первой Мировой Войны,* Ленинград

Палеолог, М. (1923) *Царская Россия Во Время Мировой Войны* ,Москва.

Жевахов, А. (2003) *Кемаль Ататюрк,* Москва.

Сазонов, С. Д., (2002), *Воспоминания ,* Харвест, Москва.

Тарасов, С., *Как Владимир Ленин и Мустафа Кемаль советизировали Закавказье,* https://regnum.ru/article/1160915

Ушаков, А., (2002) *Феномен Ататюрка,* Москва.

Чичерин, Г. В., (1961), *Статьи И Речи По Вопросам Международной Политики*, Москва.

Шеремет, В., (1995), *Босфор Россия и Турция а Эпоху Первой Мировой Войны По Материалам Русской Военной Разведки,* Москва.

Alen W. E, & Muratoff P. (1953) *Caucasian Battlefields A History of The Wars on the Turco - Caucasian Border 1929- 1921.* Cambrıdge University Press.

Aksal M. (2008), *The Ottoman Road to War in 1914, The Ottoman Empire and the First World War,* Capbridge University Press.

Akcam T. (1953) *The Young Turks Crime Against Humanity, The Armenian Genocide and Ethnic Cleansing in The Ottoman Empire*, Oxford

Bernard, L.,(1968) , *The Emergence of Modern Turkey,* Oxford

Balakian Grigoris, (2009), *Armenian Golgotha* , New York

Carr, E.H., (1991), *The Bolshevik Revolution 1917-1923,* London

Djemal Paha (1922) *Memoirs of a Turkish Statesman 1913-1919,* New York

Hovannisian, R., (1973), *Armenia and The Caucasia in The Genesis of The Soviet-Turkish Entente,* Cambridge University Press.

Hovaninisian, R., (1971), *Armenia 1918*-1919, V I, University of California Press

Howard, H., (1931), *The Partition of Turkey A Diplomatic History 1913-1923,* University of Okhlahoma Press.

Kazemzadeh F., (1951),*The Struggle For Transcaucasia (1917-1921),* Oxford

Ludke, T. Jihad (2005) *Made in Germany, Ottoman and German Propaganda and Intelligence Operations in thew First World War*, Munster

Reynolds M.F. (2011), *Shattering Empires The Clash and The Collapse of The Ottoman and Russia Empires, 1908- 1918,* Cambridge University Press.

Somakian, M.N., (1992), *Tsarist and Bolshevik Policy Towards The Armenian Question 1912-1920 ,* University of London

Sidney B.F. (1948), *The Origins of the World War*, New York

Trumpener U., (1968), *Germany and The Ottoman Empire 1914-1918,* Princton University Press

Wohlforth W (1987), *The Perception of Power Russia in thew Pre-1914 Balance ,* World Politics, Vol. 39, No. 3, Cambridge University Press.

Atatürkün Bütün Eserleri ტ. 10, 2004ტ 3 2000, ტ 6 2003 ტ 11 (2003) ტ. 12 (2003)

Atatürkün Tamım Telgraf ve Beyannameler, 2006

Atatürk Mustafa Kemal (1981) *Nutuk*, Ankara

Cebesoy, Alı Fuat (1953) *Milli Mücadele Hatıraları*, Ankara

Cebesoy, Ali Fuat, (1981) *Moskova Hatıraları,*Ankara

Funze M.V. (1978) *Türkiye Anıları Kasım 1921- Ocak 1922*, Istanbul

Gökalp Ziya, (2019), *Türkçülüğün Esasları,* Eskişehir

Karabekir(1960) *İstiklal Harbimiz,* Ankara

Harb Tarihi Vesikalari dergisi, # 41

TBMM ceride, 1918

TBMM Gizli Celse Zabitalari (1920) C.5

TBMM Gizli Celse Zabitalari (1922) C 17

Türk İstiklal Harbi Doğu Cephesi (1919-1921), 1995, Ankara

Avcioğlu D., (2006) *Millli Kurtuluş Tarihi 1838 den 1995 'e*., Ankara

Erdaş N. (1994) , *Milli Mücadele Döneminde Kafkas Cumhurıyetleri ile İlişkiler (1917-1921),* Ankara.

Kurat, A.N, (2011), *Türkiye ve Rusya XVIII Yüzyıl Sonundan Kutruluş Savaşına Kadar Türk-Rus İlişkileri 1798-1919,* Ankara.

Kolesnikov A. (2010) *Atatürk Dönemi Türk-Rus İlişkileri*, Ankara

Jaeschke G. (1971) *Kurtuluş Savaşı ile İlgili İngiliz Belgeleri*, Ankara

Munir S. (2001) *Ermeni Meselesinin Siyasi Tarihçesi 1874 – 1914,* Ankara

Nafiz S. T. (2012), *Teşkilat ı Mahsusa İki Devrin Perde Arkası*, Istanbul

Osmanli Belgelerinde Milli Mücadele ve Mustafa Kemal Atatürk, (2007) , Ankara

Ortayli I, (2009), *Gazi Mustafa Kemal Atatürk*, Istanbul

Özder M.A. (2017)ö *Artvin ve Çevresi 1828-1921 Savaşları*, Samsun

Perinçek M. (2007)., *Atatürk'ün Soviyetlerle Görüşmeleri Soviyet Arşiv Belgeleriyle*, Istanbul

Shamutdinov A., (1999) *Mudrostan Lozana Türkiye Ulusal Kurtuluş Savaşı Tarihi 1918-1923,* Ankara,

Şahin E. , (2002), *Trabzon ve Batum Konferansları ve Antlaşmaları (1917-1918),* Ankara

Savran S. (2020) , *Bir Ihtilal Olarak Milli Mücadele,* Devrimci Marxism, Istanbul

Sürmeli, S.,(2000) *Türk Gürcü İlişkileri 1918-1921,* Ankara

Sarı, M., (2014), *Türkiye Kafkasya İlişkilerde Batum 1917-1921*, Ankara

Selek S. (1987) *Anadolu Ihtilali*, Istanbul

Yerasimos S. (2000), *Kurtuluş Savaşında Türk Soviyet İlişkileri 1917 -1923*, Istanbul

Vandov D., (1982)*Atatürk Döneminde Siviyet -Türk İlişkileri*, Frankfurt

პერიოდიკა:

Tercüman ı Hakikat., No: 13323, Mart, 1334/1918. Ağaoğlu A.,

Vakit, Emin A. , No. 319, 10 Eylul, 1334/1918, *Talat Paşa ve Sulh*., ,

Tasv ir-i Efkâr No: 2075 / 26 Cemâzi-yel-âhir 1335 / 18 Nisan 1333 / 18 Nisan 1917 p.1Yunus Nadi April 18, 1917 Siyâsiyyât – *Yeni Rusya'da Amele ve Hükûmet, Rus Amele Cemiyetlerinin Mukarrerât-ı Mühimme*

Hakimiyet i Milliye, 5 Ekim 1920, *Misafirlerimiz Geldi Sefaret Heyeti Dün Akşam Geldi*

Vakit, 23 Şubat, 1337/1921, No 1153

Vakit, 3 Mart, 1337/1921, No 1161

Vakit, 6 Mart, 1337/1921, No 1164

Vakit, 4 Mart, 1337/1921, No 1162

“Правда” № 273, 15 დეკემბერი, 1918 წ.

საქართველოს რესპუბლიკა, 1920, 11 მაისი

ერთობა, 31 მარტი, 1918 წ